ITZHAK DAVID

# THE BEAUTIFUL CHRISTIAN GIRL AT THE LORD'S TOMB

Designer:
Albert Papismedov

© CAUCASIONI

TEL-AVIV 1993

# მშობლიურ ქართულ ენას ეძღვნება სიყვარულით

כג מִזְמוֹר לְדָוִד יְהוָה רֹעִי לֹא אֶחְסָר׃ בִּנְאוֹת דֶּשֶׁא יַרְבִּיצֵנִי
עַל־מֵי מְנֻחוֹת יְנַהֲלֵנִי׃ נַפְשִׁי יְשׁוֹבֵב יַנְחֵנִי בְמַעְגְּלֵי־צֶדֶק לְמַעַן
שְׁמוֹ׃ גַּם כִּי־אֵלֵךְ בְּגֵיא צַלְמָוֶת לֹא־אִירָא רָע כִּי־אַתָּה עִמָּדִי שִׁבְטְךָ
וּמִשְׁעַנְתֶּךָ הֵמָּה יְנַחֲמֻנִי׃ תַּעֲרֹךְ לְפָנַי שֻׁלְחָן נֶגֶד צֹרְרָי דִּשַּׁנְתָּ בַשֶּׁמֶן
רֹאשִׁי כּוֹסִי רְוָיָה׃ אַךְ ׀ טוֹב וָחֶסֶד יִרְדְּפוּנִי כָּל־יְמֵי חַיָּי וְשַׁבְתִּי
בְּבֵית־יְהוָה לְאֹרֶךְ יָמִים׃

საგალობელი დავითისა,მარადმყოვარი მწყემსია ჩემი,არა მომაკლდება რა. მოლის მდელოებზე გადამაწვენს მე,მშვიდ წყლებზე წარმმართავს მე,სულს დამილბუნებს, დამაყენებს სიმართლის წრესაკვლევებზე,თავის სახელის გულისათვის. კიდეც რომ ვიდოდე სასიკვდილეთის ველით,არ შემეშინდება სიავისა,რადგან შენ ხარ ჩემთან,კვერთხი შენი და საყრდენი შენი-აი,ისინი დამაწუგეშებენ. გააწყე წინაშე ჩემსა მაგიდა,ჩემს მტერთა მიმართ. ზეთით გიცხია თავი ჩემი, თასი ჩემი პირთამდეა სავსე. მხოლოდ სიკეთე და წყალობა დამედევნებიან მთელი ჩემი სიცოცხლე და მოვივანებსახლსა მარადმყოვრისასა, დღეთა მრავალთა.

ფსალმუნი, 23

მხატვარი ალბერტ პაპისმედოვი

各奔前程 გე ბენ ჩიან ჩენგ – თითოეული თავის გზით მიდის

汗牛充栋 ლან იუ ჩუნგ ბუ – გუნდს შერწყმა მისი ერთერთი მოთამაშესავით

勿谓言之不预也 ვუ ვეი იან ჩჟი ბუ იუ იე-არ სთქვა რომ არ გამიფრთხილებიხარ!

叱咤风云 ჩჟი ჩჟა ფენგ იუნ- მბრძანებლობს ქარსა და ღრუბლებს

识时务者为俊杰 შიში ვუ ჩჟე ვეი ჯუნ ჯიე- ვისაც კი გაეგება მომასწავებელი ნიშნები დროსი- დიდი ადამიანია

悲天悯人 ბეი ტიან მინ ჟენ- მოსთქვამს სამყაროს ვითარებას და ებრალება ბედი კაცობრიობისა

箭在弦上 ჯიან ძაი შიან შანგ- ვითარც ისარი მშვილდსაცყორცნზე

花花世界 ჰუა ჰუა ში ჯიე- მოელვარე ადამიანური სამყარო ათასნაირი ცდუნებებით

魂不附体 ჰუნ ბუ ფუ ტი – სული შორდება სხეულს

日月如梭 ჟი იუე ჟუ სუო – მზე და მთვარე წინ და უკან იმვრიან ვითარც ეცლი

世上无难事，只怕有心人 ში შანგ ვუ ნან ში, ჩჟი პა იოუ შინ ჟენ-არაფერი არაა ძნელი მისთვის, ვინც მისკენ მიაპყრობს გონებას

危在旦夕 ვეი ძაი დან ში – საფრთხე დილასა და საღამოს შორის მევს

失之东隅，收之桑榆 ში ჩჟი დონგ იუ, შოუ ჩჟი სანგ იუ- მზის ამოსვლისას დაკარგვა და მზის ჩასვლისას მისი მოძიება

信誓旦旦 შინ ში დან დან- ხვეწნა მთელი გულწრფელობითა და სერიოზულობით

良药苦口利于病，忠言逆耳利于行 ლიანგ იაო კუ კოუ ლი იუ ბინგ, ჩჟონგ იან ნი ერ ლი იუ შინგ-როგორც მწარე წამალი კურნავს სნეულებას, ასევე არასასიამოვნო რჩევა უსიკეთეებს ყოფაქცევას

言为心声 იან ვეი შინ შენგ- სიტყვები გონების ბგერებს წარმოადგენენ

无影无踪 ვუ ინგ ვუ ძონგ – გაუჩინარდა ჩრდილმოუცოვებლად

千言万语 ჩიან იან ვან იუ-ათასობით და ათასობით სიტყვა

本性难移 ბენ შინგ ნან ი – ძნელია ვინმეს ხასიათის შეცვლა

凄风苦雨 ჩი ფენგ კუ იუ – მგრგვინავი ქარი და მოცირალი წვიმა

不堪设想 ბუ კან შე შიანგ- ნუ მოიცან ამას გასაფიქრებლად!

与日俱增 იუ ჟი იუ ჟა ჯუ ძენგ- ზრდა ყოველ გამვლელ დღესთან ერთად

遗臭万年 ი ჩჟოუ ვან ნიან- ანაყროლი ათი ათას წლებს დაუცოვა

招摇过市 ჩჟაო იაო გუო ში – ქუჩებში ხეციალი – ყურადღების მოქცევის მიზნით

立于不败之地 ლი იუ ბუ ბაი ჩჟი დი- მიუდგომელ მდგომარეობაში თვითდამკვიდრება

四面楚歌 სი მიან ჩუ გე- ოთხივ მხრიდან მცრით გარშემორცყმა

湮没无闻 იან მო ვუ ვენ- დავიწყებას მიეცა

---

მვილჩინური სიბრძნის საგანძურიდან

იცხაკ დავიდი

# ლამაზი ქრისტიანი გოგო უფლის საფლავთან





## პროლოგი

იქ სიმფონია იწყებოდა გამხმარი ძვლების,
ცრიალებს ცოდვა, ბაიბურში იწვის საფლავი-
ხმაჩაკმენდილი მაშტერდება ქალი უცნობი,
გამჩენი ღმერთი მესიტყვება კვამლში ნაცხადი.

ცრიატა დღეა - ნათლიღების და განრიგების,
კსარკეტინებთან მელანდება ახლაც სორელი,
სიტყვათშეწყობას იფეხმძიმებს სადედო ენა,
გულარჯალ ბიჭზე შავი ხელის მოსაგონრებით.

ხატს ვიზეპირებ,- ბიბლიაში ეს წერებულა,
თავმომწონენიც ნასადილევს წილს აიყრიან,
გადაინაცვლებს ჩვენი ბედი, რაც შენებულა-
დაილეწება, დავიდის მევ, შენ დაგიცდიან!...

ანაზღეული, არა იყო, თუ გადანდობა-
პირდაღებულებს ეყურყურა ლოქო დალხენით,
მე მათ ზნეობას დამიცხრიცავს საგანთ-აკრთომა,
იერუსალემთან მობუსკნავე ჩნდება ფარეხი.

კეწერი ნორჩი, მიამიტად იზრდება ბარში,
ვარცლზე ხილია და ეკლნარში მოჯაგეს სული,
ამ სულის სარგოდ არაფერი არ შეგირგია-
ბურმღენნარჩენი გვეკიდება გომბიო რომში.

დაეცა წყობა...საზოგადო ჭეშმარიტება,
შვავდება სასოწარკვეთათა მელანქოლია...
შვიდჯერ დაცემულს ისევ ერთი აღდგომა მინდა-
ჩაჰკოცნი თვალებს,მის უბეში თუ გიპოვნივარ.

ანბანი ძველი და მომღვრება ყველა პოეტის,
დაუმთავრებელ ციკლს ესტუმრა თქაფუნა წვიმა,
განიკურნება ავადმყოფი,საშველს მოელის,
რომ სალავათა მიებაროს მშობლიურ მიწას.

ვისია?!-მიხვდი,სამხილებელს უმადლი ძალას,
ძალა და შიში!-სიმფონია გამხმარი ძვლების-
ამ ქანდაკებას ავუმართავ დაღუპულ მამას,
და შავი ხელი მიფრიალებს დამსხმ[illegible]

იწამე კაცო! ქვეშუდანი ხომ არ ყოფილხარ,
გამთვალეს ისევ, ვისი ცოდვა მეწევა მალე-
ჩვენივე რწმენა შევურვათობს, თითქოს ბორკილებს
დაგვადებს ხელზე სერაფიმთა ურიცხვი ჯარი.

ღიახ! არ ვმალავ, აქ გიხილე ლამაზი გოგო,
სვამდი იდუმალ ამ წამების უტკბილეს ნექტარს,
მარმარილოში არარსებულს, შეგთხოვ რომ ჰპოვო-
განჩინებათა უხილავი სამყაროს შთენა.

იცი? რას შევთხოვ? კიდევ ერთი ღამე მაკმაროს!-
ისევ ის ფიცი! ის ღუმილი! ის ხვაშიადი!..
მან სენი თვისი ამ მიწიერ საგნებს გადასდო
და მის ვარსკვლავად არსო ჩემო! შენ აციაგდი!

## ხილვა

ხორთო ამთქნარებს... ენერგია თავისუფლდება,
არ ვთმობ კონფლიქტებს, წკვარამ ბნელში რა მიპოვია,
ისევ აღგზნება, ისევ ერთი ანდერძი მამის
მივალ, მომყვება ეს კურთხევა და სიმფონია.

惶惶不可終日 ჰუანგ ჰუანგ ბუ კე ჩჟონგ ჟი·გამუდმებით
დაძაბულობის მდგომარეობაში ყოფნა

მარმარილოზე ცქრიალებდა ჯვარცმული ქრისტე,
შენ მიდიოდი, ვით ნათება ცით საფიცარი -
აქ შემოდგომის სისხლნაქცევი ქალივით გიგრძენ
და ანგელოსთა სასიმძილო განსატირალში.

მე შემომხედავ და ჩაუვლი საფლავს რონინით,
შენს ნატიფ წვივებს ეკიდება ნელსაცხებელი
ასდის როტონდას უთვალავი სიგიჟის კიბე -
წმინდა საფლავი - შენი მუმუ მონაკვეთრევი.

მომწონდი მაგრამ ხორცი იდო უმიზნო წონად,
მომწონდი მაგრამ მისცინოდნენ მირონს ზმორებით -
გულმკერდს გიმკობდა საზაფხულო შიფონის კრთომა,
თავს გიმძიმებდა საამწირო სიავხელებით.

ჰა, ფილაქნებზე ჭინება აჩრდილი შენი,
ამ ფილაქნებში შენი სახე არ ჩახატულა -
შენს სიფერმკრთალეს ეკიდება ათასი ფერი,
საფლავიც უფლის მიშველ მკერდზე გადაბზარულა.

ის წევს და იცდის, დიდი შვილი ქალწული დედის,
ის წევს და იცდის, ულევია ეს მოლოდინი,
მან უკეთ უწყის საუკუნის ჯიუტი ბედი
და ცისარტყელა - ცივ სახებად შემოწოლილი.

მიყურებ, მზერას ვერ მისწორებ, გრძელია წუთი,
ცივი სამარე - ხორცეული ყვარება ქალის -
ეს სიმაზუნე ასენოვან ლოცვანებს უდრის
და გაადრების სიმშაგეში სამებას კარის ...

იდო ქალაქი დავიდისა ვით საუკუნე,
მარტვილი, მკაცრი, მარტოული სალამოს მჩენი,
მეფეს შესცივდა, მოხუც მეფეს ქალწული უნდა
შუნამითს ემებს ისრაელის თვისტომი მთელი.

მოდიან ახლაც, კაცთა მოდგმას აქ რა გამოლევს,
წმინდა საფლავი იძირება სიბნელის რკალში,
შენ კარგი გოგო, ერთ ძველ ამბავს მომინახოებ-
ბედისწერული რუდუნების დაღლილი მარშით.

ახლოს ხარ ახლაც, არ შორდები სინათლეს მჩენთა,
ჰა, ის ხმაც ისმის, წამებულის დიდი პირობა,
გენესარეთზე აფრას შლიან, უფალი მოდის,
რომ ამ მსოფლიოს დაუმკვიდროს მე-მარტვილობა.

მე მეზმანები ღამეული ვნების ზმანებით,
საფლავი, კუბო, საკითხავი, ფსალმუნის კიდე -
ლღვება სანთელში მისი სული და ისახები,
გოგო ლამაზი, თემომკვრივი მისნების პირზე.

გზა კი ყოფილა ასე შორი, ასე უვალი,
მას ჯვარი თვისი, სიყვარულთ თუ უზიდია -
ასეც მოსთქვამდა მარიამი, შინმოუვალი
შვილი რჩებოდა... თაიგულებს თავთით უყრიან.

ჰო,გაიცინე, შენ გწყალობდეს ცრემლი ცოდვილი,
გადმომაფრქვიე შენი ლოყის წითელი ამბრი,
აქ,აიაზმთან ერთ ჩვენეულ ვნებას აგიშლი,
რომ წამიერი განსხვისებით ჩაეკრო მარტვილს.

მარტვილს უცოდველს,მისძახიან ბავშვები ღამით,
მათ რა აწუხებთ - ბედნიერი ახალი წელი!
და თოვლის პაპაც მობრძანდება ბურთივით მრგვალი
და იერიქონის გალავნებზე მომყვება წყენით.

წმინდა გიორგი!აქ ემთხვიე! ენთოს კანდელი,
გაუვალ ტრამალს უსიერი ტყე ეკიდება-
დაგედევნები ჩემი სევდით, ჩემი გამდელით
როს ევანგელეს შენი მოთქმა მოესიტყვება!

აქ გრძნეულ სევდას მამის სული ჩაისამარებს,
ძე იყო მისი,მის ქალაქშიც ეწამა ალბათ -
იერუშალემი კლდოვან სარკეს აღარ იკმარებს
ვარდის კონებში ჩაიხუტებს და მერე კანკალს...

დიდი ლამპრები დაიწყებენ,ჩერდება სრბოლა,
დროც იყინება, ქალწულური, დოლორობული -
შენ კი მიდიხარ, ბუტბუტებენ ტუჩები ლოცვას,
ზღაპარს საფლავზე,სინამდვილედ ქცეულ ლოსკუმში.

ჰო,დაგვიფარე მაცხოვარო! შეუნდე ცოდვილთ,
შეგვინდე მაშვრალთ ამ ვაების ორომტრიალში,
მაგდალინელი ოქროცურვილს აიწევს კაბას,
ნატკივარივით გამოჩნდება სულთა ტიალში.

სიონის მთაზე იმართება ჩვენი ქორწილი,
ადამის მოდგმა გვეფინება ყვავილთა კონად-
შორს ციტადელზე პირჯვარს იწერს კაცი ცოდვილი
საღამოვდება ბენ-ჰინომთან,ის აღარ მოვა!

ნუ მიიჩქარი,შეიკავე აქ შენი სუნთქვა,
ჰო,დამაცალე შენს სხეულში ჩავღვენთო ვნება,
შეგინდობს იესო ამ ცოდვასაც,აღარა უნდა
წამებულ შვილში ჩაიკერძოს კურთხევა ზესთა.

ხედავ ლაპლაპებს აქ ოლარი ვერცხლისეული
და კრიალებენ ნიშანსვეტში ის ასოებიც:
"იუდეველთა მეფე იესო ნაზარეული"--
სარკმელსაც ბინდი ეფინება განმარტოების.

რა აფერმკრთალებთ გოლგოთაზე ცბიერ ასოებს,
თვალები ცისკენ იშლებიან დილაადრიანს,
საკურთხეველთან შენს ნაზ ტუჩებს მე მიახლოვებ,
მკერდს გადამიშლი დედა-ნაკურთხს და რძე-მადლიანს.

არა!არ მინდა, არ იტირო, დარჩეს ვედრება,
ვით ეს საფლავი ცივი, მაგრამ ყველაზე თბილი -
შენ აქ მესსია ჯვარზეცმული მოგევლინება,
რომ ჩაგიკოცნოს ვარდისფერი თვალები გვიმრის.

ასეთი იყო ეს მწველი თვე იერუსალემში,
ელეონაზე იბერიელს უხმობდნენ ბერნი -
აქ ელიოზი შავ სატანას თუ ერკინება
და სიდონიაც კვართს ეკვრება ბედკრული კვნესით.

დადიხარ შენი ნატერფალი ემჩნევა ფილებს
გამოქვაბული, კლდე, დიდება სამყაროს დარჩა -
მან მვლები თვისი მიუსვენა განგების ფიქრებს
და ბაზილიკად აღიმართა მაჯორე სანტა.

დუმდები,მიცქერ...ის სხეული ცოცხლდება თითქოს,
ხელს ვახებ ცივ ქვას, სუნთქვა იკვრის და თითქოს წამ
გზარცემულ დუმილს ამოჰყვება ობოლი გრძნობა-
ქვითინებს ბერი, კალვარიაც ქვითინებს კვამლში.

გარბიხარ სადღაც, რას დაგიდევ, დაგედევნები,
მე ეს კედლებიც მაკურთხებენ, ისევ ცრის თოვლი,
ბეთლემისაკენ ღვთისმშობელი მიდის მეტყველი,
შენ სადედოფლო კაბის ჭრაზე გიწვევენ მორჩილს.

მოხვალ, არ მოხვალ, მაინც მოგრთავ ლამაზო ქალო,
იასამნებში ჩაგიკირთავ ყელს,სახეს,თვალებს...
დღეს საუფლოო სარეცელზე მის სხეულს განდობ-
წერწეტა წელზე საკვართულებს მოგისაფანლებ.

ნუღარ კრთი, ნუღარ,ხედავ ისევ იღვიძებს ვნება
გიახლოვდება, გამწვერდება თითქოს იცინის -
აქ, ნვეფების ქვეშ დაიკივლებს ჩვეული ზნედა
და დაირწევა სამობოო მალი მიზიდვის.

ნუ სევდიანობ, განა რა გწამს, აღსდგება ისევ
გული, გონება სიმძიმილი კამარას სწვდება -
მექორწილენი მოელიან სანაცრელ სიმეს,
დაციალებულ მაგიდებთან უხმობენ მეძავს.

გისმენს ,გავედრებს ამ ვედრებას შეისმენ მგონი,
შეგითბობს ასულს,მოგიკვანძავს მუხლების თავზე,
კართან ჩოჩქოლებს მოყივყივე მდიდრების ჯოგი,
რომ ევანგელე უანდერძოს მოუბარ მათეს.

ასეც ჩურთავდი ნახულ სიზმრებს,ჩურთავდი ასეც·
პირქვემხობილი უყვებოდი მეძავის ზღაპარს,
დარჩა ის სახე, არ-მღეული, არმოღიმარი —
თითქოს ქვეყანას არნახული წუხილი ზარავს.

მირიც შეულპა ქალის მოდგმას იქ სააღდგომოდ,
ნერვებაშლილი მიზუზუნებს გე-ბენ-ჰენომში,
ქარი, მარწვილი ნეფიონის ბედკრული შემსწრე
და ცროცუარი ყამთაწერის ქამელეონი...

რას შეიკვირვებს, მას აწამებს ჩვეული დაღლა,
სურდა,არ სურდა, მაინც სწევდა თავს საცრიალოდ -
იმასპინძლებდა ქუსლჩათელილ გადამხმარ ბალახს,
რომ შესათქვლეფთა ცრაპეზაზე პური მიაგოს.

ითვლის და ითვლის, ულევია წამი და წამი,
ამ არჩევნებზეც სამაისო ისმის პირობა -
საუკუნეებს პირველ კოცნას წუხილით აზრის,
ქართულ აკვანში ბრცყელი თავი აღარ იძროდა.

წინასიცყვაა ისევ თქმული, კვლავ წარმოთქმული,
მომწესრიგებელ უფალს ელის ქვეყანა მთელი,
ამონაცრისფრდნენ მის ცუჩებზე მძივები სხმული
და ამძაღებულ დემონსცრაცორს ეკვეთა ერი.

ქალწულის თაღებს ჩამოვანგრევთ პასექის პირზე,
აქ, ამ თაღებში დამძიმდება ნაცთური სუნთქვა,
გამოცხადდება იესაია,-სამეფოს იძენს,-
თითქოს საკვებად სამარცვილო კანდელი უნდა.

და სილუანის აუზნარში ჩამართავ ფეხებს,
გენესარეთის წყალს მიანდობ შიშველ ტანს მგონი,
ვნებადამცხრალი დასეირნობს აქ მოსაწყევლი
როს ჩააცხრება მისი ძუძუ სიცოცხლით მოლილს.

გასალკლდევებულ ტვიფნარს ჰგავდა იერუსალემი,
ნარიყრაყევზე მინარნარებ ტერფების რხევით -
დააცოცვინებ ჩემი სულის უკვდავ მავთულებს,
რომ კალვარიამ დაგვიმაღლოს სამყარო მთელი.

რწმენა და მხოლოდ რწმენა იყოს ჩვენი თავმდები,
გაკრიალებულ სათლავებზე ირხევა ქარი -
იეჰოშაფატი აგიშიშვლებს მარჯნისფერ მკლავებს,
შემოგაწვება თვალცრემლიანს შიმწუხრის წამი.

რამ დაახარბა მოასკვეცე მლიქვნელთა ჯოგი,
იდგა სტალინი, შორეული ყრუ ქანდაკება,
ქვაც არ დაინდეს, საუკუნეს ერთხმოდა წყრომის
გადათქეშილი, შორეული გამოცხადება.

დილა მშვიდობის? ღამე ბნელი იმღვრევა გარეთ?
მომნუსხველ იმედს მაინც კარგავს სვეტის უფალი,
განა მოესწრო!?განა უმზერს დაბზარულ სარკეს,
მივიწყებული თიბათვეთა ფაქიზ სუნთქვაში.

ნუ,ნუ დამათრობ?ახდეს ისევ ბოლო ოცნება,
ვერცხლნარევ მთვარეს გაყინული თვალი შესცქერის,
კეთილსახიერ სასწაულად დგას საქართველო,
სულგაკმენდილი სვეტიცხოვლის მოიმედობით.

და ხტის სტრიქონი ვით სულისდგმა უკუმხობილი,
ქურუმთქურუმებს მიაქვთ მსხვერპლი მუქდაფრქვეული,
სამწირველოსთან მარადისის ცეცხლი გიზგიზებს,
ქუჩებს ქლოშინით მივუყვები გადარეული.

რატომ ან რისთვის, ვინ იცოდა და არც მე ვიცი,
მოსაგონებელს რა გამოლევს საწუთროს კარზე-
დაფრთიანებულ ტალღებს ღმერთი ზესთა აისვრის
განსადიდებელს განადიდებს სიკეთის მაცნე.

განიკურნება!? აბა, იმედს ვინ რად გამოლევს,
განსაზღვრულობა ამოუცნობ შეცდომად დგება-
ციმციმებს ჯვარი და გოგონას რაღაც აშფოთებს,
გაოცებული აშტერდება დარდიან დედას.

კრეტა-მიკენი, ეგეოსი და სარდინია,
მოჭუტულ თვალებს შეშფოთებით მივაჩერდებით,
რკალს შემოხაზავს აშკელონზე ფილისტიმელი,
ამ მოწითალო-მოვარდისფრო თიხის გოდრებთან.

არ აშფოთებდა ამ სამყაროს კვირამლის თოვა,
ყონავდა წყალი და ამ წყალში ჰკრავდა კამარას -
ითვლიდი წუთებს, მოვა კი თუ ის აღარ მოვა
და მირჩებოდი ერთი ქალი ღმერთის ამარა.

გამოიდარა... მზეც გაახელს ჩაყამულ გუგებს,
მიახლოვდები, თავს მევლები მზერა-კრიალით,
გეხები ნაზად და გაყურყულს გამანდობ წუხილს,
არსაამქვეყნო დაცრემლილი ბედის წყვდიადში.

სახელი შენი?...და მზერით სპობ ამ სივრცეს თითქოს!
ვისი სახელი!... მე ვარ სითბო, ქალური მოდი!
და შენს ტერფებში ანთქმეული მევლება სისხლი,
გამოუცნობი, დარდიანი ქალაქის სწორი.

გგრძნობ და ღვთაებრივ მუმუთ თრთოლვას თუ შეინელებ,
ამ წმინდა ქალაქს ეღვენთება ჩვენი ოცნებაც -
აქ პალესტინელს აღემვრება რისხვა ყოველი
და იუდეველს პირცვილობით მოეფონება.

გახსოვს, რა კარგი იყო მაშინ ფერი ყოველი,
მეკვროდი, გგრძნობდი, შენს მხურვალე სუნთქვას, ილტვ
იქ სადაც წყალში იბადება წყეული წვეთი,
ცით მომადლული სადღეისო ნათელ-მირონით.

რას მეტყვი კიდევ, შენი სისხლით აღვბეჭდე ლექსში-
მისი სიცოცხლე დამაშვრალი ერთი რაობის,
საოცარ კდემას შემოევლე მეთოვლე ერთი
სადღეღამუო სიმაბუნის ულევ მნათობში.

    სტალაქტიტები... ჩაყინულა დრო სააღდგომოდ,
    რაღას მიყვები, რას ჩურჩულებ ეს რა ხანია -
    მიახლოვდები, მინანქრეულ ყელზე გეხვევი,
    გეხვევი ლამაზს, სასწაულებრს, თვალებმაღლიანს.

და მიისწრაფი, ეს სიცოცხლე სინანულს გვათრევს
ერთი შეხედვაც, ყველაფერი უსიტყვოდ ითქმის -
უსასრულობამ დაგიზამთრა ეს სიმარტოვე
და ურჩი გოგო ღმერთნათუთარ ოცნებებს ითვლი.

    შენი სითბოა, ეს ქალური ატორტმანება
    ტერფი ტკივილში ეზმანება სიმვის დედოფალს-
    დიდი უფალის უსახოო გამოცხადება
    შენც შეგიპირებს ჩვენი ყოფის დაღლილ მდელოსთან.

და ლაპარაკობ, და მეტყველებ სიცივის ამბავს,
თუმც ამ ლოდებთან იწერება თქვენი ქორწილი -
ზღვების ცა-ჭრილზე ანგელოსნი გაშლიან აფრას
და გვაკურთხებენ საუკუნის დუმილ-ლოდინით.

    ისევ დაინდე, შეიფარე ცოდვილი სული,
    ამ გამოქვაბულს ვეწირებით სიკვდილის პირზე -
    სერაფიმები მოგიკლავენ საბრალოდ წყურვილს
    შემოგაყრიან გაზაფხულის ჩამომხმარ იებს.

ისევ ვწრიალებ, რას ვწრიალებ, რა მაწრიალებს,
შენს სიყვარულში იფერფლება ძველი ოცნება-
თეთრ თემოებზე ცვილა სანთლებს ამიფცქიალებ
და რჩები შორი, შორზე შორი ყრუ მოგონება.

    რას მიგამსგავსო, აი, ახლაც მიახლოვდები,
    შენს შავ თვალებში თუ გამოკრთის მიმწუხრის სევდა,
    მიკრთი ხელებში და ბროლსა ცრი მისადგომებში-
    საუკუნიო შესაცნობში შეგიცან ეხლა.

ჩვენ დაგვემკვიდრა, ჩვენ გვაზამთრა სულეთი თითქოს,
რაღაც ნეტარი კვნესა ისმის ნეკროპოლისში-
დიდ მოედნებზე ბრბო მძვინვარებს და საგაისოდ
ემზადებიან პარადების ყრუ მოლოდინში.

რახელი, დედა გზას განკურნავს სიკვდილის საზღოდ
უთვალისწინელს ჩაბარდება ფინთი გონება,
გავიადვილებთ სისხლის დაღვრას ამ მიწის გამო -
და სამარცხვილოდ იერემია მოგვაგონდება.

მოდის მყოვრობის დანთებული ურჩი სახმილი,
ზრიალ-გრიალებს კაცის მოდგმა უფარიაქო -
ქუჩას მიჰყვება მაწანწალა შხამით აღვსილი,
რომ სული თვისი ზღვის ნაპირზე აფორიაქოს.

გაიზნიქება ხერხემალზე თეთრი მეძავი,
აითამაშებს მუძუ-მკერდზე თვინიერ მარცხვილს-
რაღა განკურნავს პალესტინის კეთროვან მიწას,
სად დათალხული კაეშანით აჩრდილი დადის.

მე ეს აჩრდილი მაწამებდა, დღესაც მაწამებს,
გადათრთვილული დავაგორებ ჩემს ბავშვურ ციგებს,
თბილისსაც ათოვს, თოვლი დასდის თეთრი ბორბალით-
მაღალფენიან სახურავებს აწყდება ისევ.

გაუსაპნავი თუ დაურჩა პილატეს თავი,
რომაელს ბნედა რას გაულევს ყვითელ ქაღარას,
სისინებს გველი - სამოთხესთან ზის საფიცარი
დიადი ღმერთი, საკუთარი თავის ამარა.

თუ შეივრდომა, ან შეათქვა ეს სულ ერთია,
ხელშემართული დაუყვება მზიან აივნებს -
ჩიტბატონები მას ხომ ერთ ძველ ზღაპარს ეტყვიან
და ხელს პეშვების სიყვარულის ნერწყვით აივსებს.

ისევ ჩურჩული, მღიერდება სხეული მთელი,
ისევ ჩურჩული - წამოსწრებულ მანქანებს ვხვდებით,
სადღაც მორგვივით გაწოლილა კაცი ჯორცხენა,
ცოფშეყრილ ქალაქს უმკურნალოს ცოფრების ენით.

რაღას გვატყდება ეს სვე-ბედი რქაბუდიანი,
რაღა რა უნდა, ვერ გამძღარა დამპალი სისხლით,
მაინც რუზრუზებს კაპიტოლზე ის მადლიანი,
რუდიმენტების გადამკიდე უცნობი გიჟი.

წელი წელს მისდევს და ინთება როსინანტებში,
თვისობრიობა რძენაწოვარ სალმუნებს ხვდება -
ელდანაკრავი ქალიშვილი მიცდის ბაგებთან
მოსაოხრებელ მოედნებთან მპირდება შველას.

მას დაუღარავს გული თვისი, იცინის მაინც,
ვერცხლისმოყვარე იუდეველს ეხარხარება
და მეყსეული სანამლევოს უდროო მალით -
ჩაჰფუმნებია იერუსალიმს დიდ მისალმებად.

გადმოვვლე ზღურბლი, თავაწეულს აქ გეგებები
მიაბჯენ მკერდთან მცდელობათა უწყვეტ სერიას-
უსაყვარლესი შემოგცქერის ურწყავი ველი,
ხმაჩაკმენდილი ეტანება მასაკერრიას.

წამობრძანებულ აჩრდილს ჰგავდა ბეთლემის კარი,
ზედა ტუჩს თითქოს შეჰფენია შუქი სანთელის-
ზარს რეკავს იქნებ, გამოსარაცხ სიცოცხლის მადლის
გალავნიანი ეზოს იქით ჩვენი გამჩენი.

და დაიფრქვევა წმინდა შუქი უმისამართოდ,
მიწანწალდება, მიადგება ხროვა ამ კარებს -
ტკრციალებს ალი და ალმების ალურ რონინში
ტლანქი მკლავები გვეჭიდება ჩალანძვულ ტანზე.

ნუ შეგაშფოთებს... ეს ფერები ის ფერებია,
ტოგამოსილმა მონაზონმა რომ მოგვარისხა -
ტოკდება სხივი, ტკბილი დილა გასთენებია,
ჩატვიფრულ ზეცას ნაიარებ დიდ გასაჭირთან.

უწუთისოფლოს მაჩერდება ერთი მისანი,
განვაგრძობ სრბოლას, რას მივრბივარ, საით მივრბივარ?
მე შენი სახე მეცხადება დედურ ზრუნვაში-
სოფლის შინდნარში გზაარეულს ისევ გვიცდიან.

იყავნ ძლიერი ვით ღმერთკაცი, ვითარც სატანა
წითელ შიფონებს გიქარგავენ, ეს რა ხანია!-
მეგვინდოს იქნებ მომთენილი ხურვილის კონამ,
რაღას ქვითინებს, რაღას უცდის, გარსავალია.

გარსავალია, ეს სამყარო მოღლილი ჯაფით,
ჩაქუფრულ ღრუბლებს აბრმანებენ ხვენებ-ხვენებით,
ღამეა...ვფიქრობ რას წარმოშობს თუნდაც ეს წამი,
ნახელმწიფარი კაცუნების საცთუნებლებში.

გაუბედავი დარჩა თითქოს, აღარც სლუკუნებს
მობურთულ ზეცას აჩერდება დიდი თვალებით -
მობრმანებულა!.. აცხადებენ და შენ გიყურებს,
მოკრძალებული მოსაცხები აიაზმებით.

გროვდება ჯარი... მოყინყლულა ცების კამარა,
მოყონავს სისხლი და პილატეც გვიყვება სიზმარს,
წამოიწითლებს ქალწულ ლოყებს, აღარ გადავა,
შვილის ანდერძზე გულს მოიდებს, უმძიმეს ფიქალს.

აქ ფოკუსდება ეს სამყარო ღმერთების სწორი,
ალექსანდრია, დამანჰური, ქაფრ ეზ-ზეითი -
გიზეს ციტადელს გარს ევლება მამლუქთა ტომი
რომ სალაჰ-ედ-დინს უქანდაკოს ძველი მემფისი.

პირამიდები, სფინქსი, ხეფრე კაიროს დარჩა,
გრანიტის ფილებს ეზიდება იუდეველი-
აქ საუკუნეს ემართება სხვაგვარი განსჯა
და დავიდის ტახტს სულ ახალი სამკვიდრებელი.

აჰა, ცოცხლდება იმართება დიდი რამზესი,
მისტირის ფითომს და ბიბლიას ავედრებს სამწყსოს,
ლაზისკენ ილტვის ეგვიპტელი თუთმოსის ჯარი,
რომ პალესტინას ისრაელის ქალწული არგოს.

აქ მაიუმაში, ერთ ბუნებას შესმახებს პეტრე,
იყო, არ იყო, რა უნდოდა, რისთვის ილწვოდა-
იანვრისფერში იბინდება ეული მეკვლე,
როს ანთედონთან ნარისხალი სახე ინთობა.

ვეღარასოდეს, ვეღარასგზით ვეღარ შეგინდობ,
მოგესალმები,მომძლავრებულ ვნებას ჩაგიკლავ-
კმარა, გვეყოფა,ხედავ თბილისს,აღარ მაისობს
ჩუმი ნოქტიურნი ეფინება დედა-მთაწმინდას.

ნუგეშმოხდილი განა იყო, ნოველებს წერდა
და ურჩებოდა ეს სიცოცხლე ვით გამოცანა,
ნუღარ აწამებ,ნუ დასცინი ამაზე მეტად -
ამაზე მეტად მარმარილოს ნუ ამოქარგავ.

გაცხადებაა...აპოკალიპსს ესწრაფის ახლაც
და აგონიად დანთქეულა მთელი სამყარო,
პირველგანალეწ საოცრებას ემჩნევა დაღლა
და იერუსალიმს ბასილიკა მიუსავალო.

გუგუნებს ქუჩა, დაჭიმულა ელექტროს მარღვი,
ღრუბლიან ფიქრებს შორის მიჰყვება ოცნებაც მწველი,
ჰო,ახლა ერთხელ კიდევ ერთხელ მაპკურე მადლი
აქ,მოთიათე სამსხვერპლოზე დუმილის მფენი.

ძნელი ყოფილა ღვთისმშობლობა და ღაპაღუპით,
ცრემლებს ყრის მთვარე,ცას ემჩნევა დილისმოწყენა-
ღამის სათევად ემზადება სამშობლო მხარე.
მას ზენ ჰინნოში სამუდამოდ ემახსოვრება.

დავდივართ,ნიშნავს სიარული სიცოცხლეს განა!?
შენს ნატერფალში ინასკვება ალერსის დვრიტა-
გამოვა ახლაც დედოფალი ჰავლდამის დარად
და გოლგოთაზე განუკიცხავს,გაჰკიცხავს ქირდად.

მოდის და მოაქვს, მოაწივლებს აჯგორილ ცხენებს
პენტაპოლისი იეჰოვას სახმილს ეცობა-
მჯღაბნელობს იქით ნასუნტლალი შეშლილი ბერი
და ნაამბორევ კოცნას სტოვებს სამლოცველოსთან.

დადიხარ, კედლებს კვლავ ემჩნევა ძველი ნაყონი
აქ ნაპკურები აიაზმი გვესხურის ტანზე -
უფლის სხეულზე მარმარილო იქარწყლებს სარმლოს
ნაპირმომტვრეულ ქალაქსა ჰგავს დღეს შენი სახე.

და წარწერები, და გოდება და ნაოფლარი,
ქართული ბერძნულს ესიტყვება სამრეკლოს თავთან,
უკუქცეულა შემცოდველთა რაზმი მოკვდავი
და შენც გეტყობა ღვთაებრივი ქალწულის დაღლა.

შეიფრთხიალებს ნაწამები სული კბოდეზე –
გადამწვანდება გაზაფხულით სიკვდილის ველი,
ხედავ?! ტაატით მოდის ერთი შემსხურუბელი,
რად უკანკალებს უმალლოხო, უფერო ხელი?...

ვინლა დაგვძრახავს, ვერანდაზე შრება ოცნება,
დაყირავებულ სახლებს მისდევს წარსულის შანთი,
განმეორებულ ბავშვობას ჰგავს კაშკაშა მთვარე,
გამოდის ქალი ყვავილების, გამოდის ქარში.

ნუღარას ურჩობ, გთხოვ, დაჰყევი ჩვენეულ გრძნობას,
კარჩარაზული ვნება გიწვევს თავისთან, მიდი –
მაგდალინელის შარავანდი საფლავთან გმოსავს
დედა მარიას აგონდება მოკვდავი შვილი.

და იმახსოვრებს ათასფერად ილუსტრაციებს,
ლუღლუღობს, სანთლებს მიმოინთებს ნარნარი რხევით,
ატიალებულთ, გაუცინებს ძველ აკაციებს,
რომ ჩაელვენთოს ცოდვანაწოვ ებრაულ მემფისს.

გაესხვისება, ლაპარაკიც სწყინდება ალბათ
პატიოსნება, კედლებს იქით სივრცეში რჩება –
გამოერკვევა, გაუცინებს დარდიან მამას,
საუწმინდირო სარეცელზე აიშვერს მკერდსაც.

ამართავს მკერდს და უფლის ბაგეს მოუცოდვილებს,
ჰო, რა კარგი ხარ, რა ლამაზი, რა საოცარი –
ხელთ ჩამოუმლის, ასე ნაზად გადაჰყრობილებს
ირხევა ტანი, კარებთანაც ზის მათხოვარი...

სამი ტამარი, ჩენაკოლო და სან მაჯორე ...
დავიდის კოშკი წმინდა საბას ლავრას შესცქერის,
ეკლესიებში იმართება შიმშილის წირვა –
მისხვაფერებულ ეკრანს ჰგავნან ქრიზანთემები.

ღაბაბდაშვებულ მღვდელს მივყვები ისევ ქშუტუნით,
კალვარიაზე გველოდება სულ სხვა სამება -
ქრისტეშობითვეს ჩემი ბავშვი რაღას ბურტყუნებს,
ნუთუ ის ფიქრი მას ამ ღამეს კვლავ აწამებდა?!

ზის და ნართაულ ამბებს ჰყვება დღეს ქრონოგრაფი
ანაქორეტებს უდაბნოის რისხვა სწყურიათ-
თელ-ეს-სულთანთან შადრევნების დგას საოცარი,
ორმოცეული სიყვარული, დუმს ილუზია...

დუმს ილუზია და იორდანს მივყვები ნელა,
გინდა სიცოცხლე,თუმცა ერწყმი სიკვდილსაც მალვით-
აქ ქრიზოლითებს ვასამარებთ და მაინც ვხედავთ,
როგორ გიშლიან მოფრიალე ზეცისფერ მანდილს.

დილაადრიან შრიალებდნენ ფოთლები გრემში
და თელ-ავივის ცისქვეშეთში გხატავდი გოგოვ,
შენ შემოგყურებს მოტიტინე უსახო ღმერთი,
ჩვენთვის ნაცნობი,მშობლიური ორღობის ბოლოს.

მზეც დაეკიდა მთების ტატნობს იერიხოს თავზე,
აჰა, გადმოდის,მონათლული მოარღვევს ზვირთებს,
მას ესალმება კუარანტენის ცოდვილი მხარე-
გამოუმერწავ ქანდაკებას უღიმის ისევ.

განა მას თავი მწუხრის ტოლზე მოჰბერებია,
ის ახალგაზრდა ესვენება ცივ სამარეში -
ფერხთ რომ უგორავს, ეს დიდების კამათელია,
მიუვალ კალთას,ღამეული მოსავსავებით.

რას გვეცინება პატარძალი, ახლაც ხომ გკარგავ,
ყრუდ რას დუდუნებს აზნეული ეს პატეფონი,
პატივაყრილი ეახლები განგების საფარს-
შავკაბეული მდუმარებით ეამბორები.

მოსილ შარავანდს მოუკვეცავ იების კონად,
მკერდზე ემთხვევი, ჩამთხვეულიც მიეყინები -
ლამპრიონებით ამოისმის უცნობი ოხვრა
და მიზანსცენებს მოუმკობენ ქრიზოლითებით.

იწვის სანთელი, იღვეღდება სული ცხოვლისა,
მენთები ცანზე, უგზოუკვლო ყრუ მოგონება -
ვიცლები, მწამხარ და სიკეთით მივალ მოწყლისა
ღამენათევი ნიამორი  გვეამბორება...

გვეამბორება და დაანთებს შაბათის კანდელს,
ამ ალში გეძებ, თან აჰყვები ცვინის ცრიალით,
მიცანი განა? გადახედე გაბზარულ სარკეს
წამების დვრიცა საახალწლოდ იქ შეიცანი.

ვიცლები, ხედავ, წმინდანებმა შეჰკრეს კამარა,
ვიცლები მომდევს ანგელოსთა ფართაცა რაზმი -
მივალ დაღლილი, ვესვენები წმინდა საფლავთან
რომ უფლის ლოცვამ დამათიოს ნაცრეხი ღამე.

გადიხარ ვიცი, ეს სვეცებიც გედევნებიან,
უხმოდ, აღარ ბგერს აქ ორღანი ოლართრთიანი,
მივდივარ, სადღაც სერაფიმნი გვეგებებიან
და პარაკლისებს ებედები ცვარ-კერძ-რმიანი.

★ ★

井水不犯河水..ჯი̌ნგ შუი̌ ბუ̀ ფა̀ნ ჰე́ შუი̌- ჭის წყალი არ
შეერევა მდინარის წყალს

წვიმდა მთელი დღე, იერუსალიმს მოეკრა ქუფრი,
წვიმდა მალისად და პაცარმალს აკანკალებდა -
ჩვენ მივყვებოდით ვიწრო ქუჩას უმისამართოს
და თან მოგვდევდა იმ წარსულის კრულვა-ზარება.

-ითმინე, შვებას რა ხანია ვენუკვი პირმშო,
დანთებულ ხაცთან ფსალმებს ჰყვება იუდეველი,-
იყო ის ხვედრი და ვედრებაც ღვთაებამ გვიბოლო:
ვით სარეცელი ღვთისმშობლური და განცევების.

გამოდი, ერთხელ კიდევ ჩარგე თავი მუხლებში,
თეთრ ხავერდს ვნებით, სულ სხვა ვნებით ვეალერსები-
იყო სასცივი, განსაკითხველს ბრმანებდა ღმერთი
და სისპეცაკე ჩამირული ლურჯ ირუსებში.

უვალი იყოს ის გზაც, ეს გზაც ჯვარუწერელი,
დოლოროზული აგონია იწყება გესმის –
კაცი მიათრევს ხის ძელური ფორტუნის საწყოს
და ეჩვენება – უკვდავების უცინის ზედი.

მოჰკიდა ხელი, გოგო თვალებს აცეცებს ახლა,
მკერდს მიაშიშვლებს, მარმარილოს ეცემა ცრემლი,
აღსდექ! რას უცდი?! საააპრილოდ ენძელებს ხატავს,
როს კალვარიას აშტერდება ხევება მრევლის...

აჯირითებენ ცხენებს დოლზე და წვება მტვერი,
კაცობრიობას ასამარებს კაცობრიობა –
ღლეუთენია აშიშხინებს სატანა სუკებს
და იფურთხება კაცი ბილწი სალოგინოსთან.

ქვასალესს გთხოვდი, განა მეტი მინდოდა მითხარ!
მარმარილოზე შავი ჯვარი ესვენა მარტო,
ჩამობრძანებულ დედა წმიდას მე ხატად ვირთავ,
ასეთ მშვენიერ, უმთვარეო, უმწიკვლო სარძლოს.

გადაგლეჯილი კაბის კალთა შრიალებს ქარში,
წყალმცირობაა, ლიახვისკენ მიდის ტაატით,
პატარა ბოშო, მკვდრული ფერი ედება გზაზე,
სართულშორისი ცების ხლართებს არმოსართავით.

რის სულგრძელობა, რის სინდისი, რის პატიება,
დაიფრთხიალებს იქ ცოდვების ძველი ევკდერი –
ჩაიფშვნეტს თვალებს და მიდამოს მიაცივდება,
ვითარც ნაწილი დაფხრეწილი ბრმა იმედების.

მინდოდა ლოცვა, მაწუხებდა უნდილი ხორცი,
წაქცეულ მოზვერს წააგავდა მაშინ სამყარო
ავამკამებულ წუხილს ჰგავდა წითელი თოვლი,
როს პალესტინის დაცვას ანდობს უიარაღოთ...

იქნება ველი მობიბინე ან მოურწყავი,
მწვანის სამოსში მეგებება ის ჰორიზონტი –
ქერქდამძვრალ ტვინზე ადუღებულს ასხამენ ღვინოს
და საქართველო გეცხადება სველ პოლიგონზე.

მიდის, სწყურია გარდასახვა ძველ კაპიტოლზე,
მიდის და იცის, რომ სამყარო არ იშლის ტრიალს-
გვაკურთხებს მშვიდად, სიტყვას ამბობს აქ ორიოდეს
და ენარცხება სასოკვეთილ მარჯნისფერ დიაცს.

წაავლო ხელი, კალთას ქარი შეურხევს მალვით,
ელიონაზე ჩვენც დავიწყებთ ტრანსფორმაციას -
დიდი უფალი იერუსალიმს დალოცავს წამით
ქადაგად გეზულს ეგებება გეთსიმანია.

მოდი, მომმადლე შენი სითბო ნეტარო ქალო,
მოდი, წყურვილი დამიოკე ვნების, წამების,
მხოლოდ შენ გეძებ, შენ მოგიხმობ, ვიდოდე მარტო,
წმინდა საფლავის შერისხული ფიანდაზებით.

ნუღარ ტირიხარ, იყო ერთი დარაჯი ურჩი,
დავიდის ქალაქს გამწარებით ეკვეთა წვიმა -
აქ სოლომონის აჩრდილს ვხვდები სიძვური ნუსხით,
თარშიშისაკენ იალქნები სტოვებენ ლიმანს.

უყვარდა მიწა, დადიოდა, გრძნობდა, არ გრძნობდა,
მიღებულ საკლავს ჰგავდა მაშინ ზერუზაველი-
იძროდნენ მთები, ციცაციებს უსმენდნენ თითქოს
ცისა და მიწის სწორუპოვარ გადასაგებზე.

და კიდევ ერთხელ ეს მაგია დამრწის შეცდომად,
დამრწის და ეძებს საანდერძო სამყაროს პირმშოს
ის მეტყველებდა რაღაც ენას, ჩვენ არ გვესმოდა,
თითქოს ზეციერ ვარსკვლავეთსაც დუმილით იპყრობს.

ვის რას ერჩოდნენ, ჩაყანგული ეს კონტრასტები,
ცნობიერების ნაკადებში ესვენა სახე --
ის იცინოდა, ის მიხმობდა წმინდა ნათელში,
მირონცხებული მესიების ზოლქარგა ლამეს.

არ გაუმხილო, ნუ გაუმხელ ჩვენს საიდუმლოს,
იყავ და დარჩი მარტოდმარტო, ვითარც შემქმნელი-
ჩვენ პარიზული კათედრალი თავისკენ გვიხმობს,
მივალ და ტანზე ქრიზანთემის კონად მერხევი.

ფლეთდა იქ ჯაჭვებს და სდიოდა სისხლი ცისფერი,
იყიდებოდა... სამი ვერცხლი, რომა, იუდა...
ლოლოროზაზე მისაზჯენი ჰკარგავს მარადისს
თვით სასწაული განჩინების ქარვას მიუკრავს.

    გადაათარე შენი კალთა მაგდალინელო -,
    მიფრინავს, ხედავ? შორს, ოცნება მიფრინავს ახლაც,
    ზაფხულგამოვლილ ვარდებს სწყვეტენ საარიქეთოდ,
    ვიცი, მომაგებ, მეც მომაგებ შენეულ მადლსაც.

ზანზარებს სვეტი, რისხავს გოგოს დიდი უფალი,
კალვარიაზე კვამლი ქრება ზაფრააშლილი,
ნუ გერიდების, მიდი ახლოს და მიეახლე -
მისი დიდების ნუ გეშინის,-აჰა მანდილიც.

    თავს შემოიკარ, თმააწეწილს ემსგავსე დედას,
    მოთქვამს მარია, ხანას შვილი, იეჰოიაკიმიც
    ილვრება სითხე...ცრემლი,სისხლი...იმენს მაგიას
    და განშორების წუთიც დგება ფინთი განცდების.

წვიმს, იერუსალიმს დასწურწურებს ბეთლემის წყალი,
კედრონის ველზე თუ ინთება დღის სიმფონია,
ამურის ტალღებს მიაგორებს ერთი ზეკაცი
და ბუდისტების ნაუბარშიც ეძებ გოლიათს.

    ხედავ ღრუბლებში იმერწება ოცნება ძველი,
    ხედავ?! მდინარეც გეუბნება მშობლიურ ნანას-
    ხედავ?! სიყვარულს გეფიცება მოკვდავი ღმერთი
    და საახალწლოდ მოგიყვება შორეულ ამბავს.

ის ებადება დავითის ძეს, იერუსალემი,
წმინდა სულს ზრახავს განტევების საუფლო ვაცი,
ბეთლემს სცემს თაყვანს ამდენი ტყვე, მონა-გამდელი
და სასუფეველს ნათელ-ეღნენ ცოდვანი მათნი.

    ვიდოდეს ნეტარ,ერი მისი ვიდოდეს მშვიდად,
    ეს სასყიდელი ნათელბრწყინავს და ბედს ეუჰის,
    ჩვენ გვაკურთხებდეს სუფევად წმიდათა წმიდა
    დიდი მზრუნველი მოციქულთა არრას ეურჩის.

განემზადება, სასწაული დიდზეა დიდი,
მოჰკვეთა თავი კომპოსტელა იბერს ეკურთხა-
ფარისეველი მწიგნობარნი მისდევენ ბილიკს
გზას წამებისას, დოლოროზას ვია ესხურა.

რის დასაბამი, დასასრული ყოფილა მწველი,
ჩვენც შეგვიწყნარებს, განკურნება იქნება ჩქარი
ესე არს პური, ესე წყალი და ესეც ბედი,
სულისა წმიდის, გარდასახავს სამფერა კანდელს.

მოიხვევს დედა, მიადგება ცრემლმორეული,
აკლდამას დილით და მოუთმობს ცივ მარმარილოს,
შენ კი ქალწული სანთელს ანთებ, გადარეული
თითქოს მაცდური წყალობად ღვთისა მალისობს.

მერხევი ქალი, ჯადოქარი, თეთრი გულმკერდი
თითქოს მოსკოვის თოვლფანტელა ქურუმებს ხვდება,
ლეგენდებს ყვება მონასტერში ერთი კანდელი,
მოეფერება სათვისტომოს და მერე კვდება.

ნულარ იწამებ, რწმენაც ცვდება დრო ყონჭა მძიმედ,
სხეულში ბუნთქად იწრიტება ერთი წარსული -
შუაღამეზე მე შევუტევ მოარულ ფიქრებს,
მარმარილოზე დიადებად გადასახულებს.

მათ ღმერთი მოკლეს და ქვის გულზე კატი აწამეს,
იდგა ღამეში შეჩვენების წყეული წამი -
მატარებლები მისმახიან აღმა აფრენილთ,
მდუმარებს ქალი მარტოობის უსწორო მალში.

რა ათვალთმაქცებთ, ალუპყრიათ ხელები მშვიდად,
იუდაიზმმაც მოგასხურა შუნთქულა სისხლი,
ღღეს კორდოვაში ყვავილების თაიგულს მიწნავ,
რომ მოკრძალებით ჩამომართვა სალამი გიჟის.

აღარ წვიმს ახლა, უძრავია ქალაქი მთელი
სმინავთ აქ რომის აკოკრებულ დიდთავა ქალებს-
აბდ-ელ-რახმანიც აუმერწავს მიზგითის სვეტებს,
რომ დიაკონმა ჩაუხატოს თვალებში ხატებს.

ფარისევლობით რას გაართმევს, ყამია მოთქმის,
მიმოდის, ოხრავს და ბოგინობს ძველი აჩრდილი,
შემოხვევია ალვაზარი ბაღების თრთოლით
და სანტიაგო კომპოსტელას მიჰყვება რიდით.

შორი ყოფილა გზა უვალი იერუსალემის,
ხმელთაშუაზღვეთს მიაპობენ გემები ღამით -
იქ, ბეირუთთან კაპელების ენთება რიგი,
რომ ემზანება ფრანკ პილიგრიმს აჩრდილი პატრის.

ეთიოპია, ინდოეთის ის ტრამალები ,
ცივი უდაბნო ჰერკულესის სვეტებსღა რჩება -
შეაცივდება უფლის კვერთხი მას რაღა ესმის,
წმინდა დიდების სამანდილოდ რმალი თუ ხვდება.

აი, საწოლიც, შენ ამ საწოლს ელიცლიცები,
ავადმყოფური ყინი დასდევს დღეს არ-მადლიანს,
მიჰყვება ბილიკს საგაისო სავანის ფერში -
რიტუალებზე გადაცმული ვერცხლის მაგია.

და ციმციმებენ ვარსკვლავები სამოთხის პირზე,
შემოისუნთქავ აქ ტალღების ცისფერ კამარას,
და დაეძებენ, დაეძებენ წამების მიზეზს
ამოლამბული ყვავილების უცნობ სამარხთან.

აჰა, ილევა ეს საღამოც ავადმყოფური,
მოდის შუადღის სიცხიანი ქალაქი მწველი
მე მის ქუჩებში სიყვარულის ამბავს გავიტან,
გავიტან ვარდებს გადაკოცნილთ ჩვეული სენით.

განრთხმული ელის, მოლოდინი მძიმეა, მწველი,
ლოცვა-კურთხევა იერუსალიმს არ მოსდებია -
ზის და ჩურჩულებს თავის გოგოს ისევ მოელის,
ზაფხულის ღამე სანუგეშო წამლად შთენია.

არ დაიდარდო, ნურც მოიწყენ, დანებდი გამჩენს,
რწმენა იქნება საწინდარი იმ გარდატეხის,
რომელიც ალბათ თეთრ ქალაქში შენც გესტუმრება,
ვით ნება ღვთისა და სიზმარი ფოლიანტებში.

აქ ანონიმურ დიამეტრებს გასჭოლავს სული,
ჩაქრება მთვარე, დადუმდება სვეტების არკა-
გადაეკვრება ბნელი ფარდა სამფერად გულებს
და ჯვარნიშნებზე მოიქარგავ არხილულ გამმას.

ასეც ბრძანებდა, მარხულობდა ნელსაცხებლები,
შეუცნობელი იწვა მკვდრეთით ქალაქი შორი-
დიდ წრეხაზს ჰკრავდა მაგიათა დღედასალევი,
საწამლავს სთხოვდა, საწამლავსაც იღებდა მგონი.

მოიხსნის ნიღაბს და ქაღალდის პაპირუსებში,
ნაცნობ ფიგურებს მონუსხული მიაჩერდება-
თავისუფლებას მსხვერპლს სწირავენ სამარეულში
და ასოების მბრწყინავ გვამებს დასდის ემბლემა.

მოიღე ჩქარა, არ ჩამორჩე,იწყებენ კამათს,
ააგდეს კენჭი და ითხოვენ განაწილებას:
ჰო, ადონაჲ, რად დამტოვე, ქალები კანკალს...
ლიუციფერული ჯოჯოხეთის მოსაკლისებთან.

თუ აჰყვებიან...მომახილი გაბმულა ქარში,
ზუზუნებს, რისხავს თავმომწონე ბოზის ნართულებს,
შვილია მეფის და მეფური იხსნება კარი-
აქ ისტორიაც მის შობილ შვილს გვერდს ვერ აუქცევს.

კლავიკულები...ემბაზონი, ათასი წელი,
სიბრძნე სიბრძნეთა, საიდუმლოც მე მიანდერძა,
საუკუნეებს მონატირი ერწყმის დემონის
და შენს გენიას ბეთლემური ციცინათელა.

ნუღა რას როშავს, ბუტბუტებენ ბავშვები სახელს,
დამაბრმავებელ სარტყელს ჰგავდა ყრუ მოგონება,
სასწაულს ერინსტე არ ემთხვევა, გოლგოთას ანდე
ჩვენი მცხეთური მშობლიური შემოსწორება.

რჩებოდა შორი მოგონება და აწმყო წარსულს
ეჯვარბედწილა დიდი უფლის შემოგარენში.
ჩაეხუტები, და ჩურჩულებს დილა ზეციდან
ანგელოსური ირეკლება სამონასტრეთი...

მიდის, მიღოღავს და სურვილი ადნება ლოდებს,
სამარადისო ნაპერწკალი მორჩილებს სიზმარს ,
აქ, იარქონზე წყნარად სძინავთ ებრაელ ბოზებს
და სამართალზე იფხრიწება პერანგის წიდა.

განვლე გზა განა იყო ცუდი, იყო დამღლელი,
ქალაქის თავზე ის ვარსკვლავივ ენთო, კიაფობს,
ახლაც ანდერძი იწერება თვალის ამხელი -
რომ ძველ თაობებს სიამაყე უთარიაქოს.

კედლები თეთრი და აჩრდილი თანაზიარი,
მოდის, მომყვება თიკნის ბედი ბრაზმორეული,
მე სიჯიუტე ძარღვებში მცრის არ-სატირალი-
კალვარიაზეც ჯვარი გიცდის ჩამოქცეული.

შორსაა დედაც და დროს მოაქვს უკანასკნელი,
გოდება ჩვილის, როს ზევდება სული ქართლისა,
უყვარდა თბილისს ის ბიჭუნა მიუკარები -
დიდება თვისიც მას მიანდო, მას უკადრისა.

და აი, იცვლება, რა გამოსცვლის, ეს სასწაული
წრიალებს ბოდავს ამოუცნობ ორომტრიალში-
მოდის, მომყვება სიამაყის გრძნობა გართული,
განვვლეთ სამყაროს მოხურული ორმოცი კარი.

გვფარვიდეს ღმერთი, ებრაული ის შთაგონება
გვფარვიდეს ერთხელ, კიდევ ერთხელ გამოიდაროს -
ღამე ენთება, კალვარიის და სასოება,
მერთხმევა პირქვე რომ უფალი არ მოინატროს.

სახე მიმკრთალი და ზმანება მოცოცავს კრთომით,
სიწითლე გასდევს პირმცინარე ლოყების სამანს -
შიშვლდები ნეტარ, სოლომონიც გიყურებს განგებ,
რომ შულამითით იამაყოს ღამე-ნიადაგ.

სვეტები კანკალს დაიწყებენ და საკურთხეველს
მივაჩერდები ჭლექშეყრილი არსება ერთი,
ვიცი, მიყვარდი, მეყვარები სულეთის რძალო,
აქ, მამეული სამისნეთის საბრძანებლებში.

დამლოცავს ვიცი, ულევია წადილი ჩვენი,
დამლოცავს მეტყვის. არ იდარდო, ვიდოდე მშვიდად,
იწევა კალთაც, თეთრ თემოებს ემთხვევა კერპიც,
შენს სიქალწულეს მარიამი სიწმიდით იცავს.

გარბიხარ, მოგდევ და მიწათა გზაგასაყარზე,
არავინ უწყის ყვითელი მზის ეს ჩასვენება-
ერთი სატანა რაღაც შავად გადიხარხარებს
და იერიქონზე ჩვენც დავიწყებთ გადახევებას.

პარასკევია, მე თეთრ კედლებს ვემთხვევი პირქვე,
საავადმყოფოც საუკუნო ლეგენდებს კემსავს,
პირამიდებზე ცეცხლს დაგვინთობს და მერე ფიქრებს,
მოგისაკუთრებს დარდიანი მაცხოვრის დედა...

მიდიხარ ნელა, მიაბიჯებ საფლავზე ღამით,
დნება სანთელი, ცვილი დნება ტაბერნაკლების-
მე შენი მზერა არ მშორდება არც ერთი წამით,
მედიადება შენს ქალწულურ საფერვალეთში.

სული მეტია, დაითვლითა ხორცი ტიალი,
გამოშიგნული ჩონჩხით წიბურს ეამბორება,
შხამს მასმევ ახლაც, მოვერცხლილი ვარაყ-ფიალით
და პალესტინის ზმანებათა სიავ-ბორეთით.

რაღას დაგიდევ, გამირბიხარ და მაინც მოგდევ,
ვით საიდუმლო გამოცანას, უფლის საფლავთან
და დროში ვყინავთ გადარეულ,ძველებურ ცოდვებს,
ყინმორეულმა ზესთამხსნელად რომ აკანკალა.

ლამაზი გოგო ქრისტიანი უფლის საფლავი,
ბრდღვიალებს შუქი ანასვეტი ოქროლიცლიცა,
აქ სხივი ტყდება მირიადი და უამრავი
და სიყვარული სათნოობით რომ აგიზგიზა.

მომმადლი მალი! გევედრები, მომმადლი მალი!
ნაპერწკალს ცეცხლზე აღარც გავცვლი იცოდეს ღმერთმა,
ცრემლმორეული ჩავუყვები დიდების ნაპირს
და გაზაფხული თბილისური დამყვება ბედად.

მწამდა, იცოდი, მატერია ჰკლავდა მარადის,
მეფისტოფელი ათასფერად სპექტრებში იწვა -
უმრავლესობას ის პორტრეტი წყევლით დანატრის,
რომ იცრემლება სამაისოდ ძვირფასი მიწა.

შენ არ იყავი, სულ სხვა იყო, დაწესდა ახლა,
ძველი კანონი, სახელმწიფო, კონსტიტუცია -
ჩამრუშებული მოსეირნე აიხდის კაზას,
ის ღამის ლოცვის მოცვეთილი საგანძურია.

დაჩუმდნენ,კედლებს აჩრდილების მიჰყვება წყება,
ხელს ატან ცივ ქვას, მონაზონი რას იზმორება -
მოანაყვინებს ტვინის ყველა უჯრედს და მერე
დაქანცულ უფალს რაღაც რიდით დაელოდება.

არ დაიღამოს! არ გასცვალო, დარჩი ერთგული,
თენდება, მზეა, განათებულ პორტალს შესცქერის,
სითბოჩალურსულ მღვდელს მოელის თვითონ ეული,
თითქოს დაზვინულ მტევნებს ჰგავან მისი ტერფები.

იხრება, ლოცავს და იღვრება ქალური სითბო,
ხორცის თლილ ბროლში იფერფლება რაღაც პირობა,
გუშინდელობა სიყვარულის მარყუჟებს ითხოვს
და მის ფეხებთან დაცემული ვარდებს მიწყობდა.

ითხოვდა ღვინოს ვით სიცოცხლის დანაწილებას,
კრიჭამეკრული კრთოდა ყვითელ კრეპსატენებში,
დუმილნარევი სიმსუბუქე მასაც შვენოდა -
წყალმარჯნიანი იარქონის მისაგებლებთან.

გიხილე წუხელ, უწვებოდი მოთაჯულ მეფეს,
ნაექლარ წნულში ფართხალებდი ვით გამოცანა -
გარშემოწყობილ მანდლებს ემებს უნდობი ღმერთი,
აღარ ეცდება ის განცდების ცრუ გამომალვას.

მოლალავს მწყემსი გადახდენილ უცნობ სამოვრებს,
მსწრაფლტეთქ გრიგალებს მიჰყვებიან მატარებლები -
იკვრის, იშლება, მირს ეცემა, მაინც აბრკოლებს,
სიკვდილის საათს აღარ ასდის სმენა გედების.

ფრთებდაწურული მიფრთხიალებს ბაქანზე გვამი,
იყო, იქნება, მიირწევა დღის პროცესია –
აღარც მოხიბლავს გადატრუსულს მზიანი დარი,
თითქოს მოხუჭულ თვალებს ახელს იქ ოფელია.

ცისფერ ყანწებში მოხლართული ყვავილი ჩახმა,
განუქარვებას ვით მსტოვარი მიემგერები –
უფლის მარლევებში პოეტური მიჟონავს სისხლი
და ჩემს გულისთქმას სამომავლოდ უანდერძები.

უანდერძები და ირხევი საფლავთან ისევ
და მეორდები, მეორდები ვით განკურნება-
განიმარცვები, მიშველ თემოს აუშვერ ვნებით,
ვით სიტყვა წმინდა და ზაფხულის გადასხურება.

აუცდენ მიზანს, მიზანსახულ ამბიციებში,
მიიგრეხ კისერს და გიშრის თმას კვლავ მოივარცხნი,
ეძღვნები, იცი, სარეცელთან ლულავს ნარცხულებს,
ადამიანი, რომ დამცველი იპოვოს ქარში.

ის კი ქრიალებს, და ტრიალებს, რა აგრიალებს,
მძიმდება თაჯი, მოსანთლული ტკბილი სიროფით-
ესკვნევინება მორბილებულ გარემოს მადლით,
ცოდვაუმადლო შემოსაკრებს კაბად ისროდი.

და გადასერავს პალესტინის უმალო ველებს,
ღმერთი ტკივილის, გაოცების, სასოწარკვეთის,
პირკეთილ სიტყვას შეგვაგებებს აგვისტოს ზეცა,
მოულამბავი უკუქცევის შემოგარენში.

შეარჩენინებს?! ვინ შეარჩენს, ვის რა შერჩება?
ცოლნათხოვ ნეფეს მიუკერძებს ყვითელსახიანს
ცნობიერება ცოფმორეულ მაღლებსლა ხვდება,
ხელაპყრობილი რომ ემთხვევა კედლებთაღიანს...

გაიშვერ ხელს და გაყინული სხეული ამვრის,
თითქოს თვალები შემოქმედის ზღვრებზე იწვიან-
შემომარცვული სექტემბერი გიღიმის იქით
და შესანდობარს პარაკლისზე წყნარად იტყვიან.

აქ სინთეზური ფიცი ისმის ძველი სინდისის,
შინაშეგრძნება სილაბური ცოლქმრობით კვდება -
პატრუქდაწეულ სულებს ზარავს დღეს საზეთლემო,
რეკენ და რეკენ, არ იშლიან ზარები რეკვას.

    დაიბადება... პერგამენტობს უდაბნოს მეკვლე,
    ისმის წრიალი უსასოო, შავი მშვიდობის -
    ღირსსახსენებლად აგელვებენ ბედაურ ცხენებს,
    ღობემოვლებულ საყუდელთან... მარადისობით.

და მუცლის ნაკვთებს მისი სახის კონტურს აღვენთებ,
ფრთქიალებს სული, დაგუბებულ რძეს ეგოგება-
ჩაიმარყუჟებს აგზნებული სიავის კოცონს
და დედის აჩრდილს დამაშვრალი მიეკონება.

    რა ჩაათავებს ამ სიხარულს და სისხლის დენას
    სხეული თითქოს ელექტრონის ბუდეს ეკურთხა -
    ათვალიერებს ქალწულ გოგოს შობისის დღეზე
    ჩამუქებული თვალის გუგებს, სატნის ფერულად...

ეკვრის, არ იძვრის,დაფაკლული კანილა ყრყოლავს,
არ იძვრის, ეკვრის და ჭრიალებს ბორბალი ქარში,
შორს იისფერი აისების სამანი მოსჩანს-
აბუ ნაბუთის სიბილებთან იკითხვის ყამნი...

    ჩაეკარ ძლიერ, დავიდის მეს უმაღლე ყინი,
    ათასი წელი, კვირამალი, იერუსალემი...
    დაიბადება უკვდავების ქადაგი მწირი,
    რომ შემოგფიცოს ნაზერეთის იავნანები.

ოქროსფრთიანი ანგელოსი აეჭრა ზეცას,
მოხვავებული სოფლის დოვლათს დაზვინავს გლეხი -
ამ ღამით ქართლში იმართება სხვა იდილია
და მოხვრეპილი ღვინის შხეფებს უნდილად მესვრის.

    და კიდევ ერთხელ ენასკვება სული სამოთხეს,
    მიასვენებენ და წიგნები საფლავებს შორის
    აღიმართება მონუმენტი ბოზის სამოზე —
    მოვა?! არ მოვა?! ის საწამლავს მოგართმევს მგონი.

ალელუია... და გამოსცრის ბაგე განაჩენს...
კემსავენ პერანგს ღრუბლისფერი ანგელოსები -
ბეთელში მიწას მიაყრიან ამ დიდ პარასკევს,
სამსხვერპლოს მოსავს სიზმრეული სამყაროს ბედი.

დაბრუნდი!...ჰოდ,დაუბრუნდი სამშობლო მხარეს,
ისრაელს ირქმევს აქ ყოველი ქვა-სამყოფელი,
მხედრდება ერი - ბაბილონი ზურგში სცემს დანას,
შორს ჰორიზონტზე ჩრდილი წვება მისასწორები.

და ნადგურდება ეს ქვეყანა ოხერ-ტიალი...
ქვეყანა მრუში...მშვიდობიან საზღაურს ჰყვება...
კატასტროფები ულაგმავენ სიმშვიდეს შიდას
ელინის ღმერთთა პანთეონში ნათელს სცემს დედას.

მუშაობს ძრავა, კოსმიური ძრავა პირველი,
თავს იჭვრეტს სულით,-ეიდოსით,ენტელექიად -
იშლება ერთში ერთიანი ერთობის ტოლი
იმანენტური პოტენცია და ენერგია.

ყოფილა სწორი თურმე,ცეცხლზე იწრთობა გრდემლი
სცემს ადამიანს,გული უცემს და მირს ეცემა,
პირველსაწყისთან მირონინებ ბავშვური ემხით -
და ეფინები მას დიდების პირსაფენლებად.

ჩვენც ველით შველას,გამოსყიდვას,რესურრექციას,
ბრუნავს და ბრუნავს ნივთიერი ხალცე მიწისა -
გადიბოგინებს სულთა წყება დიდ ხაზმელებთან
ალაპლაპდება ეს ნინდისი მონაპირისაც.

იხევ ფეტიში... ფორმალობა... დასაბუთება...
არგუმენტებით, სიყვარულიც იხსნება თითქოს,
რაც ნეიტრალობს სამყაროდს უვალი ღერმი-
ემოციების შემოუწერ გარემოს ინდობს.

ქალებს მასხადა რად ეწადათ,ახსოვდათ ღამე,
წელი სამოცი,კიდევ ათი და კიდევ სამი-
ალის დავიდი და ჰეროდეც აღმართავს დროშას,
როს რომაელის შეეხება მას ხმალი ბასრი.

ჰო,დაუცადე, ერთი წუთი, წამია ერთი,
სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარს შესცქერის ქალი,
ელეონაზე ანგელოსებს ეცვლებათ ფერი,
დავიდის საფლავს რა ხანია შევყურებ მალვით.

მაგრამ გათავდა,მოთმინების ივსება ახლა
ძველი ფიალა-...გამონავლის დღეს ეფარდება...
ღამეა, სძინავს, გაცრუნულა ქალაქი მთელი,
თითქოს მიმწუხრის ყამი თვისი მას ენანება.

დაუნთებელი შუქი იდგა დიდ მონასტერში,
სციოდა გოგოს, ჯვარიხწერაც უშლიდა ნერვებს,
მთრთოლვარე თემო იჭრებოდა შემოგარენზე --
ცნობიერებას დაუკერმავს ზამთრეულ ნერგებს.

რა გაახარებს, ცივ სხეულში იწვა ზმანება,
ითირთლებოდა გოლგოთაზე ნანი მძინარი-
თამარის სახე ეცხადება სამონაზვნოსთან
და ნესტიანი გამოისმის კედლით სინაზე.

ნუ ინისლები, ონქციონზე ენთო ლამპარი
მიპირქვავებულ პერანგს კემსდნენ მაგდალინელნი,
ლონგინოსს ხვდება რომაელის ბასრი ლახვარი
და ემუსრება აზიათარს ნაბაწმინდელი.

ემწყვდევა ბნელში, გამოსცრიან ზარნი კამათელს,
თორმეტ ღლეობად ეცხადება სამყაროს ღმერთი,
უნგრევენ ზეცას ამ მიწიერ ცოდვილ სავანეს,
რომ ქრისტეს სულზე აღიმართოს დიდების კვერთხი.

რას ტირის გოგო, რა ატირებს, ვისი სახმილი
იერიქოს ზარებს სულ სხვა ბგერა ჰყვება,დარდიანს
უამბობს ზღაპარს,იცრემლება ერთი მანდილი
სტოვებენ დარბაზს და ბერებიც კარში გადიან.

შეუნდე ახლა,ჰო, უფალო შეუნდე ცოდვა,
შეუნდე ცოდვილს ღამის პირმშოს შემობრძანება,
შეუფერხებელ სიძვას ჰგავდა იქ მისი ბოდვა -
მისი პერანგის მეყსეული ამოკვართებაც.

წმინდანი იყო და წმინდანად რჩებოდა მკონი,
ქსოვდა იქ ცების მოფიროზო მიმქრალ კამარას –
და იღლებოდა ამღვრეული ჭაობის ცბორში
თავამკვებული მშვენიერი გოგო კამკამა.

რაღა დააშრობს, რა დაშხამავს აქ ზამთრის ფერებს,
ჩივის პაცარა, მცდარი გზების ულევ სავალზე,
დაიმცვერება და მზის ველებს გააცანს სევდას
გადაწნეხილი ფიცრის გულის ცივ განაყარზე.

განა ცდებოდა, მას ეგონა რომ დედამიწა
ვიდოდა დროში, ვით წარსული, ვით მომავალი –
ცვდებოდა აწმყო.... ამოწრეცილ ცბას ენაწყლისა,
შორს ვულკანური სიმი ყღერდა ზეცთა სავანის.

ვწერ და არ ვიცი, ვისთვის, რისთვის, რაცრომ და როგორ
ვწერ და ვკითხულობ გაცრეცილი ფურცლების ხაზებს,
ვწერ და დაგეძებ ქრისტიანო ლამაზო გოგოვ!
უცოდველობა ჩვენი სულის ლაბირინთს ანდე.

★ ★

飲鴆止渴 ი̆ნ ჩჟე̆ნ ჩჟი̆ კე̆– შხამის დალევა წყურვილის მოსაკლავად

ოთხკუთხედოვან სამყაროს შესცქერის ბორბალს
ცრიალებს, შისდევს, დაჭხარხარებს სატანა ერთი –
მას ესიზმრება დიდი ღმერთი საღამო ხნობას
და ეცირება რკინის გზების ხმაური მველი.

ზღვავც მოსჩანს შორით, იალქნები თვრებიან მზეზე,
მზეს რა დააშრობს, მარილიან წყლებს ეპირკვება –
სასცუმროების წყება წყდება, წყვდიადის მწყობრში
მათ ამ ქალაქის აღარა სწამთ გადაფიცვებაც.

აღაპყრობ ხელებს, რას უშველის...ინგრევა ყოვლი,
სცქიის მაღა აზანზარებს მნათლიობ მაროვებს,
მო, ნუ გერიდის, ამ საღამოს ჩვენსა შემოდი
შეგითბობ ხელებს, დაგილოცავ მადლიან გამდელს.

წარმოედგინა, რომ ტყუილი იყო ამბავი,
ნაბიჭვრებს სადღაც გალახული მიჰყავდათ მშველად,
ლურჯ ნიამორებს საფლავების ერწყმოდა ჯარი
და სიკეკლუცეც მიჰყვებოდა იმ ბავშვურ კდემას.

მივალ და ისევ შუქნიშნების ტრიალი გლოვის,
მივალ,მომყვები, შენი მზერით,შენი მუდარით -
პიკადილისთან ლონდონს ჰკლავენ ეროსის მშობნი
და ბრიტანიას ეგმირება მკერდი მსუნთქავი.

ჰა, უტყუარი სიხარული...ამბავი ესე,
დაიკვირტება და ნამკვდრევი აჩნდება სახეს,
ამ ანაყარზე ჩვენ დავართობთ ახალ თაობას-
ომში ნამყოფი ჯარისკაცი დაგვიწერს ანდერძს.

ნუ ხარ მიმნდობი! რას მისტირი ამ თავდადებას,
დედამთვრალებით დავსებულა ეს ისრაელი,
სხვა ოცი წელი მოგილოცავს გადასხვაფერებას
და დატიტკნული გაზეთების ნასიძვარს მესვრი.

ჰა,გესლი ჩემი,საწამლავი და ბოროტება,
გასაზრაზებლად მე დავანთობ აქ ყველა კანდელს,
რა სანიმუშოდ მიტორტმანებს ჩვენი ცხოვრება,
შენობებს ყომრალთ დაედება მოშავფრო სარკე.

ნუ,ნუ გეშინის ქალაქია ეს წინაპრების -
მეფე დავითი აქ უბნობდა ფსალმუნთა ენას,
აქ დაიშრიჭა ერთი ღმერთი და ერთი გრძნობა,
მარმარილოთი, თეთრი ბაფთით და ხინაზეთი.

სხივდება ისევ დიადემა ვით ოქროს ზოლი
და კირიაში ერთგულების ისმის სიმღერა,
წკრიალებს ლამით რესტორნებში პრიალა ბროლი,
თითქოს ღვინოში სული თვისი მიისიკეთა.

გჯეროდეს მისი...დედამიწის გჯეროდეს ნეტარ,
ნურას უძრახი,აქ ქაღალდის წიბურებს ენდე,
ნიცშე შეჰხარის ზარათუსტრას, მოუხმობს ზეკაცს,
რომ მაღადაზე მიეახლოს მის ახალ მეკვლეს.

გიშრება პირი...მარმარილო ტივზეა ტივი,
სავსავით მიხვალ და კიბეებს აჰყვები ნელა,
იქნებ თამარის ნაფლავს ეძებს ეული მწირი,
რომ მოუზნიოს საკმეველი...იხრები, მზერას

მოგაპყრობს ურჩად ის წყეული სისხლი და მოლი
ჰაკლდამა იძვრის და გეჰენაც ინთქმევა ცეცხლში,
სემინარიას ახსენდება ბიჭუნა გორში -
ვითარც მოწმობა გაზნეული ცრუ იმედების.

და მოთმინება...გაზეთები...პრეამბულები-
მიხვალ მიირხევ და ტერფების დგება ნარება,
ქრისტე შეგავლებს, ხელს შეგავლებს ამ უკუნეთში
და მე დავიდის შენ ამ ღამეს მოგეზმანება.

იწევს და იწევს, ითქვირება გული ქალაქის
გამთენიისას კითხულობენ პარაკლისს ბერნი -
მარავანდედში ერთვილება კაცი მარადისს,
აქ მათხოვარნი დაცოცავენ კრძალვიხი ფერით.

გამო, გამოდი...ორშაბათი, კვირამლის სწორი,
გამოდი, გამო... რა გვახარებს ჩაკვდა იმედი...
თავისუფლებას შეჰხარიან სიმვეთის შვილნი,
ხასაფლაოზე იკრიბება გუნდი მისნების.

იყო ის ერთი, ხორციელი და მიწიერი -
ბრბოს უსიკეთა და მეგლეზი აიგო მკვდრეთით,
აუქციონზე იყიდება წარსულის აწმყო
და ხელმწიფური გამავების ხამეფო კვერთხი.

გამიგებ განა...მე მოვხუცდი ხულით, ტანჯვებით
შენ გესიტყვები დაღალული გონების გარდა -
ამ თბილ ნაღამოს დამამვრალი შემექარვები
და გადამიხსნი ქალიშვილურ მდუმარე ფარდას.

მიწის ალმური რა ხანია ახლის თემოებს,
ეს რა ხანია გაოცებით შესცქერი სურათს,
შენს ოცნებებში ალბათ ისევ მე მიკერმოებ-
გადატეხილი ხერხემალი შენ ველარ გლუნავს.

ვიდოდეს ნეტარ,რას ვიდოდეს? რისთვის ვიდოდეს-
ლოცულობ, ჰკარგავ იმედების გაბნეულ კონახ,
შემოზამთრებულ ღამეს ჰგავხარ ქალწულთა სწორზე
ხედავ? მარტვილი გოლგოთაზე ტირის და გოდავხ.

გადის დრო, მერე უბრუნდები თავს მზით შეშლილი,
აღაპყრობ ხელებს, თვალთუხილავს ეძებ სამანებს-
ჩაგესმის ნანა...უკურნელი თეთრი გედების,
უჩინარ ლანდებს,სადღაც შორით მიაქამანდებ.

გაბედე, განა რა დაგრჩება დიდების ჭოტი,
ეწამე ხორცით, სული წმინდა ახსენე ისევ -
მომიახლოვდი, გამთენიის კანდელით მოდი
და დამაფრქვიე იისფერი საფენის რიდე.

მალაგენია...ესპანეთი,..ბასკეთის მხარე,
იბერთა მოდგმა აქ შეერწყა ლუზიტანიას-
გადმოანათა ცისფერეთმა და გემებს ანძა
აუციმციმა... მეზღვაურნი ზღვაში გადიან.

გადიან,დილით მიჰყვებიან ნაკვალევხ მალვით,
შეუმჩნეველი რა დარჩება, სერავენ სივრცეს
აღმდგარა ქრისტე და მიუშვერს თეთრფიფქა სახეს,
ჩამოზაფრული სასოების უხილავ ნიმფებს.

მიდის და მოსთქვამს ცის და მიწის გზაგასაყარზე,
ზარავანდედი მას ეკლისებრ მელად შთენია -
ბრბოს გაგიჟებულს მიმწუხრისას აამაგმაგებს
და გაულიმებს...მას ნათელი ღვთისაც ჰფენია.

შეჰკრავხ კამარას...დაფარფატებს ღრუბელი ცაში,
ამოფუნთქებულ თეთრ თემოებს ჰკრავს მონასტერთან,
უდაბნოს ამბავს მომიყვება ის თოთო ბავშვი
იორდანესთან მის ხელმწიფურ გადმობრძანებას.

შემოჭდობს მკლავებს... იქ გაშლილი ვარდია ღელის
ინტუიციით სწვდება მაშინ დიდ ნაიდუმლოს-
თავზე ემსხვრევა ევროპული სამყარო შრომის:
ადამიანი, ეგოიზმი, ხაშანთ-ურწმუნო.

ვერც შეასწავლა მოკვდავს თვისი სასოწარკვეთა,
ემებდნენ ღმერთებს სადღაც იქით სავანთ-გარეშე,
ორგანულ გრძნობას დაემებდნენ სამოსავლოსთან-
ჰა,კიდევ ერთი გრძნობის იქით დარჩა გამჩენი.

აქ რელიგიას დიდი ყამნით მიასვენებენ:
მიასვენებენ უკუნეთის რკინის კედლებთან,
სად წინუნეთი გადმომდგარა მიამიტებით,
საფეხურებზე შენი ქრისტე ისევ ზევდება.

ლამაზო გოგოვ! დაბუნთქულებ ცივ საქვავეთში,
ემებ ჰუმანურს მამა-ღმერთის უკუნო მკერდზე,
თანასწორობის სამეუფოს გპირდება ახლაც,
დიადემებში ჩაძირული უფსკრული ზეცის.

განარჩევ ბგერებს...შეიმეცნებ ხილვადს,უხილავს,
მიხვდები...იყო, დრო გასულა, იყო ამბავი,
აქ პროპორციაც საშობაო ხარივით სუნთქავს
და გაგონდება შორეული, ცივი ზამთარი.

ტყე-ხევი თეთრად გადაპენტილ თოჯინას ჰგავდა,
-თხილამურებით ბაკურიანს სერავდნენ დღისით -
ღამით ბუხართან ეტა ჰოფმანს კითხულობ დაღლილს
და ლუდი ღვინოს ენაცვლება ვით სევდა ღიმილს.

გახსოვს?...რას სდუმხარ, იყო ერთი სრულყოფილება
პარაგონობდნენ კაცუნები კრემლის კედლებში...
უბიწოდ შობდა იქ ქართველი დედა ... თაურებს
ჩვილი თოთინით მიჰყვებოდა მას იმერეთით.

მავზოლეუმშიც ვიტრიალურ არსებად იწვა,
გაუნძრეველი დაჰკანკალებს სულის სართულებს,
ჰიალინებში მარტოული სანთელი იწვის
და წვიმაც წითლად ქვაფენილებს მიახმაურებს.

გამოდი... მომყევ,მე შენ გიცდი მხოლოდ და მხოლოდ,
მომყევ,მითხარი გუშინდელი ამბავი შვილის -
მას სიყმაწვილე მოუხახავ სიტკბოდ თუ ახსოვს,
თუ გაიხსენებს ღია სარკმელს და დედის წივილს.

რამ გააშეშა მამა-ღმერთი...სპირიტუს სანტო,
რამ გააშეშა აქ ზღაპარი შარშანწინდელი -
ჩამოთლის მღვდელი ფიჩხის საწნელ სახატე კარტონს
უყურებს სარძლოს ამქვეყნიურს - არდავიწყების.

ჩრდილივით ფოთინით მზის სხივებში მიიპარება,
ყრუდ დახჩურჩულებს მონაზონი საუფლო საფლავს,
დროც კი შემდგარა- ამბიონთან მივტორტმანდები,
ქრისტიან გოგოს გეფერები შეშლილი სახით.

ეუფლებოდა ხელოვნების დიდ გამოცანას -
ბერძნულ გველგვესლას ერკინება ლაოკოონი,
სხეულ-განფენილ მაშვრალს ჰგავდა არსახარისი,
საწიერება - მოქმედების ქამელეონი.

ან რა გამოლევს ბუნებაში მოდგმას კაცისას,
მოდგმა კაცისა პოეზიას... მიშტერებია...
არსი ეწადა ისტორიის საზრისს მადლიანს
თითქოს მითების საუფლოს მისთენებია.

ხორციელდება ოლარებზე შუქის მფენელი,
აირეკლება მოციმციმე ხატების კბოდე...
აქ ადამიანს ეკარგება სახე-მჩენელი
სინამდვილეთის სინამდვილის ხლართულა მრუდში.

აი, სტრუქტურაც და შეიკრა წრე ბიწიერი,
საზოგადდება შენი აზრი, შენი გონებაც -
ევანგელეზე გეჩვენები მე - მიწიერი...
და მანქანური ჯოჯოხეთივ მოგაგონდება.

მოვისმენ...დრტვინავს და გუგუნებს სამყარო მთელი,
საგან-საქონლად გადაიქცა ახლა ცხოვრება,
მომეახლები სიყვარულით - უცნობით, მწველით
და მტანჯველ მიწას შენი სული ჩაეკონება.

განა კი მრახვას შეუძლია გარდაქმნა რამის?!
თანადროული განჩინებით ვეძებთ გასაგებს -
რომანტიკული ყვავილების ცისფერეთს ჰგავდი,
გოგო წამების - ყვითელ ხენს რომ ნებით განაგებს.

მარსი...ვენუსი...სამართალი ხიცოცხლის რკალში,
ჩვენ გვეხარტყულება და რუდუნით ხაფლავს მოიარს-
მიუწვდომელშიც უსასრულო იდეად დარჩი
და მთვარის შუქზე მიკანკალებ ღამის როიალს.

ესალმებოდა ღვთის ქალაქი მალების მასახ,
იერუსალემში ინერტული მსგავსება იდგა-
ზოგავდა აზრებს აღსაწერი ცნებების მაღლა,
მას კოსმიური სელექცია ჩუმ სევდას ჰგვრიდა.

თავს გადაირჩენს?!... გადარჩენა შუბლზე სწერია!
ასე ეჩვევა ორგანიზმი ჩამომხმარ ფაქტებს -
აქ პრინციპებიც საწუთროოს ბოლოს მღერიან,
აღწერენ გრძნობებს და უმზერენ შებილულ ხატებს.

რა გადაარჩენს?-იერემიას მონატრის უსმენს,
ვითარ დაეცა ეს ქალაქი განსაკვირველი-
ქვრივის ცრემლებით ის სიონის ნართულებს ალბობს
ალაპყრობს ხელებს ვით მლოცველი საზაწმიდელი.

ჰე, დაგვაბრუნე მაცხოვარო!-შეჰკადრებს ისევ...
ვითარ ბზრიალებს უწინდელი ბორბალი სიმვის,
გულს ეფინება ბეთანიის ღამე საამო -
აქ, მიწის ბელტში ერთი მველი სიზმარიც ილტვის.

ჰიპოთეზები...გამოცანა ყოფილა რთული...
ხმლევენ და ხმლევენ, რას დასმლევენ მიზეზთა კვანძშ
რას მოგანიშნებს მოვლენათა მტვრიანი ბუთქი,
იყავი მიზეზ...და შედეგის წაბნავად დარჩი.

უსმინე ისევ...უბნობს იგი...ეკკლესიასტე.
ღიღი ხელმწიფე... მე დავიდის... ამაოების...
აქ, მზისქვეშეთში დაობათა ხსენებას დასცლის
და მოსამლომზე თვალს შეავლებს მას სასოებით.

დაუდო გული... მოიარა სამყარო მთელი,
ის წმინდა ბგერებს საოცარი წამებით სცრიდა -
ლოცვად შემდგარი ქრისტიანი გოგო მოელის
და შემოამრობს სასთუმალთან გადაკრულ ნიღაბს.

ეპირფერება ჩრდილოეთი სამხრეთის სხივებს,
ქარი ნევების სტუმარია ამ შობის ღამეს -
შხამით ავსილი ფიალების საგანძურს იღებს -
ცივ მარმარილოს გოგო ადებს ჩაყინულ ბაგეს.

და რაც ყოფილა, ის იქნება სამარადჟამოდ -
ენა ქართული განაჩენის სამსჯავრო ხდება -
ზერულ ძვალ-რბილში იეპუდეას უდაბნოს ადნობს,
იძინებს ღმერთი და გოლგოთაც ემსხვრევა მეძავს.

"მე"-თა კომპლექსი...უთავბოლო მწკრივი სავნების-
და პიროვნება - ანცდიცნებად შორეთში დარჩა-
შენი სინაზით, მოხვალ ისევ მომეახლები -
არც შეგეტყობა ფერწასულ ქალს ღვთიური დაღლა.

სული უკვდავი... და ორმაგი ჭეშმარიტება,
დოგმა და ეჭვი... პოლიტიკა... თეოლოგია -
მშვიდობას ივავს ავადმყოფი ეული ერი
მკურნალის როლში თავი თვისი მოუგონია.

ეჭვი ღრღნის ახლაც ვითარების ძველ სასარკულეს,
განა კი ისევ მას მოელის განვითარება -
ადამის მოდგმა ეკვეთება აქ საქალწულეთს
და იწყებს ისევ სამობაო ათინათებას.

მოდიხარ ღამით, მისტერიის მოგყვება შუქი
ფეთქდება გრძნობა, იჭვრიტება ვაების ღმერთი -
როს ერუგენას უცნაური ალმური ასდის,
არის და იცდის, სხივთა კონას ის ისევ ელის.

კაბალა, სუფი და ვედანტას დიალექტიკა,
რისი ბნეობა, ჩვენ აქ წესრიგს ვეთაყვანებით,
ზევსმა ამური იეღოვას მიაკეტინა -
და თემობრივი სიხარულით დასცა ამენი.

მიდის მიათრევს თავის ფეხებს წვრილი ბურჟუა,
მას საკუთრება წმინდა სანთლად გადაქცევია -
ურყევ პრინციპებს სადღაც ყიდის ერთი იუდა,
მას რაინდული სენტიმენტი რაღად შთენია.

ჰა, მოთმინება, ჯვარისწერის ენთუზიაზმი,
ღირსება მისი ჩაიცვლება ერთ ფუთ მარილზე -
დიდ არენაზე, ჩვენ გვმოძღვრავდა წყეულ წყვდიადში
სვეტიცხოვლური სიდიადით - გოგო ... მარინე.

ნუ სტირი, იქნებ ბოლო არის ჩვენი შეხვედრაც,
უფლის საფლავთან ხმაურია, ბრბოს რა ეშლება-
ფარისევლური ნიღბისჩენით გამოდის მღვდელი,
ის არ შემცდარა, მას განგება შავში ეჩვენა.

ეჩვენა..მირბის...მას მისდევენ დაკეთრულები,
სადღაც იმსხვრევა ქანდაკება ქარის ქრიალში -
ცილისმწამებელ პროგრესისტებს სამყარო ირჩევს,
მავზოლეუმთან ტრიბუნაზე დგას ქონდრიკაცი.

წარმოთქვამს სიტყვას და წრიალებს ქვეყანა მთელი,
დილის სამებას პროლეტარულს უზომებს სალამს -
წმინდა გიორგის შავი შუბი ეკვეთა მკერდში,
იყო... ლენინის მარქსისტული კვდებოდა ხანა.

იყო და გაცვდა, ვითარც წიგნის გვერდი ყვითელი,
გადაიცრიცა... მახინჯური სამშობლო ერთი...
შეღეღებული სისხლის ტბორში ცურავდნენ მკვდრები
ცხოვლიერების ცივ ნაკადსა და მონასტერთან...

მიელტვი, გიცემს, გული გიძგერს, მიელტვი, გინდა
სპონტანურ მალებს მიუკერძო სევდის განჩენა,
გამოეცლები და სქემების ნაწერებს მიღმა-
ადამიანის გსურს შეიცნო ზნე და სახება.

უსაზღვროებას მიაბარეს წუხილი ღამის,
ავსებდა გულის სარქველებში კოსმიურ დაღლას,
გარემომწერი ზიარება რიცხვებსაც ახდის
ჰარმონიული თავშეწირვის უძირო საგანს.

რა სწამდათ? წყალი, მერე ცეცხლი და მერე მიწა,
სტიქიურ შიშში ჩალეწილი ესვენა მთვარე-
ესმოდათ ბგერის სტრუქტურაში ღმერთების რისხვა,
თითქოს არსობრივ სიკეთეში წარსული ნახეს.

იყვნენ ხაზები, სიბრტყეები, სამკუთხედები,
ზენაარსს ენდნენ შესაქმენი ცრუ გამოცანის-
სიბრძნეს მერწავდა პლანეტათა ორბიტის მჩენი,
მარადიული წრებრუნვების თეთრი მერანი.

რატომ და რისთვის, ვინ გაიგებს, რისთვის გაიგებს,
სრული განწმენდა იგვიანებს, რეკენ ზარები -
უფლის საფლავთან ამორძალურ ზრახვებს დაიგებ
გეთსიმანიის ყრუ კედლებთან მივსამარდებით.

და ჯგუფდებიან კენტნი წყვილში...მოგვიანებას
აღარ აცლიან ღერძთმბრუნავი მარჯები ნიტყვას -
ყოფიერებას განკურნავენ ფსიქეას მალით,
მითებს ხურჯინი სულებისა საითღაც მიაქვთ.

იბადებოდა, რათა მოკვდეს გაისის პირზე,
იბადებოდა ვით ქალური ციკლი კურთხევის -
ის მას რჩებოდა ვით ყიზული და მოგონება,
ვითარც ზევება ნივთგამოცლილ სამკაულებში.

აქ ისტორიის გზაგასაყარს შესცქერის ხალხი,
ხალხი ხორხოცა დაღორებულ ლანდს ემსგავსება,
შორს კი ტაატით მიღოღავდა ფუნთქულა ბალღი,
ბედივ უცნობი ჩვენს ეტლს ზღვისკენ მიაქანებდა.

არავისია, არაფრისი...რას ემებს მერე,
მაინც ვერ ჰპოვებს ბინდბუნდიხას მეთევზის ბადეს,
თარსოსისაკენ ეპარება იონა უფალს,
რომ თავს დაუგოს უნებლიედ მაცდური მახე.

შეადგენს...ოქმში აღნუსხავენ ნათქვამს თუ უთქვამს,
ფაქტებს მოდელურ გარსახვევში შეაზამს ეყვნებს,
მას მოსკოვური პროსპექტების სიდიდე სუსნავს,
რუსი გოგონას ათქვირული ლამაზი მკერდი.

ახსოვდა ახლაც ის ბორანი შავ მდინარეზე,
მოსკვორეჩიე - საიდუმლო ნისლივით იწვა,
რკინის კარს მიღმა მალულ ვნებას მიიზრალებდნენ
ქალის მკვრივ თეძოს დამშეული ემგერა ბიჭი.

და იფრქვეოდა , ამურსკიეს ოცნება... ვალსი,
საშოს ვარდისფერს თანასწორულ წახნაგში ჰკრავდა,
ჭეშმარიტებას ეფრქვეოდა ურიცხვი მარში,
გრძელი წვივების ნატერფალზე ესვენა ფარდა.

მას გაიხსენებ... იმ საწუთროს დროთა თარეშში,
იდო რუსეთი ცნობიერი სისუსტის დედა-
ეძებ აბსტრაქტებს...რას მიაკვლევ, ვის მიაკვლევდი
ნახელებს იქით აბსოლუტი ეჩვენა ერთი.

ჰინდუს ტრამალებს ვერ ეჩვევა შეშლილი თვალი,
ველანტურ პრინციპს - სამოყვასო რგება სიცოცხლის
მოითარეშებს და ერთგული ემთხვევა ბჰაქტი-ს,
ვერ შეეგუა დაშლილ კავთა წყეულ პირობებს.

ორმაგი ბედის არტახებში იდო სიმართლე -
შედეგი მიზეზს, ფორმა - სიკვდილს როდი მიეზღო,
ჭკუადაწვლილი არსის ხახით ჩვენ შეგვიფარებს
უსამართლობას შემსხვერპლილი მკვდარი იესო.

ითმენდა ტკივილს...უკუნებელ ძველ გამოცანას,
პოლარულ მუხტებს გამოსცემდნენ იზოტოპები-
ახალ დროს ჰკრავდა პიროვნების ამასობანა,
ბუნების წიაღს მისტიროდნენ ამაოებით.

რაა საწყისი?...თუ არ ხევდა სული წმიდისა,
ადამიანი გვეცხადება დავითის ფარზე-
ფიქრობს იქცევა,ისევ ფიქრობს,ისმის მისი ხმა
ლოგიკურ შრეში ილექება აზრების არე.

პიროვნებათა გადაკორძილ ორომტრიალში,
ერთმანეთს რიცხავს ელიტური კლასის ფენება -
ლორლოთ სკეპტიკოსს ენაცვლება სპეკულიანტი,
თითქოს ბოზების საკრებულოს კაცი ერევა.

ხიყალზე ტყუილს გადაჰყვება იმიერ ზღაპრად,
ლომთა ზელადში ერთ ყერყეტა მელას ვხედავდით,
მარადიული სათნოებით მომიტან ამბავს
მალაუფლების გადარჩენას ველარ ვბედავდით.

ასეც მიჰყვება საუკუნე ამ გიჟურ ბოდვებს,
შევრჩებით ერთნი მარტოული სიცხის მავთულებს,
გაუაზრებელ პარამეტრში სიმშვიდეს ჰპოვებს,
ქალის სხეულში თავის ვნებებს მიაბანთქულებს.

იზრდება ცოდნა, ჩვენც ვეზრდებით სიკვდილ-სიცოცხლეს,
ინდუქციური მეთოდებით მწყემსავენ ახლაც,
რევოლუციურ ბათქა-ბუთქში თმებს შეისწორებს
და ამ ქვეყანას მოუძლევი ყინებით მართავს.

წერდა, ესმოდა მანქანების გრუხუნი შორი,
პროპორციები უსერავდნენ გონებას მწვავედ -
ყოფიერების მურტალ სფეროს სიბეცით ჰკორტნის
საყვარელ მიწას ეხუტება სამოთხის კარზე.

იყვნენ ერები, არსებულან არ არსებულან,
გადაშენება სწორუპოვარ პრობლემად ჩანდა -
ნისლოვან პრესტიჟს მიაყუდებს დოგმის რეზუსთან
და ჩამოუშვებს ისტორიის ამოხვრილ ფარდას.

დემოკრატულობს მოქირქიტე მასა ზეცების,
ეპოქალური ბრძოლა ელო სათუო მიზნად -
სემინარული ზრუნვა შეგვრჩა დაიმედების,
ვარდისფერ გულში გახვედრებენ მოჩამლულ ისარს.

ისარიც სრბოლავს, ჰაერია ლოზუნგი მისი,
პირისფარეშებს კომუნალურ უღელს ჰპირდები...
ქანაობს თოკზე მოთანგული ვირთაგვას გვამი,
ინაზებიან წყნარი კდემით ჩვენი გვიმრები.

ხოლიდარობა... ბრძოლა..., დიდი იდეალები,
მოსწყინდა ჯდომა, წელს ამართავს და ერთ ოცნებას-
შენების მძლავრი ელვარების მიფერმკრთალებით,
აისის პირზე კიდევ ერთხელ ჩაეკონება.

კოგიტო   ერგო...პიროვნებაც კვდება ლოდინში,
საურთიერთო დიალოგებს მილალავს გლეხი-
აქ შიშის გრძნობას ცივ სამარეს მიაბარებენ
და ანაბარად დაურჩება მონება ბედის.

ხედავ? იღვიძებს...იზმორება...ბრმებს ჰკურნავს იესო,
მადაბას რუქას გადაქექავს, საყდრიდან მოვალს,
ყუმრანის ქვაბულს ლოცვის მკვდრული ზღვა თუ მიესო
მას მიწიერი ზედაპირი სიღრმეში მოსავს.

მოსავს...ვით უფალს ჯერ შეუცნობ ძველ გამოცანას,
არ იძირება და ტივტივებს სხეული ცხრომით-
ქალიშვილები მიათრევენ ჩალუმილ მამას
რომ მოავ-ამონს გასაგისი შესძინონ წყრომის.

ნებოს მთაც მოჩანს, საწიერი რაღას მისწვდება,
მოსეც აღქმული ქვეყნისაკენ აღაპყრობს ხელებს:
ნელა იმლება... ხორციელი მას არ მიჰყვება
და მიმინებულს ანგელოსი ემადლის მერე...

ქალიშვილებსაც რა შეაწყენს იგემეს მამის,
თრთოლვა თხიერი მათ მუმუ-მკერდს შეეშხაპუნა,
გზის დასავალზე ზეცის კრულვა მათ არ მიელის
პერგამენტები შემოდგომის დაუძაბუნეს.

ზიან და წერენ ესსენები სასჯულის ახალს,
ღვინის დოქები ივსებიან სიტყვების შლამით,
სინათლის შვილნი შეელეწნენ სიბნელის მაშვრალთ,
წმ. ქოზიბას ეკლესიას ემგეროს ლამის.

ასეც ეცემა ის ქალაგი გადარეული,
მონანიებას რას აკმარებს პონტიუს პილატს,
თაფლი სდის რძეში გერასიმეს სამზარეულოს,
ხმელი ტოტების სიმართლესაც უსიტყვოდ იტანს.

უფლისწულს ზრდიდა მოსეირნე კუნძულის გასწვრივ,
საუწყარ ამბავს არსაითი ბგერა მოსდევდა-
ტოლტეკი აცტეკს სამაიიოდ აძლევდა ყვავილს,
თანასწორობით უბნელებდა ზმანულ გონებას.

იდეებს ფანტავს დაბნეული ღვთაების ხელი,
კელაპტრის კიდეს მიემთხვევი მუნ-ვალ-მოხდილი,
სადღაც მიცოცავს დაყურსული ლურჯთვალა გველი.
დაებზარება უქმად გდება - ფუჭი ლოდინი.

იმ ზაფხულს გნახე პატარძალი თეთრი ენძელით,
ცის სამეუფოს მონათლული ხატავდა ბავშვი,
კუარანტინისკენ მაცდურ ხულებს მალით შეხვდები
და კანონების გეკიდება პირველი მარცხი.

ასეც ვიდოდა ხარიტონი დუკას ლავრაში,
ელპიდიუსი ებრაელებს შებმოდა მთაზე,
წელს-ათას სამას ოცდაორში მწირი ქართველი
მიაბგერებდა იერიხოსკენ ბიბლიურ ჰანგებს.

ჰა, ქანაანში ეს ქალაქიც, ძეო კაცისავ,
დაბლა ციმციმებს მოზაიკის ფერი მრავალი –
ბიზანტიელმა აქ არაბიც გაისაკლისა,
ალექსანდრიონს სიხარულის მისცა საბაბი.

ხელებს შლი ქალი, იძირები ცოდნის მორევში,
ზესთაუფლებას უმორჩილებ გონების მაღლობს –
მაღლობა მენდა, რომ გაბედე, რომ შემოხვედი
ებღაუჭები გულის ფიცარს და მწვანე ტატნობს.

მერე სისტემაც – ლოგიკური დასტური მისი,
ირეკლებიან შენს თვალებში ველის ვარდები,
ამ ვარდებს დავკრეფ, დასაჭკნობად გავატან ივლისს
და ბოლოს ფაქტის მშრალ ფორმაში მძევლად დავრჩები.

საჭიროება აზროვნების ჩართვაა დროში,
მოძრაობს ხედავ? ამ წამებას რა გააჩერებს,
ისტორიული ყალიბდება სინდისი კრული–
ჩვენი ზეობის საპირფერო მოდგმის გარეშე.

დროს ლოგიკური გამოაბეს რკინის მარყუჟი,
აზრების მწკრივებს უსასრულო მოჰყვება ხევდა,
ჭეშმარიტება საკეკლუცოდ გაჰყავთ ალუმზე
ნებაა ღვთისა, მას ასე სურს, მას ასეც ნებავს.

ხვეწავენ ენას და ადგენენ ცნებებს გოდებით,
უცნობი აღქმა შეუძლებელ კრიტიკად სახეს –
დანთხეულ ნაწლავთ მიათრევენ სადღაც გოდრებით
გაუცხოვების ნაშწვერიანს ისვრიან ანკესს.

შესცქერი შვებით... პარადია ფორმაციების,
ქრისტიან გოგოს ზედნაშენი ხლართში გესტუმრა -
თემოს მიარხევ პოლიტიკურ მისტერიებში,
უფლის კურთხევას მიესწრაფი ქალურ-ველურად.

რად გინდა ლოცვა, ღაღადისი პარაზიტული,
თვითგარდასახვის თეზისებში სამყოფელს სტოვებ,
ლოყებზეც ცრემლი გეპკურება - გადათქვირული -
შენ შეერთობი აბსტრაქტული ვნებების მორევს.

და აწარმოებს შემეცნებით ყოფიერებას,
სინათლე ღვთისა - ნათიერი ფრქვევის საუფლო,
რეფორმაციებს ემსგავსები ქრისტეს ზევებად,
თითქოს სიკეთე ეპოქების სურს რომ აუწყოს.

ესმოდა?!-არა, მას ესმოდა რისხვა ციური,
ნახატე კედელს შეჰყოლოდა ასპიტი შავი-
გადმოსხივებულ დისკოს ჰგავდა იერუსალემი
ქალაქი ცრემლის, მკვლელობების და ცოდვა-ბრალის.

* *

坐收渔利 ცუო შოუ იუ ლი - გამარჯვების ნაყოფთ მომკვა
თითის გაუნძრევლად

დგება კრიზისი სულიერი ბედის საწირალ
ბრმა მისწრაფების ემსგავსება შენი ოცნებაც,
ღირებულებებს შენ ბეთლემის რიგზე გაიტან
და ეს მსოფლიო საგიჟეთში მოგაგონდება.

ჩვენ მოგვიგზავნის, გვეწებება...ლოცავს და ადგენს,
ჩალურსმულ კუბოს თავს გადახდის პარლამენტურად -
და წამოყოფენ მოელვარე გველები თავებს,
თითქოს სარკეში ტანი მათი არც ჩატეულა...

გლეხი გარდაქმნებს მოიკეთებს სვენებ-სვენებით,
შორს ოკეანეს გასცქერიან ტევტონის შვილნი,
საყოველთაო ფორმებს ემებს შენში ჰეგელი,
უნივერსუმი გეკვეთება ბინძური დინგით.

უფლის საფლავი რა ხანია წყვდიადს მოუცავს,
განსჯის უნარიც გეკარგება ნივთების რიგზე,
აქ პრეცენზიებს უცხოური პირიც მოუკრავთ
და სამონასტრო მონაზვნობას წამებით იღებ.

იღება კარი და შემოდის ის პიროვნება,
ცხოვრების კანონს ის სიმართლით მოუდრეკია,
გამოცხადებას ველოდებით სულმოუთმენით,
თითქოს მადონნას ქალწულები აღარ ხვდებიან.

და იწელება ტვინის ნერვი მალის ტოტინით,
ამოფრქვეული ენერგია ტაატით მოსავს,
ფანტასტიური ჩვენებები კრთიან ეთერში -
და სატანური მოკრძალებით მოისვრი ქოლგას.

იხსნება ქოლგა, წვიმის წვეთებს მიადგაფუნებს,
პირველყოფილი გამოკითხვის წყალთა ტრიალში,
პასუხიც რჩება მამა-ღმერთს და სისხამურებს,
გამოდის კარში, ყვავილს დაკრეფს, სიტყვას იმახის

ჭეშმარიტება გეკარგება სოფელში სადღაც
ქვეყნის დაცემას ისრაელი არ გვაპატიებს,
ქრისტე აღსდგა! - მართალ სიტყვას ტალახში მარხავს,
ბელადს სახეზე დააყრიან ცისფერ ყვავილებს.

ზნეობა -ქარმა, დაოს გზა და ჩვენი წესრიგი,
შემთხვევითობას რა გამოლევს, გოგონა კვნესის,
აქ ამ საფლავთან იმართება ჩვენი ქორწილიც
და მოტირალი აქ ციმციმებს სახება დედის.

შეკრავენ წრეხაზს, აღმავებენ კამათს უწყინარს,
იაფოს ლუდხანებს, რა ხანია აწამებს ბოლი,
ლიბერალური საზოზეთი არ დაუწინდავს -
დამყაყებული სახელმწიფოს სიავის ზოლში.

კომპრომისები და ინგრევა ქალაქი მთელი,
კომპრომისებში პიროვნებაც ეფლობა ახალ-
სახლს ულოცავენ: აგიმაღლდეს კედელი, ჭერი,
რომ დრო დაემვას მოციქულთა კიბეზე დაბლა.

საჭიროებდა სიმაბუნეს გადაქანცული,
კულტურის ჭრილში ისტორიას აგებდა მერე -
აქ აზრობრივი კონსტრუქცია მიმოფანტულა,
ჩვენს ანაბარა და გოლგოთას სამრეკლოს ბედზე.

რეკდნენ ზარები... მონიშნება ყოფილა მკვეთრი,
სუბიექტური უშუალობის ამარად დავრჩით,
„დიდია ზღვარი,"- ჩჟოუ დუნ-ი მეტყველებს მზეზე,
უსასრულობის კანონიერ ბედნიერ მარშში.

და მიაგორებს იქ ამური ამღვრეულ ტალღებს,
იაპონელი ჩინურ საწყისს მოეჭიდება -
ცი-ხ ეხლართება ლი-ხ გამოვლით სამყაროს სინ-ი,
რომ პირამიდულ მწვერვალებზე ჰპოვოს დიდება.

მოძრაობს ხალხი...ამოძრავებს სიცოცხლის ბორბალს,
ივსება ხორცით საუკუნე ეს უთვისტომო -
რას ჩამომჯდარა დედაბერი? განა რას როშავს,
იმსხვრევა მირზე ჩვენი ბედის ერთი სიმბოლოც.

ისმის წივილი, წივილია სულისა ჩემის,
შიდა სიმშვიდეს ველარ ვიცავ, მიშველე დედავ!
კატასტროფების ხანა დგება მძიმეზე მძიმე
და თვითგანჭვრეტის მალას ვკარგავთ საღამოს ერთად-

საფეხურებზე მივრონინებთ გარჯით, ზევდება
აქ ეიდოსი, იქ სინათლე - ენტელექია -
პირველსაწყისში ცეცხლის ზოდებს მიასწორებენ,
აქ სასთუმალთან რაღაც მშვიდი ჰანგით მღერიან...

შენს ხიდიალეს... მშვენიერო, ლამაზო გოგოვ!
შენ შემიფარე, გამოსყიდვით მაცოცხლე ისევ -
პლოტინი მმოძღვრავს კაბალელთა ბიბლიურ ტომში,
განსხვავებათა გამოცანას კარებთან მიგდებ.

მიგდებ პრობლემებს და მეტყველებ იდუმალებით:
-გაუძელ! გაჰკვეთ! აქ სიკვდილიც მიწიერდება,
ნეიტრალური საკითხების მოგაქვს ქვითარი
და ეწირები ავადმყოფურ ცნობიერებას.

ყოფილა მცდარი, ყოველივე ყოფილა მცდარი,
ცნება, იდეა.... მწვანე ბალახს შველივით ჰკორტნის,
ანალიზებში ემპირიებს სცილდები ქალი
და შეგრძნებათა თაიგულებს მშვიდობით მოწნი.

ხედავ, აბსტრაქტებს მსგავსებათა კვალზე აგებენ,
დროსა და სივრცეს არსებობა საფლავზე შეკრავს...
სქოლასტიკური სჯა-ბაასით ძლევენს შიაგდებენ,
ჯვრის მონასტრიდან წარმოგზავნი მარტოულ შეკვლეს.

შექმნეს კომუნა, უტოპიებს რა შეაციებს,
შრომის იდეალს პროპაგანდის ხუნი ხდის შმორის-
პროგრამას ქმნიან, მიათრევენ რუსულ მარხილებს,
მემკვიდრეობას ეყინება წითელი შმორი.

რაღა უნდოდა? დაიშალა დღეს კოლექტივი,
პილიგრიმებიც მიცოცავენ უდაბნოს გასწვრივ -
რას გააკეთებს?- ამოცანას ჰქონდა აყრილი,
მარადიული სიხარულის ღვთიური წამი.

შრომობს და იცის, სარგებელი მას არ ერგება!
ავტომატური აღზრდისაკენ მიუძღვის გაშჩენს,
დაასამარეს შენაცვლების ბოლო ემბლემა:
განა რა ერგო?! რა რგებია?! არაფერს არგებს...

იქ თავს მოიყრის ისტორიის მტვრიანი ღვრიტა,
დამახინჯებულ თეორიებს პრაქტიკა ისვრის,
სახის ნაკვთებში ჩაიმწუხრებ ლამეულ მიზანს,
ფხიზლობ... მახილი მორეული დაგიფრთხობს ლვიძილს.

ისევ სიტყვები, ანგარიში სენსაციური,
განპირობება წამებულთა მიზეზთა ჯაჭვის,
შენ ტრადიციას განშორებულს რისთვის ეურჩი-
მას მიჰყვებოდი და მიგქონდა მსხვრეული ჯვარი.

აჰა, სასრული ტერმინებიც...ედება ღამე,
აქ მოვლენების თვისებებში მე თუ შემიცნობ,
აღვთისმეტყველი კონკრეტული ცნებების ფონზე,
თითქოს საჩუქრად მომღვრებათა შუქი მოგეზლო.

უსმინე, შედექ!...რა ფასი აქვს აქ გაჩერებას,
ჭეშმარიტება საუკუნო სამარხზე მიაქვთ-
მუდმივ ფორმულებს წარმოადგენ მოსაჩვენებლად
და მიზარდები სამოსახლოდ მიწიერ წიაღს.

ხაგნებს ასწორებს და სახელებს ურთავს აქ შანდი
„დიდი სწავლება, მენ-ცზი-ს ბედის საჩივრად მიაქვს
ჩვენი სამართლის შუაგულში ბზრიალებს ჩყუნი,
კუნ-ფუ-ცზი არღვევს მოწაფეთა საფიცარ სიას.

ასეც მოძღვრავდა დინასტიურ მოდგმას სოფელი:
-იყავნ კეთილი, იყავნ ბრძენი, გქონდეს მოთმენა!
არ ივარგებდა უთქმელობა ჭმუნვის კორტეჟში,
იცი, მბრუნავი დედამიწა აქ დაგმორდება.

ცით მონიჭებულ ცოდნას ჰგავდა ხიქველე ქალის,
წარმართთ გოდებას ენაცვლება ევქარისტია -
ვნებადაცლილი ჯვარს გაეკრა საღამოს ქარი
მოსთქვამენ ჩუმად და სიკვდილის კვალზე მიდიან.

და გვიმვირდება ეს სიცოცხლე, საწუთროს ნაღველს,
სისხლი სდის მღვრიე წყალნარევი ცრემლის რონინით,
გასაყრელ ბჭესთან მიწანაყარ თვალებს გაახელს
და დაიწყება ტვინის ჯირკნა... ენის ბორძიკი.

თუ ეს ქალაქი ცენტრი არის ამ სამყაროს,
თუ აღმოსავლეთს დასავლეთი აქ ესტუმრება -
თუ ელვარება მთვარის შუქში მას არ გამოლევს
და რისხვა ხატის მაგდალინელს არ უბრუნდება.

მაშინ მოვლენილ ზესთმონაქუხს შეუნდობ ისევ,
მატიანეთა ყვითელ ფურცლებს ჩვენც შევერთობით,
ზღვების შუქურა ბომბეისკენ იალქნებს იწვევს,
მეწამულ ზღვაზე ოფირის ქვებს მივეკონებით.

ნუ მეკითხები. რისთვის,ვისთვის...ან იქნებ რატომ
ამ ველს დაერქვა ყველი-წმინდა - თიროპეონი,
მხამის ფიალა გადაფითრულ გოგონას ათრობს,
ყვითლად ციმციმებს აქ ქალაქის გრძელი ნეონი.

რა ჭირს მოთმენას, გულსაწადელს ემთხვევა თითქოს,
კარი სიონის ჰინომისკენ ჩაჰკვეთს ასფალტებს,
ვიწრო დახლართულ ქუჩაბანდებს ლამპრებად ინთობს,
პატრიარქის წმინდა მხსნელთან აავანკალებს.

და ეფიცება სიყვარულის ასფენა ხიდებს
მთვარის პირს ერთხმის უფლის დედის ცრემლი კამკამ.
პტოლემე ნილოსს გადმოლახავს, სირიის მირთებს
მიაბრის ქალწულს და ბაღებს მაღალ გალავანს...

ევანგელური სუნთქვა მოსდევს განურჩეველი,
ადამის ქალა მთებს განივად მიეყინება –
არიმათელი საფლავს ჩათხრის სამუნჯებელში,
და... იუპიტერ ქანდაკებას შეერისხება.

არ კი გეგონოს! ეს ამბავი ყოფილა მართალ,
მოწმე გახდები გასარჩევი დღისა თუ ღამის,
კაპიტოლინას სვეტებს მიღმა დალანდავ სანთელს
და საკმევლებში ჩვენი სული ცებისკენ ადის.

რას დაიქადნის! ამ მშვენიერ პორტალებს მიმკობ,
საუკუნეთა ნაცრისფერი მისრბოლავს ჯოგი,
ქალწულს თაღებქვეშ არხებობის სამალით გიცნობ,
მოვალ თუ არა, ვისლა უწყის, ან თუ კი, როდის?!

განახვენ კარი, განხვენ მუმუ, განხვენ სარქველი,
მას ბაზილიკა სამიწისძვრო სარკედ ეჭადა,
აქ სურათების წითელ-ნაძავ სითხეს ანთხევდი,
გოგო პატარა და სიკეთის დიდი მეძავი.

შრიალებს კაბა...გეკეცება პერანგი რუშის,
მიფრიალებენ გაზაფხულის კეკლუცა ქარში-
შენი ბაფთებიც მიჰყვებიან სამყაროს წუხილს
და ჰორიზონტზე დაგციმციმებს ია და ვარდი.

და ილუნები წელმოხრილი... მოიპყრობ საფლავს,
აქ აზროვნებაც იყინება ჟამთა ტრიალში –
არმენიელი გამოგიწვდის მდუღარე ყავას ...
და მოზაიკის ქვაც ელვარებს აქ მირიადი.

განა კი ესმის მას ტირილის ხმა და იღვიძებს,
ეპოტინება ჯვრის ძელს, მერე წარწერა იპყრობს,
ზიზღნარევ მზერას შეაპარებს ნასუქ მოლაყბეთ
და შემოგკოცნის ყელს, მკერდს...ლოყებს ტუჩებით გილტობს

ხედავ სცოდნია სიყვარული, რაღას ვემდურით?
ატრიუმს კარდო მაქსიმუსი მოსდევს ვაების -
ცრემლი გდის ახლაც ლაპალუპით, ვითარც მერკურის,
ზოდიაქოზე თიკნებს სწვავენ ამორძალები.

დე იყოს ნება, ნება ღვთისა, როს მე სიონის,
მაშვრალი ხორცით აქ სამებას შეაჩერდება -
შენ კი ლამაზი ესტუმრები მარტირიონში
და დედამიწა ცის კამარას არ დასჯერდება.

რა დააჯერებს, რელიგიებს ესვრიან პეშვით,
რამდენი ღმერთი, ცნება, ენა, სიტყვა მარტივი-
პალესტინაზე ნებიერი ... განერთხო ზევსი
ჰა, დაწყებულა სააღდგომო დღეს სამზადისი.

მიჰყვები...არ გღლის არც ეს სიცხე,არც ეს ზამთარი,
შორით ჩოხონი კორეულად გინათებს წყვდიადს;
იმ-ა თუ იან-ი -- კეთილ ბოროტს ჩყუ სი თუ გასრის
დაწყებულ ქორწილს მოგვილოცავს ადრე თუ გვიან.

გვძულდა ქვეყანა - სახელმწიფოს ატრიბუტებით,
სამართალს იცავს მონოლოგით - მრევლი იუდას ...
სხვის სნეულებას შენდა თავად არც ისურვებდი,
საკუთარ გრძნობებს მომაკვდავ ღმერთს აღარ მიუტან.

მსოფლიოს ნებას ეწირები გონების მალით,
იერუსალიმურ არგუმენტებს შენც მოიტირებ -
ოჯახს ზნეობის კაცთა ხილულ მაფულებს ახდი
და ცივ სნეულებს საოცნებო ხატად იმისნებ.

ჰა, იკუმშება და მცირდება მზიური ნისლი,
ცივს გააცხელებს ჩვენი ფიქრი კოსმოგონიით,
ნატრულ პლანეტებს შორიელი მიუალერსებს,
გალაქტიკებში ლექსებს დაწერს ჩვენი მონიით.

ამ პარადოქსებს დღესაც ვითვლი ერთში და ორში,
შენი სხეულის ზედაპირზე სამყაროს ვაგებ -
ქრისტეს შეშურდა ეს კავშირი, სინათლეს მიხდევს
რომ გენესარეთს გადასტყორცნოს ეჭვების ბადე.

ეჭვები ისევ, თვისებები ბუნება მძიმე-
დგება განკითხვის სამძიმარი შეშლილი წამი,
ამ რაობაში მე მიწიერ საწყაულს ვიმენ,
სადღაც კედელზე, თავს მერხევა სურათი მამის.

გამოცხადდება ვით მესსია ვარსკვლავთა ბროლზე,
მოზიდვის კანონს გადაზიდავს იქ ნიუტონი,
იერარქიული განსხვისების დაანთებს სანთელს...
და სეპულკრალურ ფასადებზე ლანდებს უცოდვილთ...

გოგოს, ლამაზი ყვავილების თეთრ ქვეყანაში,
გამოცხადების კაპელასთან მას ესტუმრება...
წმინდა ჰელენე ცისტერნების საკრისტიიდან
კორიდორების არქაული სამმო დიდებით.

ვის რა ეკუთვნის,არ ეკუთვნის იყოფენ პერანგს,
რაღაც სასწაულ ბედად ჩნდება ჩვენი საათი -
პარასკევია... ანგელოსი გამომხსნელს ხედავს
და ებრაული ნივთმეტყველი ისმის კამათი.

შემოასვენა... ჩაასვენა... მზეც ჩაესვენა,
ვით პერგამენტი წაკითხული საფლავის თავზე,
კანდელაბრების მწკრივს ამშვენებს მისი ჩვენება,
მას გაფრთხილება საზეიმო ოცნებად მართებს.

ასე იწყება ეს აღრევა კოსმიურ ზღვარში,
დიდი შენობა იმართება და ჩანს გონდოლა,
ცვინის სიმივით იჭიმება სამყაროს მარღვი...
აკადემიურ სიმპათიებს ღმერთი ებრძოდა.

ჩამოკონკილი სამოსივით ეკიდა თოკზე -
ლაპარაკობდა ასე მშვიდად, ასე მარტივად ...
გრგვინავდა ელვის ცემასავით მონასტრის ფონზე,
დუმილის ენით რაღაც სიბრძნეს გაასწავლიდა.

ჰო, იყავნ მშვიდი, ჩაუკვირდი შინაგან განცდებს,
ჰო, იყავნ მშვიდი, რომ შეიცნო სახება შენი:
განჭვრეტის სიღრმით მე დიდების სახელსაც მარქმევ,
ველის ყვავილებს განშორების სიმღერად მესვრი.

ბერძნული ვნება ეჭიდება ქაოსის ნიშნებს,
მათ დემიურგი უხასრულო ატომებს სწირავს...
დაფნის გვირგვინში გვიმარხავენ ამ ბოლო იმედს
და პრინციპული შემართებით გადიან ციდან.

რაღას გრძნობ, რაღას? შემიცხადე, აი, სხეულიც,
გადარეული შემთხვევების ხამკუთხა კონით —
სიცარიელე აქ ირხევა ერთი გრძნეულის:
გასცემს?... მიხია! — ამ გაცემულს სასწორზე სწონის.

მერე აწონილს ანადგურებს და კვლავ იზრდება,
არარაობას ელოდება ცოდვილი კაცი...
განა რა უნდა?... ალუბალი ბაღში მწიფდება,
ცხინვალის ჰაერს იქ ეზრდება პაწია ბავშვიც.

ჰა, სილაბუსი — ვატიკანი წარმოთქვამს სიტყვას,
რომის პაპს ცნება ეჩხირება ჩათალხულ ყელში —
ადამიანურ გონებასაც სიმართლით რისხავს,
შეცდომილებით გზაარეულთ სენაზე დევნის.

მოიცავს ყოველს და ყველაფერს აქვინუს თომა,
სიბრძნეს და რწმენას საგაზეთო ნაგლეჯში ახვევს,
აბსურდ-მთავსებელს ემსგავსება აქ კაცთა მოდგმა,
სათამაშოებს განულაგებს ჟამთა სვლის სარკეს.

საფეხურები გონის, ჭკუის და მერე ცოდნის,
საფეხურები სიყვარულის — ჯვარდები გზასთან,
შენს მკვრივ მუმუებს დასთამაშებს მიმწუხრის ზოლი,
შიდა უცნობი კანონების ფიცილის გარდა.

სვეტთან მიწვები, მეხუტები თრთოლვით, კანკალით,
უფლის საფლავთან ხვალ იწყება ის კრემაცია,
სული მოუხმობს, კვლავ მოუხმობს აქ მაწანწალებს
თითქოს ნაცების ფერობასაც არ ემალიან.

აჰა, ჯანსაღი, მიამიტი სურათი ქვეყნის,
ჭერ შეურყვნელი, კანტამდელი არსი მყოვრობის -
ამ საიდუმლოს პარადოქსებს ჩურჩულით მეტყვი:
მკითხავ;-გიყვარდი?- თუ გიყვარდი! თუ კი მოგწონდი?!

წმინდა ესსეებს ჩამოკვართავ ამ გაზაფხულზე,
სასრულობს შორით არ-გაგება ჯერ-ყოფილების,
წითელ ალუბლებს დამიკრიფავ ფუნცქულა გოგო,
ქრისტეს და ჩემი უპირობო დაძმობილებით.

კი რას ვერჩოდი მის სიკეთეს და მის ერთობას,
სხეულივ იდო მშვენიერი მზეობის რკალში -
უწინამძღვარო ფიქრებს დიდი ვნება ერთოდა,
ისევ ქრებოდა ქარ-ტანილი ზეობის კვალი.

ფორმათა ფორმას ეზიარა უსიტყვოდ, ჩუმად...
გაორებული ქვეყნის მიღმა იდო წადილი,
სურდა შეცნობა და ლურჯ ზეცას ახდიდა სუდარს,
ბიწიერების ღრმა ჭაობსა და ხამარტვილში.

ჰქონდა მიზანი სახელმწიფოს სასჯელის ფონზე,
ოჯახი ერთი ჩაენაცვლა დიდების სარქველს,
კლასთა დიდებას ქადაგებდა ურჯულო კაცი,
ამღვრეულ წყალში ის სიბეცის ისროდა ანკესს.

მიჰყევ, მინებდი, რა გენაღვლის, ღამეა გრძელი,
სანთლის ჩამწვარი ცვილის დენას გამსგავსე დღესაც,
სასოწარკვეთის მიგაქროლებს საწუთროს ეტლი
და ემდურები ჩვენი ტანჯვის საუფლო ბედსაც.

უნდა გაუძლოს!- ასე ამბობს,ყაყანებს მასა,
რკინის ნერვებში მას უწრთობენ ფოლადის საცობს,
აღსარებათა აღსარებებს ანცობით ბლანდავს,
ყინულს სულისას მიხი სისხლის დუღილი ალღობს.

მოუხმობ ისევ გზააბნეულ ეულ სიბილებს,
მას ჩვენი სამწყსოს ახალ გზებზე რონინი უნდა,
აიხდის კაბას, ნარინჯისფერ საფარს ჩაიწევს,
უფლის საფლავის ფერცვალებას სიყვარულს ურთავს.

ადამიანურს დაამთავრებს ბუნების პირზე,
თვის არ-ქმედებას სულ სხვა ქარით დაამოშმინებს,
გადაშლის ფეხებს მთვარე-კრთული დედის პირიმზე
ხეობებს შორის გრძნეულ ფიქრებს მიაბოგინებს.

ადი, აღზევდი, რაღას უცდი შიშველო ქალო!
აღზევდი, მომეც შენი ღვენთი, შენი ნაწამი
ჩაეკარ გულში ცივი ქვების ნაშიმარ ბანქოს
აღზევდი ისევ, ისევ მოხველ, ისევ ლამაზი.

შემდეგ კვლავ აგებ იმ წარმართულ ურთიერთობებს,
მამა და ქალი= დედა და კაცი - ახლა ოცნება-
სამწირველოსთან კავშირების ნარეკლი მიაქვთ,
მანებებ თავს და ისევ იწყებ ჩვეულ მოსმენას.

მითამამდები სამეულში - ფრიალებს კაბა,
ვითარც სიმბოლო უქორწილო ჩვენი ერთობის,
მას ეულები შენს ფიქრებში და მერე ნალამს,
მე გადმომიშლი...ჩემს დამსხვრეულ ყვითელ ოცნებე

გაატან ქარებს, შიშის გრძნობა გვერევა ისევ,
ის მირეული საფუძველი ჩვენი მყოვრობის ...
ბრბოც გაშმაგებით დიდ ქალაქში ჯიუტად გვიტევს,
პროდუქტი ერთი, უნიათო მეტამორფოზის...

და ჩვენც გავრბივართ ფროიდული თავგამეტებით,
ავსტრიის მიწას ებრაელის სისხლი ერწყობა -
აქ ნევროზების საქანელად გადამედები,
არსი პატარა, ეს პატარა ფირთი გოგონა.

გამოსავალი?!.. არ იწამო ღლენი, უბიწო,
ჩასახვას მოსდევს ნარკოტების მლევის კანონი,
თავში ვსხვისდები, აჰა, ჩნდება ქვევრი უძირო,
მიამიტ ამბავს გახსოვს მაშინ რომ მიაშბობდი.

ქვევრი უძირო... ჩვენს საწადელს ვინღა გამოლევს
ხელისუფლებას ვეჭიდებით მორჩილი ჯარით -
ვის გავექცევით?! ახალ სარმას ვინღა გამოგვდებს
ვის აღუმართავს ანტი-ქრისტედ წითელი ჯვარი!









ნუღარ მიყვები...დიალოგებს უწირეს წირვა,
წამოხვალ, წვიმის წამებული წვეთის ხვედრება,
ჩვენ ამ ქუჩების მოარული აჩრდილი გვიცავს
და ის ხინათლე უცნობ ლანდებს კვლავ აჩერდება.

კედლებზე მიხტის მიფერდილი აჩრდილი შენი,
ლოყების ნაკვთებს მე ჩემს ტუჩებს შვებით შევუშვერ
მას ეპარება სიმაბუნის ცხოველი სენი,
ნაზარეთისკენ მილალავენ ღმერთნი შეგზურებს.

თავს შევიკავებ...ან კი რაღა მომრჩება ხელში,
ხარება შენი, შენი წელის ნაზი სიმრგვალე,
უფლის საფლავთან უდღეური ცოდვილი გველის,
იკონოსტაზზე მკვეთ ოცნებებს პეშვით იმალებ.

იმალებ სახეს,შეგრძნებების სამეფოს მიღმა,
იმლება ველი, განუჭვრეტი ცოდნის მოვლენას,
სამართებლებში სამწუხარო მედეგად მიფრქვევ...
კანის სითეთრეს, შენი თმების ამაყ სწორებას.

ვერ შეგაშინებს ეს ხმაური და ეს წყვდიადი,
მათში იშვება უსასრულო ჯაჭვი შეხების...
ინტუიციით გამომიცან და სიდიადით –
მიშრიალებენ საქართველოს შვების ვერხვები.

მიშრიალებენ და სუნთქავენ:-შენია სუნთქვაც,
ჭეშმარიტების ქანდაკებას ამსხვრევენ მერე,
კაცს საამბოროდ შენი ბაგის მოკოცნა უნდა-
უნდა სიცოცხლის გადმოფრქვევა სხეულის მვერზე-

და იშვერ ხელებს,დიდი ლოცვით, დიდი მუდარით,
ამ ნალოცავში შენი მზერაც ჰაეროვნდება-
კანკალებს სადღაც ჩემი მტერი, ერთი მურდალი,
კაცი ბოროტი... სამუდამოდ სამაროვნდება!

გიმეცნებ ახლაც, წყურვილია ცოდნის უსაზღვრო,
ვიმეცნებ საგნებს, მოვლენების წყებას და რიას-
სიტყვის სურვილით მიმღიერებ შიმშილს უსახოს,
პარადოქსებით ალმინუსხავ ფაქტების სიას.

ოხერ-ტიალი კი ტრიალებს, არ ეცილება,
მიწიერება... უფლის სახეს გადაჰყოფს ორად -
ნესტორს ეგვიპტის ოაზისი მოესიზმრება,
ზის და ლოცულობს, ზის და ითმენს, ითმენს და ბორგავს.

ეს ღამეც ასე გადავიდა, პირქვექცეული,
შეკვროდი ძლიერ და კურთხევის ძალებსაც იხმობ,
მკერდზე ციმციმებს ორდენების მწკრივი ეული
ასე სატანაც ორ ბუნებას სახმილში ინდობს.

პირველყოფილობს მლიქვნელობის ცოდვის ვაება,
ისტორიული ირონია დასცინის მალვით -
კომპრომისების ბუნდოვანი ცილი ვარდება
და საუკუნეც მანქანების გრიალში გარბის.

აი, კითხვასაც ეკარგება თავის ელფერი:
„რატომ?„-არ ვიცი,რისთვის? -მან თუ იცის ღირსება
ფასეულობის ზედმეტობით გადმომედები -
ჩვენი შემლილი გადასრბოლაც აქ დაიწყება.

უცნობი კვეთის სამანისკენ ეპოქა გვიხმობს,
ხედავ ძველდება ახლის ცნება, შეგრძნებას ჰკარგავს,
ქვეყნიერებას განღმერთების ძარცვებით ვიპყრობთ,
დაეცა ქრისტე! შემცვლელი კი არა ჩანს არსად.

ხელოვნურია ყოველივე, ყალბია რწმენაც...
განწირულებას რჩება ახლა წარკვეთის ჟამი,
ბედს შეებრძოლე!- რა კარგია, იწყება დევნა,
დავრდომილების, განკიცხულთა იკვრება რკალი!

ეცემა?! რა ჰკლავს, იბრალებენ მკვდარსა თუ ცოცხალს,
სამყაროს წესრიგს აკისრებენ რუსულ მაფიას,
ამერიკელი ფულებსა თვლის და სინდისს ზომავს,
ნეტარიმც იმან - არაფერი არ გააჩნია.

მოსმენის ძირს და ფორმულების ფასეულ ენებს:
„მე შემიქმნია თურმე! მევე დავამსხვრევ საგნებს„
ჭეშმარიტების სამყაროებს აწვალებთ ბნედა,
ამ-ქვეყნეულებს უკეთრობა მიაქაქანებთ.

შორეულ მიზნებს ენასკვები ჩემივ სხეულით,
მე ეს სხეული დამცრიალებს დიდი ხანია...
მსჯის და მაწამებს შენი აზრი გადარეული-
თითქოს საშთობად ჩემი ცვინი მოგინახია.

მოგინახია,რას გიქადის დღეს ეს წარსული,
იყო. -ჩათავდა გაორება კეთილის - ავის,
ჩვენ მოგვაქვს ღრმა ლურჯ პერანგში ამოკვართული
ზედ აწერია:"ღმერთი ყველა მუნ-მყოფარს განსჯის."

განსაჯოს მერე და სიბეცე უზღოს ინტელექტს,
იმედს უცრუებს ღედამიწის მომაკვდავ შვილებს,
აქ პიროვნება მას ვედრებით თუ შეთფერებს
და კერკეგორი აზრს ანიჭებს მიფარულ სიბრძნეს.

ბუნებას ჰქონდა და სულიერ საწყისს ებრძოდა,
წარმართულ ლტოლვას, თავისუფალს ახვევდა ნებას -
მას სწამდა შენი სალამაზის, შენი ესმოდა,
ამ წვალებისთვის მას სიცყვების მორევში ხვევდა.

და სასიკვდილო სენი გიპყრობს შენ ესთეტიკის,
კეთროვან თვალებს გადააპყრობს ზეციურ დალლას,
ნასოწარკვეთილ რაობებში ეჭვი გიცინის,
აიშვერ ხელებს და მიცოცავ მაღლა და მაღლა.

და ამ ცოკლების ცრუ ჭიდილში იღლები ქალი,
ევროპულ მტვერში იგუნგლები და ითხოვ შველას,
ნიჰილისტური ოფლის ბული დიდ ქალაქს დასდის,
წინ კი უდაბურ წყვდიადს იქით ვერაფერს ხედავს.

განსჯაა ცივი, პრაქტიკული ფხიზლდება გონი,
ტრაგიკულ საზრისს ავბედითი ასკდება ფიქრი,
თვითუარყოფის წრეხაზებში შეგიცან მგონი,
აწმყოურ კაზას სამომავლო ეკლებით ივლი.

დაურჩი აწმყოს განყენებულს,ჯერ არ-შესწავლილს,
დინამიური თვალთახედვა სხვა ძალას გმატებს -
ვაგნერი ნიცშეს ჩაამწარებს ღედის შემახილს
უწყევლის ნაშობს, მოუკრულავს სამფერა გამჩენს.

იყო შემძლებელ და მსაჯულებს შეკრებდა კარში,
მეტაფიზიკურ არსს უნთობდა სანთელს ლოგიკურს,
დაუბრკოლებელ გონებაში დიდებას განსჯის...
და სამსახურად მოუწოდებს თორმეტ მოციქულს.

დაგვადგებიან... მაყრიონით მივუვალთ კახეთს,
გრემის სამრეკლოს ნატამრალი ჰანგი მოიცავს,
გულისხმიერთა მოგონებას სატანა არღვევს,
აიაზმის წყალს გვასხურებენ ნეფით მოტირალთ.

უზნობდნენ ასე...სამსჯავროზე წყალობას თესდნენ,
ნარგებელს ძმათა სადედაო სიმრუმედ თვლიან-
ჩამარხეს რწმენა და თვალდებით უცდიან შედეგს,
ეტრფიან მეკვლეს...და გლოვობენ საღამოს ცვრიანს.

რაღა აღხოცავს ცოდვას ჩვენსას, მზიანო ქალო!
ვნებაც უფლის განსვენებულ დროს ემსგავსება,
წინასწარმკობილ იასამნებს ვაზებში აწყობ...
და მეცხადები... საუკუნო... დაქანდაკება!

★ ★

众说纷纭，莫衷一是 ჩჟòნგ შუó ფēნ იúნ, მò ჩჟōნგ იī შì– იმ
საწინააღმდეგო შეხედულება, რომ ძნელია
გადაწყვეტა,რომელია სწორი

ისევ კრიზისი, კრიზისია ყველგან ყველაფრის,
ბადენის სკოლას უაზრობის საწყისი ახსოვს-
წვერბუღა მარქსი „კაპიტალის„ მონებს ემახის
და მშენებარე კომუნიზმის ჭაობში ახრჩობს.

დგას ებრაელი, აკრიტიკებს, მეგობრებს ესმით,
მეყრილობეთა საღავღავო ენა მერყევი-
ფილოსოფიურ სიღარიბეს ექცევა გვერდში,
შრომის და ბრძოლის საიქითო მანიფესტები.

რჩება ტყვეობა, ეს ტყვეობა სინდისის, მარცხის
მიაგანგაშებს პროლეტარი მსხვრეულ კომუნას -
ის სტრატეგიულ თეორემებს სიუხვით აწვდის,
თვითმარქვიათა გემ-ჩაძირულ უწყლო ფორმულებს.

იტვირთა მცირე...არსი იყო მძიმეზე მძიმე,
ჩვენს სარეცელთან ეძიებდა სულელურ განცდას,
საპყრობილესთან განსაგმირად შავი ბრბო იწევს
ეძებენ მტყუანს, ამცირებენ სწორსა და მართალს.

განიბანება... ის ნაცემი ყოფილა მწარე -
მოძღვრავს მოშიშართ, სიყვარულში რა ემოძღვრებათ,
მიდის ვერ ხედავს, ის ვერ ამჩნევს დაგებულ მახეს,
პირზე მოიფრქვევს ემბაზოვან გადაღონებას.

მოშორდი, მოსწყდი... ყოფიერი დაჰკარგე წამი,
მოშორდი სოფელს, მოღვაწეთა ამ მეუფობის -
შობილ ყოფილა მაცხოვრისად და რაღას ჩადის,
დედას განწირულს მიადგება ბიჭი ურჩობის.

დღესასწაულებს თხზავენ ახლაც ელეგიებით,
გარმიიქცევა ვით ანბანი ზღვების წერაზე -
არარაობის ფსკერზე ალბათ მელოდებოდა...
განურჩეველი ბოროტებით შენი სინაზე.

წარწყმედილ კაცთა ჩანს ნაჯოგი ექსისტენციის,
აღსრულდა საქმე, განაჩენი სისრულეს მოვა -
ასერგასული მფოთი მოსდევს მას ინერციით,
ჩაყოფენ ხელებს და მოჰგლეჯენ ნაწლავთა გროვას.

და მერე ცეცხლი ეკიდება ყველას და ყოველს,
უცხო ენებზე ქართულ წყევლას კურთხევად ვთარგმნით,
ხედავ, მიყვარდი!-სიყვარულით შენთანვე მოველ,
ქვეყნის შემქმნელი, მისი დვრიტა და მისი მარღვი.

მათ მოჰკლეს ღმერთი,ჩვენ ვიცინით ჩვენს სარეცელთან,
სიბრიყვის წამალს თვითმფრინავით ფანტავენ სადღაც -
მოსდევს, მოჰყვება მას ვაების გადაფერთხება,
სახეპირს თვისას სისხლისფერი ფუმილით კაზმავს.

სიმრავლე იწვა ვით რიცხვების სასრული მწკრივი,
კაცით მობილი ქალნაშობში ეძებდა მაშველს,
ციფერბლატებზე მოღიმარი ფაუსტი გვიცდის
და ქვეყნის რისხვას სამუდამო სახელად გვარქმევს.

ვეღარ დაიღწევს თავს მითების საპყრობილედან,
სისხლის და ხორცის იქ იწყება აპოთეოზი
წმ. ნიკოლოზს ძეგლს უდგამენ ტოლენტინოში
კავკასიელი დღეს გამოჰყავთ მავზოლეუმით...

მიასვენებენ...კედელია ეს გრძელზე გრძელი,
გრანიტის ფილებს შავი ჩექმის ქუსლი ესობა...
ამ მოედანზე ქრისტიანულ ემბლემას ჰყვები
და ტრიბუნებზე ჰქუხს და მოსჩქეფს სიტყვის ღრეობა.

მიასვენებენ...ათასწლეულს მივყვებით მალვით,
აღარას სწყალობს ბოლო უფლის მშობელი დედა-
თავს ხდიან კუბოს და აყრიან სახეზე ვარდებს,
შვილის ლოყებზე ჩამუქებულ ხალებს-ღა ხედავს.

მიასვენებენ...ჰო,რაზზუნი,დამლოცე ისევ!
წესთა ზესკნელში ის გვირგვინი დაგვადგი მალე,
მხატვრულ აზრებში ემირები უდროო ნივთებს,
თითქოს მომავალს ეცილება დიდების მაცნე.

და მიასვენეს...დიდი კაცი - დიდი კუბოთი,
მაღაქის ქვებზე ბაღისფერი ეკიდა ჯვარი -
ძეგლისწერაზე საგანგებო მრჩევლად უნდოდი,
თოვლზე ფრთხიალით მიათრევდნენ ლოცვები მარხილს.

ჩამობინდდება მდინარის პირს...ქარვდება მოლი,
მათ უჩვენობა ურჩევნიათ სათნო მაცხოვარს,
დაფნებზე სევდით ლივლივებენ საოცარ ზროლში,
ევედრებიან უკანასკნელ ქვენა სათხოვარს.

ტანაყრილ ტევრებს ხავსი ესხმის სველი ხაოთი,
დავათენდებით ჩამცვრეული ხეების ტოტებს -
მომართმევ ლუდს და ასე უცხოდ, ასე მარტონი,
სევილიაში მოვიკითხავთ ჩვენებურ ბოზებს.

რატომ მიმძვირებ ამ სიცოცხლეს სიშორის ქალო!
ტყემლებს და ნუშებს შემომიწყობ ქარ-ყინვის მეტად,
ჩვენი ყურძენი აქ ჟაზური ცრემლებით ვაზობს
და სიამაყით გადატეხილ სალამურს ხვდება.

მუმუმცეს ვემეზ...ოფანცება ნისლი ზაფრული,
მი-საცუ-სია.- თვითმკვლელობას ქალაგებს შინცო,
თელ-ავივს ზეცა ეჭიმება გადაბზარული,
ურიცხვ ზვინებში მოგძებნიან საღამოს მიცომ.

აიდგამს ენას...ხევის ქარაფთ გადანაფრენი,
მზის სხივში ბუგავს უღონობას მე ჩვენმიერი,
თვალებში გედგა შენ ზღვისფერი,და მათ ახელდი
უფსკრულის პირზე...ამდენ წყლულში შემეძვირები.

ნასისხლარ ქვიშას ჩემი დარდი გააცანს ნუგეშს,
ვინძლო, გავუძლო ამ სიხარულს მწიფობის ყამზე,
რაღას შევთხოვდით...აკივლებულ ცკივილებს ურწევს,
მისი აკვანი მანგლისეულ წვენსავსე ჯაგებს.

იქ,იმ ჯაგებში ნათელდასხმულს ვპოვებდი საზრდოს
იქ, იმ ჯაგებში მისრბოლავდა ბავშვობა ერთი,
წვიმა გვისრუცავს ამ სამშობლოს საწიერ სალბოდ
ვარდება, დგება, კვლავ ვარდება იმედი დედის.

დრამათა მორევს აქ მეცრული სიგიჟე მოსდევს,
რაღაც უჯრედში ჩაკეცილი მეშლილი გიცდის,
გადაიბირებს ის პარიზულ საჯარო მოდებს
და რესტორნიდან მყრალი ბაზრის ლოდებზე მირბის.

დაუთმე ახლა, იყავნ იგი,რაცა ხარ მართლაც,
მიიღე,დასთმე რაც გეკმაროს ამ განსაწირში,
განადგურების პირზე მისულს გეწყება ალბათ,
საჭიროების დრო-დამდგარი სვე-სამრახისი.

ევსება მუცლის ყველა კანის საშო-საკეცი,
ლიცონ ნაუბარს ზღვების გიჟურ ნიავებს აცანს,
მომდის მომყვება და ოთახში მიბნევს საკმეველს,
ვანებებ თავს და ყრუდ მომმახის რღვეული მასა.

და არ მართლდება...კეთილსრბოლავს ქალი მორჩილი,
მცირეგანზრახულთ დღეს აღავლენს სურვილებს თვისას,
ღამით ქადაგად შემომდგარი ღმერთი მოსცირის,
იერუსალემის მრავალცანჯულ კურთხეულ მიწას.

შეეძლო შესვლა...ცოდვებს გმობდნენ რისხვის სასჯელში,
ეუბნებოდა:-შენ გეძებენ დიდების ნაშთად,..
შენთა მცნებათა სამეტყველოდ წერდა გამჩენი,
სამოციქულო განშორების სანუკვარ ბარათს.

ეუბნებოდა და მობღვრავდა:-„იკმარე ერთი...
ზრახვანი უფლის საშადლობლო მოწყვეტად დარჩეს!...
მას შიეკედლე, ის გფარვიდეს,მხოლოდ მას ენდე,
სამარის კარის გაღებამდე მოთმენა გმართებს.

ასეც მოდიხარ და მეხვევი და მეკონები,
ქალი ვითარი... ნატვრისთვალი, ზესთასწორება...
ქარს ეხუტები სამონაზვნო კაბის ფრიალით,
ღვთის სანახებში აგიხდება ძველი ოცნებაც.

-ნუ მეფერები, ამის ღირსი როდი ვყოფილვარ,
ატროპატენას ნიადაგზე ისლამიც დავრგეთ -
იღვრება სული საიდუმლო სახარობლიდან,
დემოკრატიის ნანგრევებზე ვიშენებთ სახლებს.

გიშენებ... იწვის და ინგრევა ქალაქი-დედა,
გიშენებ... ერთა საუკუნო ზომებად მრჩები...
აქ ამ საფლავთან გესტუმრება ახალი ზნედა,
თემოჩაშლილი მოსიკეთე ქალწულის ფერი.

იყო და რჩება მოთქვირული სხეული სტანჯავს,
ცივი ცხედარი დაუსჯელი ვნებით ეკვეთა -
ვინლა დაუდევს საგიჟეთში თავკვეთილ მართალს,
სამარადისო სიყვარულის მეგლად ხევდება.

და ეს მიება იქ გრძელდება ეს რა ხანია,
წელნი ათასნი ტალღებივით სწყდებიან ნაპირს,
დიდება მისი აზრემუმში მოუქარგია ...
შეუღებს გულს და თავის სარქველს სიმწრისად ახდის.

მოინანიებს ანგარებას ბოროტთა ქალთა,
სიტყვაძუნწ მამას აჩერდება ბიჭი ფორთოცით,
მიაცუნდრუკებს დედაკაცი შურსავსე სახვენს,
სარცხვენელს ერთვის მოსაწყლისთა ჩუმი ხორხოცი.

ღირს იყო სიკვდილს...მაგრამ სიკვდილს ვინ აღირსებდა,
ძვირმომეცყველე მეძავს ჰგავდა სატირიონი-
ვნებადაცლილი ფიქსაციებს აირიდებდა...
ისიხასტების კურთხეული დგას ამბიონი.

    ამ ამბიონზე ჯვარს დაიწერს ლამაზი გოგო,
    ხორცთა სამყოფელს სამარცვილოდ ანდობს ნირვანას
    ადგილი ერთი - მიწა-უწყლოდ შეგრძნებებს უქრობს,
    მზესა და მთვარეს მოუსახავ ბოლოდ ისახავს.

ამ მდინარებას მივყვებოდით...მეწამულ ფერებს,
ყველა საწყისთა ხელოვნების ტყვეობას შევრჩით,
დიონისური აპოლონურს არრას შეარჩენს-
საუკადრისო სიტყვათ ხროვას ტკივილით ეტყვის.

    და ქველ სიჭარბედ დაიფრქვევა ქალის სიტურფე·
    ლივლივებს ვნება-მოწყურებულ კაცის ლოდინში-
    ნელსაცხებელნი ნარდისანი საკმეველთ ივმევს,
    დიდი რამზესი ესარჩლება წყეულ ოზირისს.

სძულდა ადამის მოდგმა, სძულდა არსობა მისი,
არარაობდა შედეგების მძიმე რებუსში,
ის გამოცანას ამ ცხოვრების ანცობით იხსნის
და სათუოო აქტივობით მისდევს მეგზურებს.

    და ავიწყდებათ თვით-განსახვის პროგრამა მთელი,
    დაპირებების თქეში დგება დროა არჩევის -
    ხალხი უცნაურ მეგრძნებათა მკურნალებს ელის
    და მის მელახულ ზმანებებში ჩვენ ვიკარგებით.

ვითარმედ იხრწნის განსახრწნელი ის ნათესავი,
ნებაჲ თვისი მამათ თვისთა არ უპოვნია...
მიეტევების ცოდვასახულს ... გაერთებაში,
არცოდნის არსი - შემეცნების არსი ჰგონია.

    შეიცან თავი! - ეთიკური ჰკივის სამომღვრო,
    შეიცან თავი! - სიკვდილის და სიცოცხლის ზღვარზე,
    გონებაჩლუნგთა დარიგება გვესმის საგონი,
    მას პესიმიზმის მძიმე ჩრდილი სიშავით ავსებს.

სრულ იქმენ თავი! – ასეთ მახილს ვერ ურიგდები,
აქ ქიმერების ნაცოდვილარს ვინ გაასწორებს,
დაეხმარება ცრაქცაცების მზიდველი კაცი
და სარეცელზე მის ნაზ სახეს მოისათნოვებს.

შეიკრა ჯაჭვით, პირქვემხობილ ქვეყანად იქცა,
აღიძვრის ცვინის... სითხე-დენილ ცეცხლს ემსგავსებ
გოგოს ვარდისფერ თეძოებში დაიდებს ბინას,
მისი ცუჩების ფერმკრთალ ღიმილს ეკანკალება.

იძვრის გოლგოთა და სითხეში იწვის საფლავი,
უწინარ დღეთა განსასჯელი სიმდიდრეს ამცნობს,
მიდის საითღაც მიფარფაცებს ვიღაც მავალი,
რომ მოიძიოს მიკარგული საუფლო სარძლო.

და აბსოლუცურ უსასრულო აქცში ვეხვევით,
საინცელექცო სარეცელზე შენს ხორცს ვუცხადებ,
დედისმობილა ერთგულებას და შემეცნების
მკვდრეთითაღდგენილ მოქცევის დღეს არ დამიბარებ.

ასეც იქნება არსებულის შეცნობა გოგოვ!
საკუთარ თავში იხედები – არყოფნის სარკეს,
განპიროვნებულ სათამაშოდ მოიღებ ბოლოს-
„მე„-სა და „შენ„-ის საუკუნო გზაგასაყარზე.

რას დაუშავებს ნიცშეანურ სამყაროს სული,
უნაწევრებელ აზროვნებას მყოვრობით იცავს,
უმიზნობათა უმიზნობას ებრძვის სხეული-
მარადიული წრებრუნვებით მაღლებას ფიცავს.

ფიცავს ვით ვნებას, ვითარც გრძნობას დაუოკებელს,
ფიცავს ვით ცვინის საზოგადო თვითგადარჩენას...
სიცოცხლეს ფიცავს ვით სიმართლეს განუორებელს,
ვითარც სხეულის იერარქიულ ამინანქრებას.

ჩაწვება, იხდის... ფერმკრთალია მშვენება მისი,
აპოკალიპცურ მოლანდებებს ელის ფარულად,
რაღას მიირგებს თავგასული, თავდიდა ბიჭი...
გაერთებული საზრისებით გადაბანგულა.

ვისლა მიბამავს, გონით თვისით მე შემეწევა,
განკურნავს სიტყვებს, მადლით ჩაჰბანს წერტილს და მძიმე
წინდაუცვეთი პაპი რომის დაიყვედრებდა,
სავატიკანოდ ამოვსებულ ფუფქულა ბუთხებს.

თავისუფლება... მიწიერი სამოსი სძვრება,
იმხაქვეყნეთში ექარმება განსახვენები,
თავშესაფრულად უკვდავებას განიწყობს ხვედრად
და შუნიატა-ს მოზმანების არდადეგებზე.

სიცარიელე... ბუდა ეტრფის სიცარიელეს...
იყო და არის და იქნება უკვდავი რწმენა -
სამყაროს კარებს მისი სული აგონიერებს,
როტონდას სვეტებს შენი სუნთქვის დინება შესძრავს.

ასეც ესმოდა ის სიწმინდე შეშლილ ბუმბერაზს,
ევოლუციის ყველა დონეს შიგნავდა შენში,
აგებდა სქემებს და ნახაზებს წყენით უშიფრავს,
სუბსტანციური ფერცვალების საოცარ მერმისს.

დაექსტაზდება მისი ბირთვი და აზროვნება,
შენი სხეულის ნაზ მინანქარს მიელტვის კაცი,
ილუზიების დისკრეტული გადაბომება -
მისი მითების დამსხვრეული სამყარო არის.

თავის თავს აღწერს, ვითარც მიწის პატარა ცენტრუმს,
წყალობს,აზუსტებს ამ უბიწო თანმიმდევრობას-
მათემატიკურ რიცხვებს უწყობს მგზნებარე ფერხულს
სწონის და ზომავს საქვესკნელოდ თავის შეობას.

განიქარვება...მას დარდები სწყდებიან ოდეს,
ფსევდოზნეობა უკანასკნელ შენდობას აქრობს,
თანამიგრძნობი ფორმალური სინდისის ფონზე
და მიწვებოდი ღამის სარძლო...ფერმკრთალი,მარტო.

კოიტუს ტრისტე - ყამი დგება იმპოტენციის,
ფეხებს შლი სათნოდ და კანკალებს ხორცი გვემული,
უფლის სამეოდ სამწუხარო სიტყვებს მოისვრი,
თითქოს ანგელოსთ გვამი მისი ახლაც ემდურის.

ეცემა ყოვლი და კნინდება ჩვენი დიდება...
აქ, ამ დიდებას მიჰქოლავენ ზღვების კენჭებით,
სულს სტკივა რაღაც, სული ჰკივის და ატირდება
ვითარცა ბიჭი მოტიტინე - სკოლის მერხებზე.

და იმ სათემო კოლექტივებს ვასწავლით ჭკუას,
სახალხო ინსტინქტს სახელმწიფოს კალთა ეფარვის,
განუკარგებელ ბრძანებებში გვესტუმრა ურვით,
დემოკრატიის სიმახინჯის ერთი მეკარე.

გვიყვარდა როკვა და ბედმალზე იჯდა ამური,
ბორბალთ ფუნქციით იყვლიფება ეს მთლიანობაც,
საბედნიერო იერარქიის მივეც დასტური,
სახებას შენსას და შენეულ ქრისტიანობას.

და გაგვცემს ქცევა - ეს მოქცევა ზღვისა და მიწის
ამ მისწრაფებას ნიღაბს ხდიან შენი მშვიდობის,
უფლის საფლავთან დამსხვრეული გონება გიცდის,
პალესტინური ათეიზმის მიამიტობით.

ახალ რეგრესებს გვიმემკვიდრებს პროცესი ძველი,
კომუნისტური ჩვენ გვბარდება დიდი პატაკი,
დგას ავრაამი მორიასთან სამსხვერპლო ვერძით,
რაღაც კავშირებს ადონაის მერეც ჩააბრის.

ჩვენ კი კავშირი გვინდა სულ სხვა, თოვლივით სუფთა,
კოსმიურ წყობას რეფორმული კანონით ვანთხევთ,
განვითარების ტენდენცია წყალივით უნდა
დედა-მარიამს... სანეტარო ფიქრების გამდელს.

აღავსებს სარწყულთ, მოიპოვებს პურებზე ღვინოს,
თვრება, შტერდება და ლაღადებს წარმართთა წესით,
სარეველური შესევია საფრთხობი მინდორს
გეთსიმანიის სამრეკლოსთან მომავალს ელის.

თუ საქონლური მიმოქცევა ჰგონია კარგი,
თმა-შეპოხილი - საგანძურებს მოისაწყლისებს,
მეძავი დილით სადღეისო კლიენტებს ვარცხნის,
საპარლამენტო შენობების სემირამიდებს...

ზიან ბაღებში და უსმენენ ყვავილთა სუნთქვას,
ორმხრივობაში იფერფლება სახება ჩვენი,
საფლავის პატრონს მონაკლისი წირვება უყვარს,
მიგვარონინებს გე-ჰინომის მიუვალ ხევში.

შუაგულს ვემებთ და ცხადდება ათენეუმი,
ბუნების ენას იეროგლიფთა სანაცვლოდ ვაგებთ,
„ჰიმნები ღამეს„ და რატომღაც დუმს ნოვალისი
სიტყვის მაგიურ ფრაგმენტებში მოსმენის გამჩენს.

ქადაგებს, იღწვის დიდი დროის მასწავლებელი,
პრედიკატების თვალსაზრისზე დგება ნიადაგ,
რაღაც სტატუსის მიგვაქანებს მატარებელი-
რენესანსების გახსენებას გულში მინახავ.

მინახავ ქალი, შენს შიშველ წელს ვეხები ახლაც,
მურისმიების სანეტარო დგება საათი -
მისი სიკვდილის ჩამჭნარ ვარდებს ამ ღამეს ატან,
მიდიხარ შენივ სიფაქიზის გრძნობის ტაატით.

ელის და საზღოდ მოისურვებს ფერისცვალებას,
არ დასჯერდება პროტესტანტულ წიგნთა სიდიდეს -
აპოკალიპტურ საგონებლებს ჩაენაცვლება,
შეჭირვებებით განწირულის უცხო კივილით.

მოკვდა და აღსდგა არ ყოფილა ეს საკმარისი,
მიწიერ ხსნაში ხორციელი ქრება ბოროტი,
მარადიული მითით ცოცხლობს დღესაც მარტვილი,
თამუზს ატტისის ნაწამები ხვდება კოლოსი.

განიცდის, იგრძნობს, მაღლი გამჩენს რომ არ წაიქცა,
წარიდგენს თავს და ქალს ლოგინში დაიმორჩილებს,
„მონათა მისთა ცოდვილება„ რაღას დაიმრა-
კუმშავს და ზღუდავს აბსტრაქტული რიგის ფიქციებს.

საერთო ცნებებს შემიბოჭავ ზევების ღამეს,
მიდის მიჰყვება უნდობელი სირცხვილი ქალის -
მახარობლების გუნდთან ერთად ნაზარეთს არჩევ,
თაბორის მთაზე მოგერწევა აკვანი ბავშვით.

და პროვინციებს ეფერთხება ულევი რწმენა,
სკანდინავები დამარცხებას როდი ბრალობენ,
ოსლოს შენობებს პოეტების ეწყება რწყევა...
ფილოსოფოსთა უგზო-უკვლო გამოსართობზე.

ემებდნენ, იყვნენ ლიტანიის ჩუმ ტყვეობაში,
უარყოფითი სანქციების რკალში ვექცევით –
ჩვენ ამ პრინციპებს მივასვენებთ დიდ სალოცავთან
და მუნ, მავფერში სხვანაირად ავმეტყველდებით.

უყურებს, უცდის სამაისო გამოცხადებას,
ჭეშმარიტებას დაეძებენ ნაღლაც უვლეთში...
ინტუიციურ შემეცნებად აღმოსავლდდება-
დასავლეთური ცრუ მეგნების ფუჭი ნუგეში...

იდეალების სანეტარო სამეფოს ვტოვებთ –
საჭიროება დასკვნებს ესვრის ზნეობის სამწყსოს .
ანტითეზური სიხამდვილე ბორკილში ჰგოდებს,
ტუტანჰამონის საფლავს მარცვავს სიქველის გამო.

ზურმუხტის გრაგნილთ ოკკულტურად დასცემს ჰერმესი,
ანალოგიებს ჩაუწნეხავს დიდი კანონი,
ფუნქციურ ზღვარზე ახსენდება ბაღი ედენის
ოპერატორობს თელ-ავივში ბოზი მთავრობის...

ხიმვის და ლპობის, პირველ ქალაქს რა მოიტირებს,
ებრაელობა მემარცხენე ჭაობში ქრება,
ოპორტუნისტებს საზეიმოდ მიმოასწორებს,
კითხულობს ფსალმუნთ და იობის სიკვდილით კვდება.

ასეთ იმედებს შემოქარგავს ის მწუხარებით,
სწონის სასწორზე, ეჯამება ლოცვის მონიტორს,
დიზენგოფურად ამ საზოზეთს მივემალებით-
და ძველ სიმღერებს შემოგვირღვევს ჩვენ საზოგინოდ.

ხელი ხელს ხვდება და ყოვნდება ჩემი გულისთქმა,
მიზიხარ, მიფეთქ, ვით ენძელა ცვარში ნამული,
შენს შიშველ სხეულს მოვისანავ, ამას უცდიდა
ჩემი ტანჯული წაკივლება ხორცად-ნასკვული.

ნადავლს იჩემებს აჯანყების მოთავე ჭყირპი,
სძარცვავს და კრიბავს შემოძარცვულ ღობეთ სართულებს-
ცისფერ ტალღებზე გედის ბოლო სიმღერა ისმის,
ჩვენს დაუღლებას ის სიხარბით მიამავთულებს.

ჩაენასკვება სული სულს და ამ მარმარილოს,
ზედ დაემჩნევა კვალ-მიება ჩვენი ნავალის...
მოვალს უფალი, რომ მველ ხატთან ჩვენ განგვადიდოს,
გასამგზავრებლად გვიწირვებენ სათნო სამზადისს.

და ამ ბუნებრივ წაწლობაში დამინთობ კანდელს,
„შენ ხარ სოფელი,- ამ სიტყვებში მიგვემინება-
საკურთხევლებზე შენს თეთრ ლოყებს შევფიცავ „მენდე!“
იერუსალიმურ ჟამთ-საწირველს მიეწირება.

მყოვრობდი ვითარ...მაგ ლამაზი მუცლის საფენით,
მეუნჯებოდი საუნჯეთა მავალ პირობად,
ხელ-გვამ-ეწიფის მეუფესაც ეს განსასჯელი-
იცის? იცოდა? ან კი იქნებ სულ არ იცოდა!

მომხედე ისევ, შემომხედე, მოგწონდე იქნებ,
იქნებ მეუძლო შემოგზედო ლამაზო ქალო,
შენ სამოსელით განიძარცვე, მოიძერ რიდე-
ჩემში სუფევდე, მხოლოდ ჩემში და მხოლოდ მარტო.

თუ მას ეშურვის განსაკითხი, მივუგოთ სიტყვა
სიწმინდეს გვთხოვდეს მოსაგებელს ან რას ემდურის,
ჩვენ ვეძიებდეთ და ვპოვებდეთ სიყვარულს მიზნად.
ქვემაგებს გვიძლის მეგობარი ერთი ხევსური.

კბილების ღრჭენით პროსპექტებზე გაშლიან დროშებს,
მიდის და მივალს სასიდედრო დემონსტრაცია-
მე ჩემს თბილისში ვენაცვლები მშობლიურ კორდებს,
ბოტანიკურზე საბაგირო გზებით ადიან...

ცოცხალ ლაჟვარდში თაღებს ვითვლით, ვარდება ჭერი,
კაპიტოლების დახეთქებაც ყრუ ხმას გამოსცემს-
თვალის გუგებში მისი სახე მდუმარედ რეკლავს
ქერუბიმების ნაკეც-ნათალ წმინდა სამოსელს.

ციანიდს მაწვლის,რკინის ზარდულთ აღარ ეშვება,
ანაფორელი შემლილივით აწყდება ცხაურს -
ის უცდის ალბათ კანონების გადაწესებას,
ჰაერჭავლური მეტყველების საბოდველს ნატრობს.

ბარსელონაშიც გნახე,ვიცი უვლიდი რამბლესს-
ზღვისკენ მიხმობდნენ საოცნებოდ ის იალქნები,
ისტორიებში ჩვენ ვეძებდით სიცოცხლის ნარჩენთ
და სასტრუქტუროდ გახრწნის ღმერთებს მოვიაზრებდით.

მოვიაზრებდით,შობა იყო,სთხოვდნენ მღვდელთმთავრებს,
განიხილავდნენ...აღსასრულთა ხილვად გვესტუმრა -
-აღსდექ! ვიდოდე! -ნათელს სცემდნენ ბერნი ზეკაცებს,
სართულთა ზედა ტაძრისასა...მამისმკვლელურად.

დაუშვებ ხელებს,ტავერნების მწკრივს რაღა ეთქმის,
საჯარო ტუსაღს შემოახევს ას-ერთ საფარველს...
ის ამ სიმღერას საარმიწო კამეად იქცევს
და ორიენტირს ჰორიზონტთა ხაზზე განაგებს.

მე ამ პიროვნულ ნებისგებას აღარ შევრჩები,
სოციალური უცვლელობა ჩვენს წილად ვრაცხეთ...
პოეტურ წყობას მისტირიან შენი ფერდები,
შენი ხმის თრთვილი მეუფებას ქვეყნისას მარქმევს.

მიზიხარ ნაზი...საკალთური გერხევა ქარში
და გეუფლები მდუმარების ლოცვა-ვედრებით,
მე უსასყიდლოდ გამოგიტან ვარდისფერ მანდილს
და სასუფევლად შენს სასთუმალს შემოვეხვევი.

რად გვინდა მეტი... შეიწყნაროს ყოველი ღმერთმა,
ლერწმისეული ანგელოსი ვიდოდა ღამით -
ვაღიარებდეთ მის სიდიდეს... სამყაროს გრდემლი,
გვცემდა ულმობლად ჭკუაშეშლილ კორიანტელში.

ისხდნენ და ქმნიდნენ პროგრამების დიდ საპროექტოს,
სადღაც თეატრში კაცუნები მართავდნენ დრამას
და იდო ბნელში სპირალური განმეორების
ულოგიკობის საუცხოო აზრების ბარგი...

და ამ საგანძურს კულტურათა სასაფლაოთი,
საჩუქრად გართმევ ამოუხსნელ ძველ ამოცანებს,
მოჩვენებითობს პროექტორი ნასაკლაოზე-
„ჩვენ“-ყველაფერს და „მე“-არაფერს რომ წარმოადგენს.

ჰა,ახალ სტანდარტს ამყარებენ...პიკადილისთან,
ვყიდულობ სურათს, ზედ მერხევა შიშველი ტანი,
თვითგანსჯის უნარს დავუკარგავთ ჩვენი თილისმით,
დაითრგუნება კაცი ღმერთში და ღმერთი კაცში.

და ბორგავს მასსა, მასსას ახლა რა გააჩერებს,
მისი ღუღილი ღუმლის მაღალ გრადუსებს სწვდება-
მე ამ ღუმელში მას ძვალს რბილში გადავუსწორებ,
მლოცავდე ქალო, ჩვენ ორივეს გვფარვიდეს ზეცა.

და დოლემების სამეუფოს დაგირთავ დილით,
დიპლომატური ყინით არღვევს კაცუნა წყვდიადს,
მთელი სიცოცხლე მომძალებულ ნაჭამში მიდის,
ჩამჭნარ ყვავილებს მომჭ[illegible]ნენი დანებით ჭრიან.

შესცქერის საგანს, ვიბრაციით გამოსცემს ბგერებს,
მომწყდარ ქარიშხალს მწუხარების ლოზუნგით ფარავს,
იყოფა ორად და შეუცვლელ ღვთაებრივ ხედებს,
ჩემი ოცნების თეთრ კედლებზე ზევებით ხატავს.

და მონაცრისფრო ხეივნებზე ღრუბელი წვება,
იკლებს, იზრდება...განსაზღვრული ერთის ერთობა,
სახემიღრეჯილ მანეკენებს ფერდები სცვივათ,
სახელგატეხილთ ავიწყდებათ ძველი ხელობა.

შენ კი მომმართავ ამ საფლავთან ქებული კითხვით:
ვითარ და როგორ?-არა, რატომ!გზაც იგივეა...
მანკიერ დროში იჭედება ბორკილი მისი:
უსაშველობა ცრემლი ჩვენი და სიგიჟეა.

მე მეკიდები,ვითარც მიწა კოსმოსს უსახოს:
საძაგელ არსებს მონოლითურ რეკლამად რაცხენ,
თმაგაწეწილი ქალი მირბის რომ მას უთავოს,
თოვლი კი სიცხეს წარსულისას ზაფხულზე ბარდნის.

სწავლულ ბელადებს რა გამოლევს, დიდია ცთომა,
სეანსს იწყებენ და ეკრანზე ჩნდება შემკრთალი,
აკეთებს, ილწვის...რას ღაღადებს ან რაღას ბორგავს,
ენერგიული თვითქმედების ერთი ზეკაცი.

გახსოვდეს, გწამდეს ეს პროცესი საშუალედო,
ნუ ჩაერევი, სისხლშიც ჩემი ნარწყევი ლხვება,
კარნე ხიჭინზე ამორძალნი საომარ ექოს,
სევდანარევი მდუმარებით უწვდიან ხელსაც.

ბუგაფუგებში ელვიმებათ მესაფლავეებს -
ახალ ჰებრიდებს ოკეანის ალერსი უნდათ,
ჩრდილს დავიწყებულს მოაბეზრეს თავი,- გარეშე
დაცინვით აფრქვევს კამკამა ცრემლს მელომოს სურათს.

და იქარგება ყვავილებით საწოლი მისი,
სევდა-ღამეულ მირს ემდურის დიდი სხეული,
ჩაყლენთილ კუბოს მიქივქებულ ბიბლიას უშლის
და გვასამარებს, ვითარც ნისლებს გადარეულებს.

* *

წრ́ ბუ̀ და́ ია̀ – სიტყვათა ენას არ შეუძლია აზრის გამოხატვა

და ახსენებენ სიკვდილისფერ უფლის რაობას,
ვერცხლისმოყვარულთ სიმუქვილი კეთილის უცდის,
მვირმწყალობელთა სიცრუეში იწყებს გალობას
დამუნჯებული ანქორელის სახვრული გული.

განმეორდება?! უსაზღვრო ტკივილი ბავშვის,
გადასჩქეფს სხივებს სიმშვიდისა და სათნოების,
ჯვარი თალხისა რაღაც შავი სივრცისკენ გარბის,
შენც უძილობა გეპარება ამაოების.

ყოფილა ერთი, ერთადერთი ვით შენი კრთომა,
ყოფილა საგან,არა,. ჰაერ ან იქნებ მიწა...
უფერო წყლებში მარიამმა მე ღვთისა შობა
და ბეთლეხემში სამუდამო დაუდო ბინა.

არ მიტეხ ფიცს და შეჩვენებულს მომყვები ცოლად,
უკანასკნელი ყოფნის დგება ჟამი უსახო-
ხარხარებს მწუხრში მოლანდება და ისევ ბოდავს
რომ მოგონებებს ძველი ვალი აღარ უხადოს.

რა არ ჰგონია?! დასჩურჩულებს ტაძრის კედლებთან,
დამეცი ჟენევ, შენ ალმაზევ! აქ საარვებოდ,
პატარა გოგო სოფლის ნახირს მიერეკება,
რომ ცხელ ქვიშაზე ცივი ძუძუ მიუსახელოს.

მიუსახელოს, მერე ისევ იქნება მარტო...
დარჩება ხსოვნის სავალალო ფინთ გამოცანად,
ამ ზღვის ტალღები ჩემი იაფოს კბოდეებს ხრავენ
და შენს ნაწნავებს თოკად გრეხენ და გამომატანს...

გადაგასვენებს ბობოქარი მურუხი პონტოს,
პონტოც ჩაგლოკავს, მაგ თეძოებს შეუღვრის სითხეს,
მოგეწალდები ბორდოსფერი დერეფნის ბოლოს,
თავშეკავებას ვაყიშვილურს სისუსტედ იღებ.

სანტო-დომინგოს მათხოვრები ჰყიდნენ სიგარებს,
პარიზულ ბულვარს კლინიკური აწყდება კვნესა-
მოხეტიალე სინდარელას სახლში მითავსებ,
მეტის ქმედებას ალბათ იგი აღარცა ბედავს.

რიგზეა ფრონტი,წვიმა წუწავს ჩარაზულ დუქნებს,
იქ დამასკოში ქალის ხელი მეხება, მშივა,
დამფუძნებელი კრება მიდის, კამათელს უგდებს
პალესტინელი მეცილება სამარის მიწას.

და ქიმერები უდაბური სასტიკი ნგრევით...
ქაოსმეტყველი ბაგეების ვრჩებით ამარა -
ღიმდამცინავი შემახილი სატანის გვესმის,
ძუნძულა დიაცს ბედისწერა ჩვენი ალაგმავს.

ალაგმავს დილით, გამთენიის ჯოჯოხეთს უცდის,
ციცაბო ღრუბლებს ჭაობიან კოლხეთში ისვრის,
იღვრება მთვარე და სიკვდილით გევსება გული,
შუაღამეთა ლანდეულში მილანავ სინდისს.

ამ ფანტასტიურ საუკუნეს ვემახით , მოდი!
სისხლით-ნაპოხი რეჟიმების ზევდება მეგლი,
ხიცოცხლისაკენ გზას იმოკლებს ჭკვიანთა ჯოგი
და უღრან ტყეში სიზმრეული თვალებით გვეძებს.

შესდექ! მოწყნარდი! რა გაშფოთებს, სადაა რწმენა,
კვამლისქვეშეთში მირუდუნებს დღეს საბერძნეთი
აუქსესია...ზრდა აწუხებს, სურვილში კვდება
ამოუხსნელი გამოცანის მისაფენლებში.

და იღველდება ჩვენს არყნარში მტევნების ღამე ,
მსუსხავ ფურცლებში იწერება ბედის სტრიქონი,
პალიასტრომში გადაისვრის მეთევზე ბადეს
ბალახ-სურნელში მოითვრები: – ქრისტევ, მშვიდობით!

ყველა სიყალბე ჩნდება ახლა ფილისტერული,
სოციალიზმის ჩამპალ ყვერებს ევროპა ინთქავს,
დიალექტიკას გვიქადაგებს ფაცხა მეგრული
და კრიტიკოსთა კრიტიკოსებს სკალპელით სინჯავს.

ტენდენციური ჩაგვრის ხავსზე ბიჭუნა იცდის,
მას უნებური აღსარებით ჩვენს ლოცვად ვანთხევთ,
პროექციული მუქნიშნებით სამყაროს მიზანს –
პირველყოფილი პარადოქსის მყოვრობით აგებს.

აგებს და იცის, ამაოა წარსული მთელი,
მუდმივ სამსხვერპლოდ მომავალი არ ეცილება,
ბედნიერების სამოსელი მას ახლაც შვენის
და ფიქრი მისი დრო-გვირაბში მიედინება.

ომი გვეგონა აქ მშვიდობის სწორი საწყისი,
ომში ვიშობით განწმენდილნი სამყაროს წურთხით,
ჩვენს ძლიერებას უვიცობის წრეში განვიცდით,
ახალი ენის ფორმაციას დღესაც კი ვუცდით.

ვუცდით და გვინდა ესე ენა, ეს მეტყველება,
მზის შემმეცნებელთ მთვარის ბურთი ჰგონიათ კურო,
შენი მანდილი ჩემს ინტელექტს გადაეფერა
პარასკევია...დიდ შანდლებში კელაპტრებს მინთობ.

ბნელა სხეულში... წყვდიადია ტვინ-ნაწლავეთში,
წყალი,ფანეტი... მიწის ტალახს რა ენატრება?
კვერცხში სამყარო ჩაჭედილა სიღრმე-განედით,
სად ორთეოსი ცის ქადაგად გამოცხადდება.

ცხადდება ზევსით, ანაწილებს ზღვებსა და ხმელ
დროსა და სივრცეს – ჩვენს სარეცელს გარშემოუს
ალტერნატული გზების მეზნას ვუნდებით მერე,
მადრიდის ზეცას ვაშტერდებით მატადორულად.

და წარმოვდება კაცის მოდგმა მალთა ბალანსით,
აღებ-მიცემობს მარქსისტული ნათელი დილა
და იმართება დიდი წყობა შლამით, ნაზავით,
საპირფარეშოს მოსნეული ფიქრების მიღმა.

განსაკუთრებულს ეძებ ახლაც კაიროს თავზე,
ნერე-ოპეში ფარაონთა საბრძოლო ადგილს
ძველი ფუსტაცი ენაცვლება და სფინქსზე არწევს
ჰელიოპოლის გადარჩეულ ნებას დაკარგულს.

და ამ ქაჯეთში მეცხადება შამანი ერთი
ჯადოქრობს მარჯვედ, ორაკულობს ნაზი სიბილა,
მკითხაობს სიზმრებს ჰომეროსთან აგამემნონი,
მან მისტერიის საზარგული აღარ იტვირთა.

არ გვინდა მოსე! აღარც ბუდა და აღარც ქრისტე,
ყველა ნაწერი სანაგვეზე გააქვთ ზოზინით,
ღმერთის ხმას ახლა სულ სხვა სმენის სიმებით ვ
ვმყოვრობთ და არის... წმინდა არის ეს მოლოდინ

გულის ზრახვებით უმტკიცდება მას სასწაული,
აღადგენს სასჯელს რომ ქვეყანა დასაჯოს მთელი-
აღესრულება და თესლს კეთილს ის გადაუვლის
და ამ სიცოცხლის მდინარებას მაგული ერთვის.

და ჩვენს ქალაქში იმართება სულ სხვა აქცია,
საკარნავალოდ მივსხვაფერდით, გვაძლევენ ნიღაბ
ქალს შემოუსხამს მონასტრული შავი მანტია
და აზრებს ჩემსას თავგანწირვის მოთელვით ივავ

ისევ ვიშლებით და ვეწყობით ცხოვრების გზაზე,
ჩახეთქილ მთელში სახელმწიფოს ვუკითხავ მორალს,
გვიყვარს მოყვასი და სიყვარულს ვარეკლავთ სარკეს,
თავის სიყალბით,პირფერობით ტკბება და ტოკავს.

რაღა ატოკებს...ზნეობრივი ვამსხვრიოთ უნდა,
ჩვენს სარეცელზე სულ სხვა გვმართებს სანახაობა,
სათემო კრებულს გალანძღული მოძღვარი ტუქსავს,
ნერვებ-ქცეული ჯანდაბისკენ მიქანაობდა.

ჩვენც ხომ ვეტრფოდით ამ ბუნებას სიწმინდის ყოფით,
ახლა ჩვენს შორის ორთქლმავალი სატანა ჩადგა,
ერთ დიდ მანქანას ვემსგავსებით ჩვენი მეობით,
მედეგი შრომის თვით მშრომელის სიკეთეს ფლანგავს.

რაღაში გვარგებს ჩვენ აქ შრომის ფილოსოფია,
ზოგად ცნებებში ითქვიფება დღეს ერთეული,
კითხულობს გაზეთს და ავბედად ასე ჰგონია...
რომ სწორედ სხვაა მის ადგილას ტვინ-შერყეული.

და ვესრისებით ამ ქვეყნიურ ჩარხსა და უროს,
კაპიტალების ზვინს ახვავებს ბაზარზე კაცი,
თავის ჩრდილს ამჩნევს, გაოცების თვალებით ურჩობს
და ჩვენ გაგვირბის სადისტური ჩვენების ბრაზით.

პროვიდენციალს მიმახსოვრებს ...მარია-როზა,
ანდალუსური ყვავილებით ურთავენ საფლავს,
როზა-მარიას... ბაგეებზე მსოფლიო როკავს
და სასთუმალთან ცოლად შერთვის ოცნებას სახავს.

და ებრძანება...თორმეტ გოდორს ალავსებს ერი,
ალელვებს ზრუნვა, ქარი ჰქრის და ზღვისკენ მოდიან,
მცირედმორწმუნეთ შვიდ პურს უპობს სამეფო კვერთხით
თარშიშისაკენ მისცურავენ გემნი ცორიდან.

ჰო,საყვარელნო! ესევითარ იშვებით ახლაც,
უმღურებაა საამაყო კანონი თქვენი,
ქადაგებს მათე ღმერთ-ნაუღლი ქალ-ვაჟის ამბავს
კაცით-ნაშორებ წყვილის წუნილს სამებას ეტყვის.

კვდება, ეცემა, ილეწება სიტყვა მარხული
ცვალებადობენ ლექსიერი მარცვლები ლემნში -
სტატისტიკებში ძევს სიმართლე ლიამპალური...
და მოთამთამებს ცივ ქუჩებში მოსტილო ლეში...

ჰა, მეც ვმეტყველებ, ახლა უფრო,ვინემდა უწინ
განგებისმიერ მეგრძნებებზე გეკვრება თალა,
ზანდაროზწაცხულ ხორცმეტობას აუგად უთვლი,
ჩაჭადრაკებულ თეორიულ მარჯვენა გაცლას.

ჩვენ აღარა გვწამს დატიტკნული ფურცლების კონა,
მობრეცილ სახეს მწუთხე სისხლში მოვალბობინებთ,
გწყდება მუცელი და ჩანთხეულ საპრიზო ნობათს
ბლარბა-მადლიან მათრეველას მოვაშობინებთ.

მიჰყევ, გახსოვდეს, სამარტვილო გზების ნიშნები,
ჩვენს მსასოებელს უცხოობის ლიცლიცი მოხავს,
ჩარტოხშირებულ ნეივნებში ქალად იმლები
დამამულ თვალებს ველარ ახელს და კიდევ როშავს.

თვითონ არ იცის...უნებლიე იყო შეხვედრა,
უპატიებელ მოდელს ჰგავდა სტრიქონი ლექსის,
ფიცის გამტეხთა პარაკლისზე კაცი ესვენა
მიწამოყრილი თხზულებების ნაობლარ კეცში...

ზანკალ-წრიალით მითხლაშუნებს დღეს მოდერნიზმი,
ცოფმორეული ნარკისული ბორდღვებით მიდის...
სულის წიაღში შრეული ჩანს ნერვ-მოკვეთილი
და ორგაზმული სტიმულების ლიბიდოს იღვრის.

სისხლიც გაწყდება...თვალებს ახელ და კლიტორისში,
ძალუმად ფეთქავს ბართოლინის ყვითელი გლანდი,
წმინდა საფლავიც პულსაციას განა მოიცვლის...
გრძნეულ ღამეში ემინება უმიზნო საწყისს.

სამარადღეო სათამაშოს ვეძებდით გუშინ,
კარბონურ სხეულს ოთხოვანი ეკვროდა ბროლი ...
მეგულებოდი მირონცხებულ არქეტიპებში,
შევცვლილი აწმყოს ეჭვ-ნაჭარბი დიდების მძორით.

თავს ვიწირავდით... ღადევნების პარანოიას
ჩემს მაწამებელს ღმერთი სცემდა მოხათრულ პასუხს,
კროჩეს მშვენება ნეაპოლელს არ დაჰყოლია,
ინტუიციებს გაუფორმებს უფორმო წარსულს...

თავს ვაღწევ წრეხაზს... მიმაქანებს გულისთქმა ჩემი
ველი სამყაროს გარშემომწერს - შიშის სამანებს,
ტრივიალური ფორმულების მისაქციელში
ის ფერწასული მაცხოვარი დგას და ქადაგებს.

არარაობა მეკვებება და... სანუკვრობის
გეგმაზომიერ ოპორტუნიზმს მივყვები წყენით,
გან-პორივნებულ სიზარმაცეს თუ გავურბოდი
შენში ვეძებდი სანუგეშო სიახლეს - მერი!

ციკლოპედიებს ეწაფება დიდი ფილონი,
ალექსანდრიას იუდეურს მოახვევს ლოგოსს,
სულს რვა თვისებას მიუწესებს ლოცვა-მირონით-
და აბსოლუტურ სიმართლეში გიხილავს გოგოვ!

ჩვენ განვუტევეთ ქორწინება ცოდვის და ბრალის,
დედის მუცელში მივეწიეთ სახიერებას,
თემო-საფარველს მოკრძალების საბაბით აგხდი
და მივეცემით არ-ამ-ქვეყნო წამიერებას.

დამლოცე ქალო! ნუ გენანის საკურთხეველი,
შენს ხორცთა-საყარს ჩემი ქველი ეროსით ვშიგნავ,
იქნებ გეშურვის და არცა ჩანს საკურნებელი
და დრო უკვე მივებარო დაწყევლილ მიწას.

ჰოშაყანაა... მე დავიდის გადმოვალს საზღვრებს,
პალესტინეთი ისრაელად ცხადდება... მორბის,
რმალი საუფლო, ფეხმიშველი ადიდებს გამჩენს,
ვნებას თავისას საორსულო სასწორზე სწონის.

ორად ფართაცებს ზარათუშტრას სპარსული ნერვი,
მითრა - ჰაომას, იიმა - თიშტრის მიშტერებია,
მოგვები გათებს უმღერიან სამყაროს წერტილს
და პალესტინას თვალი მისი მიკერძებია.

რა მოამველებს იმპერიულ კანონებს რომში,
ავრელიუსი გაუთქვეფელს ეძებს გონებას –
საკეისაროც იმართება წიგნების ომი...
სად იუდეველს სული წმინდა... მიეორება...

აჰა, ემსხვრევა დიქტატურა თავზე დალეწილს,
თვითკმაყოფილობს ეროვნული ზრახვა შურვების,
ავტონომიურ სალაყბოში განსჯიან სინდისს,
საყოველთაო საკუთრების გადაყლურჭებით.

ნარაკა-საკენ მიდენავენ ცოდვილთ ქალაქში,
ზამვით არცხვენენ უსირცხვილოთ ფუყე-თავიანთ...
გფარვიდეს ღმერთი!– ღვარძლის მთესველთ მკიან ყანაში,
ვარდობის თვეზე შობა-კვერცხი მოუტანიათ.

გადაიხდიან...ლხინში მიდის ცხოვრება მთელი,
წყალთა მღვრევაში სასთუმალი სწორდება შიშის...
გვეზრდება შვილი, კალანდას დღეს ზვარისას შედის,
და თებერვალში მოსუქებას ცხვარისას უცდის.

სთესდნენ ზაფხულში,სიცხეს სთესდნენ,მოჰქონდათ პური,
სარწმუნოებას უგინებდნენ მონგოლს თალხიანს,
მვალგამოუხრველ საწიოკოს ზიდავდნენ ზურგით,
როს უფლის მოშიშთ საკვედლაოდ ცერცვს შეაყრიან.

ნუღარ ახტება, განა მართლაც თავს აახტება,
რაღას კითხულობს, საკითხავი ტანზეით უვლის...
ჩვენ გვეურჩება ანგელოსი მოუკარები,
გოგო ლამაზი,თვალციცინა, მუხლებზე უზის.

და ვნადგურდებით... ქვაფენილებს ერევა ლანდი,
მეორედ მოსვლას აყვედრიან განმარცვულ უფალს,
რისი სიცოცხლე, სიხარული... წამებად მახლდი
შეჭირვებული, შვიდ-ნაკრული სამეფო უვალს.

უვალს და იცის,რომ მუხლებზე თრთის ის არსება,
იცის რომ თრთიან ბედნიერი ფერის ვენები,
და ავიწყდება საგნობრივი გარდაცვალება
კავშირ-ნახული სუბსტანციის გადამეტებით.

ასეთ ბინარულ საწყისებზე იგება ახლაც,
დიდი ტყუილით შორს წასული მანიქეიზმი -
წყვდიადში ებრძვის ბოროტებას - სიკეთის ნაცვალს
და მიირყევა ზღვის ნაპირზე დიდი ზეიმით.

ზეიმობს დროში...სივრცე რჩება ამოუცნობი
პატრიოტებით აგვივსებენ ზეცას- -ქვესკნელში
ინტერს -ადიდებს -ნაციონალი და ჯერ უცოდვილს
აკადემებზე არ-დანთებულ ლამპრად ენთები.

ენთები ლამპრად და გადათვლი ღირებულებას,
პრაქტიკულ უნარს თეორიულ განსჯად მოჰყვები -
ყალთაბანდების პარტიაში ჩვენს წვეულებას
სანელდახელოდ გამართავენ მონამორები.

ჰო, გაიმეტე ეგ ლოყები, მომადე ქალო!
შემახე შენი ატოკების თეთრი მარჯნები...
სხეულზე ჩვენი საახალწლო თოვლივით მათოვ
და ნებიერი შეუღლების გარდასახვებით.

მოვრჩებით საქმეს,კრიალებენ ხმები ქალაქში:
შემხედე,მაკრთობ, მატრიალებს კვერთხი ცხებული -
მირეცხავ პერანგს...შემოგავლებ წმინდა ქაფარებს
შვიდ-ღამე-ნათევს თავს მითაჯებ, თაჯით მეფურით.

გამსგავსეს პირმზეს, ამ ქვეყანას გიკრეფენ მადლით
სვეტთა სიტურფეს ნაწერების გროვა ეკვეთა,
ტუჩებს გიკოცნის მოწყენილი მჩოჩველი ბალღი
მარგალიტების ენა-შაქრულ ფუმეს ებედა.

ნუ დაპირდები! სურნელოვან იებს მოვუკრეფთ,
შორით სილურჯეს ჩაიღრუბლავს ნაკვერცხი ასო,
ალმასნარევი სიყვარულით აზის თოჯინებს
გიშერთმოვანი იდუმალი ლამაზი გოგო.

მაგ მაღალ ყელთან გეღერება ბროლი მელანში,
ლერწმის ტანს გრძელი დღე მოჰყვება,ოთახში გიცდი,
ნაწნავ-შეყრილი შემოდიხარ თვალცრემლიანი
ნაფერებ კაბას ბაგეთ-შუა ღიმილით ინდი.

ამბრისფერ ჯავარს ხელს შევაჭდობ, აწამწამდები,
ვნების მორევში დაუკითხავ სასწაულს ხედავ,
ბრინჯაოს მუმუთ მივაგორებ მთვარის ცოცებით
და მწოლიარე ემსგავსები დედოფალს - დედას.

ესვენა ღვინო ლალისფერი ჭიქის დონეზე,
სასუფეველი სურვილ-ნახაც ხომალდებს ჰგავდა,
ხორცის ციმციმი შენებური მარხვით მოჰკვეთე,
წყაროს წყალივით მირონინობ კენჭებზე დაღმა.

მინანქრულ ცვილში სამმიმარი ისხმევა მუშკის,
ცისკრის ამოსვლას ელოდება ქალაქი ჩვენი,
ხალ-კავ-სარების ჩაგაკვდება ნუგეში გულში,
და სვეც-ღრუბლიანს საყმაწვილო სენება გშვენის.

ვიყავ უმწიკვლო, ვით ამორი, პარიზულ დილას,
სამი სამყარო შეჰხაროდა სულითა წმიდით -
სიმართლით წერდა მშვიდობის ჰიმნს თავისუფლება,
მკვდრეთით აღდგომას სიყვარულის ღვთაებით იხსნის.

სიზმარში გნახე, მუხლბიბინა,წალამ-აკრეფილ
მარგალიცებში ოქრო-მკედით მოქარგულ კანკელს...
ფიქრ-ჩამონაყარ თოვლის ფიფქში წამლად ანთქევდი,
ცანდარხეული სინანულის შავნათელ ღამეს.

სამურზაყანოს „ჩქიმი გურიშ ნაცრი რენი,“-ა,
„სქვანი თოლეფი ალერგინუნ,“- მიყვარდა გოგოვ,
ჩვენ ამ თბილისში,საყდრის ბოლოს დღესაც გველიან,
რომ ღვთისმშობელმა ნეცარება ნანთლებში შობოს.

მთვარე-ავსილი,მზე-ჩამავალ დისკოდ ბრწყინვალებ,
თავ-გაუშლელი მოგეწევი - აგიწევ საბანს-
ქალწულს ცუჩებში გეკონები - თქეში მძვინვარე
და გეუბნები დავიწყებულ მოარულ ამბავს.

შენთან წოლაში შემოდგომის გვესცუმრა წვიმა,
გვიგებენ ლოგინს მომცირალე ნიამორები,
მარმანდელ ჭკნობას თაიგული ვარდების იცავს,
ცრფობის მორევში ქალი ცურავს იაპონელი.

მოვჯადოვდებით და შევწვდებით შესაწვდომს მალვით,
ჩვენს ყურადღებას არად აგდებს განგება მწველი,
სწავლობს - არ სწავლობს,სიარულით ის ახლაც დადის
და რეაქცია ტვინსაზრუნი ღერძივით ერთვის.

მკრთალია ქალი ,უფერული, ილლება...დუმილს
არჩევს გულისთქმის გადმოსახვას,არ ჩივის არრას
და მნიშვნელობა ეკარგება ერთადერთ ღიმილს,
ნამალადევი შეგრძნებების მოთმენას ჰკარგავს.

და გეჩვენები...ბნელ ოთახში ვზივარ მოხრილი,
სიცარიელის სველ შეხებას ვასწრებ და ვილტვი,
უკან მომდევენ და ვყვირივარ... გოგოვ,მომცილდი
ჭრაჭუნობს კარი, სართულებზე მდევარი მიცდის.

ჩემი არსობის მნიშვნელობას დავეძებ შენში,
ვიცი, მაკლია, მეკლისება მისი მოძღვრება-
მინამატაბზე თევზის ჭერას ეშვება ბრძენი,
ტვინის კორტექსის სიძაბუნე როს აგონდება.

ვსწავლობთ ზეპირად...ძლიერდება სურვილი ღამით,
ოპტიმისტური განწყობების გვაწყდება ლერთხი,
წარმოიქმნები სქესობრივი კავშირის რკალში,
შენი ბავშვობის მიმალული სიცოცხლის კვეთით.

ჩვენს სპიროქეტებს მიაძევებს უსაშველობა,
ლიმფოციტებით მიათრევენ გიგანტურ უჯრედს...
ნიჰილისტური ზმანებების დოლი გველოდა
პენიცილინის ტაბლეტებით ვივსებდით მუცელს.

მახსოვდა იქით, კუკიისკენ მიხმობდა სენი,
სიყვითლე-შეყრილს დედის ხელი მეხება, მიყვარს
მისი თვალების ნაუბარი - სამყაროს მჩენი,
ახლომდებარე თბილისური საფლავის მიწა.

ის მიჰყვებოდა ცხრაასშვიდში მეუღლის კუბოს,
ვიდოდა მშვიდი, მარტოული შურის ძიებით
ეკატერინეს დასტიროდა სტალინი უხმოდ-
კაცობრიობის შებრალებას შენაციები.

ნილაბდაფარულ კოლოიდებს მივანდობთ სივრცეს,
გაქრება მუმლი, ნაპირს წყლების ნაშხეფი ხვდება,
მოგართმევს ქარი, ზენა-ცეცხლით დანთხეულ სითხეს
ცისკრის ღვინოზე მობარბაცე აჩრდილი თვრება.

თვრება და იცვლის ალვის ხეთა საქცეველ კუთხეს,
„მოგვიხსენიე!„- შენი ლოცვა რას დამთენია,
ოქროს გალავანს ქიმ-ქონგურა საწოლზე უდებს
მოხდება ერთხელ, ის რაც ერთხელ მოსახდენია.

და ამ ელვარე სამკაულებს დაგიყრი ქალო!
არ ვიცი:-გშია?! იქნებ გცივა?! იქნებ წყურვილში,
საყდრიონელნი სავედრებელს ამბობენ სარგოს,
რომ ნაკვალევზე ბედისწერა ჰპოვონ უნდილი.

მხრებს გეფინება თმების დალი,მღვიმიდან მოვალს
სარძლო მძივებში ჩაცვირთული ცოდვა ირევა,
უფსკრულთ ყორნები დასჩხავიან და ეულ მყოვარს
სანადიმოზე ჩვენი გვამი მოესიზმრება.

და იხედება, გლოვის ამბავს უბნობენ ქალნი,
მათ თავმანდილში ჩახვეულან, სულეთის ცრემლებს
ცამეც-ხაციან მშვილდნაომარ წინასწარ ბრალში,
მონადირეებს დაუყრიან თამარის წელებს.

და იმ ოთახში მომეჩვენა დახცოდა მთვარე,
სადღაც კუნძულზე ნივთთა იყო დიდი ცრიალი,
ვუბრუნდებოდი დედის საშოს, სამების თავზე
იდგა უფალი, მამა ღმერთის პირმშო-ზიარი.

და ზრიალებდა იგი ზარი, ყალბი ყვედრების,
სადღაც საწოლზე სცანდარცები ისვრიდნენ რიცხვებს,
აქ მეცნიერულ სამოსელში მე გიბერდები
და დიაგნოზურ სამსხვერპლოზე სიცრუედ გიშვებ.

ჯვარით გადმოსჩქეფს ჩვენი წყარო,სიცოცხლეული
თენდება,ბრძანებს: საგანგებოც ეშვება თრთვილი,
სისხლის ცბას ქვიშა ეზრალება მილ-მორეული
პირზე გვაყრიან სამუდამო სვენების გვიმრებს.

სახე სულისა გვეკარგება დღეს ანიმუს-ში,
ჩემო გოგონავ, შენ დამყვები ყოველთვის,ყველგან
და დამიტირებ ასე წმინდად, ჩემი ნიმუში
შიზოფრენიის ცივ სურათში ხატებად გყვება.

წინასწარ ვიტყვი, აგვისტოა 19 რიცხვის,
შეგრძნება გვიხმობს და იწყება დისლოკაცია,
რეფორმისტებმა აგვიშმორეს რუსეთი დიდი-
შიმშილობს ხალხი, მას ჩემს მეტი რა აბადია.

ისვრიან თოფებს, მოქალაქეს უტყდება მილი,
ეთნოლინგვისტურ ბოდიალში არღვევენ კანონს,
ბრუნავს საბჭოთა ქველ-ქმედების უძირო ბირთვი
კავკასიური საგანგებო მარყუჟის გამო.

აქ პრეზიდენტთა ულევ წყებას ვინღა გამოლევს,
თეოფობიურ წესებს ვადგენთ...გრგვინავს მოსკოვი
შიში ნთქავს ყველას და ყველაფერს სდებენ სასწორზე
ცოცხლად დამარხულ სიმარტოვეს ებრძვის მოლოხი.

ამ მოლოხს ვწირავთ უკანასკნელ მისასვენებელს,
აქ მთელ ლოგიკას ეკარგება აზრი და არსი -
მიდის დიაცი ოდესელი მიათრევს ფერდებს
რომ ძველ პასაჟში დამიზილოს წელი და ტანი.

ვიდექი...შავი ტალღის იქით გხედავდი თითქოს,
გამჩნევდი თრთოლვის შენაკრები მკაცრი წადილით,
წმინდა ანტონის დეპრესიის მანია იპყრობს
ანუგეშებდი ულურჯესი შენი მანტელით.

გამიშლი...თვალწინ ფრიალებენ ალმები ჩვენი,
მათ გადავაწყობთ დიდი ქვეყნის დიდ საოცრებად,
შეგეუღლები მეუღლების ნათელი ფრქვევით...
სანამ სტალინში იესო ქრისტე არ გაცოცხლდება.

ესე არს გრძნობა, ესე ფიქრი...ახეც-ვეცემი,
ნიღაბაცმული ვეჭიდები ამ ქვეყნის საჭეს -
დანაშაულობს სატანჯველი თეთრი ქვეშეთი,
მოჩვენებების უსასოო ჭირვების ღამეს.

მიახლოვდები, ნაზ ხელს მადებ შუბლზე, მძიმდება,
მთელი სხეული მეძინება, ტანსაცმელს მხდიან
მენატრებოდა დაკარგული ჩემი დიდება —
ოქროსფერ ცრემლებს ვურიგებდით პროსპექტებს მზიანს.

ან ვის უგალობს?! სულისმკვლელთა ხატებს ვესტუმრე,
იყო ნაღველი, ეჭვისმკვლელი, დაკარგვა ყოვლის,
მიპირმშავებდა თვით-ღირსების დამცველ მეგზურებს,
სურვილი მტრობის, დავიწყების საშინელ ტბორში.

და ჩემს თავს ვწყევლი, მას ვემდური და განა ვიცი,
რისთვის ან რატომ, რა მიკარგავს, რა მიპოვნია?!
სადღაც გორებში მონა ქალი ღმრთისად მიცდის —
სამოციქულო ჩინ-მყოფლობის განაყოფია.

სად ხარ?- ჩავესმის ხმა წყვეტილი, იმედის ნიშნის,
თავის ქალაზე ელექტროდის მავთულებს მიწყობ,
ამპარტავნების ხროვა მიდის, თავის ხარკს იხდის,
თანაცხოვრების სანაკადო დინების მიღმა.

განა-და ვწყდებით ბუნებრივი თმენის კრძალვებას,
„აღვამაღლებდეთ დაცემულთა!“- ისროდნენ დევიზს —
წრფელ სიმდაბლეში არსი ჩემი ახლა მართლდება,
საღმრთო განკითხვის სანთებელთა შეცდომილ ბნელში.

ნეტავ მიცნობდეს საყმაწვილო სენის პატრონი,
შემომიმტვრიოს ათასფრული ცების მორეკლვა
და მიქადებდეს საყურ-ბეჭედს თვალ-თეთრ სალტოში
როს სამანქანო დიადემა მოეწონება.

და იღვიძებენ ამ სახეთა ხტომა-კვეთების
არ-ცნობიერი კონფლიქტების საერთო ყინით,
კრავენ პიროვნას ქარ-ყრიალა სიზმრის ფენებში
ჯვარ-უწერლობის მოსალხენი უმილო შიში.

ქრება აპრილი, გაზაფხული ქრება ლოდინის,
მოდის აგვისტო...ცხელი ქარი ვარდებში გვირწევს
მელანქოლიურ ამბებს ჰყვება კაცი მოცლილი,
მან საუკუნო სინდისქენჯნით მსოფლიო ავლენს.

და ვითარც ბავშვი, მოწყვეტილი, ალერსის სითბოს,
ზის თვალხილული ანაკლიტურ სინამდვილეში,
კონსტიტუციურ ამალგამებს... საზიზღართ ითხოვს
ვნება-დამთენილთ ერეკება სანაპირეთით.

იღება კარი და სარკმელი ივსება ღამით,
ჩრდილოეთს აწყობს სამხრეთული მთვარის ბორძილი,
დაწუნებული ცალ-ქერქიან ბროწეულს აცლის,
ორბისფრთიანი ისარივით - გულ-დაკოდილი.

ქვიშისფერ საბანს პირისახის სიგრძეზე ვიწევ
დამცირებების ვრცელი სია მიხუჭავს თვალებს,
ხელებს ვძლი შენსკენ და კანკალით მიწისკენ ვიხევ
და საცნაურად ვეწაფები ებრაულ მარხვებს.

ნუღა გეწყალის მტკნარი ცრემლი მოყვასის შენის,
ილტვოდნენ შორით დიდებული აღდგომის ძალნი,
ტაბლასა ზედან სანოვაგით ავსებას ველით -
მონაყრებული გულ-სარწყევი მითების მარცხში.

* *

人传虚，万人传/ ი̂ ყე́ნ ჩყუა́ნ შუ̆, ვა̀ნ ყე́ნ ჩყუა́ნ ში́ — ერთი კაცი
ამაო ამბავს მოყვება, ათი ათასი კაცის პირში
კი ფაქტად იქცევა

და სიტყვებს ცვლიან შენი ლოყის ნაზი ნაკვთები,
არქაულ აზრში არსობრივი გვესმის მუქარა,
ტენდენციური ენის ხაზებს სად მივაგნებდით,
ნუკლეარული სისტემების ფაზებს ვუქარგავთ...

სირცხვილ-მოწმენდილ ცოლს ვემთხვევით ერექციებით,
დათრგუნავს ტვინის ყველა უჯრედს სინათლე მწველი,
თვალის გუგებში სპეციფიკურ ფერს ეცილება
ამნეზიური მიზანდართვის მაგნიტის ღერძი.

შენც ეღერძები ამ შეკუმშვას, ამ გაორებას,
შეიცვლი ადგილს ინტერესებს დამაბნევ სარძლოდ-
ნელცხების ქვაზე ის ცხედარი გადაგორდება,
სალაპარაკო ფიგურების დაკრძალვას ლამობს.

მამლის ყივილზე ებადება თავნებას ვაჟი,
საათის თორმეტს რაღაც მსახვრულ ციფერბლატს აბამს,
თენდება, მტერი საჯირითო ბილიკზე დარბის
დაბურთავს ალუმს...სათოფურზე მოიყრის წამალს.

და ლაპარაკობს იგი მტერი „როგორც" „ვითარც"-ით,
პერსონალური ებინდება ტრანსფერენცია —
მარდი მოუდის,ზუმტს ასკდება ის საფიცარი,
პარალელებში მიუყრელი საგანძელია.

ამ მნიშვნელობებს ახლაც ჰკარგავს და მერე ივლის,
ძირითად ღვრიცას სპონტანური ბოდვებით არკვევს,
ჩემს თვისებებში კაცისმკვლელთა ბრიგადა მიცავს
და შეუდგენელ პრობლემებზე ამიგებს ანდერძს.

მეწვოდა კანი...წინჩრდილული მომდევდა მზერა,
ნიშანთსიმბოლოს მალისმიერ მტკიცებად ვიღებ,
დაბრკოლებებზე გადაივლის და ვინღა ბედავს,
მოსაგნობრივო სიხარულზე მოიდებს ხიდებს.

დამეხმარება?!- კი,სიზმარი დაგეხმარება!-
ამ სიცოცხლესაც ეწილბედა ჩინი და ფასი...
გვაფრთხილებს ღმერთი საკრამენტოს დიდ პორტალებთან,
გგონია,მოგკლეს,მაგრამ ცოცხლობ ჭირსა და დარდში.

მოგწვდება ქალის მოთიათე მზისებრი კოცნა,
შენს თავს გამოცდი და შიშველი ზე-იმართები,
იავნანური მუმუ-მადლი სამდღისად გლოცავს,
როცა შეცვლილი სურათების სხივს ეფარები.

მინდოდი მუდამ, ეზოს ჭიშკარს გიხსნიდი ფართოდ,
გეცვა პერანგი,ჯერ უსახო ორფენა შინდის...
ნანინას მახილს გადარწეულ თოთო ბავშვს ანდობ
და იაგუნდით თვალ-გავსებულ ტომარას მაწვდი.

მიგემინება ვით პატარძალს სამეფო ეტლში,
ციმციმა მუხლებს მოგიკინთავს ლურჯი თილისმა,
ბყოლის საყურეთ ჩამოგისხავს უფალი ღმერთი,
თითქოს მამალმა დილისწორზე ჯერ არ იყივლა.

მობრძანდებიან ბატონები ჯირიმეს, თხრობით
აბრეშუმწყობილ საწოლს გიმკობთ ახალ წელიწადს,
გიმრავლოს პური! -ღვინო-კერძი გიმრავლოს, მოდი!
ვაზის ფურცლებზე დაგასვენებ, მკერდზე მიგიკრავ.

ხელს გამოგიშვერ...საწლეული სიმშვიდე გვმართებს,
მხიან ურემზე შენს თემოებს შემოვდებ სოფლად,
წვიმა-ცვარ-ნამის საქორწინო ცრემლებით მავსებ,
ქალო ლამაზო...სამწიფარი სიკეთე გმოსავს.

მეც გმოსავ ყურძნის საზაფხულო დიდი მტევნებით,
შენს მკერდზე თვლის ჩამოდნობილ ბურთულებს ვისვრი,
ახალ-საძველოდ ამ სტრიქონებს ეწინდელები,
ხრიალ-წრიალში აცხონებენ დაღარულ სინდისს.

რევოლუცია!-გაიძახის რუსეთი ქარში,
რევოლუცია!-აზანზარებს კრემლი სამყაროს,
ომგადავლილი მორჩილებით იღება კარი,
რომ ბრბოს ხორციელს ახალი დღის ლოცვა ახაროს.

შედის და მზერას ჯერს მიაპყრობს ბოლშევიკურად,
თოფს ისვრის მერე, მედიდურად იძლევა პასუხს,
სამლოცველოში ღმერთის მოკვლას ნეტარად თვლიან
სდევნიან სულებს, ჰადიბუკსაც სდევნიან მაცდურს.

მვირს განიზრახებს,მეგობარო!მე მაინც მიყვარს,
მისით მდაბლდება სეფიროთის ათი სამანი -
კეთილშობილობს მუნ განკითხვის სასრული ნიჭი,
ესოდენ დიდი ზრუნვის კალთით რომ ვინახავდით.

მე ეს ბავშვობის პირველცდილი მომდევს არყოფნა,
თვით-დასჯის ცხაურს ყოვლისშემძლე ფიქრებით ვგუდავ,
ზარდაცემული მივვარდები გონების სინდრომს...
გვიკმევენ გუნდრუკს,რომ მსოფლიოს ეშველოს მურცალს.

აჰა,ილლები, გემალება ცკივილი რბილი,
ამ დალილობით თავს გადირჩენს უფალი მკვდარი,
ასეც ვასწვისებთ აქ საჭირო ნებას და სურვილს,
შემლილი კაცის შიშმორეულ უღონო ბრაზში.

და შიშობს ქრისტე, საკუთრებას უტოვებს ბუდას,
ის ამ შრომაში იმულების მანქანას ხედავს,
ექსპლუატაციის სამერმისო სიმდიდრე ხურდა,
რომ ხახელმწიფო ინტერესი გვეკემსა ერთად.

დაგვიკარგია... გვიცრუვდება იმედი ყველა...
ვიცდით და ველით საგანგებო ნივთების კონტროლს,
აქ სან ფილიპოს მადრევნებზე ხევრონი კვდება
და ავშალომის მოლოდინში ქალწული გლოვობს.

ვცარიელდებით და სიხარულს გვართმევენ, ვტირით,
ფულის მონიტორს კოლოსალურს ადებენ უღელს,
განურჩევლობა სუბიექტურ ფიქციებს გვიყრის-
შემოიწოვენ კაპიტალის ფერმენტულ სრუტეს.

იყო და რჩება მოტყუებულ ერთ უტოპიად,
კლასების ბრძოლას შეეწირა პროტესტანტელი
და გაქრა ისე არაფერიც არ ულონია,
პირველმაისთა სანეტარო წითელ ბაღებში...

არ დაუჯერა დიდი მოძღვრის ნაუბარს მაშინ,
იტყოდა მოშე,- არ მოსწყდება უმლური მიწას...
გადატრიალდა რუსულ სულში ევროპის არსი,
ბოლშევიკური გაუთენდა სამყაროს დილა.

აგებენ ფეტიშს, პოზიციებს ზომავენ მერე,
მოსკოვურ ქუჩებს ღამეული პატრული ტორავს,
რაღაც ეულად მიირწევა ესკადრა მერვე-
ტანკთა კოლონას შუა გზაზე აჩერებს ქროლა...

სულ სხვა ქარების...წვიმიანი დღე დადგა ახლაც,
სამოსატელი ქრისტეს ართმევს ლოგოსის უნარს,
„მიწიერია!“- მისი ნება ღმერთს გადაერთვის,
შუბლს აწერია კოწიაწი და ცოდვის ბრუნვა.

არმენიული ტყვრომა არის და მომახილი,
პავლეს გასაგისს ელანდება ბოროტი ყველგან,
ავ დემიურგში საიდუმლო ღვენთავს კანდელი,
გაორკეცებულ ინტელექტთან სიმართლე ფეთქავს.

და ათამაშებს საშობაო მეხსიერება,
განვლილი წლების ლოგიკური ცნებების ბადეს,
პოლიტიკოსი პოლიტიკოსს ეპირფერება,
რომ ზურგ მოქცევით ოსტატურად დაუგოს მახე.

მომაგონდები...ნებიერად მეწექი მკერდზე,
რაღაც პანელურ ანალიზში ვძირავდით ვნებას,
ობიექტების ცრუ თვისებებს საგნებში ვეძებთ
შთამომავლობის უთვისტომო ინტელექტს ვზერავთ.

ჰა,განგლორწილი საყუდარი გამოჩნდა მცხეთას,
მოდის იესო, გა და გაცი ემსხვრევა არმაზს,
სასოწარკვეთას სამუდამო სარქველად ვიქცევთ,
რის მეჭირვებით საუკუნის ბინძურ ფონს გავალთ.

ვეცემით ისევ, ისევ ვდგებით, ამ განჩინებით
მივალთ და მიგვაქვს სინამდვილის საერთო დალი,
ლიბერალობენ ტუჩებსქელი ღრმო თოჯინები
ძალაუფლების ჩამორღვევის ჩინებულ ბზარში.

ჩვენც სწორედ ამ დღეს მოვიკურთხებთ დიდ სახარებად,
ისმის წკვიტინი, ტელეფონის ხმაა ნაცნობი,
რუსულ ენაზე აბგერდება ქართველი კაცი,-
მას პასტერნაკი ესარჩლება ოსიპს დავრდომილს.

და ამ ცხრეულში გადაწყდება ოცნება ჩემი,
შორს ისრაელი იზმორება ზანტი ზმორებით,
ლავრენტი უკვე სათევზაო ანკესით დადის,
მავზოლეუმზეც იმართება ძველი მოზვერი.

ლაპარაკობენ, მათ ლაპარაკს ვინღა გამოლევს,
საუბრობს კაცი, აზრს გამოთქვამს საჯაროდ ბოზი,
ინტერვიუში საგაზეთო შრიფტებს აწყობენ
და მიკროფონებს პარლამენტი საქვეყნოდ სწონის.

ეროვნულობა ეკარგება ერს საფიცარი,
მღვდელი და ქურდი ერთნაირი სასჯელით კვდება,
იტალიაში სოციალურს დავობს კორდინი
და პროლეტარულ საქანელას ანცობით ხვდება.

და თავს ირთობენ სარკასტული ენერგიებით,
დაძაბულობას ხელოვნურის სურნელი ასდის –
სადღაც ქუჩებში დაეძებენ ახალ სამსხვერპლოს
და მოედნებზე განწირულის აჩრდილი დადის.

ჩვენც მას მივყვებით,გოლგოთასკენ ეს გზა გრძელია,
ახალ სინთეზებს ამოვუყრით გამარცვულ აზრებს–
დემოკრატიას ვასამარებთ,ფსალმუნთ მღერიან,
მეფე დავითის კირია-ზე ლამპიონს ვანთებთ.

აიღებს თავზე, ხელს აიღებს და ეკიდება,
მას მეოცნებე, კომკებქმნილი ქვეყანა მთელი,
ჭკუადაკარგულ გლეხს ალპობენ საპყრობილეში –
გააცხოვნებს სულს დაკოდილს წინა-მეტყველი.

დათვის ბუნაგში დაგემებენ მიწყივ-ოდითგან,
მიცვალებულის ფერს მოვიდებთ, მკლავები გვწყდება,
ვარდ-ყვავილებით მოფენილ გზას ვხედავთ შორიდან,
გულ-ხელ-დაკრეფილთ მიგვაქანებს საუფლო თვლემა.

წმინდაა იგი,ვითარც სუფთა დამუხტულობა,
ვით აღელვება, ვით ლიბიდო მე-დან დაცლილი,
რაღაც ქაღალდი მოაქვთ სოფლის სამმართველოდან
და ცივ ზამთარში მას მივათრევთ თეთრი მარხილით.

ვცდილობთ რომ მოვწყდეთ სინამდვილის საზიზღარ ბოძებ
ვწყდებით?!...მარხილი მიგვაქანებს, ჭირად გვშთენია
ეს საოცრება გულს ეცხება რაღაც მალამოდ –
და უარყოფენ მანე-გებულ ნევრასთენიას.

პანეციუსიც დაგვასწავლის საოცარ სიტყვებს,
მოვალეობა! თვითშეგნება! – ზნეობას იცავს,
ქველმოქმედებას ჩამოუწერს ახალ პრინციპებს
თბილი ნასუნთქი ზენაარსი ცებისკენ მიაქვთ.

და მაინც ტყუის,პოეტები არკვევენ სანსკრიტს,
ელემენტებით გრამატიკას აგებს პანინი,
შენს სილამაზეს მეტა-ენურ სუტრებში ვეძებ
და ეს სითეთრე რაღაც ნისლის მლამში გამირბის.

შენი სხეული ივლაკნება ფაქიზი თრთოლვით,
ამლილ თემოებს მკვდარი უფლის სახება ერთვის,
მეც აქ გახლავარ ჩემი ბრალით და ჩემი ცოდვით
ღვთაება კაცში და ბუნება ჩართული ღმერთში.

და უსასრულო მაქსიმუმში ჩურჩული ისმის,
მიზეზ ხარ უცხო,წარწყმედილი მოწყენისად...
უვნებელობას აღსარებად მიიღებს ბრიყვი-
ძლეულ ვარ შენში, შელოცვება თავზე სინად.

სიცოცხლის შიში განფენილა აქ შენს თვალებში,
ყურს ესმის ენა,ნელსაცხებელს აღავლენს ზერი-
თვინიერდები და წყეული მეგებრალები:
ზიარ-ცემული, შენი მუცლის მერხევას ველი.

და მეუნჯები საუკუნის სასრულ საწყისში,
იყო საწუხელ და ქონებას ფანტავდნენ ქარში,
მეც მოვემთხვევი შენს კულულებს,ლტვება ბალიში.
კაბაახეულს დაგამალებ ხორციელ კავშირს.

კალამიც ხატავს,როდინობის კვირის კვალობას-
მიწაზე გაშლის აჩრდილების სიზმრეულ ნაზავს,
ქედში გხრი ლოგინს, ეს ქალური სითბო ეტყობა
და ცისფერ წვეთებს ზღვის მორეულ ჰორიზონტს ვატან.

მივარგავ ჭკუას, გეწირები ცხრომის სურვილში,
აღარ მანებებ და ვეცემი ქადაგად კაცი-
აკოჭავებულ ფულს ბირჟაზე სწვავენ წუხილით,
საერთო უღელს ნაიქიოს სურნელი ასდის.

ცრემლი გადგება, გიჩვილდება გული ამაყი,
მიმველი ტანით მაქანდაკებ ველურ მეობას-
სხივიერ ძალას ცნობადობა ტალღური მოსდევს,
მოსკოვურ ღამეს მიატყვრება ხრწნილთა ღრეობა.

განა ვიქცევი ისე როგორც მე მეფიქრება?-
ვფიქრობ კი ასე, რომ ვმოქმედებ,-ნაშთი ძველია,
შენში უაზრო წარმონაქმნებს სანთლით ვებრძოდი,
იყო და რჩება, მოსატანად რა საწყენია.

და ბრუნავს სისხლი, ენაცვლება მარღვი შენობას–
ამ ციკლურ ტრიალს სიყვარულის მივარქმევთ სახელს,
ოროველაზე ჩამარხული ლანდი მღეროდა
გადარჩევების სკეპტიკური გრეხილის ხარჯზე.

ისევ ჩქარდება, საღარეში რუსხმული ბღავის,
წყალგადასავლებ მურყნის ბორბალს ცალბედად იცავ,
ცოლად წვრთნის იესო, მაგდალინელს ერევა ბრაზი
ბროლის მკლავებზე გადებული საჩივარს უთხზავს.

უთხზავს და ამკობს სპეკულანტთა ჩაღვარმულ კისრებს,
ჩვენს ნეაპოლში ვესალმებით ყავისფერ პერანგს,
აქ მუსოლინი ყაზოტინსკის ამალში იწვევს,
რომ იტალია გამოსტაცოს ავბედით რღვევას.

და ვეჯიბრებით ამ სივრცეში დროს განმარცვულნი,
მას ვეთავსებით კონფლიქტებით ნაწამ-ნაჯაფარს,
დღიური სევდა განთვისებით შემორაცხულა–
კრემლის კურანტებს ტვინის ხვეულ ნერვში ჩახაზავს.

ვერ მივაღწიე, უსასობით ხელებს ვშლი ბნელში,
მხოლოდ მომავალს ვეთაყვანე ვეცემი შენთან...
პალესტინაში ჩამომართვეს საუფლო კვერთხი
და შენს მესიურ განჩინებას მცხეთაში ვხედავ.

მივდივარ მივალ, ცოდვილ ყოფას მივაბოგინებ,
უხმოდ მმარცვავენ ბურჟუები, საწოლზე ბორგავს,
ჩემი გოგონა, წონასწორულ მრეებს მომანთქევს
და ჩარღვეული საქალწულო აპკიდან მლოცავს.

უპარტიოთა დროშას ამხობს დღეს სინამდვილე,
მე შენს სიყვარულს პარტიათა სისხლში ამოვსვრი,
ერეტიკოსობს და ირყევა დიდი კარიბჭე
მიამიტობის, ბლუ სიყალბის და ნაბიჭვრობის.

განვსახოთ იგი...მიცვალებულს ვაცოცხლებთ მკვდრეთით,
განვსახოთ გლუვი თავის მქონე, წადილის მკაცრის–
რევოლუციას სულს და ნებას რაღას დავუჭერთ,
ზეიმობს ხალხი და ხალხიდან გამოხეთქს ზავთით...

შხამი ზაფხულის, მიწა - კრული, მანდილი ლურჯი,
ვითარც ზევება ჩვენებური ალტრუისტების
მე ამ შხამს შევსვამ, ჩავეშვები ერთობის ღურღლში,
ვით საიდუმლო მალ-მოზიდვა სოფლის ურმების.

ვეთაყვანები ამბოხების მოთავე მარტვილს,
დგება მისი დროც, გულკერკეტობს ინსტინქტი მწველი,
ხელოვნურობას შემოხლიჩავს... კულტურა ზავის -
ჩაესვენება კომპრომისის სამყრალო თქერში.

სადღაც აშდოდში უცხონდება ლიბერალს ცოლი,
ნაზუქ-ნამცხვრებით ნასუქ კამეჩს შესცქერის ფური,
თვალს გააყოლებს მოკულაშო ზმორების მძორებს,
მასონურ მაღლებს ინტელექტის ნარჩენებს უყრის.

ჰა, მომიჭირე ეს ქამარი, მოძრაობს რაღაც
მატერიალიზმს მიათრევენ მემარცხენენი-
რომ დიქტატურა-შეყვარებულ არსებას ვზამავთ,
წმინდა ზნეობის ნაშედეგართ ჩვენ ვაჩერდებით.

და ჩვენს დოქტრინებს იტაცებენ პურიტანები,
ამერიკული წინასწარი ზრახვებით ვარსობთ...
გონების მფლობელს ვეცილებით ცივ სატანჯველში,
გონებით ნაგებს, გონებისვე სიავით ვამხობთ.

ვამხობთ და ვიცით ჩვენი არის ეს სარბიელი,
კავკასიური აქ ვრცელდება დღეს ექსპრესია-
სამოქალაქო ომებს უცდის იქ ინდიელი,
დედა - სურვილში ჩაკირცხული, მიწისფერია!

ნიგვზნარში გპოვე, ნირშეუცვლელს ჰგავდი მშვენებას,
იდაყვზჯენილი იზნიქები, შემანი, მიხმობ...
ზვავდები მთვრალი, ყინაშლილი ჩემი მხევალი
ჩაჭყლეტილ ნეკნებს თაფლცვენილი სინაზით მიცხრობ.

დასაწეწ თმებში ვიკარგები, მოვირწყავ ნახვებს,
გამონაგონში მეკვეთები მწყვდეული სხივი -
ჩარღვეულ თანგში ჩამოფანტავ გადაცლილ სალებს
გადაბურდული ბასტიონის ელვარე მძივით.

ავიხსნი აღვირს, აღგერევი მესიმვე მვეღი,
ასთენიურად დავასკდები გულიმგერიას...
და ანარქისტებს სასაკლაოდ მივუშვებ მაშინ,
რომ კომუნიზმის დროშა შერჩეს ქვეყნად ბერიას.

    ამოძრავდება მორფიუმი ვენურ სადენზე,
    უკმარისობა აორთქლდება ჩინურ ალმურში...
    კოკოლა კითხვებს აკაფული კრძალვით აცუდებს
    მოიცამტვერებს ტიენ-შენ-ის ჩეხილ ალუმებს.

ჩვენ შნეერსონი გვასწავლიდა სიყვარულს უცხოს,
მისი თვალების კრთომა ქალაქ ნიუ-იორკს სცლიდა–
მეც მეჯიბოჟში ბეშტ'-ის საფლავს ვემთხვიე მიტომ,
მოვკოცნი სვეტებს,ჩემს სიყვარულს ამ მიწას ვფიცავ.

    მწამდა და ისევ მეწამება ის ერთადერთი,
    სული წმიდისა, ჩანთქმეული უბადრუკ ბზარში,
    ამ ცივ ფილებთან დაქანცულნი მივთავთავდებით,
    ზის და იცინის საუკუნოდ დიდების მადლი.

გასცქერი, იძვრის,მიწა იძვრის დაიტანს ყოველს,
ყოველს დაიტევს, ჯიპი მისი საგიჟეთს სწვდება–
თავისუფლებას, ხორცს, სიხარულს მიაბრის მძობელ
გარ-სამყაროულ უსასრულო ტკივილთა წყებას.

    გამოვცემთ დეკრეტს, გული სწყდება პარაზიტს რომში,
    აპოლოგეტებს მოციქულთა შეავსებს რაზმი,
    გვახრჩოლებს კვამლში სქოლასტიკა, შეგვიცვლის როლებ
    რომ ერუგენას დამასკელის მოსტაცოს ლანდი.

დაუმწიფდები ქვენა მამებს, უმყნელი ყანა,
მოუპრანჭავი პირისახის გეწყება ღრეცა...
კითხულობ პავლეს ეპისტოლეს, კითხულობ სანამ
ღმერთის ქალაქში ავგუსტინე აღანთქევს დელგმას.

    და დაგვმღერიან დაკარგული მანდოლინები,
    მჯლევდება ლოდთან დეკანოზის სხეული მშვრალი,
    ტერტულიანეს მატერია ჰგონია ღმერთი
    დაუკუპრავი,ქალბატონთა პარტერში დარბის.

და ცელის ტარზე დამელოდები, მოვთიბავ გოგოვ,
ქედნაკურთხ უღელს არ მოგიშლი ამ ანეულზეც-
ჯიხვნაომარი ვაჟკაცივით მოსწყევლის გონდოლს
და მიატყვრება ცრემლმორეულ გადარეულებს...

რიღასი შიში, რისი ძრახვა,რის დაღონება–
დათვურ სიზმარში ქალისპირი მოითეთროსნებს,
ძვალდაკუწული მრუში კვდება და აგონდება
ვითარ ეშინათ თუ ელვიძათ მტირალ ფეხოსნებს.

თანამგრძნობელი,რკინისფერი გვზრდიდა ლოგიკა,
იცინის, იბრძვის, მრწის და ითმენს გამჩენის კრულვა,
აქ ცხოვლიერი ირონიის წამებს მოისხამ
და უარყოფილ თეზისებში დამიწყებ კრუნჩხვას.

ძალაა დიდი, ხელი ღვთისა მედება თავზე,
ჩაქანდაკებულ თრომბის სურათს შამსგავსებ, ვიცი-
დიან სიტყვები, იდუმულად მევსება ბაგე
და საიდუმლო აღსარებებს წარმოსთქვამს გიჟი.

მიახლოვდება დიდი ნებით, დუღს პარაბოლის
რაღაც მანტეა წარმართული, უცხო ქალაქში,
მოხუჭავს თვალებს, პირს მოკუმავს კამპოსანტოზე
იეხიზკეელის თელ-ავივურ გარდასახვაში.

მოვიქრობ სანთელს, შინაგან შუქს გავფანტავ ჩემში
გზას ვუცლი სხვა შუქს,სხვა სინათლეს,იქნებ ღვთაე
ადამიანურ ნანგრევებზე მეცემა ზესქვით
ეს აღტკინება – ფილოსური ნაბოძვარების.

თავი-სრულ-იყო,დაეშვილა, ზღვისპირულ სუნთქვას
დედა მარიას კლიმაქსების ორფენად დაჰყვა–
ტრინიტარული თვითგანწმენდა ქალის ძეს სურდა
და ეკლესია კლდე-მოცავთა სავანედ ჩანდა.

შეთქრიალდები ნამზღვლევივით კისკისა,მზითებს
მოუოხებელ ჭრილობაში მცვრევით მომმადლი–
ნაშქერწაყრილი სიმფონიის სააქტო ბგერებს
პირამთქმელური უცოდველი ცვეთით ყოლავდი.

კმასაყოფელი გაგვიჩნდება და მის ნოქტიურნს-
ნემესიუსი შეჰღაღადებს ბუნების კამკამს,
ანატომიურ მომღვრებებში კაწრავს პოდიუმს
და სულთა შეყრის სანაცვალო მოდელებს ბლანდავს.

ემიე, მიჰყევ,ჩვენ შექმნილთა შემოქმედს შევქმნით,
მოიხიბლება,სახელხვეჭა კოსმოსს მოიცავს;
ამ დაღლილ ნებას მივაბარებთ ღუდღუდა მემფისს,
რომ ღრჭუ კაცუნებს თაყვანი სცეს ქალმა შორიდან.

უმაღლონობას დაგვაბრალებს მაგმაგა ბედი,
შეისუდრება ზმანებების შავი ხირხატი–
ხიფათგამოვლილ პურიტანებს მოქუფრვით ეტყვის:
„სად მიიჩქარით,ვისკენ,რისთვის?!“-თქვენ კი გიცანით.

ეიგივება ეს დიქტატი, მოსხლტება ბორცვებს,
მოტომზიდავთა კრულ კოლონას მსტოვრობს არაბი,
მსუსხავ ქარბუქში ორატორობს ხვრეპია ბოთე,
ნავთსარეწებზე სეფეწულთა ცეცხლი გადადის.

საალაღბედოდ ამ საფლავთან გეამბორება,
რწმენის სიმბოლოვ! აპოკალიპსს მპირდები შველად,
მარადუწერელ ევანგელეს თხზავს ორიგენი–
როს მომავზედო მოლექსეებს უწყალოდ ლეწავს.

რანი ვყოფილვართ თუ არ მტვერი და ილუზია,
ვილტვით და ვოლგას კომისართა გვამებს ახვრეტენ
ახვიხინებულ ცხენებს რუსულ ხორბალს უყრიან,
ენაზრგვილ მოკვდავს მოჟანგულ ხლართებს ადებენ.

და პრაქტიკოსობს ჭკუათმწყობი, აღარას ჰკარგავს,
ლოიალობის გადავერცხლილ საუნჯეს ეძებს -
ჰარმონიულად გადახერხავს სამყაროს საზღვარს,
სილოგისტური სარწეველით ჩამოსდებს მერხებს.

მეც მის პრაგმატიზმს ვემდურები, გათავდა, მორჩა,
შემთხვევით ნათქვამს, შემთხვევითი აზრებით ამკობს,
სარგებლიანობს ბურჟუების ნამყრალი ხროვა
ამოცანური შედეგების ასპექტებს დარდობს.

განა რად ღირან იდეები ამ საბოზეთში,
მაღდაცანების ლოზუნგს ისვრის სადღაც გომბოშა,
საქმოსნებს ზრდიან...ჩვენ გვმარხავენ აქ სასოებით,
ეგოცენტრული თვითდაცემის სასრულ ბოლოსთან.

და ახლოვდება დღე მსოფლიოს ქვე-გადმოქცევის,
ღვთის სამეუფოს მკვდარი ქრისტე ვეღარ მოიცავს,
ჩააქინდრე თავი, მას დაჰყევი, იქ შინტოეთში
ლამაზი გოგო ოკეანეს ვეღარ მოხიბლავს.

დგება და ამბობს:„ვატაში-ნო...კეკკო...ანატი..
მეგონა,ხტოდი,დილის ნიავს ელტვოდი მარტო,
ალუბლისფერი ხავერდების სარძლო კარავში,
მკერდშიშველ ასულს „საიონარა„-ს მახილით ვირთობ.

უარყოფს შინტოს სავედრებელს,რიტუალს ამსხვრევს,
წმინდანთა კულტის ნათლისცემას ზიზღით შესცქერის,
ნაწილთა ნაწილს სავოდვილო ტრაქტატით ავსებს
და ეხნატონის საარსებო ლოცვით ვზევდებით.

იყვნენ სხივები,სილამაზე,შვება,მაატ-ი,
მზიურ სამართალს ჭეშმარიტი სწყურია სისხლი,
წყევლა მუქარად იმართება ჩვენი ბალზამი
ყრუ-მუნჯთა რისხვას ოსტატური სიდინჯით ვიცლი.

თვალია ავი, მგლების ხროვად იქცევა რომი,
პროკურატორებს ჩამოართვეს წკეპლების კონა,
ლეგატებს ათვლის კესარიას დღეს ცესტიუსი-
იმპერატორის სურათს ჰკიდებს,პილატე მოვალს.

უკეთ განსაჯოს ადონაჲს კოდექსი კარში,
ხედავს გულთმისანს, ნათელმხილველს რა ეკადრება?-
სულთა სამსხვერპლოს ვეახლებით ციური მარშით,
მსოფლმხედველობა ხალხის ტბორში მიიკარგება.

ახდება მაშინ,ბოლო დღეთა ბოლო გოდებით,
გარყვნილ სიონისტს თავმდაბლურად სამოთხე უნდა,
აღმოსავლეთი დასავლეთში დასცეს მორგებზე,
რომზგავენ მხსნელებს,საკუთარ ტვინს ცეცხლ წყალში
თუთქავს.

რას ჩაგვმეცყველებს იერემია, მოსმახის შვილებს:
ეხა-ს მახილში ნადგურდება იქ ისრაელი–
ჭეშმარიცებით დავუყვებით სიბილწის ბილიკს...
ნაღველ-მეღვრილი ცამრის კართან მივფარფაცდებით.

ლეღვის ფოთლებზე გადაგაწვენ, ბნელდება, ქრიან,
მომრონის ქარებს შენს ნაწნავებს ვუხლართავ ქალო,
მიყვარდა ისი,არ ჩამქრალა,ის ახლაც მიყვარს,
ჩემი მეუფე დავიდისა, ბეთლემის ნარმლო.

მერე კი ნეფე ჩამოგისვამს,პირვარდა სარმლოვ,
შვიდსავე მაყარს დაგანავცლებ,-იქნები ჩემი,
თვალთა ბრიალში წარბ-ნასურმალ სამებას ათრობ,
სავსე ხელადას შემომიცან და ჩემივ რჩები...

ამ დერეფნების საიდუმლოდ, წუნწუხა ლაფში,
შეღლვებილ დობე, ცომმოსაზელ ვარცლთან ფუსფუსებ,
ლეკვერთხებს მიწყობს ნაკრუხალი დედალი ჯამით
ქვრივის ქორწილში ჭრელი გველი ავად სისინებს.

და ცანშიშველი ეცხადები, გეცლება რიდე,
ცოლის პაცრონი არ ყოფილა, დიდებად შერჩა-
ცხრაკეც-ჯაჭვ-საწყვეც მონაზვნების უგუნო იმედს,
ჩანაცრებული, გადამქრალი პირობის მერცხალს.

ამ საწუთროს შეიყვარებს, ბინდისფერ სოფელს,
თან ჩააყოლებს ოცნებების მცირე კიდობანს,
თეთრი ცირიფის სახლებს იქით მაყვლიანს აქცევს
მობრმანდებიან რომ კისკისით გითხრან დედოფალს:

„-ხარ მისი ბედი,მისი კერძი და მისი მიჩი,
ცოკიოს გზებზე, ედო-ს ცოცხალ შამანებს ეძრძვი,
ჰორიზონცს გაღმა,ღვთაებების გამოჩნდა რიგი,
ასი სამეფოს გასაყარზე იამაცოს ემებ."

და კოფუნებში ემბლემები სარკავენ მახვილს,
იზე-ს ცამარში ოჯახის ღმერთს მივეახლებით-
ალცერნაცივას ჩაგვაბარებს კეთილი ბალღი
მრავალ-წყალ-ჩავლილ სისხლშეყინულ სლიპ სანახებში.

ოცდაორ ტაძარს იმპერიულ მიწას უმძიმებს,
ბრინჯსა და წვიმას ბუდა ითხოვს მედიტაციით,
სამ საგანძურში ჩვენ მზე-ქალი ანდერძს გვიტოვებს,
მაგიურ მუდრა-ს დჰარანი სწამს ავი ზრახვების.

აჰა, კიტანო, ბრაზიანი სული ხორხოცის–
ბუტა-ბუტიობს, მას ვირიგებთ, სრული მშვიდობა,
ათვინიერებს და საწოლზე გიწვენს მორცხვილი,
ღუარს სიტკბოების – ძლეულება ჩემი ისმოდა.

შეშფოთდი ურვით, შური გწყალობს, მძიმდები უცხოდ,
ყამს განსაცდელი მორჩილება სიმშვიდეს სურდა,
უსამართლობა გვენიჭება და ბრძენი უზნობს
კეთილ დიავში – ნერგი კეთილ ირგვების მუდამ.

რაღას მამაღლი მაგ შენს ნაკურთხ ასართულებას,
ჯადოქრობ, მგესლავ არ მაკმარებ მთავარმოწამეს,
ქადაგად ცემულს მომაღლადე მოწმედ უდგება...
მომღვარი სუნთქავს, დამწიფებულს თვისთან გიზარებს.

* *

英雄无用武之地 ი̄ნგ შიო́ნგ ვუ́ იო̀ნგ ვუ̌ ჩყი̄ დი̀ – გმირს არ
გააჩნია ასპარეზი, გულადობის გამოსაჩენად

დადის, ზოლთას სცემს მორონინე მომღვარი ჩვენი,
ყოფილა რწმენაც შეუვალი სიმტკიცის წყარო,
მიზნად ისახავს მის შეწევდომას დარზაისელი...
ფილოსოფოსი საკამათო ცნებებით გვართობს.

ორჭიალ-ღურღუნში პირგამშრალი მოდიხარ მერე;
მისხლტები, გჯერა, სხვაგვარ წესებს იყავ ნაჩვევი,
სხივებმიმქრალი მოფრქვეული გამოჩნდა დერე-
უსაცოდავეს სამირკვლეზე მინამაგრები.

მეც გავიღვართქლე, დამასვენე, დამისავათდი,
ყურა სოკოებს ჩამიხარშავ, აქ, ტალავერზე-
აგელვებული ბედაურის ჭენა-ძაგვრაში
მანჯაყო ტლაპოს შემომაცხობს ღმერთის ფარეში.

მივსრბოლავთ სტარტზე, სასაცილო მოგვყვება ლანდი,
ნაირფერადი კომბინებით დანაკვერცხლდება–
ჩემი კალამი ქაღალდს სერავს, დაჭრილზე ბასრი
მომქრალო სიტყვებს ერთმორწმუნედ შეაბერდება.

რა უშფოთველი ჩანდა მაშინ დედაჲ წმინდა,
უჩინარ-ყოფილს ნიჰილიზმის ქოლგა ეშლოდა,
ჩამოერეცხათ კრეატურებს - აწვიმდათ დიდხანს
მუხლთაშორისი სივრცის არე აღარ გვეწვოდა.

და ალანძული მივლასლასებ დაღუპვის გზებზე,
მოყირავებულ ესტათეტებს გადავცემ უფალს,
გადახსნის სათლავს, იყოლიებს და ისევ მერხებს
შემოუსხდება და დავითის სალამურს უკრავს.

ასეც გეტყობა, მთელი ღამე არ გიძინია,
ნაკვთებმეშუპულ სარეს ჩეჩავს მკვდარი ფილონი,
მიჯნააყრილნი ოთახისკენ შვებით მიდიან,
ბედნიერება - მოქმედების ქამელეონით.

რაღას ჯღანავენ მკითხავები, პასიანსს სცემენ,
გარდაქმნა ისევ, გარდაქმნათა მიზანში ტყვრება–
მთელი სამყაროს საოცრება ანცვიფრებს ბერებს,
რომ საკუთარი საწყისები ამხილოს ყველამ.

პერსონალისტებს ჩვენ გავუწევთ ანგარიშს არსში,
მეცნიერებამ დრო მოჭამა და სივრცეს სჭიმავს,
პატივაყრილი მილონლილებს მორიგი მარცხი,
პროგრესი ღრუტნის ღრიანცელა მალობით კვირას.

ობიექტური სუბიექტის შემოწნილ ფაქტებს–
მიუკერძია სიმარტოვე ხეული პირის,
ჩამობარგდება წიხლჩაკრული სანივთე მაცნე...
უკუმჯდარ მოკვდავს ზედ დაახევს უკუყრილ სინდისს.

მერე შეუმღვრევს ჰებრაისტი ჭრელგულას საზრახს,
სათაგურიდან მოხსენებით მორბის გამდელი,
საზიარებელ ჩამომერწვას მარადის ახლავს,
წასახუჭავი სილუეტის მძალი საბმელი.

საცერფულს რუჯავს,რცხილნარისკენ ლუნბჯენით მივალს,
ღრღნის ჩვენს არყოფნას სასწაულის ეს პრელუდია,-
უშინაარსო პირბნელ სვებედს მუცლისას იცანს, .
მფრინავ პწკალებზე ნახანძრალი ჩანს ბურგუნდია.

მოუცვლელს იცვლის, პიროვნება ბანაობს ზეთში,
მეწრუპავს ნახარშს, მოუხდება მოკირწყლვა მკლავის,
მკრთალლურჯ წიაღში მლიქვნელ მმართველს ჩაკვესავს
და მიკენწლაობს კეთილხმოვან პარტიულ კვანტში.კეთr

მეც ვებლოცები ღირსსახსოვარ ყიყინა კოდებს,
ჟანდარმერია შესევია პარიზულ კაფეს,
მომჯადოებელ დეკოლტეში ეს წვენი მოხეთქს,
იფცქვნება ზეცა მას საქენჯნი წამება მართებს...

ჩვენი და თქვენი უხუნდება ჯიუტი ტვინი,
გატკიცინებულ მაგიდაზე სწერს ის ბიბლიას,
მისტყორცნის სალაც, ქვე-ეშვება მხობილი ბირთვის
ეჭვმიტანილი ღლეისობის ტრანსპოზიცია.

და მეელ ფანტაზმებს მივაგორებთ მკაზმავი ბამვით,
მივხოხავთ წყობის დრომოჭმული ფსკერის თაროზე,
ინდუსტრიების გრძელი რიგი ლაგდება თავთით
და ყვავილდება ნეაპოლის სასაკლაოსთან.

დაშხამავს, დაჩვრეტს, თავსამტვრევი ჰქონია ბევრი,
ხალხის ფხიქიკას ასუფთავებს პროექციებით,
განეტვირთება ჩალექული გონების ხმევას,
ადგილს გვინახავს მუზეუმის კოლექციებში.

ციურ მნათობებს შემოსწვდება ხელმწიფე მთების,
ნიკკო-ს ტამარში ჩამოწვება შუადღის ბინდი,
აღმოსავლეთში აბრწყინდება მანდალა მჭვრეტი
ჩვენი საერთო ენერგიის მჭმუნვარე რისხვის.

ორად იყოფა წმინდა მიწა იქაც და აქაც,
მხარმოქცეული ტალავერი ეცემა ქარში —
ტოკუგავასთან ქურუმთ ქურუმს ქოშინით კიცხავ
ფასდაკარგული მიფაცურობს და ფაქტებს ფარცხნის.

შემოჯგუფდება, ღმერთებს სწირავს უმენომია,
ნიჰონგის ფურცლებს მიუკერძავს სალოცავ თავებს,
სუტრებს იხუტებს მკერდგაშლილი ასე ჰგონია—
დიდი მოშობვის სასახლეში მიმართავს კარვებს.

და ეჭმუხნება ნიუანსურ გრაგნილ სამებას,
უსასრულეთში მოსეირნე განგება მუნწი—
სისხლმორეული სიტყვაწყლიანს ნატრობს ქარვებას
ფოტოგრაფების შეგანგლული თაობის ზურგზე.

რას თაოსნობენ თალითები, რას მაღვიძარობს,
მგლოვიარეთა მახრჩობელა ტირილს ეპკურის,
მოიმამლრისა მაწანწალამ და სათითაოდ,
ჩამოგვირიგა ენგი მიკი-ს ქვები რჩეული...

ყონავს,მეყავნდება,პირჯვარს იწერს საფერებელი,
ნაფუძარ პროექტს მიუპირებს პრეცედენტებად,
ურდულწაგდებულ მრიცხველს არკვევს გადამეტებით,
ნატანჯ უფლისწულს ნიშანდობლივ მიეფერება.

მოსრიალდები აქ ბეთლემურ ეკალ-ჯაგებში,
დაუმწყვდევ პირმშოს ესთეტობის ესკიზურ კვარტეტს,
სადღაც კეც-კეცად კვალ-არეულ მეგლებს დამიწყობ,
მიმეგზავნები უნაპირო ჩვენების მხარეს.

საღამოვდება, ვარსკვლავები სიცივეს სცრიან,
ერევა ჩრდილი მეგობრობის მღრტვინავი მხეფით,
მინტო-ს მიკოტო პირვანდელი ქაოსის წიაღს-
ზე-გადაუვლის მიწიერი ქლომინა ფრენით.

და მიაწყდება ხუთ ელემენტს ჲან-ი და ჲანგ-ი,
შიდა განწმენდას გარეგანი ფქაფუნით ახდენს,
კომშის მოკბეჩას მიეჩვევა ჩლუქუნა ვაცი,
რმეგამომშრალი ემკვრივება ჩადრმოსხმულ სარყვენელს.

მე ცუცუ-შიმი-ს ჩაგონებულს მოვიკრავ წელზე,
პატივისცემა! თავმდაბლობა წესად გვჩვევია -
კუნ-ფუ-ცზი-ს ახალს შიდემასუ უთავსებს ფერებს,
ღვთაებრივ ბილიკს კაცის სავალს ედავებიან.

კამი ნო მორი...ქრისტე მოვალს,ქორონიკონი-
ლობე, მდინარე,ხის ჭიშკარზე თოკი გაბმულა,
მთებს შორის ივსებს საკალთავე ხვეწნას კიმონო,
ითარჯავს ველებს და ნათიბზე ზომავს ასხმულას.

შემოჰფლეთს მომსკდარ უშვილშირო პეიზაჟს სართებს,
პერიოდულად მოჭიკჭიკე წინწკლებს მოწირპლავს,
აღარ მოუთმენს მანიაკურ სამასხრო მანჭვებს,
მატანტალების უმასპინძლო დიდი სკოლიდან...

მაღალზნეობის მეშჩანები სალონში ზიან,
ღორთუხუცესთა მეყსეული არის ყრილობა...
მინებჩალეწილ ოთახებში პატარებს სმინავთ
და მიღრიტინებს ალენბიზე ნიცხის მინორი.

მოყირჭდა ყოფა, მოეყინა მხრჩოლავი პლისე,
პლაგიატორებს რომანტიზმი მიუსტვენს დანტესს,
კრედიტორების კოშმარული ვახშმობის დროა –
ჩაეკივლება გლიცერინით ჩათხუპულ ბარდერს.

და ამ გლობალურ მოფრთხიალე დელფინთ შესცქერის,
იმხობა ჩემში განთქმულობა, მონადრეკს ვიგლეჯ,
მჭექარე გონგით გაიმანის ერთი მკრეხელი:
„პროლეტარებო, ყველა ქვეყნის, იწამეთ ქრისტე!„

გემწყურვალები,სათბუნებელს ნუ წამაყვედრებ,
მოგთელეს განზრახ მოთვალთვალო სათქვეფ სადღობში,
პირგადამარხულ უსაზრდოო ნალახვარს ჰგავდა,
ნაპარტახევი ჩვენი ეზო,ნამყენ-საყოლი.

მიგზატკეცილობ, ხურდავდები დრო-ნაკლი სრბოლა,
თავფეხშექცევით გვიმაჭანკლებს ჭკვიანი კლერკი-
კლანჭგამოსადებს გვიუცხოებს მეფისნაცვალი
საბურთალოსკენ მიიმღერის ზლაზნია ბერწი.

თვალთმაქცობ?!...იხვევს დაკუსული ლულების ბუდეს,
ციმციმებს, მოჭრილ დიადემას ემღვრევა აზრი,
ილწვის კაცუნა...უღილინებს ფუვლია ტუჩებს,
კომკავშირულად მიარიყავს მოშდურავ საკითხს.

მოუმკელს ჰგავდი, მომლოდინე ჩემი სასრესის,
რის სატრიალოდ საღრეობო თქვლეფას შევრჩები,
მომთუთქავს თოშში ჩაბანჯგვლული მისი საშლელი,
ჩამოსათხოვარ ცოლქმრულობას ვეღარ ეშვები.

და მიქვითინებ, ჩაუქრობელს მომაფრქვევ კდემას,
ხანმოთეული მოფუცხუნებ ფრფინვის სინდრომით
მწიხლავთა რაზმი მწიფობისთვეს უძლური დგება,
რომ კონტრაქტებში ჩაგიმონოს წელი სინორჩის.

მომსკდარ საღელველს აწესრიგებს საკადრი პომპით,
კატაპულტებზე პაგანური ვიშვიშით ადის,
რა უვალალა უდროობის შამპანურ ტოლდიდს
მომპატიჟებელს ვეახლებით ორმწკრივი დაცვით.

რუსულ სიმართლეს ემართლება ახლაც პესტელი,
შემცილებელი არვინა ჰყავს ცივილისტს ცეხვავს,
ვის შესწყრომიან თელ-ავივის ორკესტრანტები
შესწკმუვლებს ყაზახნ და გრაფინას კავკაზში ხვდება.

ტუქსავდნენ ყრყოლით შარლატანურ ქირქილა ბოშებს,
რიტმულ წყრომაში უყვებოდნენ კრეოლებს ამბავს,
ორგუმბათიან მონასტერში კაშკაშით სტოვებს
დიდი რუსთველის მივიწყებულ ჩაჯვარულ საფლავს.

ხურავს დარაბებს, კარს ჩარაზავს იქ იგუმენი
დასცდება სიტყვა,თითქოს ტვინი დასდუღებია,
დასაჯამებელ საუბრებში თავს მოიმდაბლებს
და ანაფორა ღმეჭის კერძად მოუფხრეწია.

მიმხედრებს ხატებს, ნაშიერივ შთენილა ბლომად,
უნატიფესი ხელის გული მიმწვავებს ვნებას,
უსაჭიროეს ნაირსამოსს მოგიმღვნის,მომკლავს
ამონატვიფრი ოლარების ამარა ვრჩები.

დაუმლეველი როდი ვიყავ, ნადარბაზევი,
ვიდექი მის წინ, პისტოლეტი საფეთქელს სცრიდა,
საუფლისწულო მოვლენების გადასახვევში,
მიუღწეველი ცისარტყელა წამებას გვგვრიდა.

და მოჩვილდება ყრმად ისი,ნუგეშს სცემს ქალო,
მისი პროლოგით დაიწყება ეს დასასრულიც
ალექსანდრიის პროექტორებს სალუტებს აქსოვს,
სუბტროპიკული სიზარმაცით გადაბლაგვული.

დაფდაფებია...მიბაჯბაჯებს დარაჯი თურქი,
წმ. საფლავის გარემოცვას ღამეებს აზღვენის
სახეს იხოკავს დედაბერი, დაიწმენდს ღაწვებს,
რომ მოჩხვლეტილი ცხედრის სუდრვას მიანდოს თვალი.

დასჩხავლებს მზრალად დილეტანტურ თემებს ნაცემი,
კატალეფსიურ მიმიკებში მოჯღანავს პრადოს,
ენთო კაპელა და დაობდა მოგვთუხუცესი
ნათვალევ გამჩენს კრეტინიზმის საკერძელს აცხობს.

შორეულ ჭალებს ტყე-მინდორი მიჰყვება გასწვრივ,
გავცდებით სურამს,სულ სხვა მწვანე იმერეთს ქარგავ
მოიავადებს თავს ფაცხაში მეგრელი ქალი
და გუდაუთას მოუთენთავს სხივმოსილ ტალანს.

ტანასხვეტილი მეშოლტები... მტკივანი კრთომით,
ილლიისქვეშეთს იუველირი მოგიუთოებს,
მოფარდაგებულ პრეზიდიუმში ქანაობს მორგვი
და ხმელ ნაზორცალს ხორკლიანი ფეხით იშორებს.

და ტარტაროზობს ერბოკვერცხის ნატაფამწვარზე,
ღრმილებჩაღრღნილი ყავისფერი ოფიციანტი,
ჩაბჟირებია მხამ-სამსალას ღვინით ნასვამი,
ოპორტუნისტი ყამთა სვლებით ბედ-ნაწირალი.

ცივ დეკემბერში მივუყვებით ლონდონის ქუჩებს,
კლემპტომანები მანუსკრიპტებს გვიგდებენ ხელში,
ხმაგაკმენდილი დგას და უსმენს კლოუნი მისჯილს
პიკადილისთან გვიტკეპნიან ტროტუარს ბრმენნი.

მოუშიშვლდება შუადღეთა ყვლეფილ ნაკადზე,
ნატურმორტების საზღაურში გაიმრობს პალტოს,
მკურნალობს გიჟი სამიმოსვლო შემონაყარებს,
სამრეცხაოსთან შეღავათებს ვარიგებთ საღვთოდ.

გასაშლისთ ვცხრილავთ, გაბრუებულ ბროდვეის ვჯიჯგნით,
ნარკომანების, ვებლანდებით, საქარწყლო მოდგმას
თმა გვებურძგნება, გაფითრებულთ გვშთენია რიჩი
გადაშვლეპილი, მონუსხული პირმანგი ნორმა.

ჰო,პიკანინი,შთამომავლურს მოლურლავ წარბებს,
კითხულობ,იცი, ხედავ - იცი, რომ ასეთია
ესე საგანი ვითარებით ცვლილებებს ავლენს,
სასუბიექტო ცდის პირს სხვაგვარ მოსჩვენებია.

ემანაცია, პანთეიზმი...ჩვენც ვეწირებით,
ფუნქციას ვისკვნით აზროვნების საეჭვო დაღად,
ისტერიული მინაგვარი ტკეპნის მიკეცილ
ნაკლულანალებ ავტორიტეტს მოკვეთილს კრძალავს.

ნულარ ენდობი გრამატიკულ ზე-კონსტრუქციებს,
მოშხუის...ტალღებს პრევენტულად პრიზმები ცლიან,
მარცხნივ და მარჯვნივ მისაშეგვი მოქელე,მისდექ
პურ-მარილობას არ დავაკლებთ სტიქიას მზიანს.

ამ სტრიქონებში ვესტუმრებით რიცხვთ საიდუმლოს,
ფანტავენ აზრებს ძველი წყობის ფანფარონები,
ყურდაცქვეტილი პითაგორა სახავს უსულო
თვალიერებას ზაფრააშლილ მყინავ კომპლექსში.

მჩქეფარებს სული,სუნთქვა იშრეტს კოსმოსის კრატერს,
ზარდაცემული წუხს და ჩამჭვრეტს უსასრულობა,-
დემარკაციულ კონტურებში გუზგუზით მავსებს,
მობრძანებული ის ბუზღუნა მაღლთა პირობა.

ერთია ღმერთი?- მეც ერთი ვარ სახისა მისი,
ერთ იყო ყველა,- დიონისე ორგიებს ლუღნის,
ამ რაშეებში საკონსერვო ხორცს წუწნის კაცი
და უშეცდომო შეცდომებში ვარიებს პუტკნის.

მოუყელყელა და გაორდა მნგრეველი ფორმით,
ულოცავს კადანსს, უკონსპექტებს გატიხრულ აზრებს,
გადიტყლარჭება ლიბერალი გრადუსებს ჰკორტნის,
გრეხილ-ხვეული მთვარის შუქზე დასძახის:-გასძელ!

გასმელ!-რას თუ ვის? დეკლამატორს სურდა კერია,
მუცლის ტკივილზე ყრულ ითხოვდა დედის კვაწარახს,
პლატონს სიკეთე „გორგიისა" მოუფერია,
აკადემიის სფერულ კედლებს ქშენით ააკრავს.

ახალ ლოზუნგებს იდეებზე...მიბარბაცდება,
შემოგარსული პულსირება ათენსაც აწყობს,
მოურწყველობა დიდ გონებას უდარაჯდება,
მსწრაფლმიმავალი მწუხარების მწყალობელ საზღოდ.

და ჩვენც ერთიანს ვესალმებით,არაფრის არსად,
ტრიადულ საზღვრებს გადავუწევთ სულთა გონებას,
მოსმულებია თითქოს მვილი დაღვრემილ მამას,
მრავალმოწყალე შემცილებელს მიუცოცდება.

იქუხა ზეცამ,იერუსალემს უტვლეპენ პათოსს,
მომიტიტვლდები,ოჯახქცეულ ნგრეულ მიამიტს,
დიდი ოქტეტის უზურგულა საბჯენზე მამხობ,
მითარგმნი ქუთქუთს მშვენიერი კარგი დიაცი.

დალასლასებენ დაბნეული კორმის ტოტები,
ლამბავენ აზრებს და ლოშნიან საზამთროს ნაქერქს,
დალტონისტური სიამჭვრეტით ველარ მოვრჩები,
ყელგამოღადრულს მაფხიზლებენ,-შენი ხმაც მაღწევს.

მაღწევს და ვიცი,ვცალკევდები ვერანა ერთი
ვარვარებს შორით ათასკეცა ჭრაქი კანკელის -
ვცურცლიანდებით საგოლგოთე ტიალი მიწით,
ზედმიყოლებით ნახლეჩ ფირნიშს ვუსავსავდებით.

მიხფის და მიხეთქს კრუტუნების ფინთი კოპორტა,
ითხოვს გათიშვას და ათლიან გიგანტებს საზრდელს,
გზა მშვიდობისა!-გვიმრისფერი სევდით მორბოდა
მთვრალთა თათბირის ჩაზავების უპირო ლამეს.

დამთოვე ქალო!-დამათენთე სამარცვი შენი
დალალ-კავები, კაბა სრული, ხავერდის ბროლში,
მოსამტერებელ საფრთხობელას ჰგავდა იქ ზევსი,
გაჩუქებული მისატყორცნი ისრების ბომზე.

თავისუფლება მოსწყურდება მოციქულს, პავლე
წერს ეპისტოლეს, ებრაული კანონი ზღუდავს,
ის საკუთრებას, სახელმწიფოს გადასცემს ბრძოლით
ექსპლოატატორებს სამართლიან დისპუტში გუდავს.

ზე-პიროვნულობს ეკლესიის მხუთავ თაღებში
ორთოდოქსები პროტესტანტებს უგებენ ანდერძს...
ჰოკაიდოზე ომამორი-ს მაწვდის სათქმელად,
ამულეტებზე მითენდები ნორიტოს სანთლით.

ვაგზალზე მიაქვთ ექსპონატი და პამფლეტებით
მყუდრო სინკრეტულ უსახლკარო ქრონიკებს ვაკრავთ,
ქურქწამოსხმული ქურდბაცაცა უახლოვდება,
შემოცრეცილი ორსქესიას ყიჟინა პლაზმას...

ეპატიება ნაპატრონებს სურვილი ყიდვის,
მოისუფთავებს პარაგრაფებს, ყლარუნსაც იწყებს
ტვინს ეყლენთება შემომლვნილი განცდები ცივი
და მისიონი ჩვენს გროტოში სამებას გვიჩენს.

ჩარხავენ სიტყვებს, გაზევებში ვჩიჩქნით საფარგლავ,
ჩირქმოდებული ბელადების მობლანძულ სურათს,
სტატუეტებზე ჩუმჩუმელობს - მერე გზადაგზა
სტატისტიკური მეთოდებით თავს ირთობს მუდამ.

მუდამ ლამაზი, მოკრიალებ მსვლელის ჯერობით,
მსუბუქფრთიანი კროსვორდების ფრიალებს აფრა...
ფრუტუნ-სიცილში ეკარგება დედას სკლეროზი,
სტაციონრებთან ჩემს სიმშვიდეს ვაბარებ საგზლად.

რაა უნარი, თუ არ ტვირთი საზიდი ნაღდი,
სულს გვიმოვებენ მოწამლული ხკვერების მისწვრივ,
მანჰეტენურად გვიქარვებენ რევერანსს ტლაპში,
მოჩლუნგებული მიჩაქჩაქებს საითლაც ბრიყვი.

მე ვარო იგი, სეგმენტური ღვთიური განსჯა,
სახლკარდაქცეულთ ნიუ-იორკი როდი იცოდებს...
შეეთამაშა ლექსინგტონის შავ ბოზებს, სამმაგს
დაიყოლიებს... თხუთმეტ დოლარს უწვდის, იცოდე...

საშურველ ახდერმს დაგვიწერდეს ნეტავი ფშვნეტით,
ფხაგლუვ ცხოველებს შეიკვანმავს კუმშვა-კონებად
ჭკურჭკურებს ნემტი შემურვილი ტოქსინის ზეთში,
ტრამპლინზე გადის უსირცხვილოდ, შენ გიგორდება.

მხარწახრილ მხვეწნელს ვინ გამოლევს, მოსაქარგავი
ხალიჩა მიაქვთ, ლაქუცობენ ორპიროვანნი-
ტერფმოსილ გოგოს პოზიორი მოგყვება ვინმე,
პოლემიკური მოლაქლაქის საგან-დოვლათით...

მგლისფერი იყო ეს სამყარო მაცდუნებელი,
მოუგვარებელს აგვარებდნენ უსაყვედუროდ,
არიყრაყებულ უკვდავყოფას უცდის მრჩეველი
მივგებებივარ, რომ კრუსუნით არ დამემდუროს.

ერქმევა სახელ, დედამმუმელ მწიფდება სატრფო,
ტიტულებს მმატებს სატყუარა ლამის მონიშვნით,
სასენსაციო აზრას აკრობს, სასთუმალს მითბობს,
წარუმატებელს ჩამომყვება, წარღვნის ლოდინში.

იყო მეუფე, მიწიწკნიდა კანს ნაბოლარა,
ხალასდაკარგულს ხათრიანი ყინით მეტყოდა:
„ხომ გაფრთხილებდით, კაფრთხილებდით, არ გამომდგარა,
გრაგნილი სინდისს ეფრქვეოდა, იყო შეცდომა.“

ექომაგები წამოქცეულს, უშველე რამე,
წამოვარდება წინამმღვარი უცხოქვეყნელი,
დააცვივდება თავს ჩვენფერი ათასი ხახე-
ალანმულ ტკრციალს ამღვრეული მოსდევს მესხეთი.

სამშობლო ჩემი, უპოვრობის განგება დიდი,
ვემთხვევი მიწას, ფრონტონების დგება კოლონა-
ნეონის ტიტრებს სან ფრანცისკო ბითუმად ყიდის,
ტკაცატკუც გასცემს იქ ქართული ჭიაკოკონა.

ოფლგადამსკდარი დაუმრახავს საქვეყნო საქმეს,
უკუგფენია შენამრწოლი შემწყალებლისა -
გეთსიმანიას კლასობრივი სახსრებით ვავსებ,
სამეურნეო საფუმვლებზე ისმის ერის ხმა.

აკონკრეტებენ კაცის სულში შენჯღრეულ სფეროს,
სქელკანიანი სფინქსი გვცინცლავს სწავლულ ფარანებს,
შემოაკვდება პირამიდის ფუტურო ბექობს,
ფეხბედნიერი თუ ყოფილხარ აღარ გაწამებს.

ბედია იქნებ,პოლარული ცილების რიგი,
ნადიაკვნარი ორჯეროვან სიმართლეს მოწნეხს,
საჭიროების ზედნაშენურ სიფილისს იწვნის
და გვარეცხინებს ჩალეწილი მეთოდის თრომბებს.

ჰიპოთეზები...თეორია...აზრის ლოგიკას,
განპირობებულ წინათგრძნობას ურთავენ დროში,
იყო სამყარო ბინარული დრამწრის ნაყოფი,
ქრისტიანული ცეცხლის ბოლში შთანთქავდნენ პორფირს.

განა ჩაუშრა?!შენი სახის შტრიხებში ქანცავს,
ნატვრისთვალების მორაცრაცე ტყდომილ ნაცვეთებს-
მოჩერჩეტდები ზარცემული სამარის კართან
და დამიწუნმლავ საფსალმუნოდ ღმერთთა საქებელთ.

და ეთვისება მისი პირი წინსაცვეთ ტოტემს,
სართულშორისი აჩრდილებით ივსება ტროტო,
საწველელ ბაგეს მოსამღომად აღარ იშორებს...
ტირის და ტიტანთ ეტიტვლება ტიტინა გოგო.

ტოლია შენი, ჩატვიფრული შემთხვევით წამში
მიემალება დალეწილი ნდომის კოლოსსაც
და უფუვდება მუმუსთავებს სასირცხო დაღლით,
ინერვაციის ნებიერი როტვით როხროხი.

ჩვენ ამ მხურვალე სამყაროში მოგაგებთ ალერსს;
ახალი რწმენის საფეხურებს ვუნაცრებთ ენას,
ნაციონალურში ჭყვიტინ-ფრუტუნს იმაღლებს ტომი,
ლურლუმელაობს მისისიპის სამოთხის წყება.

ახალ პასუხებს მივაგებებთ მკვნესარს მკლავგაშლილს
მივყავართ შორით,გვიხერგავენ დამაბულ ნერვებს,
მრთელდება გული სასოების მსახვრალი გრძნობით,
ზიან დარბაზში და ელიან მაღლიან მსმენელს.

მსხვილთავიანი გომბიონნი მესიზმრნენ,იყვნენ,
ნამკვდრევი დილის საჩურჩულო მრკვეველ მრუდებში,
მოუდუნდება სალმანასარს ურარტუს კიდე,
ქვეწარმავლებით ჩატვირთული ბედს დაუსხლტება.

ჩამოგოგდება,დაგრმელდება,გრიალებს ჩრდილი,
ენთება ტკრიცით წაცურებულ ზეთოვან საცხებს-
რბევა-მტაცებლობს საკვირველი სინაზით ქვრივი,
რწმუნებულებებს საარქივო გროვებად აქცევს.

და ბზრიალებენ ეს აზრები ამ სტრიქონებში,
ისევე,ვითარც მე ვბზრიალებ შენს საშოეთთან,
შემმველებიხარ, მომახებულს რას გამოელის-
ხასიათწამხდარ გადაწებილ ნაბიჭვრებიდან.

ნუ მცრცნი, იკმარე, ვიზიტანტებს ვღებულობ ახლაც,
თანთქლავენ ცხარე მოცულლუტო სეანსისდარებს,
საჯიშთაშორის ტორეადორს ემთხვევა ალმა-
მორენა ჩემი - სევილიას რომ მოვიცხადე.

ნაღველ-ნარევი მივუყვები სახსოვარ კედლებს,
რატრატით მომდევს მხარმაღალი მწყრომელი მთების,
ტიბერიისკენ ნაფშვნეტ თვალებს მიაპყრობს,გვემებს
ნაქალაქართა წარმავალი სცენური ბედი.

მოგშივდა?! ყოჩაღ,ვინძლო გესმის შენი მოყვასის,
კადნიერებას ვინ შეგვარჩენს, ვინ გვაპატიებს?-
კალოობაა,- კავთისხევთან ჩმახავს მოღვაწე,
მოუფიქრებელ, დანაქრთამევ გალიმათიებს.

მოუღლის თმენას, კილოვატებს ჩამაბავს ჭორვით,
მსუყე ბატების მოიყორავს მოლესილ მუცელს-
მილეწავს ღოვლათს და სახალხოდ მორგვდება ლოდქვეშ,
ლიხსიქითური ნასისხლარი ემჩნევა ზურგზე.

რაღა ვინატროთ, გვმაგს ქშუტუნა სამრევლო ესე,
ქუსლებდახეთქილ მეეზოვეს თვალმშიერს ვიცხავს,
ვენჭისუყრელად მოდელიორს ირჩევენ, რეკენ
საანეგდოტო ზარ-ეყვნებით ცხონების მიზნად.

ვჯერდებით ბაასს,დასაჯდომად ვიღას სცალია,
ულევ-უვსებნი მოედნებზე გადმოვეყრებით...
ფედერალური სახელმწიფო რომ გვაბადია,
შეგვებრაწება ჩოხისმველა ჩურთვის ფერდები.

რას წაუკიდეს, ალი ასდის, საათის ორზე,
მურისტანისკენ მიირწევა ქომაგთა ჯარი-
წმ. მარია,მაგდალინელს ჰყოლიხარ მოწმედ!
შეუბილწავი რხევინების მიმქრალი მადლით.

შევამწყვდევთ ოთახს, მოვუმდოვრებთ ნამკობ სატანელს,
შესცოდოს ერთხელ,კიდევ ერთხელ, რა დაშავდება?-
ძმადშეფიცულთა სასაკლაოს ჩავუვლით მერე,
მიმიშვილობა შემშრალ ცრემლზე მოენატრება.

მძიმდება, ნაკვთებს დაეტყობა ნაკაწრი ჩვენი,
ნათლისმცემელნი მირონმოსილს მიხდიან ნათმენს,
ელდანაცემი მივარდება მარხული დედა,
რომ უმაჭანკლოს უკუვემულ მიამიტ საზრდელს.

ასეც უზავებს ღვინოს წყალში,წყალს კი მირონში,
შეურაცხყოფილს მოურყვნელი კანდელით ბროლავს,
ჩათქვირებული მიდუღუნებს სადღაც ღლისობის,
მჭკნარი ყვავილი ღამის ასულს ალერსით გჭოლავს.

გერცელს ეღება თაიგული და თეატრებში,
იუდეველი სამბატიონს გადადის ფონით...
კვიპაროსებში ონის ლოცვა მოენატრება
და ბროწეული სასურნელოდ აღუვსებს ქორწილს.

მოუაზრებელ ქარაფშუტებს ქლიბავდნენ საპნად,
ენაყრებოდა გერმანიას პური მშვიდობის...
მკვირცხლი მცდელობით წერს პასკვილებს აშლილი ლანდი,
კონსისტენციის მომსყიდველი დიდი სინოდით.

მიწაღმართობდა ტერმინების რიგი უსრულო,
ცვინამღვრეული ეზნეოდა უშიშარ ნდომას,
იეზუიტივით მრისხანებდა ერთი ურწმუნო...
მსწრაფლწარმავლობის გამჭოლავი პირქუში მრწოლა.

გვიკაფავს გზა-კვალს ნორმატიულ პრეზუმფციებში,
ფილარმონია ემზადება – ეშვება ფარდა...
ჩამოუმღვება ქუდჩაკეცილ სცენის ბიჭუნებს,
უმხურვალესი მოწივების უზნეო კაცად.

იყო უზღვეველ... .საველრებელს ვინ შემაწევდა,
გაკოწიწებდი შესათვლელი რჩევის ღიმილით,
ყვითლდები წექსწში ვით წარსული და შებრალება,
ვით სიფერმკრთალე უჰაერო ბნელს რომ უცინის.

უწინდელ რითმებს გვიგროვებენ ბრმანების კვალზე,
მობობღავს მარჯვედ მომიჯნავე ნერვის მარღვულა-
აგვაცლის პასპორტს, პალესტინა ისრაელს ავნებს,
სამუალღეო ქვა-წალახში ამოვგანგლულვართ.

და იქერვლება მაღლიერი სისხლ-ხორცი ავი,
სიუზერენული გამოკითხვით მზლუდავს, არ მარჩენს
დაგვიანებას...უსაშველო ყრუანწელს, დავლით
მოილორმინებს ღრანჭშეკრული პირის ნაკვამლევს.

★ ★

殺人不眨眼 შა̄ ჟე́ნ ბუ̀ ჩჟა̌ ია̌ნ – ხალხის დაყლეცვა თვალის
დაუხამხამებლად

ამ საფალფეხო გაუწანელ ბილიკზე შეგხვდი,
კუდიანივით აგეკიდე, ქრთამის მოფემას-
დავაპირებდი, მოსწრებული ლაქლაქის ნთხევით,
თავჩაღუნული დიაკვნების გადაშორებას.

ეს თავსაფარი მომაწოდე, მოვსპო მლიქვნელი,
დაბინდებამდე მაგ კენარ წელს დაგინაცრფებ-
შენაგროვ აზრებს დაურჩება გადასახდელი,
ენის ჩლიქინით წიწლიკანაც მოინანიებს.

ჩვენეულ დაღვრას ცრემლებისას წკივილი მოსდევს,
მოსდევს მომცდარი ღარწაფების ქცევადი ბრუნი,
ცეცხლფარეშები მეგლს უდგამენ ცნობილ მაწვევარს
გაფითრებული საკიდარებს მიათრევს ქუში.

თავბრუდამსხმელი გუნდრუკები გვაკმიეს სადაც,
მძებნელს ჰპოვებდა წელდამტყდარი ბედნიერება,
ქუდმოგლეჯილი მიქანდარებს, კლოუნი, საზაზს,-
მოსმეზნის ყანწებს, შეაგებებს ცების ცხელობას.

აღარ დაზოგო! ყალიონი მოქაჩე მალით,-
ეს სულელური არსებობა ვის რაღად უნდა,
არყნარში მივალთ, სათაკილოდ წუწუნებს ბანი
და ჩვენს თავებზე შავი ხელი კანკალებს მუდამ.

ეს სამკერდული აუკარი ყვითელ ულაყებს,
პირისწყლიანი და შორჩილი დგას მოჩვენება,
მომამარაგებს და თრიფინა თოჯინებს თუთქავს
ზედამხედველებს ზემოსოფლით არ ეფერება.

მოუშვი წუხილს, რაში გვინდა მტანჯველი გვრინი,
ყველა ხელნაწერს გადავფურცლავთ, დრო კი ილევა,
გადასკუპდება გაქურჩნილი გაგრია ბრიყვი,
ნგრევა-შენებას დამაშვრალი ისევ უდგება.

ჯუჯღუნებს, მისი ერთი სიტყვაც ვერ გამიგია,
გულს მოიჯერებს ლაპარაკით, იქნებ მსურველი-
მოენატრება უცხოობა, არ განიცდიან
გასავლელ მანძილთ მსუქანლოყა ებრძვის ურვებით.

გემოთმოყვარე არ გამხდარა, იღებს საჩუქრებს,
ადუღდა ქვაბი, გადადუღდა სინდისიც მასში,
ფრატუნ-ბუნცულით უბადრუკ ბედს მოისაზრუნებს,
მოლარებს დალეწს, თხილამურებს მიამსხვრევს ღამით.

და შიშნაჭამი ჩამომკითხავს დასავალს-ავალს,
ჩიბა ბუჩივით მიცინდალებს, მველ სამწირველს,
ჩვეულებათა საფშრუკუნო წიგნებზე ხაზავს
მოთიბულ ველებს და საწუთროს საგან-მიზეზობს.

ვემხობი, ვდგები... ღედამიწას ვეხები ცივი,
ისევ შემათბობს, საცნაური ღიმილით მხვდება
ჩემს გოლგოთასთან უცნაური ამბებით მიცდი
და არ მშორდება ქალწულური, სათუთი მზერა.

რას დავუძლურდი, რაღას ვქრები...გადამსხვრეული,
მე შენს სამოსთან მოწყვეტილი ვეცემი პირქვე...
ძეძვშემოკრული გეხვეწები...ნაყოფწყეული,
როს მურისგებას გამჩენისას ზეკაცი ისმენს.

განა მიმიძღვის, დანაშაულს ვინღა შემარჩენს,
მომხედე ქალო, მაცხოვარო, ასულო, დედავ,
შენს ძლიერებას მე საყრდენად ვერ გავიმეტებ,
შენი ფეხების ზორიალში თუ ვეძებ შვებას.

კვალი, მოძღვრება,-ამეტყველდა იქ დასაბამი,
მიაწალმართებს გულარძნილთა აღთქმულ თაობებს...
შენ დამარწყულე შენთა ბაგეთ წყალსატევიდან
და შენი მუძუს საძღურძლესთან ნუღარ მალონებ.

და დაიმშვენებს დღესასწაულს ლოცვანთა ყამით,
ცისკრის ტაძრებთან საუკუნო ტალანტებს ითხოვს,
მისი სახელის სიმშვიდისთვის ილწვოდა ბავშვი,
ქალის სურნელით წელმიდრეკილს კანკალი იპყრობს.

დგება საწოლთან...დროა უკვე აღსასრულისა,
მას შეეწევა საიდუმლო განზრახვა მტრების...
სვეტთა მიღმაზე ადიდებდნენ და სართულებზე,
განცვიფრებული აშტერდება მას მთელი ერი.

მივართვი მღვენი, სახმილავზე მივართვი მღვენი,
ასოებს ცდომით ვაადგილებ, მოძრაობს აზრი -
წმინდა ზოჰარში მზით ცთუნებულ საფუთარს ვიღებ,
ამხედრებული ბოლშევიკი მოდენის ნახირს.

ზღვავდები ქალო, შენი ვნების ბღავილი მესმის
ჩემეულ ხომალდს მოივანებ შენს სანახებთან...
ბორცვზე ირხევა დაფლეთილი დროშების ღერძი
ცხენთა ფლოქვებმა გადალურსმნეს ჩვენი განგება.

და მნიშვნელობის გადატანას მკითხველებს მადლის,
დღე-ღამის ნიშნად მას დასტირის ალეგორია,
გზაუკვლოდ მისდევს აქსიომებს დაღლილი ქალი,
ნათელი ღვთისა მას წყვდიადი კაცის ჰგონია.

და შემივალთავ, შემიწყნარებ ჭირვების ყამო,
ჩამრიცხავ ცერბერს, ფაკულტეტი დიდზე დიდია,
ცერემონიოზს ოსტატურად ტრფიალის საბლო,
ფუმფუთა სვლებით კორპუსიდან სახლში მიდიან.

რას შევადაროთ?... მეგუბები, აუზთან მაყრი,
ყვითელ ყვავილებს გვაგუბებენ საცვზობი სხივით·–
ბლუნმავენ ფურცლებს და რეგისტრის შებლარდნილ კავში
შესქელებული სიამაყით გვეჩვევა ბინდი.

მოდიან რწმენით მოცურცვლილი ცხელქვეყნელები,
და დევს ცხედარი ახალი წლის ცხადქმნილი კვართით,
კვანძავენ მნატვრელს საკალენდრო ქრიზანთემებში,
კოლოსალური ნიღბოსნების უგული მარცხი...

პრიალებს ლოდი, სატირალი აღარ ელევათ,
სმინავთ ლობეებს, გვიდუმლება მრწამსი და თმენა,
მოუტივტივეს მობერტყილი ნავი ციდონის–
ხედავს ბნელდება, საშველი კი არსით ჩანს,ხედავს.

ფინიკიელი ქალიშვილი აღავსებს მუმუს...
მის მთაგონებას უმწიკვლობის ფერი სცხებია,
ბა'ალ-ფე'ორის სასქესოსთან მოავის ურდო,
რაღაც სხვა სახის ამთართებზე მოხარგებია.

ასეც ირღვევა კავშირეთის წითელი ფერი,
მირმომპალ წყობას პარაკლისებს უხდის სატანა,
სტალინის აჩრდილს რასპუტინი მიჰყვება ბნელი,
პურიშკევიჩი ნევის პროსპექტს მიასათავა.

დიდი სასახლის კანდელაბრებს მითმობენ, მორბის
გახელებული პორუჩიკი – ცოლის საწოლთან...
ისევ ჩვენ გვიცდის, და ეს გზაა ერთი და სწორი
რომ დიდ რუსეთში ვიამაყო, როცა გამოხვალ...

გამოხვალ, ვიცი, გამომიცან დაკრეფილ ვარდებს,
ლუყებზე ლერწმებს შემოგვავრთობს ვნება დახშული,
ამ რევოლვერში შენ სამშობლოს ბედ-იღბალს განდობ,
ნარინჯით სავსე ბროლის ჭიქით დამიქართულდი.

შემასხი რმეში, ჰო, ეგ ღვინო შემასხი, შეგთხოვ!
დალილ-დაქანცულს შენს კალთაში ჩამეძინება,
მე სუნთქვა შენი საფეთქლებზე მარლვსასრუტთ მათრობს,
წმინდა საფლავის ლურჯი ხალის დიდ საწდეებთან.

მიმიშვი ქალო, შეგიმეცნო ადამის წესით,
აღმოსავლეთით ედემია, ევა მღის თემოთ–
აქ ამ საფლავთან უსრულდება სამყაროს ხვედრი,
რომ ერთიანი გონებიდან სულეთი შეგრთოს.

მეც შემიცანით, შემიცანით, მსაჯულნო ქვეყნის,
მრუდე ზრახვები მაშორებენ მის სიდიადეს -
დამონებული მის ნაზ სხეულს მივესარჯები
და ჯერ უზილწავ ცოდვის საწოლს მეც შევიცხადებ.

ნუგეშისცემა...განკითხვის დღე და საქცეველი,
ფეხს არ მოვიცვლი, შენს სასწაულს ველი მე ახლაც,
მწუხარებაში მთამომავალთ შევაზერდებით,
ნიჭმომადლებულ უზიწობის სარჩევში ვქარგავთ.

პირვანდელივით გამოთალეს ფიქალი მორის,
სადაც არარატს მცნება დასცეს შავ-კურთხეული,
ერს მიუმღოდა ტირანია სამართლის მქონე,
ბოტი, ბატკანი... პირამიდა, არმად-ქცეული.

მოვდივარ კრულვით, მედიდურებს ეცემათ ზარი,
ავუგებთ ანდერძს პირველწეულ ღვინოს და ზეთსაც,
მსახვრალ ჯალოქარს მიაგავდა მაშინ ის ქალი,
გრძნეულთ სახელებს წარამარა წერდა და ხევდა.

ახლა შევიცან ღვთაებრივი ეს საიდუმლო,
რა დამაშინებს, ჩემს სურვილში სამყაროს ვახვევ,
მჩხიბავი ერთი უზრობს კარში, რომ ჩაიბუდოს
გეთსიმანიის სისხლჩაწირულ სამარის თავზე...

შორეთს ცარიელს უმიზნებდა მაშინ პოეტი,
ემებდა სტრიქონთ, იქით, სადაც სიბნელე იწვა -
სინათლის სუსტ სხივს დაეფანტა იქვე ლექსები,
თეთრ საწამლავზე მიჯაჭვული არსების მიღმა.








יהוה

სათასმე ყუნწზე ამოგცვიფრეს თილისმის დარო,
იღვრები დარდში... ნუ გეშინის!-მოგძახის შვილი,
მან გაიკითხოს სამართალში და უფალს ანდოს
ცისქვეშეთეულ ფერშეუცვლელ საყვარელ თბილისს.

მივალთ, მიგვყვება ქვათახევის კურთხევა-ლოცვა,
წმინდა მარია მუმუს მაწვდის, გულქვა როდია,
გზაჯვარედინზე მელოდება ეს ჩუმი როკვა,
საწმიდრის ქვებზე მეცხადება - ჩვენ დაგვყოლია.

ნუ იცვლის ფერებს, მე შენს გულმკერდს ვეთათუნები,
მღვენის აღმავლენთ რა ხანია მოსწყინდათ დრონი-
გუნდრუკს დაგაკმევ,კრუნჩხვა-რთმეულს, ვაყს შეგაციებ
მდინარესავით გადავლეკავ საფირონ-ბროლში.

უვლიან ქალაქს, თავშესაფარს ჰპოვებენ სადმე,
აღადგენს ენა ხელდაქცეულ გალავანს ღვთისას -
გუნდის ლოცბარი ჩვენს კარვებში გაათევს ღამეს
და ჭეშმარიტი გაოცებით ჩვენს სახელს ჰფიცავს.

ნეტარ ხარ, ნეტარ, მეცხადები ქალი სიონში,
ღმერთო მიშველე, სახე-ცხებულს რაღას ვლოცულობთ,
ზღურბლთან ჩამდგარა იდუმალი კავკასიონი,
რომ საუკუნოდ დაუმკვიდროს სისხლი უგულოს...

ამაღლდი ქალო, განადიდე უფალი კაცით,
ფერფლი და მტვერი არარსებულს რას მიუტევებს,
უსამართლობას ეწირება წინამძღვრის მადლი,
სამაგიერო-მიუზღვევი თვალებს უკინთებს.

ინანიებენ...ერთგულებით აღავსეს ხვედრი,
ცილისმწამებლურ გულისწუხილს ებოძა ცოლი,
მორყეულ უღელს ძვალ-პოხილი მიჰყვება ვერძი,
რომ მკვრივ ცერფებზე მოიმკვიდროს საწმისი ბროლის.

შემეხმაურე,კდემამოსილს, მო,მისულგრძელე,
ხედავ, მე ამ წყალს ვეწაფები-მგზავრი მწყურვალი,
დარჩი უმწიკვლო...დრტვინვას იწყებს ქალაქი მრუში,
მუცლის სენ-გვრემულს არ აკლდება მისამღურავი.

მე ჩემს სამშობლოს ამოვავსებ დიდი ვარდებით,
წინასწარმეტყველს განა ოდეს შეშლია რამე -
ისრაელური დიქტატურის მინოზავრებში...
საკორიდორო ჩირაღდნებზე გავათევთ ღამეს.

რისი ფორტუნა! სახელმწიფოს ფორტუნა სწყურის,
ჩვენი მეობის ზეობაში მზეც იბინდება,
ამოქვესკნელდა დიდებული ღრუბელი მურის,
ვით საიდუმლო ტრაპეზების ფინთი მხილება.

ვიცი, ამ სიტყვებს სამრახისად არ ჩამომართმევ,
მე მისტიციზმი არაერთხელ მხმობია ზნედის,
შემოგეხვევი და შენს ტანზე ავაფრიალებ
ვერცხლის ქანქარა მონაშთენში უსულო წერილს.

მოიმედეებს გვიწბილებენ - ლანძღვაა თითქოს,
მარხვაა სულის - კარიბჭესთან მღერიან ფსალმუნთ,
ლაფში ჩაფლულებს წყალობისკენ გვიტაცებს მიტომ,
ქანცმოწყვეტილი ვეპირები მირმწარე წარსულს.

აჰა, ოცდები ამ ოქროს თასს ერთხმის საღვრული,
მოგიწყობ ჯამებს, აქანდაზებს, მოგიწყობ ლამპრებს,
ჩემს სამხნევრპლოზე სიზმრეული ატკრციალდები,
მეწამულ სხეულს ჭიაფერი კაბებით არხევ.

გვიხმობენ ხედავ? სიბიოები გვიხმობენ იქით,
სადაც ზღვებია და მთებს იქით სიცოცხლე ფეთქავს,
ელევსინური მისტერია ღამეებს ითვლის ...
და სამაჯურებს ზარაკებზე გვიწყობენ,ხედავ?!

რაღას ქადაგებს, ვისღა მომღვრავს, ნუ ამხელს სათქმელს,
იყოს დღეგრძელი!- სიკვდილია მალამო მისი...
დიდრონ ლოდებზე მთვარეული მიგორავს მთვარე -
და ეჭვიანი იფიცება გუნდრუკთან სინდისს.

ქერის ფქვილს აყრის, თიხის ფინჯანს აავსებს წყლე
სავანისეულ მიწას ლოცავს და ეწირება -
საზარდულდნობილს უსივდება მუცელი თქეშში,
საჭეშმარიტო გრაგნილებთან მიირიცხება!...

დადიან კარში, ცივა ახლა, დგას დეკემბერი,
საკუთარ მზერას ავაყოლებ თვალს განთიადზე...
ფიქრებს მიკონავ იაგუნდში და მაჩერდები...
დედით ნამუმარ პირმშოს ცრემლებს რომ მაზიარებ.

დავლიავდებით ჰორიზონტულ ვერტიკალებთან,
რაღაც ოცნებას მდუმარებდნენ სოფლად ვერხვები,
მრგვალ სამკუთხედებს კვადრატული მოსდევს სახება,
როგორც ისევე მოწყალებას არ ვიმეტებდით.

რაღა ვიღონო, ამ შენს ღიმილს მოვწყვიტავ ქალო,
შენ სინანულის ფერი გაჩნდა წმინდა პარასკევს...
ენკენისთვეა...დასავლეთით ქარბუქი მძლავრობს,
იმკრება მიწა...და წვიმებში ვახრჩობთ საწადელს.

იყო, მოისპო...ველარ დაცხრა წყრომა ღმერთების
ვმოწამეობდი... დედოფლისას იყო ხარება...
ჩვენ სიყვარულის დიდ ფიალას შხამით შევრჩებით,
რომ სული წმიდა ხაზეიმოდ მოიკვართება.

შემოგხსნი ნელა...ამ შეხებას თუ გამიხსენებ,
თეთრი ფუნთქულა კანის ჩენა მეც მაკანკალებს,
ცისფერ სამოსელს შემოგახევ ღლის აისებზე,
ცანცალაცანო, გაშიშვლებას აღარ გაკმარებ.

და გადმოაფრქვევს ცეცხლში კვამლად ჩენილი სული,
ცისარტყელებში ამოსვეტილ სამარეს ღვთისას,
ტამარს ლერწმებით მოკვერთხილი სასანთლე უზის
აღსრულებულთან თავგანწირვით სიცოცხლეს იცავს.

კვლავინდებურად ვეჭიდები ამ გიჟურ ტალღებს,
არ წაგიბილწავ შენი მუცლის ჭირთამძლე ნაყოფს-
სასაკმევლებზე ბეჭედსხმული სათრობით დავთვერ,
ვნებაუძლეველს შენი ტრფობის სიჭარბით მამლობ.

მო, მომეშველე, დამიდუნდნენ სახსრები მეფეს,
ნუ გაშორდები შეუბღალავ სახლს მამისეულს...
კეთილდღეობას შესწირებიხარ ამ წუთისოფლით ---
სავსე ღრუბელმაც ჩაიარა...გვაწვიმს მეყსეულ.

მერე ვფხიზლდებით,გვიცახცახებს ტანი უმძლვარი,
რაღას ლოცულობ...ნიშნებს ველით...რაღას გამიმხელ,
მოვალს დღე იგი დიდი რწმენის და ჩვენს სიმვაში,
მიცალკევდება სასამყოფლოდ სიბრძნის სამი დღე.

მევსები პურით, თითქოს ოქროს შევყურებ ყანას,
ნუ მკითხავ საცთურს, და ნუ მწყევლი ვითარც მოარუ
მამის თანხლებით უკანასკნელს გაგატან ბარათს,
ფერისცვალება–გილგულებით ლოყებ-მოკანთულს.

ხედავ აღზევდა...პირქვემხობას ემებენ ქარში,
პილატეს ცოლის მერთვა უნდა აღდგომის პირზე,
დინარებს უგდებს რომაელი, გაყიდეს ხატი...
და სამომღვრავზე დიდ წარწერას უნთობენ ქრისტეს.

მართებდა ჩემიც...და ვრჩებოდი მშიერ-მწყურვალი,
ახი ტალანტი კბილთა ღრჭენას რას გაანელებს,
შემიწყნარებდა ჩემი ღმერთი - სულთა მკურნალი,
საპყრობილესთან ლანგარქცეულ ღვინის სარქველზე.

პენანგის ტაძარს ვესტუმრები, დაბალი, მწირი
სამრეკლოს თაღებს გადაუვლის კრიალა გველი -
კალთას დაგივსებს მელოცვების ურიცხვი მწკრივით,
თითქოს საზმელთან ნატვრისთვალთა საგანძურს ელის.

აგხდი სიშიშვლეს...წიდოვნების დროს გამოკრთიან,
შენი თვალები ელვარებენ რაღაც სხვა მუქით...
ჰეხალის მცველი ანგელოსნი კდემით მოდიან
ტანჩარეცხილი დედამიწის მხურვალე სუნთქვის...

გამოსცემს მკვდრეთით, იგი არსი, იგი ზმანებას,
საზღვრებზე წვება ეს აჩრდილი არსახოვანი
დიდ სისტემაშიც ჩემი გვარი აფრთქიალდება...
თეთრ სანახებში სამუდამოდ წვება მომღვარი.

მის საიდუმლოს ვეღარავინ შეიცნობს, ვერა!
მველ ნანუსხარში მოსულუბნობს ძველთამველ ამბავს,
კიდით-კიდემდე უკუნისი იდო სიბნელე,
ვით გახსენება საყვარულის... ავმაღლდით ახლაც.

ავმაღლდით... იქნებ სამკვიდრებელს ეწევა ბედი,
მქშინვარე დონზე ესკადრონებს ემებს კორნეტი,
რუსი ქალწული მეგებება დამწველი კოცნით,
მიწას ვემთხვევი ...და მის ლოყას ვეხები ისევ.

დაიმრა ზნედა...ახლაც მიჭირს, ღამეა, ცივა,
სტბნის პირს გული ეხუტება, მომხედე ღმერთო!
საქმე უფლისა სამეფოთა ბურჯებზე ყრია...
რა გავიხსენო... ვის მივადგე... რაღა მეშველოს?!

შემწე იქნება...გაჭირვების წალკვესად ვპოვე,
მფარველს ემებდნენ გარიყრაყზე:-უნისლო ცებით
მოციაგებდა, სერაფიმი ჰკიოდა:-წმიდავ!
წყალდენილ წბორზე მრეცხავები მიგნავდნენ შეშლილთ.

დაუმძიმდება სასმენელი... წყეში ქარების,
კარნავალია, არ სცილდება კურთხევა მისი,
ცისფერ თვალებში გულისნადებს დაგილაგებდი,
შენს ქარიშხალში მე განგება ღვთიური მიცდის.

მეც იქნებ ახლა შევეზრმოლო მოვარდნილ ავდრებს,
შესამოსელი მემარცვება... სურნელიც ქრება,
შენს ნაწნავებში მეკარგება ციური სარმლო,
გებლაუჭები და სირცხვილის რიდე-ღა მრჩება.

მო, შემიბრალე! საკრებულო ფარფაწებს ღამით,
სიონის მთაზე სულ სხვა ალამს ავაფრიალებ -
წიაღს ჩაჰბანენ განკითხული სისხლის სულები,
განსჯილი ჯვარი ცეცხლის დაღად მიგვაგრიალებს.

მოვალს მესია... ვით განკითხვა დიაცის ერთის,
ვით ჭეშმარიტი ებრაული ვაზის ჩვენება,
დემოკრატიის აყროლებულ ნასამირკვალზე...
ნაშთი დავითის დიადემად ალისფერდება.

სარკეში გიცან, კულულები ერწყმოდნენ პერანგს,
განწესებული სასიცოცხლოდ მხაში მწყურია...
ჩემს საწნახელზე მაგ დიდ მწევნებს დაგისრეს გოგრ
რაღას წირიხარ?! ხედავ, ქართლში გაზაფხულია.

გაგვინიავეს დიდი ერი, ჩიადლა დარჩა...
წვეროსან ჯმუხებს პარლამენტი თავზე ეცემათ,
ქვრივ-ობოლს შუბლზე დასტყობია შიმშილის დამღა
ღონემიხდილი ესვენება იაფოს მშვენებაც.

ჰო, სულგრძელობა, სიტყვა ფუჭი, ამაოება,
თელ-ავივს მისდევს დაარჯულული ჭრილობა ჩვენი,
მოვედ, დედაო! ამ მიწიერ საჩუქარს გატან,
სადაც ხარხარებს ულმობელი მოლოქი-კერპი.

განმეულობად მრჩება ნატვრა მოსაფიცარი,
კითხულობს მტერი:-ცოცხალია?! განა კი სუნთქავს?!
ლაზარეთებში შენი კდემის ელვით გიცანი,
დარწმუნებულებს მოსარწმენი ნობათი უნდათ.

რას გავტეხ სხეულთ...მძვინვარებენ აზრში ხორცები,
დაგლეჯილ კანზე სითხიერი მოსჩქეფს ნაკადი,
მას ვუჯერებდი...წამებული გონების ბოდვებს,
ენაკვეთილი სისასტიკით მოვინაყრავდი.

ეს ნაწილები მდუმარებით წარწყმედას უნთეს -
კვლავ მიეწევათ იქ სასჯელი... ჯერ არ-ჩენილი,
კურთხეულ სიკვდილს ღვთისმოსავობს გველების ბუდე,
რადაც სიგიჟე წამებულთა აქ-განფენილი.

ჰა, აღესრულა მიეწევა მას ქვა აღმართში,
ვარაზისხევზე მდუმარებენ დიდი ვერხვები ...
მშობლიურ მტკვარზე სასწაულად დგება მართალი,
სიტყვა უკვდავი ზე-კაცისა - ეზეკეელის.

განა მე წყალი შენი მწყურის, შემასვი სისხლი,
მილიონების, მილიარდის... ნუ ანგარიშობ...
დიდი ვამპირი მე წამებულ მოწაფედ მიხდის,
ხედავ, სანთობლად მე ამ სატფურს აღარ ვთაკილობ.

შურისძიება მენატრება, მიტომ ვარ მლიერ,
თუშბელ ელიას ვევედრები, გავუმლო ტანჯვას
ტალღიერ გრგვინვას თვინიერი აწყდება სიცხე...
ბათუმისაკენ მიმაქროლებს ლურჯ-თეთრი აფრა.

რას იმსახურებს ძაღლისშვილი, მეშჩანის ლეკვი,
ბურჟუას ღიპი სამ სართულად შემოსწოლია,
დახლს გადმოადგა, რაღაც ბლენძით ორ სიტყვას მესვრის,
„ფატუმს", დასცინის შორს რამბლესთა კატალონია.

მომეახლები, ზეთის ხილის მთაზე ავდივართ,
ხელს ვახებ კალთას და იმსხვრევა ბედი პირობის,
კაცთა მოძულეს გამიყვანენ ქვეყნის მარტვილად,
რკინის მარწუხებს პირბორბლიან ხავსად ვეკვროდი.

უძლეველ ვიყავ და აღლუმზე გავრბოდი გუშინ,
მეგონა სუნთქვა შემეკვროდა, მაგრამ გიხილე-
იდგა მატრონა... კაბალა-ში ჩაბმული სული-
ღმერთი-მეხინა... სიყვარულის სამი სიდიდე.

დაექანება სუროსავით და ვერცხლის წყალში,
დაიფერფლება ვითარც წირვა ნინოს ზარების...
ბინდი ეჩვევა სოფლის შარას და მთვარე მაფრქვევს,
სამარეული სხივნაჭლექი შუქის ფარანებს.

მობრძანდებიან ბატონები ოქროს აკვანთან,
ატლასის საბანს არტახებით მობაბთავს დედა -
გადამარწევენ ბრტყელი თავით, მერე ანაზდად
შვიდეულს ჰფიცავს და ჩურჩხელებს ამისხამს,მეტყვის

მიყვარხარ ბიჭი, ასე ტკბილი, ასე პატარა,
კორდუტეხელი იაგუნდი ლერწმების ტბაში...
კელაპტარობდი და ანთებულ სანთელს სარკმელზე,
აზეზარული გულცივობით აქრობდა ქარი...

ძგება წყვდიადი და ამ წყვდიადს მეც ჩავენთქმები,
შენს ცისფერ კაბას ემსგავსება მთელი სამყარო,
თხა-წალებურად მიხტი ახლაც და მაინც მელი
ღამე-გადასულს...რომ კვლავ აღარ შევაგვიანო.

პირს ჩავეკრობი...სასუფეველს ვინღა დაიტევს,
მე მწოლიარეს შენს მკლავებში ჩამეთვლიმება-
თვალთნათელო!...ბრწყინვალების ლოცვას ამიჩენ
ერთი ვარსკვლავიც ჩემს ოცნებას აეხილება.

შემონათვალი რაღად მინდა, იღვრები ცრემლად,
მაყვლის თვალები კალმის ნახატს ღრუბლავენ ფოთში-
დამენანები, ზროლის ყელზე შეგაბამ ეყვანს
და შენს ხელმანდილს სამახსოვროდ ჩემს სისხლში მოვთხვრ.

და მოხმაურობს ესე თქროლა, ესე განგება -
დასახიჩრებულ ყირონდელებს გაზზარავს ტყვია,
ამ ავდრიანი ღამის თვალში გადმოვალთ ნაპირს,
რომ შეზრალებას მიეკერძო, მთვარიანს, მზიანს.

რას ედაგვება წელეული...წყევლის ეშმაკმა,
დასახარჯავი ფული განა ოდესმე აკლდა -
დახავსებული გულის მიღმა დაენანება ...
შველა,რომელის არ გამოჩნდა,აღარც ჩანს,არსად.

ტვინდაწყლულებულს შემახებენ ზერები ხელებს,
იკმარე!... ტირის და ქვითინებს ეული ქალი,
სულთამხილველო! ბედნიერი მომმადლე ჩვილი-
ჩატყვევებული დედ-მამობის გადახრწნილ რკალში.

აუტუტუცდა მას სამყარო... ჰგონია დრონი,
გარდამქმნელ საათს გარდასული ყამი ერჩოდა,
ვნებაჭლეტილი უკაცური ეპოქა მოსდევს-
პროტესტანტული საგიჟეთის საგანგებლობას.

ნუ ყინიანობ, თოვლმოპენტილ ტროტუარს მისდევ
და ესარჩლები მათხოვრების უთვალავ წყებას...
აქ ამერიკას მსუყე მილის ნაჩქროლავს მივფენ,
როცა საუფლოდ საუკუნე მორჩება გვრემას.

მოსეირნობენ მონთხეული თავის ნასკვები,
ევპატორიას გადამრძლვალი ახვდება ზავთი-
გენერალ ვრანგელს ციმბირული სიუხვე ღუპავს
ქრისტეს სახელზე იფიცება მდუმარედ ბავშვი.

შეედუღება დიდი ცისკრის ვიწრო პირობად,
ითხრება ასო და თხზულებებს ბჯენით მოდენის...
თან ირევლება განსაზღვრული ბედის სიცოცხლე
ჯერ წარმოუჩენ შემონთხევებს აღარ მოელი.

რას შემოგყონავ, მორაგვული სხეული გიცდის,
შუქჩრდილი მიჰკრთის მოცდენილი მზის საპირქველზე-
ჩამომჯდომიხარ ვით ნაჭარბი, უცნობი ჭირი,
ვით მოქცეული, მიამიტი, ნაზი სიქველე·

ჰა, საწამლავი...განა ქვეყნის წესრიგი მშულდა,
კვლავინდებურად მატყდებოდა რისხვა და ბრაზი -
გაკვანწულ თვლემას თიბათვური სიცხე-და სურდა
დაკარგულ ძმობილს ტაილანდში მოვინახავდი.

დაიხრიალებს მიჯვარული სიკეთის პირმშო,
დაიხსნის ყველას, თავის თავის სარგულის გარდა,
იხშობა ქაფში, საუკუნეს წუწუნებს თითქოს,
იწეწავს ქალი...ჩამომშლილ თმას აწამებს ფარდა.

და მომჭირნეობს მოცვეთილი ყბა-ყური გლეხის,
დაიწვის ალში ჩვენეული ბალღმის კინთება -
მიაცოდვილებს ის ურემზე საპწყება გრეხილს
იქ სადაც გვერდი ისტორიის ყრუდ  გადიშლება.

ნუ იცოტავებ...ხედავ ვცეკვავთ გადარეულნი,
ცუღლუტა ნიავს შევუშვირეთ შუბლი გამჩენის ...
მოცქრიალდება უგზო-უკვლო დღეების სარძლო
განგმირულ ბელადს ბეთ-ლეხემში გადაარჩენდი.

გადგიპატიჟეს  ჩვენი სიმწრის ანგელოსებმა
გაღმორაბული ირხეოდი სადღაც ოცნებით...
აღნუსხულ ცოდვას ბერწი კაცი უფართოვებდა -
ნაბეჩავები უმორცხვობის არ-გაოცებით.

მე დაგიმონებ, დაგიმკლავებ ქალო რუდუნით,
აქ, ამ საფლავთან ვადაგასულს მოგგვრი სიყვარულს,
დამწვრთნი წმენდილი, წმინდა სიტყვით ამოხოცილებს
დამკვიდრებული სნეულების მარხვა-სიარულს.

ჩაგათრობ ზამთრით, დასტურს დაგვცემს ქვეყანა მთე
და გაუთხოვარს მოგისტუმრებ თბილ ქვემაგებზე-
გაკადნიერდი... და ღიმილის სიღრმეებს გათვლის
მკრთალი სინათლე...მარმარილოს ფერულ ბაგეზე.

და დიდგულდება ის ნათრევი, ლანძღული მძორი,
ჯილდოდ გვებოძა თავაგდებულ სირინოზებთან -
ლანვარსობილი მისავსავებს, ჩემს სითხეს ლოშნის,
ლაწლაწებს კართან ლეგალური მისაბჭოება...

ჩვენს ლეგიონებს რა გაუძლებს...სწევენ ორგიებს,
აქ უსამირკვლოდ გადაეგო ლენინის მოდგმა...
მავზოლეუმთან სიზმარ-ცხადად ხვრეტენ სოფლიერ,
მეც, ლეიტენანტს აღარ მიწევს გამჩენის გმობა.

დღესაც მინდიხარ ვით სანთელი ლოგინი სევდის,
შემომაწვები, შენს სხეულში სანატრელს ვნატრობ,
სირცხვილს დიდისას რას გამოსცრის სამეფო კვერთხი -
სიბნელეს წყეულს დახოცილთა გვამებით ვამკობთ.

დახვავდი ზვინში და ამ წვიმას ჩაიხვრეპ სიზმრად,
ეს ხომ წვიმაა სიყვარულის, რას გეხსომება-
დაგიხრუკია დანომრილი საქმენი, გვინდა
დაპკურებული შევანჯღრიოთ სამყაროს წონა.

* *

先入為主 შიან ჟუ ვეი ჩჟუ - პირველი შთაბეჭდილებები
ყველაზე ძლიერნი არიან

ანგარიშობენ დღესასრულთა ბოლო განაწირს,
საკრანსო მიჯნას ბინდბუნდების თვალით შევცქერი,
მისხლტები სახლში და ღუმელთან მიხდი პარაკლისს,
შავწვეროსანი დიაკვნების საძმო ფერებით.

შეგცივებია...მიცურდები უხმოდ ლოგინში,
ჩასწორებული გამოცანა მირგამკრთალ ფეთქვას
აღარ დაიცდის ექვსფურცელა ნარგისს ბოდიშებს,
ულიცენზიო საბუთებში დაიწყებს ქექვას.

იყავ ლმობიერ...იყავ მშვიდი, ვით თვით ეხილება,
ვითარც ნალექი თვალშესული ღუმილის ჩემის,
დასაწყნარებელ იმპულსებზე მითებს იწერდა -
ლტოლვილი სული მიზანსცენის და დიდი ღმერთი...

მეპკურე წყნარად-... აიაზმის ეპიტაფიად...
ეპიგრამებზე ეპიგონობს განგლული ბეცი,
მოახსნევინებს მას... მეგლების მწკრივი გამზირზე-
ბობღავს და პროსპექტს უჯადოებს ბრინჯაოს ზეკაცს.

რაღა მიბრიცავს მის გულს, ვიღაც მიაბარბაცებს,
ბაჯბაჯა სიდედრს მიწყევლილი გვარტომი უნდა,
იწაფავს ენას და სიცრუის ლამაზ კამათელს
თუთიყუშივით გადაუგდებს მიბრედილ სუფრას.

თოფნაკრავ რჯულმაღლს ემსგავსება გომბიო ერთი,
პირჩაღმა აღწევს მოღრეცილი ქუჩების სათქმელს
შესრუპავს მაწონს, ქუთათელი ქუთქუთებს მურღლად,
ნოვატორული ნიშნისგებით გვიბილწავს გამდელს.

ნოყიერდება საშაბათო ნელ-სახებლებით,
ყლურტულებს მტრედი, ყლიპილ-ყიყინს აქ რა გამოლევს
მოიღაბაბა შემოთლილი ტუჩების ფჩენით,
სავნატუნები ფუნთუშების საწყობ ფართობზე.

საშემოდგომოდ რას მიმზადებ ? - ნივთეულობას!
ნივრისის ქარებს ნოველისტი პურმვირად აქრობს,
ქლიბავს სწორკუთხა ქუცმაცება-დამაბულობა,
კაბა-მოფხრეწილ შეულწეველ მომავალ სატრფოს.

მიფეთქავ მარღვში, ვით ფურცელზე ერთი სქოლიო,
მცვივა ფიქრები, სწრაფმბეჭდავი კირკიტებს ჩუმად,
დიდ ყავარჯნებზე ერთი უცხო ვინმე ბობილობს
ღრჩოლავს შემქმნელის კარიბჭესთან და ყვითელ ურვას

ვშლი ამ გრაგნილებს, ჩვენს სარეცელს მოვრთავ იცოდე,
ბლვიდან ამოსულს ეწამწამე გიშრის იმედით...
თოვლს ნაკვალევად დააჩნდება ჩვენი სიცოცხლე,
ლოყებზეც ვარდი დაგციმციმებს როს მიირხევი...

ბნელს არ უნახავს, ღამე მილი, ჭაპნავს ნაწლავებს.
წვრილად ილებავს წარბს და თვალი მიიუსურმა,
გვირგვინ-სავურობი აიჩემა, მისწვდა საწადელს ,
ანაფორელი მეგობარი - საყდრის უკუღმა.

სცადა ქოშინით, შეპყრობილმა იწყო ფაცფაცი,
მას სახვალიოდ თუ ითავებს, თამასუქს დაწერს,
ისკარიოთი ვერცხლზე ყიდის მხსნელის გასაგისს-
სანატრელ პერანგს აქ მცხეთელნიც იყოფენ მარჯვედ.

იყო მზაკვარი, უნდობელი ვით ძველ-პირობა,
იკარგებოდა ქაოსებში ძვილი სალონის...
შეუსწავლია... ჩაძირული გემი იძროდა
გაანჩხლებული პალესტინის გოლიათებით.

ტყდება ქუხილი, ჩაუთიბავ თივებზე მელი,
გულაღმა ფერებს სამხრეთული სიმშვიდე მოსდევს,
ნუ მემდურები! შენს ნაზ თითებს დავიკრეფ ხვედრით,
მჭკნარი ყვავილი მოგაგონებს თბილისურ მორგებს.

უსუსურების საათია... ღუმს სახარება,
ხან-ანტონიოს ჩონჩხთა რიგი აღარ სცემს პატივს,
-გადიზმანება აივნებზე ვითარც განგება,
ძველი დივანი...მრავლობითი ლექსების მახილს...

ეხმაურება მთაწმინდური ეფემერებით...
მოდი, მესტუმრე,მე გიამბობ ჩემს თავგადასავალს,
ჩათალხულ ოთახს აჩრდილების რიგით ევლები,
თითქოს დაეძებ მღელვარების ერთ დიდ დანაკარგს.

იყავ მსუბუქი, ვით შეგრძნება, ვითარც ჰაერი,
ტრანსპარენციას ეჩვეოდა მზერა ღვთიური,
სექსის მორევში ბობოქრობდა ჩვენი გამდელი,
ვარდების ფენა, რაღაც მძაფრი მარადიული.

შეგატრიალე ჩაბორბლილი ჩემს საფეთქლებში,
დღე ნაჭორფალი გაუწყრება მოშეს მოძღვრებას -
ფოლადის ეტლებს აბობოქრებს ჩვენი მეტყევე;
ჭექა-გრიალით გამარჯვების „ვამას„ მორდება.

და ჩვენც მივცოცავთ სეფირ-ებზე, იწვის კოსმოსი,
ჰა, სიდიადე, სილამაზე... აჰა - მალხუთიც
ამ აღტკინებით კიდევ ერთხელ შენ იამაყებ,
მოიკრებ ძალას, დამცილდები ღამის ასული.

ეცემა გზირი ქადაგად და ემებენ დარბაზს...
ათასი ცეცხლი...ოფიცრული მწვანე ფარაჯით,
დასილულ ნემოს წვიმა დასდის, მძიმდება ზვინი,
იაროსლავლების მიყრუებულ დედა-შარაზე.

    იქ მალაბარში შიში იყო - სერპენტინული,
    მე ინდოეთის გადავქირქლე ველი და ტყენი,
    ნილაბზალებზე ნისლი იწვა წითლად ქცეული...
    მკითხავ-ქადაგთა საგაზეთო ჯაჭვური წესით.

და ოცნებობდნენ... ოხრადსარჩენ სამშობლო დედას,
ეკავთებოდა სასროლეთში უსასრულობას...
და აწვალებდნენ ცნობამიხდილ ქალიშვილს მერე,
წამოცდენილი ასოების მოვალეობას.

    თითხნიან მარდად ახალ-ახალ პროგრამებს ახლაც,
    დეკემბერს სუსხი ეპარება ალმა-ატური,
    დგას საბჭოეთის სამარესთან ბელადთა გარდა,
    აჩრდილი ჩემი მობერცყილი სულის მაზუნით.

მოარბენინებს გამთენიის ნორჩ ტარიგონებს,
ორას მანეთად იყიდება რუსული ხორცი...
ჰო, მაპატიეთ, ვერ შეგნიშნეთ, ვეღარ გიპოვეთ,
ინსპირაციის მოექსტაზო თავპირქვე როლში.

    გუბდება სისხლი და ირევა გრძნობა გრიპული
    მიპირუტყვდება ტვინის გონი გამოსასყიდზე,
    ვის ეპრანჭები ამ ტაძრის წინ, გოგოვ, იცოდე!
    გამწარებული გეწბილები - სიმჭვირვალეში.

ვის რაში უნდა ესე ცოდნა, სწავლება ესე,
მხეცთა სამყაროს მხვრეტელების პოლკიდა არჩენს,
მღება ეჭვებით ექსცესების ბინძური ბირთვი,
დამეჭიდება ლიბენგოფის მორყეულ ხლართზე.

    და ილორება ქვეყნის მირი... სანანებელი,
    რაღა დარჩება მანკიერი მსაჯულის წილად,
    ნაწირავ ტირილს მოწმენდილი მიაბერდები,
    ჩურჩულებს ვიღაც და ამ ტკივილს სიცრუით იცან.

და მის ნაყრანტალს მოვიყუჩებთ გუზგუზით ფლიდით,
იბრმავებს თვალებს... იეროგლიფებს ამჩნევს კედელზე
იდილიური დილა დგება და უბნის გიჟი,
პარტიულ კრებას წაუძღვება ხალხის კურთხევით.

გადაიქუხეს იმ შეშლილმა წლებმა რუსეთზე,
ჩვიდმეტი წელი... ოქტომბერი... პანაშვიდები,
ეკლესიასთან ტობოლსკური გაისმის როკვა-
პროლეტარული დიქტატურით ვერ დავმშვიდდები.

მიდის სიგიჟე და სიგიჟეს ისევ სიგიჟე,
შესცვლის... დაინდობს ის გაწირულ იმპერატორსაც,
ვიღაც მკრეხელობს ტრიბუნასთან და დიდ მიტინგზე,
სულდავრდომილი მიჩანჩალებს ჩვენი თაობა.

მე დამიცადოს...მომაქვს შველის პერგამენტები,
უფლის ხელწერას ვეღარ სცნობენ ადამის შვილნი,
დიდი თვალებით ჩემს ცივ სახეს მიაჩერდები,
სევდარეული გაუყვება მოსკოვი სიკვდილს.

მზეც გახებს თათებს, ოქროს თათებს,არ გაიკვირვო!
ნიავშერწეულ ზღვების ღელვა ნავებსაც შესძრავს...
შენს სიმაღლესთან მთვარის ტუჩი კანკალებს თითქოს,
თითქოს სამოსელ-მომარცული გვამების წყება,

იშლება...რუმბთა მოცელილი მინდვრის ყაყაჩო,
მოაგავ ჩანჩქერს, გემვირები ელვარე ხორცით,
ღრუბლის ქულებში მეთასმეები დაღლილ საღამოდ,
ლამაზ თოლიებს გაზაფხული შორეთში სტყორცნის.

მოვდივარ ალყით, აჯანყებით, სისხლით და ოფლით,
მოვდივარ წლების ხუთშტოვანი გაჯანსაღება...
ტრაქტორს გუგუნში ეცილება მლოცველი შინტო,
ასეთ წინსვლაში ოქტომბერიც გვისამარდება.

და ხალხიც ბრიყვი, ჭოტის მსგავსად პლანეტას ა
წმინდა სახელი ვიღას უნდა,მუცლებს ყორავენ -
ჭედენ წარსულში მოძავლების ბორკილებს ხელით,
რომ ლიბერალურ ბაქიბუქში ჩაახრჩონ მალე.

მშულდი და მშულხარ ამ ლოზუნგში, ამ ქარაგმებში,
შენს ენთუზიაზმს წერაქვების სწვდება პლეადა...
როგორც სტიქია ბრწყინვალების – მეც დავიღალე,
ჩემი დღეობის გადახდისთვის გიშენებ ქალაქს.

ჰო, გუთნისდედავ! გამაგონე სიმღერა შენი,
მე საქართველოს სხივფენილი წყვდიადი მინდა –
ხედავ? გამოჩნდა წინამური და ქვათახევში
დედა მარიას მივემთხვევი, მის კალთას ვიკრავ...

გამჭვირვალეა მწუხარება...და სულ სხვა გრძნობა,
დამეუფლება დაფნაგებულ მთაწმინდის ღამეს,
შენს სასთუმალთან დუმილია და ქალი ბორგავს,
ვაწვდი წამლებით ვსილ ფიალას და მერე თავქვე...

ვეშვები, მტკვარი ახლოსაა,ნაყრმობი,კარგი,
მე ქედმოხრილი, დაკარგული მას ვუბრუნდები –
მსუბუქ სიღრმეში იძირება გოგონას სახე,
ტოტებშიც მთვარე იხლართება სიამურებით.

რას ემზადები, ამაოა ყოვლი, ყოველი –
მე ქვემეხების ბგერვა მწყურის, განვიდეს სევდა,
წკრაპუნობს კალმით ერთი ვინმე მახარობელი
და გამარჯვებას თვალხვენილი იმედით ხვდება.

დაგისვამ ტახტზე, ოქროს მახვილს მოვიდებთ გვერდზე
უკვდავებისკენ მიგვაქანებს ჩვენ ფერწასული
ბედნიერება ეგარსება სამოთხის საბჯენს –
თალხი ნაღველით მოლივლივებს ის აღსასრულიც.

და ამ ვედებში ამოვნასკვამთ ინდურ პლურალიზმს,
ჯაიპურისკენ აურანგზების ქამანდს მივყვებით,
ქეჩოაყრილი სპილოების ხორთუმ-ყურიდან
ბრაჰმანი ბუდდას არ შეარჩენს სამან-მისაკლისს.

იყო სიზმარი... გამოცნობა ძველი ოცნების,
გხედავდი იწექ, ნელცხებული სამყაროს ქვაზე –
ყრუ ღამისთევა გივარცხნიდა ქალწულს ნაწნავებს,
აუზში იდო სასწაულით შობილი ბავშვი.

ჩაიანკარა მან თვალები, იშვერდა ხელებს,
თეთრ კედელს ისევ წარწერები შავი ანხია...
მომდევდნენ მწკრივად, ცერფჩამხმარი თავგების შიში...
ლიუციფერული ავბედითი თეთრი მაგია.

და იგვერდებდა ამ ნაცერფალს ლაჟვარდი წყნარი,
ჰო, მშობლიური, ჩვენებური იერუსალემის...
სასთუმალს მკვდრები ულანძღავდნენ ბოროცი ჩანგით,
სადაც მკითხავებს აშნევებდა ქვეყნის მარეხი.

გათვლიდი სიმებს აუხდენელ პირამიდებზე,
თავბრუდამხვევი დავიწყებით მანდილს გესროდი,
წმინდა საფლავთან ყაში იდგა კორიანცელის
და მიწვებოდნენ საზაცონოდ უფლის ცოლები.

ერთსახეობას წრფელი გულით, ვინ შეარჩენდა
მაინც გვახსოვდა იმერული შავთვალა მოცვი...
ფანცელი მცევნებს შელოცვებით თუ შეარხევდა,
ანგელოსების გააფთრებულ მწყურვალე მოდგმას.

დიდია სქიზმაც, კონსცანცაში იყრება საბჭო
ივანე როს-ის მიწებს შეკრებს და შავი პრინცი...
პაპის ერესებს ინგლისური მარილით აქრობს
და პრაგმაცული სანქციების ზანდულას ისვრის.

ჩვენც ამ ქარიშხალს სამთავიან არწივად ვმოსავთ,
რის მთაგონებით მცირე კონებს დაგაწყობ მკერდზე,
ვალერიანი ჰარმონიულ რიცმებში მოვალს,
რომ ცათაწვდენილ პროფილებში კვდებოდეს მეზვრე.

თან გისაფრდები, შემოჯარულ უდაბნოს ვცდები,
დაბოგინობდა წინაპართა შმაგი თაობა,
წელი ორმოცი...მთა ნებოსი...ბუჩქი და ცეცხლი,
აპოკალიპსი დამეწყება და შენ დაგცორავ.

დაგცორავ ქალო, სინანულით და გაშმაგებით,
დაგრჩება სივრცე მოსიზმრული შრიალა ჭადრის,
აუსრულებელ იმედთ მიკრავს ქვიშის ბალებში,
პოლცორაცკული ჰოსპიცლების შავმუქა ჭალი.

მოყურავს შუქი, შენი მუმუს მოზნექილ ყლორტებს,
ვათვრები ახლაც ჩუმი მრწოლით და ხელაღებით...
გეცემი მერე - ნიაღვრული არ-შეთანხმება,
მიწის და ზეცის სქესობრივი შუღლის არეში.

გჯეროდეს, ცოცხლობ საგანგებო ზღვრების დაშთომად,
ჩამიწებული ცრემლის პეშვი თემოზე დაგდის -
გარდაცვალებას უმაღლიდა სარჩო-საპოვარს...
დუმილი შენი და უმამოდ რჩენილი ბავშვი.

რომაულ მუმუს ხორბლისფერი ჭავლით ვეცხები
ლატიფუნდიას იმპერიულ კოლონებს ვმატებ...
ოტუნი, ტრევი პორტალების ყრუ დაბერება-
კართაგენისკენ ვაგაბონდებს მივყვები დამღლელთ.

დათარეშობენ ნანგრევებზე ტრიუმფალური,
ქარწვიმის ეტლით ისრულებენ დასახულ მიზნებს-
ეპიდემია დაზუზუნებს, ისმის გაბმული,
წივილი მწველი, მაწანწალა წყვილების მწკრივში.

ედ.-აძ.-დი.-ეს.-ი...სოლ მინორის მაჟორი ტონში,
რიდას ვირუსი, ანტივირუსს ემსხვერპლა ზანგი,
კონტინენტებზე დაჩალიჩობს დღეს კოვერტონი-
ესკიმოსებიც მიათრევენ პოლუსზე მარხილს.

გადატყდა თითქოს, ამ სიმღერას რა გაამთელებს...
მუხლჩოქვით მოვალ, ყვითელ ლერწმებს მოგართმევ ლოცვით
ნაპერწკლებს სცვივათ დაგრეხილი დნობის სანთელი-
მხედავენ წამლად გემსხვერპლები და დედის ლოდინს...

ჩვენ გავიხსენებთ გაყინული მდინარის პირზე,
მაუდის მაზრებს გადავუშვებთ ყინულის ჭრილში...
და შენს ლოყებზე ნაკვერცხლების გალობას მოვთქვამ,
შემშლელ ქარბუქში მოგვეყრება ნამქერის თრთვილი.

უსტვენენ სადღაც...ზანზალაკი ჟღარუნით გვამცნობს,
აქ ციმბირია...ტრამალები ლენა და ობი,
ადმირალ კოლჩაკს ეგებება სლავური მოდგმა-
იწვის ხანძარში მაგადანი, ომსკი და ტომსკი.

ვაღებ ფანჯარას...ალმაცერად სცრიან ფიფქები,
დაფანცულ ფიქრებს ვინღა შეკრებს... დუმს არემარე,
მე ამ დუმილით რა ხანია არ ვისიცხები,
გამჩენი-ღმერთიც დუმს და წყევლის ფერით ელვარებს.

და ამ სტრიქონებს ამოგინთხევ თეთრ ფლუიდებად,
სულს შთაგონების გოლგოთური კრულვით ვენთები...
ანთოლოგიად მოგაცვდები... წამოიქცევა
ეს ქანდაკება – ბრწყინვალების ძველი ლექსებით.

აი, თბილისიც, დალეწილი... იავარქმნილი,
მშობლიურ ქალაქს დეკემბერი რისხვის ესტუმრა,
დამჭკნარ ვარდებში სული იწვა განუკურნელი
და მაცხოვარის განსახება ცაზე გვეკურთხა.

გრძნეულ მირაჟებს ვარსკვლავები არ ანებებენ,
უფსკრულს უალმოდ რუსთაველის გამზირი ხვდება...
ჩირაღდნით მივალ სტუდენტობის ვარაზისხევზე
შემოღამებულ მთვარის დისკოს ვატყდები წყევლად.

მაშინ ვამბობდი, კეთილი ხარ მაია სორრელ...
მწვერვალებისკენ მიმოზების ნართულა გვიძღვის
ქაშვეთისაკენ...ზარბაზნები... ქვემეხი გოდებს,
აქ ჯვაროსნების განთიადი ტყვიებში იწვის.

ცივდები ისევ,უკუქცევად ტრანსცენდენტს ენდე,
სამსჭვალი რკინის...ჩემს მკერდს თრობის კვესად
ის რაც ყოფილა, ის იქნება...კამათობს ქვევრზე
დიდი სვასტიკის სამომავლო მოწამეობა.

გრძნობაც ქვეცნობის სინთეზური ნებაა თითქოს,
მზრუნველებს მისწვდა ვერცხლიფერი გადავიწყება...
ჩაეყანგება ბელარმინოს ლურჯი გონდოლა–
გადაზვავებულ აზრებს ცრემლის საპკურით ინდობს.

იკაწრავს სახეს და ხმელ ნაკვთებს იხმობს მლეული,
მორომავს რაღას და მიცოცავს სკდომა-სრიალით,
სივდება ბოზი, წმინდა ქალაქს მარტვილი მართავს,
უკვესავს თვალი, ცრემლი დასდის და ატრიალებს...

ცარიელ ბუშტებს...ოცნებების და იმედების,
წამოეჭრება უსასრულოდ მწირი სერია...
დავუბრუნდებით ათასფერი მისაწმენდებით...
ჩაპოტინებულ გაშიშვლებულ დიდ მისტერიას.

ნუ მედავები...ჩაფუფქული მშვიდობის არსი,
მიფრავენ სადღაც ჩვენი ბედის ანბანურ სასწორს,
მიმგადაკრული მიაკვდება ნაცარეთს კაცი
და საჯირითო მოედნებზე ბედაურთ მანდომს.

დრო და ცრემლები...სევდა იწვა კონტინუუმში,
იგივეობას უარყოფდა ჩვენივ მეობა...
სუბიექტებით ნათარემშევ აზრებს უმზერდა
ფილოსოფოსთა მოქრთამული სისხლსავსეობა....

შემოაცალეს მას ქურთუკი... აქრობენ ჭაღებს,
ჩაგერგილ ლოცვანს ეზიდება ზნექილი მღვდელი,
ჩაუთვლემია კვირეული ყამ-წირვის ზარზე-
ყოვლიერების არამცოდნე საცავი ყვლეფით.

აიტანს ყინვას...სიცივეშიც ყივყივებს ბარტყი,
მოყლურწავს ხაზთა სწორი ფენის უსახო ნაკადს...
სწრაფდაშვებაა... დაფეთილი სიცრუე ბღავის,
უმოვარობის მიმქრქალებულ მიწურთა დარად.

თქრიალებს შხეფში იისფერი პერანგი შენი,
მოგოგავს პლაჟზე პლანტატორთა რიგი რამხელა-
და მირახრახებს ნიჩირენის სკოლისკენ ზენი,
ჯოდოს სამყაროს პიროვნებით არ გაამხელდა.

ამჩნევენ ზეცას პელაგრული ფრფინვის წებებით,
ცუდდება დღისით ყლავიყლუვის ხმაზე სოფელი,
გაიხანგრძლივებს ყაზარმებში ნომრებს გომბიო,
ნიცშეანური ხობათების ამოქონდრებით.

რას მიქაქანებს ქვეყნის ღვრიტა,ქშუის მდინარე,
ყაიმს სთხოვს მარკიზს მარკიზეტი - ლუი მეათე,
პარიზულ ბრბოში...ეიფელი იღვრება თოვლის
და მარტოვდება პლებისციტთა ნასაკისრალზე.

მიშრიალდება წამწამების ნაზ ზმანებაში,
ქართველი ქალი...ხელთათმანი, კლავიში თეთრი,
მე ამ სვეტებთან კუბოს ჩავდგამ მიმწუხრის ზარით
და ფერწასული სვეტიცხოვლის დიდებას ვერთხმი.

უჩვეულოა ეს ოცნება...დიდი ქაოსი,
მთვრალი კაცივით ამ ქვეყანას მიათართატებს,
სადღეგრძელოში განწირული ქარი გამოსცრის,
უკანასკნელი გრიგალების სიამპარტავნეს.

ხიდებქვეშ კრთიან მომავალი ცრუ ნაკადები,
ნისკარტმოღუნულ არწივს აწი რა გააოცებს -
ბანჯგვლიან თემოს გულმოსული ემღერა ყალბი
სევსამორელი, სისხლისმსმელი...მას რომ მაგონებს.

მაგონებს ყვითელ ყოფაშთენილ, ჩრდილფენილ სარდალს,
მაწყდება ღამის საიდუმლო გმირობის თასით ,
ამ როლს ვასრულებთ...აქ თეატრი სამყაროს მართავს,
ზემელის მიწას პროფილების ემჩნევა დაღი.

ვერსად, ვერსაით,ვერ ვიხილავთ ოქროს ასოებს,
ზედწარწერილი სიამაყე გვილობავს ბილიკს,
მილმამყოფ ფურცლებს მივუჯდები ფიქრით დაღლილი
თვით აღარ ვუწყი, ვისთვის,რატომ და რისთვის ვიღწვი.

მოვალ, მოვდივარ...მგლოვიარე ცხელი ზმორებით,
წყნეთში ნაძვის-ტყე ბავშვობისთვეს მღელვარედ მირთო
თენდება სადღაც...მე ამ ღამეს არ დავშორდები,
მე მასთან ერთად უკვდავებას ვერწყმები,გოგოვ...

ისევ ვიხილე ეს საფლავი...ჩანდა კანდელი,
გიგანტთ ხელებში ულმობელი დევს სამარია -
მას მიაკითხავს მადრიდული ცხრომის ბარდერში
გოგონა ჩემი, შავგვრემანი როზა-მარია!

ჩქარა...დაიწვა, შეაშველეთ წყალი და ორთქლი,
ნისლის დიდებას ისტორიაც მიუსჯის ვერდიქტს,
ბრბოც მიირყევა და რყევაში მოიმსხვრევს ბორკილს
წარღვნის პათოსში მას კანონი არარას ერჩის.

ვოფლიანდები და ნაძლებით მივყვები თვალებს...
ჩაძირულ გემებს საუკუნო საფლავად ვითვლით,
ოკეანეა ეს სიმშვიდე... სამშობლო მხარე –
გრიალებს მარში და მოსკოვიც მოიცავს სინდისს.

სალუტი ისევ...ჩალეწილი მინები მარშში –
წითელ მოედანს ახარხარებს მძელი ალლუმი,
ბუხართან ჯდება დაღვრემილი მეძლილი კაცი.
და თაიგულთა კონას გვესვრის ზიზღით ფარულით.

აქ პოლიტიკას ვინ გაიგებს...სიბინძურეა...
თოჯინას ნაზად ეღიმება... ტირის საცოლე,
ჩვენ მზის სურნელში, ღრუბელს ჩავძლით ლანდთა ყურეში,
განმეორებას დაგვპირდება ქალი საწოლზე.

მოხვალ, არ მოხვალ, შენს ტანს მაინც არ მოვეშვები,
გემუდარები,ლამისფერი იწამე ვნება –
ამ წყვდიადიდან დედის კალთა მოგვეფერება,
ამბობდნენ იყო...ან არ იყო,ცოცხლდება...კვდება.

გლოვა-წუხილი...ჩვენი რისხვის გლოსარიუმი,
იყო გნიასი, მომწყვდეული ესვენა ტაბლა...
შესაკვეც ჭკუას ჩაჰფერფლვია წურვა-ქუხილით
ის ძლიერება წინ რომ გვიძღვის, გონებას რაზავს.

რაკრაკით უბნობ და ჩემს თავებს მიაგოგმანებ,
წამყვება მუდამ სახრჩოლავი ნასუნთქი შენი...
ცისფერ სეინერს უხერხემლოდ მაბავს მესაჭე,
უთენ-ულამებ ზღვის ვარსკვლავზე ფიქრობს და მღერის.

მღერის უთვალავ პლანეტაზე, ჩუგლუგით იცავს,
მოპოტინებულ ქილებს ახდის ნაკარებ სარქველს,
მექომაგება კლერიკალი...კნინობით მითხზავს,
ნუგეშმცემელი კერძოობის კვერდაკრულ სარჩელს.

რის ჰილფერდინგსი,რის ჰობსონი...რის კაპიტალი,
მონოპოლისტურ კონცენტრანტებს საბანკოდ ვისვრი,
ზის ლენინიზმის სანაგვეზე...მისატირალი
მიზანქცეული სახელმწიფო–...ენგელსის ქვრივით.

დემოკრატიულ ნაირფერებს ჰკრავენ კვინტეტში,
და ბურჟუების სამოსახლოს კომუნისტს ანდობს,
პროლეტარული დიქტატურის სათმენს ვითმენდით
მოხერხებული მონაზვნების სხეულის სარგოდ...

წინალოგიკურ პრიმიტივიზმს დაეძებ ქარში,
ტვინის სიღრუე თან დაგყვება ნათიბ მდელოზე,
მოუთმენლობა დამეჩემა... პწკარედებს მაყრის
ყანგარონფერი პუბლიცისტი მმარხველ მეკობრეს...

მნუსხავ ფორმულებს აახლოებს სატყორცნი ქლიბით,
აჰა, ქაჰანდა და სახსლეტი... ფარისევლობა,
თავისუფლების მარწუხებში გმინავდა ფლიდი,
იმ კოსმოპოლიტ ტოლერანტთა ერთადერთობა.

მოგამწყვდევ აქვე გარიყული რიტუალებით,
ფესვდალოცვილო! შემოგსარტყლავს რუჯული თრობა
და შეგმაგდება ეს ქვეყანა წირვა-ნათრევი
სლუკუნებს ჩვილი და ბეთლემშიც იწყება გლოვა.

ვკაფავ შენს თმებში მოკაშკაშე ნაწნავებს წამით,
მომიშუშდება ჭრილობები... კასტანიეტებს,
მე შემომიტანს მდუმარებით მხევალი ქალი
მოუცდენს ყოფნას, ყინულჭრილში რომ აინთებდნენ.

სიკვდილს საკუთარს ყვითელ-მწვანე შიშის მორევში,
გვიჩეხავს ვენახს და დაგვწამებს მზის უშრეტობას,
დამჩრდილავს მთვარის გადარეულ სამალობელში
შუამდგომლობა – შემოვლილი საიმედობა.

და სწორედ ახლა მწუხარებას ნუგეშად აქცევ,
დროს ნაცარტუტად ჩვენი მხდალი სულები მიაქვს,
მე ოფიცრული ფიცი მიმევს რუსეთში...განგებ,
ვესწრაფით ბნელში სამოყვასო დიდებულ მიზანს.

კადრულობსკივის არ შეჰფერის მეტმალი ბრალი
სწორკუთხოვანი პარალელი დაჰყვება ბედში,
უკუქცევია საცნაური წარსულის მადლი...
ჩრდილმომდგარ სინდისს ჩაუხერხავს ნაწყენი ღმერთი.

დაწყნარდეს...დაე,შეიცნობდეს სიზმრეულ ამბებს,
კენედის მკვლელი თეთრი სახლის სილუეტს ღებავს,
მე ორლეანში ინერტული სამება მათრევს,
დონ კორლეონეს შთამომავალს ედება თვლემა...

მო,დამიპყარი უნდობელი კანკელი ერთი
მო, დამინამე გუშინდელი თავთავი წვიმით...
გემახსოვრება დემონური ზავთების თქეში
ქრიზანთემებით მოქარგული ლანდების მძივში.

დასაფანტავად გაიმეტეს უძღები ჯოგი,
მიაქირავეს...დასაქადნელს ვინღა დაუდის...
შეაფეთებდა მოხალამბავ ფოლადის ბორბალს
პატივმოყვარე კაცუნების ვიწრო აუზში.

ჰა, პასაჟები...მარიაჩი, მექსიკა ჩემი-
პრეზიდენსიალს ზოკალოსთან კორტესი მართავს,
სწრაფმსრბოლ ეშალონს მიაწყდება წყეული ვირთხა,
უღადრავს ლუყას ნაღაყლაყო ჩინების გამდელს.

ნუ აუღელვებ...მას ვნებების კამარა ახრჩობს,
ფენომენური ყინი დასჩემს... ფელფებელია...
და მისცუცუნებს მოფრუცუნე ცხენების ნაღრძობს,
თითქოს თრეული ნამუგნარი არც დაკლებია.

მიდის, მიითრევს ჩრჩილიანი საპალნის ბადეს,
ჩურჩულებს...მახილს ხვამიადის ჰიპნოზით ხვდება,
ზეკაცის ლემარშს ეგებება სიბილის კართან,
უიდეობით მოქანცული გვიმხამავს ზეცას.

რას უმხუვლია...აქ მანდლების მანსონებს ისვრის,
გადასცვივდება თოვლნაყარი წარბების ბროლი,
წკვარამ ღამეში შენს მუქუებს გულმკერდში ვიკრავ,
წკრიალ-წკრიალით გედევნება ფლუიდის ზოლი.

აქ მიწკლაპუნობს ჯენტლმენების ჯაყჯაყა რაზმი,
მათ საღურლუმოდ პიკადილის ეროსი აცვეს...
შესწონებია ლონდონელი მეძავი მანთა-ს
საკომერციო კვირამლების სათუო სახელ.

ახლაც მიყვები ძველ ხოვლებს საკვამლე ცოცხთან,
ქუჩრავს ქუნთრუშა ბიჭუნების ნალადარ ლოყებს,
ჩახვეცეს ხლართში...რძე სწყურიათ ბატონებს, ლოცვა
არ მოსწყინდებათ ყონგლიორთა დასების სწორზე.

ყოლავდა სითხე შენახკვული სხეულის სანდოდ,
ჩამობინდებულ სივრცეს ჰგავდა გოლგოთა მაშინ,
ჩაუფურცლია სახარება კორცეყის მიღმა
კოპებშეკრული ისწორებდა კორსეცებს ქალი.

მიდის ურემი წოწიალით, ყღრიალებს რკინა
სწყდება ცრემლები თვალის გუგებს ცვარი სწოლია –
აქ უყანგავი ლაინერი საწიერს იცავს...
ყავარაყრილი ისლის სახლიც ჩვენ დაგვყოლია.

მიიკაფავდა გზებს მომწყდარი ღერთქის ზავილით,
მიმწუხრებული პნევმოკოკკებს აფრქვევდა სადღაც,
შენც პლაცენცური ჩანასახის ლოზუნგ-მახილში
პლიცეგაგდებულ სიამაყეს მერწავდი მართლაც.

* *

虛怀若谷 შუ ჰუაი ჟუო გუ – გახსნილი გონება ყოველი
წინადადებისთვისაა მზად

მოჰმადლე სითბო...ეგ ქალური საჩენი სითბო,
შენს სიმეცრიებს ჩააყოლებ საფლავში ნასვენს,
დგას ანგელოსი და გამჩენის სინანულს ითხოვს –
სიმკრთალე მთვარის როიალის კლავულებს აფრქვევს.

რძალო ლამაზო! შენი ხმების გუმბათებს ვერწყმი
და ლეიცენანცს შეჰღაღადებს იქ კუევასი,
მექსიკურ მიწას ჩვენი შავი მანცელი ერთხმის
მას ვეულები ჩაკორძილი გულის ვენებით.

ვხაცავთ მგლის თავებს ისცორიულ პარალელებში,
ფსიქოპათებმა ასეც დასვეს ეს დიაგნოზი...
და ელიმება თაგვთვალება ჩინგის ხანს მარქსად
ყრუვდება ბგერა, ნაზიჯჩქარა სადისცს ვანდობდით...

ჩაშალე ფრთები, ჩამიშალე თემონი ქალო...
თეთრო, შავფერო, ხორბლისერო, ისეთო, ასეთ!
შენ პასუხს აგებ ამ საფლავის პატრონის თავთან,
რემისიებში მიციმციმებს გონების არე...

ვის რაღად უნდა ეს წყეული დოკუმენტები,
ვის რაში უნდა ეს სიყალბე ტრადიციული -
ჩემი პროფილის ფრაზებთრეულ მორგში ვეშვები,
ვითარც მზაკვრული ვერაგობა თმენა-ქცეული.

ესიზმრებოდა საქართველო... თბილისი...გორი,
იბლინმებოდა ებრაული ბურჟუაზია --
ინტელიგენტებს ულვაშების ხლართებში ხვევდა
შტამპმოდებული საბჭოური ბიუროკრატია.

მას არ სჭირდება...ეს საკენკი სხვას მიუყარო!
პოლიტიკოსებს წარღვნაშთენილ ისრაელს უკრავს,
შემსრულებლები შემოაკლდა - სუსტდება მრწამსი
და სასაფლაოს სიჩუმეში თანხმობებს სრუტავს.

და ცხელ ღვეზელებს გამომიწვდის დიაცი ჩემი,
იერუსალემი პარასკევის დღედ ემზადება -
დაიღვენთება ჩემს სხეულზე ვითარცა ფერფლი,
სვეტიცხოვლური ნათიერი დაემბაზება.

შეღრკა...იწამა,იგი სიტყვა...იგი საქმენი
და შებოჭილი განიბორკავს სამუხლეს მფრთხალი-
შემფარებელი არ ჰყოლია...იდო საზმელზე,
თვეამღვრეული მიფანტული ნაწყენი მთვარე.

შეგიყრყოლდება ეგე მუმუ და ეგე ხორცი,
შემოგიყონავს ესე თეთრი სითხე ფრქვეული--
და ჩაგენთხევა ჩემი ტვინი და ჩემი ბოლქვი,
დაყვინთებული სარეცლების ცრუ სიფერულში.

რაღა შევფიცეთ,განკითხვის დღეს,როცა ფოფინით,
მოითხუპნება ჯამბაზების შუბლთხელი ფარდი,
შემოუწექი ღმერთის საძენს, კრუტუნით იმვრის
სვეტმოპოტინე სასაცილო ყამყამა ბალი.

რას უფართქალებ...მაგ სხეულით ჩამოგგავს კაცი,
ჩამოწეწილი თმებნაცვენი ჰკივის გოლგოთაც,
და ეფერფლება ჭაღაროსანს საფლავის თალი--
ჯანღ-ჩაბურული მოცივცივე მოსჩანს გონდოლა.

ნუ მეცუცები მაგ ფუმფულა წვივის თქერებით,
შეიკვეც თითებს...შეიკრეჭენ ღედანი საზმელს,
მოემურწება სამოსმარცულ ნინოს შვენებას
ერთი გაზმული ნათლისღება სიმღერას გვასხვეპს.

იყავი მეგლი...ნივარაო,გუა და ბრისი,
ჩამომეშლები ვით დაღლილი ქვა მარმარილო,
ზღვის პირს მივყვები სასწაულად გართული ფიქრში
და მხურს შენს ბაგეს ჩემი ბაგე მივუნაპირო.

შეგარქმევ სახელს საუცხოო ნიჭის განგებავ!
უფლის საფლავმა დაიცია ამღენი წყევლა,
სიკვდილი მისი, ვუწყი აღარ დაგენანება
და ისრაელსაც მოსწყინდება ნაყვედრი შველა.

შემახე ხელი, ამაცოკე, ამომაშვრალე!...
იყოს ეს ფიცი სამაცხოვრო ვნების ნიშანი...
მასებზ ლოზუნგის ციცულებით მივასამარებთ
გვეცოდინება, როდის მოველ, როდის ვიყავით.

ამ საწვრილმანოს მოსაწინდრებ თათრული ბრაზით
და შეთვალებულ კვიცს ფრუცუნი არ გააკვირვებს,
არც დაუხშია, ქუდმოხდილი დარაჯი აზის,
შემმეცნებელი დიადემის უცხო საკიდრებს...

ჩვენც მანაგუას შევარისხეთ დარრო-ს სიცყვა,
ვინ გადმოგაფრქვევს ღვთაებრივი განკითხვის მახილს,
აქ სიღარიბე საპაცარმლო ღაღადად მინდა,
ვიწვი სიცხეში და სამადლოდ კორდოვებს გმადლი.

ენდე განგებას, ისევ ენდე ლოცვების მალას,
არის, არსებობს ამ წყვდიადში რაღაც დიადი,
სინათლე იყოს განმკითხავი ჩვენს შორის ახლაც
რივასის ცბასთან ევლესიად ამიციაგდი.

ამიციაგდი...და ამოველ,ცეკვავენ ტანგოს,
აქ მათხოვრებიც გიამბობენ წვალინდელ ამბავს
და დონსილია შავი ლუდის პირმუშხით მათრობს,
ათოვს ინდოეთს, ბენარესსაც ჩვენ თოვლში ვბარდნავთ.

ატლ-კაჰუალი...მიატოვა მზემ ატლანტიდა,
ლურჯ ილუზიად ჩაუქროლა ქალაქს ტრამვაიმ,
მთვარის დისკოში შენი სახე თუ ელვარებდა:
მოველ,შემიცან?!...არც კი ვიცი,იყავ მართალი?

კათედრალების ნგრევის ძალას შენ ვერ გაუძლებ...
სიონის სულმა გამომსჭვალა სამყარო მთელი,
მარქსი და ქრისტე გადახლართა დავიდ-ის ქნარმა
და ფსალმუნების თაიგულში პირობებს მესვრი.

შეჩერდი, უგდე,ყური უგდე ამ იავნანას...
ებრაულია, მშობლიური...ამაოდ ვიბრძვით,
კაცობრიობა ემონება დედის გენიას
და კომუნიზმში განვიკითხავთ ამ ბოლო სინდისს.

აგებდნენ ძეგლებს იქ რუსეთის მორჩილი შვილნი,
მავზოლეუმთან ხარხარებდა დიალექტიკა...
ვარდისფერ ბინდში ილანდება შეშლილი ბიჭი,
თითქოს დუმილში აღსარება მიგვაღებინა.

ახლა იწყებენ გაბმულ ნგრევას, თხზავენ ოცნებას,
ბიბლიის კანონს გადაწერას ვინღა აკმარებს -
ჩვენს სასტუმროში ბოლო ცოდვა მოგვეფერება,
საწოლის თავთან შეუღლებას მოგვიფარდაგებს.

სემენტერიოს... გვატემალას რა შემოაკლებს,
სან-სალვადორზე გადაივლის განგება მხსნელი--
ტეგუსიგალპას შემოვარცხნეს ვერცხლის ბორცვები
და კოსტა რიკას ჩვენი ლოცვა აისით ერთვის.

ჰო,შემიფარე! გევედრები, კვლავ შემიფარე,
ხიბლავდა ასულთ ატყორცნილი დიდება შორი,
სადაღაც უშმალ-ზე მაიებმაც გადაიარეს---
ღამის ბოკკალზე აცტეკები იწყებდნენ რონინს.

ნოს ესპერამოს...გიმღერიან შორს პანამაში,
დედის ცრემლები შვილის შემჭნარ სასწაულს ერთვის,
ფინიკიელი გადმოლახავს ატლანტთა მხარეს---
დიდი კოლონი გუაჰანას კუნძულებს ითვლის.

მომემწიფები დამტვრეული სიმრავლის ხვედრი,
მიენაცვლები ამ მოთენთილ ცხედარს ადრიან,
დილით სამგზავრო ვაგონებში სამდურავს ელის
წმინდა პავლესთან მოციქულნი თარსოსს გარბიან.

და მივეთრევით, წყვეტილია ეს გზა უვალი,
ამღება კურო...შეცივებულ დიაცებს ზოზღნავს,
ლოს ანჟელესის ლესბიანურ ნასაყუდრალზე
ჰომო-იუდა მიზორმიკობს, იქვე სცემს ზოლთას.

ჰა,მოგვეწურა ეს სახმილი,მიწყდა ჭრიალი,
დგას მოჩივართა უსასრო დუმილის წყება...
და მოშურნეობს კულაშური ნიჭის წიაღში...
ახალციხური შემართებით გამჩენის რწმენა.

მოჩოჩავს აქეთ ნაცრისფერი კბილების რიგით,
ქვათა მძარცველი მცხუნვარება რეაქტორების-
მეც სამაისოდ უკრაინულ ტრამალებს ვიზრი,
რეკენ ზარები და რექვიემს გვადენს როდენი.

ჩვენც შევეჩვიეთ რევიზიებს, ლპება ოცნება-
მევს ყაზოტინსკი და ოდესას ანდერძად მაზრის,
ერთი მრჩეველი უსამაღლესს ჰკარგავს გონებას
და სწრაფი სრბოლით ლუნგადამქნევ ლობეზე დადის...

რას შეიკვირვებს წამოწოლილ სინტაქტურ გდებას,
სინტომიცინი შეიგუა -- წასკდა ცრემლები,
მირჩახვრეტილი ქვევრის პირზე ამაოდ რჩება,
წაჰფეთებია ცას და მიწას მოარსებებით.

წაიბუზღუნებს ფხაკაფხუკით, მომკითხავს, მოსდებს
გიჟმაჟურ წნევას განაძარცვი სახლის ნაპირზე,
უნახევრდება თავაწყვეტილ მიფანტულ კორდებს-
პირშეგანგლული სამრახისით ჩემი ფარეში.

ჩვენია თითქოს...ხედავ ყანას,ბიბინებს ოქროდ,
ეს დიადემაც ჩვენი არის სისხლით აღქმული,
მე ამ ყანაში გადაგაწვენ... შემოგყრი ფალოსს
ადამისეულ განზრახვებში დაშინაურდი.

და ტაბლაკებზე ჩაამწკრივეს კადრი, ნივთები,
შრომას უმღერის ბოლშევიკურს რუსეთი მთელი,
მიიზიდება ცრემლიანი სენტიმენტებით
ეს კულტოვანი ქანდაკება მრუჯავი ქშენით.

დაე იცინოს, მიიჭარბებს ამ სამახსოვრო
ბეზირგან ქალთან გატარებულ ღამეს საშობად,
მე პიროვნებას ვანაცვალებ უდღეურ მრწლეთ-
ემმაკნაცდენი ნაყოფების ამოსატყორცნად.

ვინ რას გადასწყვეტს...გაზეთები ამკობენ სურათს,
იყო წარსული...არის აწმყო...დროც ულევია...
მე სინამდვილის ჩარჩოებში მივარწევ ურემს
და ვაშინგტონურ ცისნათებას ჩრდილად ვფენივარ.

გექცე მოვლენად, ვით უდაბნო, ვით ოკეანე,
მილიონების სისხლს აქ ცოდვად ნუ ჩამომართმევ -
სამაიმუნო მათრახს ემებს ტურების ჯოგი
სანქტპეტერბურგულ პროსპექტებზე წელს რომ მიათრევს.

მიათრევს, მერე ნაცარს ქექავს,პროგრამა დგება,
ჩემი ბავშვობის მოლიცლიცე მონიტორს აქრობს,
ირხევა მიწა, კავკასიას ენგრევა ზეცა,
და შენს თვალებში ფერწასული ყვავილებს აჭკნობს.

რაღა შეგკადრო...შემოდგომის ნაცრისფერ დილას,
სურნელი შენი ჩემს ხორცს მუდამ ემახსოვრება
ბნელნათებაა ამ სხეულში და სხეულს შია...
შეხება ერთი, ანათრთოლი მისანდობრება.

მოსწველის ჯიქანს...ქალის კვნესას მიერთვის გრძნობ
მრავალმარცვული სათნოება კაცის პირობის,
მოთხვრის მუცელზე მოთქრიალე ნაღვარალ თრობას,
სანამ კონტრასტულ ტენდენციებს წიგნში იპოვის.

ვებრძვი მალუმად ავადმყოფურს, სნეულს, ცრუმეტყველს,
ვიბრძვი და ვიცი...ეს ზნეობაც სიკვდილით ქრება,
ნება ვლინდება...ფორმის ფრქვევა მალის მჩენელი
და ბედისწერა ამორ ფატი-ს ეძახის შველად.

ხედავ?- მოგყვება თვალხილული მორჩილი ბავში,
მოგყვება ბედო! შენს ხელთა ვარ იწამე ღმერთი!
შევმულებივარ მასას თითქოს საკუთარ თავში –
სინდისნამული, შერისხული, ვმარცხდები, მერი!

მე ანტიქრისტეს დიონისეს მივუსევ ნამთვრალს,
ამ ბინდბუნდებში ექცე ჰომო-ც მოვალს ზევებით,
მივუცვივდებით მოპატიჟე ბერების ტალღას,
მოტყუებული ნაკვალევის წყარი შერევით.

და შემეჭკნობა მისი ტერფი, ვით შეცოდება
და მოეცვლება მოჭმუხნული სახე დიდების –
რას შეეწევი ამ ნაწირალს და გაოცებას,
რომ ეჭვიანი მზრუნველობით მიწკეფ იხრები.

განადგურება...დაიმახეს ბეთლემში ახლაც,
განადგურება...მობისდღეა...იწვის კანდელი...
დამმოძღვრავს მოხე – ტიტანური ღვთაების მალა,
და მისტიკური ცისარტყელით გარდვისახები.

მიასკვეცებენ ბლამულები უბადრუკ სამხილს,
და იწრიტება ზღუდე-მლილი ქალაქი ზღვების...
თავგამეტებით ეკვეთება ენის საზღურზღეს.
ამ სინამდვილის სიმბოლიკა ცხინვალურ ქვევრში.

კონტინენტებზე ოპერეტებს აყღერებს მოლი,
მოვხსნი სარკმელში სარქველახდილ ფენებს ლოდინით,
გადაიღლება ფრთამლიერი მერცხალი ქარვის,
ჩაყინებული ფორტისიმო ისმის ქორწილში.

შენ დამითუთქე ამ ტერფების სრულფასოვნობა,
სიმჭლევე მოსდევს უსახსოვრო ბარათს მოგონილს,
მიღეჭავ სიტყვებს ღვარნალექში მდის ულონობა
და მეხრინწები ჩახლართული სიმის სონეტში.

საჯომინარი რა გამოდგა, სეირნობს აზრი,
სახენაწამებს თვალმცინარი უცვლელ მიუხვალ--
და ესვენები მოჯირითე საქმოსნებს, ღამე,
ანტონიუსის სულიერი ცნების ბირთულით.

        აი, ვბერდებით, ამ მარბურგულ შემოგარენში,
        მარგინალიებს კანტი გვანდობს ერთი საათით,
        ცნობიერებაც ლოგიკურად გვინამდვილდება,
        შეურყეველი სკანდალების დავიდარაბით.

წუხდა, მოსთქვამდა...დასაღონარს ერჩივნა ლხენა,
ცრემლით მომზანა გულისწყლული და ინატრებდა,
დაუმლელ სასრულს ჰგავდნენ დრონი მიწათა-ზესთა -
თმა-ჩაყრილ ხელებს უნებურად მოიხავსებდა.

        დგებოდა მარტი, რევოლვერი აცხრობდა გლოვას,
        მანჰეტენური ღრუბლის პირზე ცათამბჯენს ერტყმის,
        აღმოჩენილი უმორესი ერთი ტკივილი ...
        მრავალ ფიქრ-ცხრილი მოწყენილი მტევნების ეშხი.

მილიარდები...ფორესტჰილი... აქ უკვდავებას-
ლურჯი მუმია აზრემუმის საზანში ჰყიდის...
მტვერიც გედება პირფერობის და საძარდება,
აფეთქებული კაეშანი - იმედი ცვილის.

        მეც ამ ფანტასმებს გადავყლურწავ შმაგი კვეთებით,
        გრგვინვით მოვარღვევ მარტოობის ზანტ კარისკაცებს,
        დგანან და რითმებს გვირითმავენ ფარისევლები:
        - შემწეო, გამჩენ! ზართა რეკვას ნუღარ მიამხელ.

გადმოსკდა წვიმაც და შიშველი ნიავიც იძრა,
გადმოსკდა ტვინი ვით ნობათი შადრევანების -
მოსკოვურ ალერსს რაღაც ბნელი გრძნობებით იცავ
გრძელი პროსპექტის ხვეულებში მიიკარგები.

        მიიკარგები, რომ გიპოვნო, ჩაგკიდო ხელი
        დიდი კრემლური აივნების საპირდაპიროდ,
        ალტაცებულნი ჯერ უცოდველ სიყვარულს ველით -
        რომ ალმაცერი მადონებით სული ვაწივლოთ.

და ბრუნდებიან საახალწლო გირლიანდებით
და ბრუნდებიან...ნაძვის ხესთან კისკისი ისმის,
ნაჭრილობევზე მქრქალი ხორცით მიქრიალებდი -
თავს დაგნათოდა შარავანდად კაშკაშა ბირთვი.

    ნუ ლანძღავ დედას, მილეწილი სასახლის ფონზე,
    მატარებლები ქშენა-ბრდღვენით სადღაც მიჰქრიან,
    თუ გვეშინია -მაშ ვარსებობთ,ლასლასით მოგვდევს
    ქისტეთს გასული ჯადოქარი ბრძენი მინდია.

ესთეტობს რომში ესსეისტი, დროს განუკურნავს,
ნაეშმაკარი ზრუნვის ბოძვით მიეკონება -
ნაბრძანებია:-ამას ამბობს დიდი დოგენი,
ზაზენ-ურ ფიქრში მას სატორი მოეფონება.

    ჯდება ლოტუსზე და რინზაჲ კოან-ს სარეწობს,
    ნაგლახაკარნი კიოტოში აგებენ სართულს,
    სავარისკაცოდ შოგუნატი ლამბავს საერო
    უკურთხებელი სილამაზით - გეიშეს ასულს.

უკუიყარეს ის აზრები, მეც გეფერები...
რუსულ ფაცხაში ქარის ქროლვას დაფნით შევბურავ
და ფერადდები ფემინიზმის ბრმა იმედებში,
შენ ტანკენარი მძულვარება... ფიცისებურად.

    შენივ კურთხევით მე მსოფლიოს მოვვლე მხარენი,
    იყო მესხია სანატრელი ბრუკლინის მკვიდრი...
    მის წმინდა სახელს გულში მკვიდრად დავატარებდი,
    ყველგან, სადაც კი კაცის მოდგმა ღრეობდა ფლიდი.

აი,საფურცლე ჩვენი ზღვების,ამ მშობლიური
მთების ქედაზე გიორგობის თვეს როს შევხვდებით-
ირევა ბრბოში თინთი სმენა არ განხილული
მოღალატეთა სისხლვარეულ ჩქამურ მერეხზე.

    და ილუპება ის უაზრო თავდავიწყება-
    წუთისოფელში ამ განწირვას ვინ რაღად აგდებს,
    განა კი თვრება...ჩვენ გვაღვიძებს მისი სიმღერა
    და დაგვსისინებს ვითარც გველი სამოთხის კარზე.

ჰა,მცხეთობაა,კონსტანტინევ!ბატონო ჩვენო!
ოსტატს მარჯვენა წარეკვეთა,სვეტს სასწაული...
კვირინალეზე მიიჩქარის მარია სტელა
ენგურს მოსტაცეს მთვარის დისკო ნისლის მარულით.

და გენაკვთები ქრისტიანო ქალო მალულად,
ალგეთის მიწას მადლიანი მივაშენდები-
სადარი შენი ჯერ არ ქმნილა, ჯერ არ სახულა,
ფალოსის კერძი თემოთლილი მისანქრელებით.

აიწევ კაბას და ჩაიხდი თმენით, კანკალით,
კვლავ გეფხრიწება საქალწულო აპკი რღვეული,
რაღაც გრძნეული მწველი განცდით მომიზამთარდი-
.იდო საფლავი ჩვენი ცოდვით გადაქცეული.

ნუ ეფუფქები შეორთქლილი მკლავის ზევებას,
შემჭვარტლულ სხვენში მომტირალი არსი მოგვიცდის,
მივემველებით ნიჭმოკლებულ პრესის მავთულებს
ტოგამოსილი დიაკვნების ჩუმი ზოდიშით.

ტლიკინებს ენა,ცკბილმეგრული, სისინებს ქარი,
საათის ისრებს ატიკტიკებს დღეს ბედისწერა--
ეწამა კაცი, მას კურთხევად დაეზღო ჯვარი,
მარადიული სიმაბუნის გადასხვისება.

ნახევარ ნაყოფს ინადღებენ ნათლობის წილში
ამხნევებს ბერი მოპარტახე სოფლის მსაჯულებს,
არს გაურყვნელი ვით ბეთლემში ნალოცი ჩვილი
ყამს ჭირვებინას აიაზმის წყალს მიასხურებს.

და გალამბული მიბარბაცებს, გინებით,ლანძღვით,
ლაფში დასვრილი გალაქტიკებს მოითვლის თმენით...
მიელეწება ლოგარითმის ბედნიერ მახილს,
გაბრუებული მოისტუმრებს დარუსმნულ მემფისს.

მითქარათქურობს...მობალახე ჭიხვინებს კვიცი,
დაგვათქვლეფს სათქმელს კანჭმაღალი ქალის საყოლად
კამელიები!...- შეიყიდეთ, კამელიები...
ტრაგედიული ტრავერსების არმოსაქონად.

და ყმუის ძაღლი...ტიბერიას ასკდება ზავთით
აღმოსავლური ქარიშხალი შემმატებელი...
გადუმუქდება შეპირებულ თაიგულს კონა---
ჩაქიქინებულ ლოკომოტივს ჩვენ ვეფერებით.

შენი თვალების ლაჟვარდებში ჩავაკრავ მზერას,
შენი ლოყები საზურმუხტოდ მისავსავდება...
ტკივილით მათრობ...საპატარძლო საწოლში წვება,
ვნებადაცლილი ღრუბლისფერი ათინათება.

წამოიმართა, დაგვინახა - ჩაჰკიდა თავი,
თვალი შეავლო ჩასაქცევი გუმბათის კიდეს --
მის ცივ სხეულზე გულქცეული გაიკრა ქალი,
იერუსალემის შავ გალავნებს სატანა მისდევს.

და დაბრუნდება...ის თეთრ მანდილს ისწორებს მერე,
ზატონებს უმლის,წითელწმიდა აბრეშუმს აფენს,
მიაშავარდნებს იაგუნდში ჩარჭეულ ვარსკვლავს
იავ-ნანინას ეუბნება ცთუნების მსახველს.

უძირო ზღვაში მეგულები, ნაშობი, ქველი,
ალვის ხესავით ამუქურდი რულში... ოცნება...
ვარდის სურნელში შემირები, საგუბარ ლერთხში,
ფირუზის კაბა ლალის ქობად მოგეზომება.

გაღმამხრელი ვარ, ლეღვის ხესთან მოგისაკუთრე,
ჩამოგიკოკრე ბროლნატეხი ტუჩები ჭანვლის...
დალალ-კავებიც დაგიკოცნე, მაინც მაოცებს
ეს სილამაზე წამწამების არვაზურ ლალში.

ჩაჰყვება ხელი ამ ნაწნავებს ნაცნობ სიღრმეში,
ჭრელ-საბან-დაკრულს გიგორდები ველური ლოშნით--
და საოცნებოდ გიფრიალებს ნიავი მანდილს,
ხორციელ სანთლად გეღვენთები უსიერ ტბორში.

დაგიქამანდებ სატიალოდ სიყვარულს ქალო,
წამების სადგურთ გადავივლით სიმწრის ოფლებით,
დიბა-ატლასებს ჩამოგიხსნი და შენს წალკოტში
ჯერ-შეუცნობი ვნების ჩქერით ჩავიკონები.

თავს დაგვადგება...მეგალითებს დაგვაყრის გვამზე,
იყო...იქნება...რომ არსებობს ჯაჭვზეც ჰკიდია,
შენს ტანს ჩაიბანს რძე-სისხლიერ ლანდისფერ კონად,
თითქოს განწირულს სული ჩემი არ მიმიცია.

დაითამაშებ მაცდურ მხრებში...გლოვობენ ქალაქს,
იაფოს ცრემლიანს ცვარი ჩვენი შეენამება -
ჰო,დამაცალე, დამაცალე ეს ღამეც ერთი
სიყვარულს ელი...მისი ნეშტის შემოზრმანებას.

ამოვხსნი კროსვორდს...რაში მინდა მისი კროსვორდი,
სხეული შენი მუდამ ახლდა სულის ლაბირინთს,
გველივით ვჭოლავ შენი მუქუს ნაზარდ ყვავილებს,
კანკალებს თეძო და მუცელზე ნაზად დამიორთი.

იცვალეს ფერი...ფერცვალებას მიჰყვება ღამე...
მოვვლე სამი ზღვა...გადვიარე ცხრა მთა და ბარი,
ესახა შეშლილს საამაყოდ ძველი ნოველა,
ითალხებოდა ბნელ საყდარში ხატი და ჯვარი.

მთავარანგელოზს თუ ემდურის...სიცილი სკდება,
მწერლობენ ბედზე მიქარწყლული ცეცხლის კურთხევით,
მეც ბაგინეთში ამ ფიალას გამოვცლი, ხედავ
სასოწარკვეთას ჯოჯოხეთურს არ შევუდრკები.

გადაიკიდებს...შემომრჩები ტიტინით, ქველი,
შემოსასწრები რა ხანია აღარ ცახცახებს ---
ჩვენ გვეხვეწება დასერილი მინდორი ბნელი,
წაუკითხავი სახარების წითელ საკარებს...

და ხელგაწვდილი, დაბჯენილი მიახლოვდება
ის მათხოვარი...ბურღით ბორკილს მოქლიბავს აქვე,
ეკეთა მეწკვი და ძვალგამთბარს შხამავს ოცნება
ჩავვერცხილ ჰყრობას ჩაკემსილი სურვილი არჩენს.

ჩაიწნავს მაია ღმერთქალური ცვლილების პრინციპს,
შოპენჰაუერს ვესარჩლებით ინდური კრახით,
მბრძანებლობს რამა, ვიშნუ ცვილის სანთელზე იცდის,
მექანიკური-ინსტინქტების მგელკაცურ მარცხში.

დენად სინათლეს ემალება კენიგსბერგელი,
მხილველი ქალი მაცოცხლებელ მაცხოვარს ჰგავდა,
გონიერებას ნული მისი არ ეურჩება --
მბჟუტავ კანდელში ეჩვენება სამყაროს ქარგა.

–მაღმერთებლები მოგვეახლნენ საღამოს ხანზე,
ამ კაეშანში კაზინოთა ასხმას ვეფქვევით-
საქველმოქმედო უწყებებში ზიდავენ ქატოს,
ინდუქციური კასტრაციის სამართებლებით.

ზედგამოჭრილი იყო იგი, ჭვრეტდა მანდედან,
როტონდას უვლის მართლმორწმუნე და გამკითხავი,
ლიტანიაობს ლოგოპედის მომპალ ჩეროზე
მომცდარი მრევლი პრემიული პრიზის ნიღაბით.

გულამზრიანო,ჩამოთლილ თითთ მშიშრისად მანთქევ,
ჩავეკიდებით ალმასნაწყლულ ცრემლიან ლოყას-
ქარი გვიქროლებს ნამქერ-თოვლში პირმთვარე ბაგეს,
წიგნში გადაგმლი სანატრელი ყვავილის ჭკნობას.

არ დაგანებებ,დაგილოცავ გვირგვინსაც შაქრად,
ჩაგივარდები, გამთენიის მგერა-ცვენილი...
მოციქულები?...ხელ-კალათით მოგვგვრიან ლამაზ
ამ საპატარძლო კაბას, თეთრში გადაფენილი,

იშლება გორი...შორს უჯარმა საღონავს იცანს,
სოფლის ფლატეზე სიზმრეული ედემი ვთვალეთ...
დანგრეულ თბილისს იანვრული ზმანებით ვირთავ...
თითქოს ჩაკორძილ საცოლეში პანთეონს ვამხელ.

მივალ თიანეთს,ცოდვა-ბრალი მილში მედება,
მზე ჭიმჭიმაზე იწელება - მოველით შველას
და ჩერქეზეთში სატიალო ფერში შეგლებავ
სუდარა-გებულ ცისარტყელას ვერ ვნვდები ვერსად.

პარასკევია, ფერისცვლისას მიბრუნებ... იას,
იყო პირქუში...ასეც დარჩა, გაუგებარი,
გუნებამძიმე გენიოსი კითხულობს სიას,
დღეა გმირობის...არ ეცემა მიწას ბელადი.

ისეც პრიალებს მარმარილო...დადიხარ გოგო,
ფეხმიმსუბუქებს შენი სუნთქვა ამ ლიტანიას...
მრუდდება მზერა, ჩამრგვალებულ ტერფებს აიწევ,
შემფერხებელიც არვინა გვყავს...ზეთიც გვაცხია.

მისი...თუ ჩვენი,სულ ერთია,გაუმელ ტკივილს
შენი საცდურის კედელჭრილში ლოცვად ვეშვები--
თბილი წიაღის ნაზზიზინა საამო თხრილში,
კრთიან მაცხოვრის ნაკვართალი მისაფენლები.

თმებს მიივარცხნი საალრიცხვო ფორმის ფლატეში,
ფონოგრამებზე ფოსფორული კრთება დინება--
ტანთგაუხდელი იპარება ნააბრაგევი
მხცემერეული გოლიათის გადახიზნება...

ველულულებით, რადიოში მუსიკა ისმის,
ელექტროტრავმებს მკურნალობენ მრავის სადენში,
ცივ საამქროში სიგიჟე მკრავს, ტექნიკას ვფიცავთ
ჭექა-ქუხილის ემალური გარდასახვებით.

ვემანირდები შენს წუხილში და შენს კანკალში,
ვემანირდები მაგნიტური კონსტანტა თბობის...
სახეს მიკაწრავს მოზაიკა მხატვრის ქარქაშით,
და მიტურტლული მოგიდგები მხევლობა-ცნობილს.

მხრებაჩეჩილი დუმს მარკოზი, მხუთავი ბოლი,
დიდ ნაამაგარს ავკაცური აზრით მობოდავს,
მოუყლეტიათ კრონპრინცებსაც რიჩარდის გული
სალაჰ-ედ-დინის საკრუსუნოდ ჯვარი ზეობდა.

თუ გახსნის კრიჭას,კრუნჩხვა მიპყრობს,ხუთია წლისა,
ეპილეფსიას ნაფტალინის სურნელი ასდის,
მინაურ დემონს დასდუდუნებს მომღვრება ბნელი
სეტყვავენ ატმებს სისხლიტობილი გამცემის ბაღში.

ებრაელ ფილონს მეც ვესტუმრე ალექსანდრიით,
მის მძლავრ ექსტაზში უფლის მსგავსი ვიხილე სახე,
მისანთობლებში ჭეშმარიტი იდგა აჩრდილი
ფენომენური რწმენის პრინციპს ჰეგელი აგებს.

აგებს და იცის, რომ სირცხვილის განცდებში მიცდის,
სარცრულ თმობაში ჩამირული თავისუფლება...
უარ-არ-ყოფნის სამარცხვინო დუმილში ვიწვით,
სიბილწეც ჩვენი ამ არსობით არ ისუნცლება.

აქ განათლებას ჩაუზიდეს რეფორმაცია...
მარცინ ლუთერი ეწმახნება პიეცრიზმს მარჯვედ,
ცეცხლგამოვლილი სადღაც კრთება სევდის არმია
და ცერებამლილთ საპაცრიოდ გვიგებენ მახეს.

ვსეირნობთ...ქუჩებს ნეაპოლის ჭიროფლი დასდით,
მევიოლინე სერენადებს კაპრისკენ სჭოლავს
იქ ის მღვებელი კარაქწასმულ ბიუჯეცს არჩევს
და კანცონების ნაყამარზე იწყებენ ჩქროლვას...

ჩვენს უბედობას და ეჭვნარევ ცნობიერებას,
მანიაკური მოთმინებით მიველცვი მიზანს...
საპაცრიარქო სკამს დამიდგამს ჩემი გამდელი,
როს ხალხის ნება დამსხვრეული საწადელს მინთობს.

* *

山雨欲来风满楼' შან იუ იუ ლაი ფენგ მან ლოუ - კომკთავურებში
მოსისინე ქარი მთებისიერ ქარიშხალს მოასწავებ

ჩვენი გრძნობები...კარაველა...ეს ვენეცია,
ჭუცავენ თვალებს, საგანგებოდ ხარშავენ ჭორებს,
პიაცა სან მარკოს ეთქვლიფება მალაგენია -
შეუბღალავი სამართლების შეწმენდის დონეს.

სწვდება...არ სწვდება, ჩემს სხეულში ფენებად ჩნდებ
მთელი სამყაროს აგონია - ხელთეხშებორკილ
კოლექცივს სცდება ცირობების ხახალხო გვრემა,
ცისფერთვალებას ცთუნებების ციაგს შემოგზრი.

ამჭიდროვებენ პროპაგანდას ინვალიდებიც...
ჩვენს ინვენცარებს აღარ სწერენ, ბრმებად დადიან,
სულგრძელიც ლოზუნგს წამოისვრის შავი ილეთით,
უცოლშხრო ბეცით მოქლეშილი ემებს მანიაკს.

[illegible]... [illegible] ღვინო,
ლარნაკზე წვება დიდზე დიდი უბედურება --
ჰო,თავო ჩემო! ნაადრევად მობილხარ ვინძლო,
ფიცის გამტეხი მემარხულეც აქ მეგულება.

მენადიმეებს მეზარგულნი შესცვლიან მალე,
ნაოთხალ სუფრას მზანაგობენ ქუცია ტვლიპნი,
რაღას ცბიეროზს განდეგილთა მოსაგრე მოდგმა,
თავმოშვლეპილთა სასაცილო უკუნით ბილწში.

ეს ხომ იგივე ხალხი არის სიმვის და ლპობის,
სანიადაგოდ დღე-ღამის წილ დაგვკვებებია -
იესო! შეუნდე უსასრულო ცოდვებში ცდომილთ,
მალაც მომმადლე, ვითარც ღმერთით ნავედრები გაქვს.

მუზმუზელობენ და ჩაჩქნებში გაჰყოფენ თავებს,
ფორთხვა-მუდარა ჩუქურთმების მოკვეთას ჰგავდა,
გაიძვერათა ჯოგი ცხვება იერუსალემში
და წენგოსფერი თხუნელები ემებენ საფარს.

ვის შეიბრალებ მწვალებლური ცხარე ცრემლებით,
ოფელის თხემზე ერთი დიდი მწვირე გროვდება,
ტალახდება ეს ბილიკიც საფლავის მჩენი
ხალხის ყუვილში მწითურ სახეს როდი მოჰყვება.

და ჩხარუნობენ ეკლესიის ზარაზონები,
ბუუტავენ ჭვარტლში მოციმციმე ყუყლის ფერებით
და მეგმავდება ეს ყვითელი ქვეყანა სენის,
სისხლის,წყურვილის, სიმაზუნის და გაორების.

მეტრელე გოგოვ! ქადაგი ვარ მე მჭერმეტყველი,
შენ სინარნარეს ჩემს ტლანქ ტანზე ცისკრად გიქცევენ,
რაკრაკებს წყარო და იმედებს რეცხენ შუვილით,
იქ, სადაც დამქცევთ თავდადების მეგლებს უგებენ.

ყომრალ მდელოზე ჩიგინებენ ნაძირალები...
მათ სანამლეოდ ჩამომერწეს ბუჩო ბოჰემა--
ნაგვერდალობენ დღეს არაზი სოფლის ქალები
ფენილ ზრელოზე ცოდვის შვილიც დაიბოლმება.

მისცეს ნიშანი...დაუხუჭეს თვალები მარცვილს
მინდორზე გასდეს ნადაგვარი და ნაჭირვები,
რას გვიამბობდა ჩაღართული ვნებების ძალით,
ომგადახდილი ზეკაცების ფუჭი იმედი.

ღრმა მნიშვნელობის ძებნას მიაქვს სიცოცხლე მთელი,
ძალაუფლება!...საგინებელ ცნებას შევრჩები -
„მე„-ს განსაზღვრებას ეკარგება მალული არსი,
სამყაროს ცენტრში მტრის საწყენად გამაღმერთებლი.

ვღოღავ ძაბუნით,ღორღით უძლებ ღოღიალს ვიტან,
ძალაუფლება!...- ერთადერთი მე მეკუთრება...
ვარწმუნებ მასებს, სასიკვდილოდ სარეცელს ვფიცავ,
უნაცვალგებოს მას ვანიჭებ თავისუფლებას...

ჩამომეფერდე, ჩაიმუხლე ნაკეცში ქალო,
შენს ნაყურ სითხეს დარცხვენილი თრთოლით გადავცლი
და მესიტყვება კაცი აქ რომ თამაშობს ბანქოს,
ბედის გარკვევას სამწყალეთში მომისართავდი.

იქნებ გვაკლია...რაღაც ალბათ გვაკლია დედავ!
ძალა!...ჰკივიან,შორს ტატნობზე ცხადდება -ძალა!...
ნავლმოდებული და მიმცხრალი ცრიაგებს ზეცა,
მკვდრის ფერ ფესანგში ნაურვალიც კაეშანს ჰკარგავს.

გასწევს საკვალთეს უმაქნისი ურდავი ჯარი,
განუმტევებდა უპრიანი ღარიბის მოდგმას...
და უყამურობს წარმავლობის საჩენი ბარგით
ნათვლემ-ნათელი შმაგიანი ეს შემოდგომა.

დაგეუფლები წარკვეთილი პირობის სასოს,
დაგეუფლები ვით მაწოვარს ეს თოთო ბავშვი,
ლამლამებს ყბედი, პარლამენტის ტრიბუნებს დასდის-
გულშემომყრელი სინანულის ანკარა ცრემლი.

მოვლმობიერდი და მოლეგოთ მივყვები ღრუბლებს,
თან გავიძახი... ეს ძახილი მომრონსაც სწვდება,
ძირს ყველა აზრი!...გადალეწეთ პარლამენტები,
ფიქრებს საშური მეძავობით იტყუებს ლელა...

თვალებაბმული დაეგება ანკესზე, აცდენს
მთავარი გზები თელ-ავივურ სამხეცეს თოკავს,
შეგვიყოლია და ყინულზე ჩვენს დროშებს არხევს,
სადღაც ოთახის სიყრუეში მოხუცი ბორგავს.

იყუჩა ბავშვმაც, გულს მოელბო ფათური ხელის,
გვემშვიდობება და ციმფია ნაკვერცხალს ლოშნის,
ჩამოლოპრილი მონებივრობს ბოლოიწო ლოქო,
გაბრუებული ეცანება გადამფრთხალ ლოინს.

თანამესუფრევ გადაავლე ეს ღვინო ბლანცი,
მე ურიოში წვენი მასვი ქალის მუმუსგან --
უყვედრებელი! ჩვენც შეგვერგოს მაცხოვრის მადლი,
უმაწივრობა საბეთლემო მარხვას მიუგავს.

ჰა, დაიცალა, მიქურჩნული ცევრება ჩემი,
ცმუცვით მიდიან იქ ბავშვები... გრიალებს თოფი
იაფოს ეცემა ორი გვამი, განმუხცავს ზღვასაც
ცმელი ბალღური, ქერქაცლილი, სრიალებს მდორედ.

ამ ხონძზე ვიყავ, ჩემი ლეშიც ხოროდ ესვენა-
იფქლი და შავფხა გვეზანდურა, გავჩუმდეთ იქნებ,
ჯვარი სწერია... მის ზინზიბას არ მოეშვება
ფალანგი ჩემი, გიშრაფეთის მორთმევის შემდეგ.

განა არსებობს ბოროცება?! მიჰყევ დინებას,
სადღაც ჯუბაჩობს უკაცური ონცოლოგოსი --
ფასეულობა ქაოსების ჯღრდეს ეზნიქება
ბაჯაჯღუნობენ ციდა-კაცნი დახრწნილ ორმოში.

ჯღაზნის დუდღუნებს და პამფლეცებს ისვრის ბორმალი,
შებრუყულ დიაცს თანაგრძნობის წაბილწვას დასმენს -
გაკადნიერდა და ჩაბლარდნულ ბრიყვულ გაკვეთილს,
პაცრიოსნების საბოლოო ქათიბში ახდის.

ჰო, დამიბრუნეთ სიხარული, ჩემი ბავშვური,
თვითკმაყოფილნი განშამორეთ სამგორველები -
ჩამოშიმამეთ ჭორფლი, ქერქლი, მიწა-სართული,
დასამკვიდრებლად ჩამაწვინეთ ნელსაცხებლებში.

ქაფქირით მოგხდი დარდს, სინანულს საოფლე ყამზე,
ხელს მოგაჩეჩებ საწყევარი თემის აფთიონს,
ჩამისამართებ მტკივნეული მოყვასის ცვედანს...
და სანაწყენო გზებზე მავალ უცნობ მაყრიონს.

აღდგაო ქრისტე! ვინ რა ნახა, გაიგო ვინ რა?
ათამაშებენ წარბებს ბრიყვი კლოუნადები,
აპოლოგიას სამერმისო ქალწულად ვირთავ,
ჩვეულებრივი დღევანდელი მოურავებით.

რაღას ეცემა ის ქადაგად, ფენათა სიღრმეს,
აქ კატორღული ერთგულებით განსჭვრეტს განთიადს-
ეჭვი ღრღნის გონში, თვით-უარყოფს სიცოცხლე ბოდვის,
ზინმურ პრინციპებს და ლირიკულ მედიტაციას.

მთაზე ღგას კაცი და გაისმის ხმა ღაღადების.
-დღეს მოვალს ღმერთის, ჩაინგრევა სამყარო მთელი,
ტრანსსუბიექტობს მინიმუმით და ჩანს სარკმელში
გარშემოსილი აზროვნება - საფლავი ბნელი.

მაინც მკვეხარობს სახელმწიფოს განადგურებას,
მაინც იქადნის, რომ იგია სწორედ მესსია!-
განმეორებით ივიდურებს კნაწუნით კვრინვას
და ტალატნებზე ასასვლელად მე დამრჩენია...

და დამისრულებს ამ საზღაპრეს ნაწევრი ჩვენი,
თავის ნაჭუჭში ქვეყანა მევს ვით ლოკოკინა,
დაორთქლილ პროექტს აუხლეტენ შეტრუსულ საფთენს
ჩასუყებული მესრისება დღეს ბობლოყიწა.

აუტანელო...გვიფრთხიალებ მტოკავ ტერფებზე,
განცვიფრებული აზოგადებ თითეულ საზრისს--
განეჭვრიტები სახიერი ცხრობის მეზევრე
და საქორწინო სისპეტაკეს მომანდობ მარტვილს.

ნუ განუქიქებ, დაე მარცვას მიანდოს თავი,
დაე განწყობა საცალკევოდ იტვირთოს ვნებამ,
ნუ მესხვისები, ნუ დამიძთობ ამ განვლილ მანძილს-
ნატვზობ სასკვნელში სანაძლევოდ გიგრძელებ დღვება

ჩემს წარმოდგენებს განგილაგებ პქრქალ მონადებად,
მინაღწევარივ ღმერთის ციურ სხივებში იძვრის
და დამნებდები მორაკრაკე წყაროს მარცვლებში,
მზეტაცებული მინანქარი ქალური სიძვის.

შორს რიტორობენ ოდინდელი რიცხვმცირე ბრძენნი,
როდისღა მოვალს და მოგტიტყნის, ეშვება ტლოშნას,
ტლინკაობს კრემლში მარლევძაგარი რუსული ვირთხა
და სათათრეთის ანატლეკზე ბორკილებს ბოლავს.

შეარგვევინა ამ ლოცვების უხვი ნადავლი,
ძუძუნაწოვარ ძმებს სამლებში მიაბალახებს---
წააბილწვინა იეჰუდეას ნაგლესი გზები,
ჩამოხლეჩილი ტყაპუჭების წაბნნილ ქამანდზე.

მიხრიგინებენ მოხუნტრუცო ბოდისათვები,
ჩაკერძავს ნაკვნეტ მავზოლეუმს დავიდის შვილი,
წაწყმედილ ბოსელს მიძგილავა ესტუმრა ბერი,
ყურწაცქვეტილი მიძუნძულებს განვესზე მწირი.

ძარღვს მიმაგმაგებს და გულს მიმგერს ეს უმღურება,
გიმრწის უმღები საწადელი - ხორცი და სითხე-
უწვალებელი არ ვყოფილვარ, ნამრახ სიმღერას,
მესაიდუმლე მერკანტილურ სათბურში გვიმღერს.

ჩამჭმუჭნა... ტყუილს დამათენებს,თავღებქვეშ არხად,
ეს ჭლექიანი ხელოვანი გაგვხარჯავს მმიმედ...
ნახეთქ მთაბარზე დახავსული მოხეტიალობს
თვალებჭყეტია დათვუნების ნაკვალევს მისდევს.

მიწყობს მაგიდას...მიხარისხებს წიგნებს ხარხარით,
დამხედავს, ჩამჭყლეტს მე სტრიქონის ამარად მტოვებს,
არ-დახათრებას დანარბდება მსუნაგი ბერწი-
კონვერგენტული კონსტანტების უმწეო მწკრივზე.

მიბამავს ხალხი ჯვაროსნების ნაცოდვარ ბოლოს,
რახელის საფლავს ბეთლემური საცობი ხუთავს...
ეპილეფსიას განმიკურნავს ხუთწლედის საშვით,
კომერსანტები დაემებენ დამტვერილ ბუნაგს.

ექსპერიმენტიც არ მომაკლო-...თვითდაკვირვების,
წყლი,ხნეული ქვეცნობიერ ნაკადებს ალხვობს,
ხვნიზნავ სევდებს საუკუნოდ მინაწილებდი,
დასაჯერებლად მოდუდუნე დასერილ სამწყსოს.

გადაულეწეს სიმაგრენი აქოს მამლუქებს,
ქართველი მხედრის მკლავი დაჰკრეს სათოფურს მარჯვე
გაუმართლდება,მას მასპინძლობს მაღლარი ერი
და გამყლავნებულ საიდუმლოს მსუბუქადართმევს.

რა მომაბარე,რაღასა მთხოვ მიმბაძველობას,
მომნიჭებელი იქნებ სხვაა...იანვარს იბდღვნის...
იბერტყავს კალთას...იბეჯითებს სიამქველობას,
ვნებააყრილი ესალმება ჩაბინდულ თბილისს.

მიზმუის ზნექით დათათხული ეჭვი შენდობის,
მე დამედაგა დაფნის ფოთლის გრეხილად იქცა,
უვიწროვდება ჩადანდლული ტვინი მერკურის--
და დათითხნული ენატრება მას ჩემი მიწა.

ჩაუმარყუყეს კალვარიას მწყვდეული ყინი,
მინარცხებული ერთი მხევლის - მაგდალინელის...
ჩარაზულ სარკმელს ედუღაბა თხუპნია გინგლით,
მოდულებული სალაზღანდრო საშოს კინთებით.

მოხვალ ხვეული, ჩახატული და მეწირპლები,
დამიწყობ ვარდებს, ენძელებში წვები თელილი-
ერთხანს ესხეებს მიეცმასხენ ერუდიტები,
კმაყოფილდება მსხვილფეხათა ჯოგი რჩეული.

რის სახელმწიფო, რიღას ერი, რის ეკლესია,
ყამთალმწერელი პყრობილებას პუროზს კვალდაკვალ,
საწვდომ სიცოცხლეს ის ჯერ კიდევ არ სძვირებია--
ფრანგ ქალიშვილებს უალერსებს და ფრთაფარფატით...

მისდევს ბილიკებს ცალფარანდა კორიდორებით,
ჩქაფუნით ცორავს ზეთწასმული მაღლის საწადელს...
ეცანებიან ჩქაროსნული ცაიცნოტები,
კაცით ნაჩქმეტი ცადაქნილი ქალის საფარველს.

დეკადენტობას აღარ მაცლის დღეს შარლ ბოდლერი,
სცინცლავენ ქლიშებს ბასტილიის უმანკო შვილნი...
მუნძულით მისდევს აპოლინერს ერთი ბაცია,
ამოცქვეთილებს ეკვანთებათ ძლიერი წიხლი.

იყო ველური...ვით წისქვილზე სოფლის კამარა,
გავასქელ ულაყს მოსდევდა შამის მარხილით,
გადალალავდა შიმოფანცულ თხებს საალგეთოდ -
გადმოკარკლული თვალცვენილი შრომის მარეხი.

გააცხებინე სული მიმა ღიაცის პატრონს,
მოაწვრთევინე ნაწკეპლარი ზურგი განგებოს...
მიაწირვინეს მონაზვნებმა ძვალტყავა საყოლს,
ზეთის მთის ნაკრძალს მიაღვენთეს ზედის სანთელი.

და მეცრიცები მონამლოლი ამ მამრულ წალდზე·
წკარუნობს ფული...მონეტები სწყვეტენ ანცობას,
მიაჭაჭანებს ამ სამყაროს ნაჭყლეტი ვაცი...
ვით გაწაფული ნაბიჭვრული არამზადობა.

ნუ მემდურები დანაღმული ლუქის გარღვევით,
ნუ მემდურები ერთი მორჩი, მორცხვი მიმოზა--
ამ კლაკნილ სამყოფს ჩაკვესილი ჩავეკიდები...
ილამბებოდა და ჯავშნიდან არ გადიოდა.

შენი სურნელით იჟღინთება ეს მონასტერი,
მივარახუნებთ მობოგინო ბორბლის ბრუნვებას -
გარდაიცვლება პლასტიკური ტრფობის მანეჟში,
სალტომორტალეს სამახსოვრო მისართულებას.

სხვის არსებობას ჩვენ დუმილში ვატარებთ, დედა!
სხვის სამარგლავად მორჩენილა ნოომის ყანა,
რუთს მოავიდან სამასპინძლო ხარებით ვიყვან-
შევერცხლილთმიან ბოაზს ეძებს გოგონა ახლაც.

მას შეეხრება...მას შეამკობს, მას მიუწვება
შეატყობს მუხლზე...არ შემცდარა,მას რომ ევსება,
სადღაც კვეცავენ ჯავრიანი ბიჭის ბუნებას
ფოტოასლების ფორმაციულ გადაღერებას.

ნივნივით მისდევს ნილაბახდილ ნიმფას პიროზით,
მარაო განა დაუფარავს სარცხვენელ ნისკარტს --
ქართული ენის მადლს შესწირა - არ დაინდობის,
მიჰყვება მიჯრით და მოხრილი ეყრდნობა სიტყვას.

ცნობიერება მიწიერი ყოფილა თურმე,
ჩვენს რეფლექსიას ჩამოკორტნის ყვითელი ყვავი,
ხუხულა ძვლებზე ნეტტესპეიმს მოჰკითხავს მრუდე
ალქიმიების ჯადოსნური ხილვების რკალი.

მოხტის ..მოსცურავს საიდუმლო ნომოგრამებში
და სხაპასხუპით ეყვედრება სხივმფინარ ბათუმს,
ნავთს დაუსხვეპენ აზერული ათინათებით--
სჭირდება მეტრი, შესაზიზღრად არავის ანდობს.

არ შემეგებო საზარელო და ყლალთმიანო!
შენს ნაყლევლემს ალბათ ჩემს საკანში მდუმარედ შევ
შენი ნალხვობი მეთესლება და ვდარდიანობ,
გადაცდენილი ერთხელ კიდევ ვემდური ზეცას.

ვიტვირთეთ მარცხი, დაუმარხავ სიმდაბლეს ვფიცავ,
გიტვირთე მონა...უმანჭავი,უბრალო არსი,
ნუ მემალები... ემეზობლე კურთხეულ მიწას,
მიწას მაცხოვრის - ისრაელის დაწყევლილ ბრალში.

პარპაშით უცხობს იპოქონდრიკს ამ ინცინდენტებს
ირგვლივ ყივყივით ეპკურება ჩიტების ნავალს,
რატომ ოხუნჯობს კონგრესმენი საარაფროზე
საზანკო ჩეკებს სანტორინის სიმამლრით სანსლავს.

საპროექციოდ არც მეყოფა არც დრო, არც ჯანი,
სენტიმენტები საპირწორე მალამოდ მიაქვთ,
პარფიუმერიას საპოხ ზეთში გლიმავენ ღამით...
მანუგეშებელ სანქციებში რომავენ მიზანს.

ტოტებმტირალი ალვა იდგა ხევრონის ველზე,
ფეხებქცეული ბუჩქი ცეცხლის საპირალს ჰგავდა,
მოჭრილ სადგამზე ფარფლიანი ესვენა მთვარე-
იერუსალემშიც არ წყდებოდა ფერმკრთალი ბარდნა.

შენ მებარდნები ალოკილი მუმუს ქარვებით,
ივერიისკენ მარიამი ნეტარი ილტვის...
მორთხმით მისდევდა მას ბართლომე, შემოგარენზე,
მოციქულები არ აცლიდნენ მირიანს ქვითინს.

და სიდონიაც ფეხტიტველი მიიპარება --
სარდონიკული ეჩემება მამის ხარხარი...
შეაბათქამებს ბაგინეთში დიდ სამლოცველოს,
არმაზისხევში სახარებას ასხამს კანკალით.

გარინდებული სილუეტი იხსენებს ზღაპარს,
აუხდენელი სიზმრის პატრონს რა გაგაოცებს?!--
მივემურები მოწყენილი ეს ერთი მგზავრი
ქართა მწუხარე სიმფონიის სასაფლაოზე.

ბზარავენ ჰაერს სამახსოვრო მატარებლები,
თბილისი - ბაქო - ლიანდაგებს მიჰყვება ფიქრი,
თრთვილს ათენდება, ახლა იქნებ არც დავბერდებით
ნაცნობ საწოლში სულის წამალს ეძებდა ბიჭი.

ოვაციები... ჩამუქება ლურჯი... ფერების...
მზეს ელვენთება ბოლო ფენა შენი იების,
მუხლებმოყრილი ამ ჩემს ცხედარს ცრემლით შეხვდები,
იწევა ფარდა და სცენაზე ჩნდება მილედი.

ძალაუფლება!.. და სინდისი ბინარულ რკალში,
უყვართ არტისტებს არსამხელი თამამი ცუდი--
ფილისტერული მოერევა დირიჟორს ბრაზი,
მილიარდების გამოქრობას მოთმენით უცდის.

ვიყავ მიამიტ...გულუბრყვილო, ალენშის პასაჟს,
მისჩერებოდა ნასიძვარი თვალი როსკიპის,
გრიმწასმულ სითხეს მიუშვერენ ბურჟუას ნამალს,
დემოკრატიის საძრახისი ედოთ ბორკილი.

მე ეს უფლება·უჩვეულო განგებად ვიწამ...
მთელი ეს ღამე დავდიოდი განწირულებით--
დღეს პირველია, სამშაბათი, იკურთხოს მიწა
იკურთხოს მაშინ, როს მის თალხში აღვესრულებით.

დგება ზამთარი, ისევ დგება თეთრი ზამთარი,
შენი სხეულის ღრუ ნაკვეცართ მე ვესავთები...
თოვლის ფიფქივით გათოვს ჩემი შემონაზარდი
და ბროლის უცხო ლაბირინთში მივიკარგები.

ჩაინგრეს...მოკვდეს...დაილეწოს,იავარ იყოს,
სამყარო ესე სიმძორეთის და სანაგვეთის,
მეძგერა ბინდში, ხელნაწერთა ცეცხლი დამინთო,
ვიცოდი მაშინ...სიძაბუნეს არ შემარჩენდი.

ყველაფერში ვარ...შემიცოდე პატარა ქალო,
ყველაფერს სჯოლავს ჩემი არსი და ყრუანტელი,
შორეთს გახედავს ბლუ ბელადი, კაცი სახალხო ,
ცივ ნიავსაც კი სახეს მისას არ ვაკარებდი.

მოდი,დამლეწე...მალას ვკარგავ, უეცრად არწივს
ფრთებშემომტვრეულს ემსგავსება სხეული ჩემი -
მითამამდები ალიონზე - ქიმერებს ვარწყევ,
სხვა ქიმერების ქაფად ქცეულ სახებას ველი.

შემღვრევა ტვინი,დორბლმოსეულს მეხვევა ბროლის,
მკლავები წყვილი - სიამაყის ერთი სიმღერა -
ჯარში ჩაკვეთილს წყალღებული ღვართქაფში გლოვობს
იბრძოდა მაშინ, ოქროცურვილ მედალს იშენდა.

არც მოგწყინდება გატაცება...წარსული დადის,
ვითარც ჩვენება ფერწასული წყეული წლების -
არ ეშინია მას წყვდიადის...ასწიეთ თასი
და სადღეგრძელოდ შემაწიეთ სიცოცხლე თქვენი.

გახსოვს ბოფორი...ჯვაროსნები,ლიბანის მხარე,
მიმყავდა ქვრივი და ბავშვები ტიროდნენ მამას:
დღეა შენდობის, გულწასული იწვალებს კავებს,
კაცისეული ენატრება ლამაზ ქვრივს დაღლა.

რა დაღლის ტიალს, სიმაღლეთა მთვარეულ მილში?
მიასვენებენ დღეს ბეგინის აჩრდილს ხევებით,
სქელი ვამპირი დგას და ერის ნამარღვავს ითხოვს,
მეც ბეირუთის ბულვარებზე დავეხეტები.

ხალდე, დამური, ბეჰამდუნი, ცორი, ციდონი...
ვის უწყის პირქვე დამხობილი ომის ტრიალი,
დაუდევრობა გვედევნება ნავთა მარშრუტით,
დირ-ელ-კამარი, დრუზი გოგოს თვალთა ბრიალი.

ტროტუარები მოიბოლა მამადავითმა,
ბურუსში წვება უტკბოესი ეტლი ამდენი,
ფარშავანგების წნული ფრთები მოისაშრისა...
ყამთვალებაში ქრონიკების შემონაძერწმა.

დიპლომატები სისაძაგლეს როდი სჩადიან,
აღიზიანებთ მათ ნერვული სისტემა მთელი...
მეტყველებს შრომა, მოანჩხლენი ფონსვე გადიან,
უკანასკნელად ქრისტეს ჯალათს მიბაძავს დენდი.

თვით არ ვიცოდი,რას ვმალავდი ტვინის ღრმულებში,
მედავებოდა რაღაც მკვდარი ინტუიცია,
და სინამდვილის ზღურბლთან იდგა არდარიდების
შიმშილი, ნგრევა, მუზეუმის საშო- უნთია.

თანასწორობა, კლასთა ბრძოლის გულისნადები,
ვბრუნდებით გვიან, მთვარის ბურთი სადღაც მისცურავს,
მას ვიგონებდი, ცარიცინში- ცხრაასჩვიდმეტში
წელიწადების ხერხემალზე - ფოსფორს ისუნთქავს.

ერთ დიდ ფერხულში გახვეული ჰკიოდა ნება,
ნება - ეროსი - აღტკინება...მწუხრის სანთელი
გარდაიცვლებით ამ გრძნობებში, ტალღების წრე-და
დარჩება ცეცხლის ამ უმძაფრეს კორიანტელში.

განა იქნება დაფლეთილი კაბის შემენა?!
ბურუსი გმოსავს და ენთები უდაბურებას --
ნიაღვრებდენით ყინვიერი თმენით შემოსავ.
შერჩები სივრცეს ერთი დიდი არდაშურება.

ასწიეთ ღუზა...ამ ბობოქარ ზავთებს მიანდეთ
ხომალდი ჩემი, ის უცნობი ჰორიზონტები,
ავჩემებივარ წყალქვეშეთის ცისფერ ბინადრებს
ევქსინის პონტოს სანაოსნოდ მოგიფონებდი.

იდუმალება შელამების ... ფარდობითობენ,
სივრცენი, დრონი... შეზავების ყრუ მომახილში,
მეზღვაურები ფსკერზე შლიან თხიერ სტრიქონებს,
ჩემი სიონის თოვლშვენებზედ ამიმარხილდი.

და ალმაცერი მზერა გასდევს შენს ლამაზ სახეს,
დადიხარ ქვებზე, ნაფეხურიც სილაზე რჩება--
ჩვენს ქვაცხელეთში შენს ნასუნთქავს მოიზინადრებს
მთვრალი ვერხვივით ვენარცხები სამიწეთს -დედას.

იყო ტრფიალი... ამოება ამოუბეთა --
ტყუილი დიდი, ვითარც მზეთა ათინათება,
სიკვდილი მისი ციფერბლატზე რაღას მოსთქვამდა,
რჩება ოცნება და იმედიც არ იკარგება.

ვითარც ქვეყანა...შეწბილული და განკიცხული,
ვით სადღეგრძელო შენი ცრემლით ავსილი თასი,
ჩამეღვიმები თაფლისფერი ბინდის მარწუხში-
სამანაროზლო ლოზუნგების ფურცელი მშრალი.

მოდი ჩავერწყათ...აბსოლუტი მიგვიღებს ალბათ,
რიგვედებს კრძალვით წაგვიკითხავს ახაშვეროში
და იოანე ოქროპირი პროგნოსებს ადგენს -
რომ დამასკელმა წინგანსაზღვროს ჩვენი დემონი.

თავდაპირველი სიყვარული იწამა ,ქალო!
იწამა წყარო...და ეწამა ის სქოლასტიკას...
სემანტიკური პარადოქსის ნათურებს აქრობს,
თავში გასული სანაქებო ჩვენი გვარდია.

და ქარავნები მიიწევენ შორს უდაბნოში,
შენი ლაწვების საპირმიზედ იზრდება სული,
მე მეკურნები ბედნიერი გვირგვინის დადგმა,
პირქვემხობილი მოწყევლილი არსება კრული.

რაში მჭირდება სამახსოვროდ შეხება შენი,
ამ მემორიებს ერთი მუჭა ტალახით ვისვრი,
ღმერთმანც მოსწევლოს კონცეფცია შეშლილის ერთის
იყო,-რჩებოდა გასაქირდად ჭკვიანი გიჟი.

იღება, ხედავ?-ლიანდაგებს მივყვებით მერე,
გუგუნებს ძრავა ელხაზების კივილით, ლოცვით--
ცისფერ პაროლებს ჩამომართმევს და იცყვის,მენდე!
მენდე,გადგინდი საუკუნის უზადლო ქორწილს.

ვენდო?!...გაეწყო ცების ზოლი, რა გაეწყობა,
ვერცხლის ზოდებზე იმართება სხვა იდილია -
დავუცდი მხევალს...მხრების ნაზი რხევით შემოვა,
რას მივეგები, მე ამ  ღამის გადაღლილი ვარ.

ათქორდნენ ტბებად ეს გრძნობები და ეს ფიქრები,
იელვა სადღაც და ხომალდებს ეკვეთა ძავი,
სილუეტების დიდი რიგი და ამინდების,
სიზმარეული ქლოშინებდა რაღაცას ბრაზში...

მზისგან ნაკურთხო, ვისი წყევლა ყოფილხარ მითხარ,
მე პოეზიის საბოლოო შევსვი ფიალა...
მხამში იცლება საარსებო ბავშვობის დილა,
ნათელმირონმაც სადღაც ტევრზე გადაიარა.

გადაიარა, დარჩა თხლეში ვითარც ჩურჩული,
ვითარც ზღაპარი მონატრების და სასოეთის...
ცივ სარეცელზე, რის ტიალად მომიფუსფუსდი,
გადათოვლილი ლაქვარდების თეთრი ფერობით.

კაბაახდილი... ფოლიანტებს ამიფრიალებ,
მძაფრ სურნელებას შენი სუნთქვის სიცხეში მიწვავ,
უმანკო ნაკვთში უსულგულო ბრუნვა თქრიალებს
და საწამლავში ვეწაფები შენეულ ბინას.

გამოფენაზე წყვილთა წყვილი შემოაქვთ მძორებს,
სცენაზე მოდებს,თავბრუდამხვევ თამაშს გამოსდებს-
არ დაიძინოს...საკამათოდ სცალიათ მორგში,
ყრუ-მუნჯ მეფეებს და ფანტასტურ მოყვას პატრონებს.

იგივე ცხვირი, იგივ თვალი, იგივე ტვინი,
ღაზა...ჯენინი...ბეთ სახური, სიცოცხლე გვინდა,
მე ჩემს ისრაელს დავანაცვლებ ყოველგვარ სინდისს
მის მარადიულ მთლიანობას უკუნის ვფიცავთ.

შავი კუნძული აივსება მწვანე ვარდებით,
სადღაც ფსიქეა ეროსს მისდევს, გაჰკივის ქარში,
ჩემში ზვირთდები, ვით სამშობლოს ნაცნობი მხარე
და იალქნებში მონავარდე სახება მკრთალი.

ელოდებოდა სულს ბნელ-ცოდვილს, გალაქტიონი,
დედა...სასახლე ხელოვნების...პატარა ბავშვი,
არ წამოდგება?!-მეც ველოდი მაშინ სასწაულს,
კუბო-ნათელი ყვავილების მწერალთა სახლში.

ვარ ჩემს დუმილთან, ისევ ერთი და მარტოდმარტო,
ვარ ვით კოსმოსის სიჩუმის ხმა და მოჩვენება -
ითხოვენ შველას მხიარული სიკვდილის შვილნი,
სერაფიმების დიდი დასი მათ შეესევათ.

მოითბობს ხვეწნით...მოეხვევა ღრეჯილი ვირთხა,
ჩხრეკდნენ საკნებში დაშმიმებულ ნაალევს მგონი -
არ დამწარდება სადღეგრძელო, ელვარე ქვიშის,
იერარქიული სიყვარულით ზღვავდება ხორცში.

* *

—羿永逸 ირ ლაო ირნგ ირ - ერთი უზენაესი დამაბვით,
სამარადისო მოსვენების მოპოვება

ისუნთქავს წრეებს - მოქმედების ორომტრიალში,
იქ, სადაც წამით ვესწრაფოდით ბედნიერებას,
ჩვენ სიღარიბის სასთუმალთან პირობას დავდებთ,
თავისუფლების მომნიჭებელ გადაშენებად.

ვხედავ, ჩამორჩა ეს კულტურა განვითარებას,
ესთეტიკური შემოსჩხირეს ქვეყანას კრახი...
ჩვენს მაიმუნურ ტანნაწვივზე გაიმართება,
სხვა კარნავალი... უოლლ სტრიტის და ძველი ჩარჩის

ნუ მიმიკუნცხავ ამ ნაავალ გზას, მიწიერს მენდე!
მაგდალინელი მიუწვდება საფლავს ნათელში-
ნელდება ბგერა და ზღვავდება მიდამო მთელი,
არქვეყნიური სააღდგომო გადანაშენით.

დიდედავ ჩემო! მომაწოდე წყლიანი თუნგი,
მაშვრალმა ბედმა, შხამით სავსე ხელადა მასვა,
ლიფლიფებს ხავსში ლიყიანი მომღვარი ქუში--
მას არ ეტყობა ღამეული ლიდინი ახლაც.

ჩემს ქვეშაგებთან ლმობიერი მოტორტმანდება,
გადამხდის საბანს ლირფიერი ლივლივებს ნებით,
კაცი ლიცანი ჩალირწული შენს ცოდვა-ბრალში-
თბილი ფეხების საქალწულო სამკუთხედს ვეკვრი.

და სრიალებენ ეს თითები ნავმისადგომთან,
მოლილვურ ღერძზე კანი სკდება გადარეული...
ლივლივებს ენა სასლიკინო ბაგის ჭაობში,
მუხლებკვეთილი მივარდება ფეხთ მზარეული.

მილიონებით ენაცვალა ის სულის პატრონს,
მას მფარველობდა დაცემული სამშობლოს კვერთხი-
გასაკითხ ქაშქანს ეწირება თავში საცემად,
საუბედუროდ განწირული სამძიმო მრევლი.

დაგვიწყალობე გლოვის კათხა და საშწდეული,
დაგვიწყალობე სიამაყის უცხო შეგრძნება-
შენი სიჩქურით თქართქარებდა ვილაც ეული,
კაცი ლინცილის სიცივისგან რომ იბერწება.

ახლაც არ გვინდა მარგებელო სიმამღრე მისი,
საპირფარეშოს ეჭინთება სქელი მუცელი--
ყრანცალებს კუჭი და ნაწლავზე იყრება ნილრი,
ყრუჩუჩა ოსტატს სადავეებს უშვებს სულელი.

ჰა, სადაცაა თავსატეხი გვექნება კითხვა,
მოისადაგებს საშუშაოს მცირე ჯიხურში -
მას წაუყრიან სახაცრესთან...საზრუნავ იღბალს,
ეპოტინება ღმერთნაკრული, დედისეული...

საგულდაგულოდ ჩახერგილი ის სათავანი,
განზრახულ მიზნებს უწერიათ იქნებ აღდგომა,
მომსხლტები წამით, ვითარც მეწკვი ჩამოსაკვანთი
და ნიშნეული მნდობელების ნაზი გალობა.

დაესწარ დიდი ლიტანიის საოცარ ნეფეს,
ის თავის ყველა სიყვარულის მოყოლას იწყებს,
სარკმლის კბოდეზე თავს იყრიან ანგელოსები
და საკვირველი სულისწირვით მოიწყობს მირთებს.

მსუქან ბანკირებს ციურიხში ვერვინ გამოლევს,
მონოპოლისტობს ომი ჩვენი ხაფანგის თავზე--
დემოკრატიულ აზროვნებას თუ შიამხობენ
რომ დიქტატურის სათაყვანო პროგრამებს ვადგენთ.

ბაზრები კიდევ...გამონახეთ კიდევ ბაზრები,
ბევრი ისევე, ვითარც თვალი უძლები ფურის,
ბობ-შმორ-აყოლილ სააგენტოს თუ კი მისდევენ,
ჩვენ ამ საფლავთან გვეფილება გამჩენის სული.

უცნობი ლტოლვა ზეციერის მგიდესკენ იძვრის,
ამოუხსნელი სურვილების კონას შევრჩები -
მეგლისწერაა შეგრძნებების მაღლუმადური...
მენმცყავებული პირდაბჩენით დუმდნენ მერხები.

უმანკოებას გიმკურნალებ მთვარის ნათელით,
დაგფლეთ და დაგჩეჩ,ჩაგიჩხვლიტავ ვულკანურ სარქველს,
ჩამეკლაკნები კმაყოფილი კნინების ბოდით,
დაუკრეფელი მუმუს თავი შემრჩება სადმე.

ნუ იკრუნჩხები, ნალაშქრავი აღმართე სვეტი,
დალეწილს ალბათ დამსხვრეული სჯობია მარად...
თავს დაგატყვდება დასუნთქული სამამრო სენი--
გადაცვეთილი, მიჩლუნგული პენისის გარდა.

გამოტყვრა...ბერტყავს ამ ოცნებებს და იმ ზმანებებს
ჩაბზარულ ბგერებს გვიადვილებს კაკაფონია...
მოიგინგლება და მიგოგავს მაგიდის წვერზე
ჩამოწერილი შედევრების ზღვური თოლია.

ენანარნარი სინანულით ხმაურობს მტკვარი,
ხმელთაშუაში ზურმუნტდება ბედის წაწყმედა--
ვფამფალებ ზვირთში და სიცოცხლის ფართატა ალში,
გვაფხაჭნის სახეს მოფორხალე ბიჭის განგება.

ჰიეროგლიფები...უფრო მეტი ჰიეროგლიფები,
მიგნეულობას გიტრიალებ მხურვალე ბანდით...
წამოჭარხლდება ეგვიპტური მზე და მიმოზა,
გადაჭიმული ვით ნილოსი უდაბნოს ქარში.

    ხეთქავს ვით ბნედა და ჩვეული ეპილეფსია,
    წამობურცული ეჭიმება საგანში ღვიძლი,
    იქ კუკიაზე სვანიძის ქალს ამენს ეტყვიან-
    და მეც სიყვითლის საგანძურში მაფრქვევენ თბილ

ამაღლდი, ეშვი... ამ ნათოვარ აცისკროვნებას,
ამაღლდეს ჭერი, დიდ იოსებს გორული ბჭენით,
მიეგებება სახოებით და შემართებით
სოსოს მავთეთრი დასაწყისი ქართული ლექსის.

    სადღა მიფრინავს იქ შორეთში მერცხლების გუნდი?
    რის გადაფრენა?-წამოქცეულს ქუხილი სწვდება,
    ყმუის მშიერი, მაღლთა ხროვა გადარეული
    საყვარლის საფლავს დაემებდნენ, სულიკო, შენსას

ხედავ იტაცებს წყალი დისკოს ტეხილი კავით,
ქსოვენ ღრუბლებში მინავლებულ ახალ კამარას,
დაგვწამლავს გრძნობა მისეული, ღედაშვილური
ამ თავბრტყელათა სიყვარულის სარწევ აკვანთან.

    და ამ ნაბლაგვებს შენც დაეძებ ცინცილა ცვარში,
    გადაცხრილური გვემაბება ნაწუწნი ასო--
    დამეჭურები რაღაც ცქვიტი, ფინთი ბოდიშით,
    წკავწკავა სინდისს სიმარტოვის ტყუილით ვაქრობთ.

სისხლი სარყვნელი ურთულესი სინჯების კვალი,
რა დამავდება?- თუ სამყარო დაგვემშვენებია--
მიქუცმაცდება ჩამრეტილი შოშმანის ზრალით,
ნაჩით საბნებზე მთელი ღამე თუ გვთენებია.

    შევაკოწიწებ წარმოდგენის ხვეულ მარწუხში,
    საკრეისეროდ შემოვცურავ კოხტა ზადენებს-
    ირთვები როკვით ამ რიყრაყსა და ვოლიუმზე
    ირისისფერო! ნატვრისთვალა მიწას ასკდები...

ასკდები თოშვით...დიდზე დიდი მზითების მიღმა,
ღორმუცელათა ღრეობაზე ულვაშა მოზვერს...
ხუთშაბათობით დივერსანტებს უგზავნის, იცავს,
დამტაცებელი დატაცებულ ქონებას გოდებს.

ნუ უმუნჯდები დამუსვრილი...რას გეშინია,
მტკიცდები მუჭში და მუხრუჭი აჩერებს მფრთხალებს,
გვესევა ქშენით ბოროტმჩენთა კამარილია...
მუქთახორები ბლოშინობდნენ საურვო სათქმელს.

ემჩნევათ მშვიდი, დამღუპველი სვენების დაღლა,
დამცირებული ამჩატებულ ჩახთულას ისვრის...
მემყნობი ქალი, დამშეული სიმშალის დარდი
მღრღნელი ღრუტუნით მიათრევენ პილატეს ღიმილს.

ვის უწყის...იქნებ ახლა მაინც დაყაბულდება
ვინ იცის ყიალს მოიწყენენ ქანდაკებები...
შენს თბილ გულმკერდში ყურყუმელობს და სადგურდება,
მაყოვნებელი ტორიალის დაიმედებით.

რა აყრანტალებთ პარიზული მოდგმის ბოჰემებს,
გვაყრევინებენ ტვინყვლეფილი სიცოცხლის საცობს,
სადღაც ზუზუნით...ზღვისპირეთში მიიპარება
თავაშვებული ნიავქრების საცოლე, აპობს...

ხმელეთს...კასკასებს,კატაკლიზმებს როდი დაუცდის,
დიდი აქბარი მოგოლური მაჰალით კვდება.
ცნობიერების თვალსაწიერ გადანახადში...
შემოქმედების პაუზებში დუმილით გვხვდება.

ეს პაუზები...დაფერილი ეს ინსტინქტები,
მაბვა - განმაბვა...და რითმული მრავა წყეული,
თვითდამტკიცების ცდა - შემთხვევის გადაფიცების,-
ერთი სისავსის ისტორია გადაქცეული.

რაზრაზით მოხვალ...შებღალული და ცოფშეყრილი,
შებოჭილ ანმას ცრემლჩამშრალი მიაფრთქიალებ...
ეკლიან გვირგვინს თავს დაადგამ მესიურ სიკვდილს
ცოხნია ბრბოში ბუს-შებუმბლულს მიმასრიალებ.

რამ შეგაცია...რამ მოგსუსნა მხობილ საფლავზე,
მეც შემძლოლიხარ იქით, სითაც პასუხი არ ჩანს,
ჩამოვარცხნილი ეფინები ჩენილ სარდაფებს -
აღარ მაკმარებს აჩქროლებულ გულნამგერს მამა.

შესწევს უნარი...ასეც ბჭობდნენ იერუსალემში,
წითელი ფურით ინდუიზმის კარიბჭეს სწვდება,
შემრწუნებული ბრაჰმანების კარმიდამოთი--
მოიგერიებს პასკვილების უმწეო დენას.

და მოემწყვდევი ჩემი ცრფობის ნაკირწყლ საზომზე,
ენას მოიკვნეც, მთვარეული მეთოთინები...
ჩამეკრუნჩხები გასაპირი ცერფის მაღლობით,
და ვარაყ ლოყებს უპაცრიოდ მიედუნები.

მოკუმეს პირი, სად მოკურცხლეს,აყოლეს თვალი,
იმავდროული ჰიმამაცის მადლიერებას,
ილოგინებენ მარიამის საკალთეს ახდილს
ანალშობილა ბეთლემელის ნახიერებან...

გვმომღვრავს მექელი, ჰიჯრის წელი ის 22,
ისლამურ ჯიჰადს ეწირება აღმოსავლეთი-
ჩვენ მუჰამედი გვითივთიკებს ხავერდის საწოლს
და ყურანული ჰადისებით მივიზლაზნებით.

თივის ქათიბზე თვითსაცლელი ვიდოდა ნელი,
იდგა თიბათვე...დეზერცირებს ვისროდით არხში,
პირდაღებული კაპუცინი ანდერძს ამიგებს,
ცერასანცური მოთმინებით პაცივსაც აგხდის.

მოგრთავს, სასვრელი მომფრინავი ისრივით თხვლება,
ცუჩმოხეული ცყავგადაკრულ დივანს მიუკარ...
ცყვიანაკრავი ცყაპაცყუპით იწყებენ ცყეპას,
კაპელინებით ცყვენაქმნარი ბორგავს იუდა.

რმეც შეგიდედდა, მედუღები, შესველებული...
ვერ მეთავსება ამბიონის უთალო კარი,
შეისისინებს წარმოუთქმელს ციცინა ბეცი,
გვესისხლხორცება და ქუჩებში მიშველი გარბის.

შესრუტე სითხე, ეს ფლუიდი მესსიას გიშობს,
შეგითლის თემოს, მოგითხელებს სივურ ნამუცლარს,
დაგჩრის წინცვეთილ ერექციას. სამშობლოს მითოსს
ჩაუცივავებს, დასცივინებს...საზრისს აუცრავს.

და გვეპარებს ეს ვეება ასპიტი შავი,
მინდორზე ბაბუს ასე მშვიდად ჩასძინებია--
მოწვეთავს ბნელში ჩასისხლული ნაკბენი შხამის
ლაოკოონის ლურჯ თვალებსაც დასციებიათ.

გადაუცვეცებს თვალს და მზერას დაგატანს ქალო,
იყავ წყალსავსე და უყონავს ვლოკავდით ღვინოს,
წყენანარევი ქოქვა კრულვით მაწყდები ჯვარზე-
ჭყვირილ-ჭყვიტინით ხალხოსნობას საპალნედ ინდობ.

ხავსისფერ პერანგს ეცალკევე, საწბილებლები
გაწვრთხილი ჭვრეტით ვერ იტანენ ჭირვეულობას,
დაგწუწავ თხიერ სიყვარულსა და სიმღერებში
ბიჭი ნაწყრომი გაუწყვეტელ ლოცვას უზნობდა.

ამოიდარე, ამოშალე ნორჩი კოკრები,
შენეულ ზელელს მიაგებე ჩემი მარანი...
ამ მონასტერში მარათონულ მემგვას შევრჩებით,
მარმელადები გადმოგვცვივა გვამის კანკალში.

ნულარ კანკალებს, დე შესწყვიტოს მართებულობა,
ბინძურ ქვეყანას მარინეტი ფუტურებს ატანს,
ჩვენ გვაკურთხებენ წინაპრული ბაგინეთები.
მცხეთა, ქარსანი,ბოდბისხევი, ურბნისი, ჭალა...

შეაბზრიალებს ელიოზი ბრჭყვიალა სანთობს,
მცხეთიდან მოსულს არ ეძინა ეს რა ხანია--
საფლავთან იდგა, ჩაწმახნული სარეცლის ახლოს,
დასჭყივლებს ყორნებს, სათამაშოდ მას არ სცალია.

ტყეპნის დაჭედილ ცივსისხლიან ცისტერნებს საქცით,
ცილდანაწამებ ქალურ კდემას ეკვრება ციმციმ,
სინაგოგური ციკლოპები ამბობენ ამენს...
რეფორმაციის მოკამკამე დანთხევის ციკლში.

ექსისტენცია...სტალინსაც სწამს ექსისტენციის,
წინაგანჭვრეტა წამწამხშირი, სათქმელს ებრძოდა...
მას რეიხსტაგზე ალმის ართვა წაჰწარებია,
გადამხობილი მიწანწალებს ბერლინს მხედრობა.

ეს დოიჩლანდი...ლინდენების სვასტიკა შავი,
წარბებშეჭმუხნილი გაიძახის ლოზუნგს ჰიტლერი,
მონარეცხ ჩირქში ავირეკლავ ჩემს თვალებს დაღლილთ
თავწაწყმედილი მხრჩვალი კალთის კეცში ვირწევი.

მოატრიალე, მოაბრუნე ეგ ხარირემი...
ნაჯაფარ ჯაშუშს მანჰეტენში აღარც შენიშნავს,
ჯვარედინდება ბეთჰოვენის მკრთალი სონატა,
ხატ-ანგელოსი ჩვენს არსობას როცა შერისხავს.

იყავი ხარჭა, ასეც რჩები ხარჭაყოფილი,
ხარშავენ ქვაბში სადიდგულოდ მოყრილ ნაწლავებს,
გადახერხავენ კაცის ცივი ცხედარის ნაწეს,
რაც მაწვალებდა, ის მაწვალებს და კვლავ მაწვალებს.

მივბორიალობ ტაილანდის უვალ ჯუნგლებში,
ჩხირკედელური დამჭახჭახებს ნახვედრი წილი,
გადახაფრული მეკიდება ეს დიადემა --
დაუხატავი ჭლექიანი სამყაროს ვზირის.

არ დამიჭიმო ეს სიმები მძლეთა მძლე კაცო,
რას მწიგნობრობდი, სანანებელ მწიდვნელს უფრთხოდი,
იხავლებს ნეფე მწვერვალებზე,თიხთიხებს მარტო
სანაღვლებელი მწამებლური თაგვთა პირობის.

მამასახლისო, დამაცადე, ხედავ მოვდივარ,
მე საქართველოს ვენაცვლები - პალესტინელი,
მოვდივარ,მომაქვს უფლის კვართი, შორით მოვდივარ,
გზა მომეც, ხედავ მცნება მომაქვს განსაკვირველი.

უჭკნობი ია,ელვარებდა წუხელ თვალებში,
მმუნავ მწვალებლებს სიონის მთას გადავაცარებთ,
ჩვენ გვსხურებია აიაზმის ანკარა წყალი,
სჯულის მდებლებმაც წესი სადღაც მიასამარეს.

ვიშნუს და შივას ვეკიდები, დუმს ნოვალისი,
დამაჯანცები მოთხრობების ნაკადს გვანთხევენ,
უარყოფაა ჩვენი ნების და რომანციზმით–
დელის ქუჩებში მივკვალებლობ ბუდას ნარწყევზე.

მხიბლავდი მარად, შეკეცილი შენსავე თავში,
მეკრიფებოდი დახუნძლული მცევანი მწვანე...
დღეს შეითხზვება საქორწინო ქაღალდი ჩვენი
მოუხილავიც გამოგვიმხელს მიწიერ სამხელს.

ჭუცავენ თვალებს კაცუნები, ხრჩოლავენ ხვითქში,
მოუხემავი იყო იგი...სამთა ბუნება–
მას მიუხცება ნახელთები მომენცის ბლინდით
გადაკუჭული კამბოჯური ჩაცყლაშუნება.

რაცომ უჭირვებს მას სიცოცხლეს,ეწევა ნანდომს,
თავის ქალების მოზაიკას მოჭედავს წყრომით...
მოეხშირება მოვარვარე მთვარის საყოლად
მურჩამოსმული ლამაზების საქვეყნო ბოდიშს.

მივასეირნებ ამ მურყნარზე და დიდ საბარცყეს,
სახეცქრიალა ავიცაცებ ნახლართ ქველებად–
ჩამერუჯება კავერნული სხეულის ძაბვით,
დამამხობელი სახარების მანჭვა-რეცება.

დამიდასცურე მადლიერი ეჭვი და მარხვა,
მაცყვევებელი სიმარცოვე... დაიმედება--
რწმუნებულებას სნეულების პირისპირ მარცვლავს
დამშიმებული სევდისმგვრელი გოგოს თქმულება.

შენს უბიწობას მუდამ ვფიცავ,დედაო წმიდავ!
აქეთ მარკოზი ეჯიბრება ნაცრისფერ აზრებს,
ქალიშვილურად გვიკანკალებს სანცა მარია...
და იარქონთან თავს იყრიან ბოზები ღამე.

გაუთქვამს სახელს, კადნიერი მკითხავი ქალაქს,
უკუღმართ ქვეყნებს ის ლაწუნით მიჰყვება თითქოს,
ჩაკვეთეს ცვინი და ცრავერსის დათხუპნულ საბაბს
გაგვიიაფებს და საზღაურს ცდომილი ითხოვს.

შენ განმაახლებ, შენივ ხრწნილი ნავრცობი ვულვით,
განაზებული... მეწმინდები განმხოლოებად,
მონაგონს ვიცავთ და ვიხსენებთ ღამეულ წუხილს
არსობა შენი ჩვენს არსობას ანპირობებდა.

რაღას მოველი, მე შენს ნალოდ სიმრგვალეს ვფიცავ,
ამომარგლულო, იმ საფლავს რომ ემარყუყები-
დაემშვიდობე აქ ჩარაზულ, ჩამწყვდეულ აწმყოს,
გადარიყული ზედისწერის განწირულებით.

ცუდი რჩევის მთას მივატმასნებ ჩემს ილუზიებს,
ტიბეტში ლამა საკრალური ზევებით მომდევს -
მე აშკელონში ვეწაფები პროკლეს მოძღვრებას
მეუნაგირეს ეცინება ტვირთზიდვის ფონზე.

უჩუჩხურია ამ ტიპებში, მათ ატივტივებს,
უსავალ ფიქრებს იუცხოვებს უცვლელ სალბობში,
მეც ჩამერთვება დაფერფლილი და მიემწყვდევა
ჩამინებული იადგრების ფუჭ მოსათბობთან.

შეყოვნდეს იქნებ, შეიყნოსოს სურნელი ტანის,
მოიშველიოს აჭრუსული თმების თარგულა —
სულწაწყმედილნი ხანოვაგეს დახარზებიან,
სუსნიდნენ თითებს და ვაგინას თლუშდნენ ფარულად.

მამაოხერი, დედამაღლი ინთქმება ბოლში,
მოგვინიშნავენ სამწუხარო ინიციალებს --
აწიოკებენ იერიქონში მაწყევრის მოდგმას
და აზეზლებენ ზეციერთან ძველ კვირინალს.

აჰა, დამბაჩა, ნაქენჯნ-ნაშფოთს მესროლე მდუღრით,
წამდოვრებული ვიგრიხები დალვის გეგმებით,
დამაუძლურებს მაჭრეული ფარდული მუქი,
მოჯგუფებულთა ხმის მიცემას მივაბერდებით.

გზაჯვარედინზე დიდ მამამთილს თამარი მიჰყავს,
გირვანქა ვერცხლი, კამათელი, ჯოხი, ბეჭედი..
გიშრისფერ თვალებს ენატრებათ მესსიის ხილვა,
მას ვეახლებით მოგიზგიზე ცეცხლის ენებით.

გამომიხანხვლე ჩახეთქილი ზმანება შენი,
განმკურნე...ლექსი ამაცალე მორწყული სალმის,
მათ გახვეცავენ ყველა დროის გადახლეჩები,
ხორკლიან კანზე გახსნილებულ თამამად დარჩი.

კედლებჩაკუპრულ ეკლესიას აწყდები ბრბოში,
ბრმაც მილაწლაწებს გაორების ცუდი ბოგინით--
მიალაყუნებს გამთენიის ნალოც სალევთან
დაგვიანებულ ავადმყოფებს ჩვენი ზოზინი.

რაღას კუცდები, რას კრიახებ პირქაფიანი,
კრიპტოგრამებში შერცხვენილი ცმაცუნით მიცდი,
კრიმინალური კრეჭა-ღრეჭის კანონს ვითავსებთ
და ღვაწლმოსილნი ვეხელებით დახრუკულ სინდისს.

სინდისს ზანგისფერს მანჰეტენურ ლიმუზინებში,
დამაკვეხს კოდვით დალუქული გონი ლეწვების-
დაუმშვიდდება ნათესავი მომხმარ ბრალდებას,
დაუნაყავი მუშის ძველი მისაგებლებით.

გამოიგონეთ...დააგროვეთ...განავრცეთ ოთხივ
კუთხეზე, ცივი ჯვარსაცობით იხმარონ მარგი-
ვის უნდა შრომა, ენით ამბობს ქვეყანას ზოში,
ჯგუფურ ორგიებს ტენდენციად მოიდებს თავთით.

აღმართონ მალა, წარმოება...აღმართონ გვინდა,
ურთიერთობებს გვიკიანთებს ეკონომიურთ,
ჩამოლპა წყობა, ჩვენ ახალი წყობების მიღმა
ძველი ფსიქიკის ნანგრევებზე ვუწევთ ვოლიუმს.

და აბსტრაქციებს გვიანდერძებს მოხუცი ვირი,
პეტრარკა სადღაც თავდაჭერის თეზისით გვმომღვრავს,
ბედია ყოვლი- ბედისწერა მარადის გიცდის,
რომ ხალხის სულში ნაპერწკალი ისროლოს მონამ.

მეც ხომ ვარ მონა...ჯამი ყველა ვარიანტების,
პასუხისგებას წარმოდგენით საგნებში ვაზნევ,
რეფლექსიების განსჯით ცნებად მოვკრებ მახდალებს,
რომ მისტერიუმს უმღერიან ქალები ხაცებს.

ამიკანკალდი, ხელებს ვაჭდობ სასქესო თულებს,
ეს შეუღლება ესოდენ ჰგავს ევას და ადამს--
რა შეიცვალა?!--არაფერი, გადმორწყავ გუგებს,
ჩემს სარეცელზე საქალწულო სიწმინდეს ჰკარგავ.

გრძნობებს მივყიდით შავ ბაზარზე დოლარის მონებს
და ასოებით გადაუკვეთს სახეს ფირნიში,
ღრის შეგრძნებებში ობიექტი დაგვეზმანება
იმანენტური შემეცნების ამოტირილი.

ვესტმინსტერს უყვარს ბიკონსფილდის ვივიან გრეი,
დგება და სიცილს დააყრიან ვიგი - ტორები,
ყოფილ ებრაულ პრაქტიციზმში გლადსტონი იბრძვის
და დიზრაელის პიკადილთან ვუცდით მოთმენით.

თეათინებო! ღვთის სიყვარულს გამოჰყევთ მალე!
ჩვენ ისტორიის წრებრუნვილში მონეტებს დავთვლით,
ეპიდემია...დიდი ჭირი...დუღს დასავლეთი,
ასწლიან ომში ზნეობასაც იცვლიან ბალნი.

მიაქცევინე ეს ნათელი ზესკნელ-ქვესკნელის,
სარწმუნოებით შენს თეთრ სხეულს მივეკაკვები,
მოვითბობ ხელებს...დამვახვახებს სენტიმენტებით
კონიექტურების უსაშველო წყება-მარცხებში.

მიიბჟუტება დავიწყების მიზეზთ ზლოზინში,
სცოცხვავენ ქალებს,მოწანწკარე ღარე სწერიათ,
დღეს ჩამოგვცხება ბეთანიის ნაანდერძევზე --
ჩამოწეწილი თმების წნეულთ არ გავცდენივართ.

მიცუნცულდება სარდაფების ბნელ კორიდორში,
რევერანსებით დატვირთული თხუნელა ერთი,
მძვრება,ცურდება ამოტყლეშილ ცუდ საპირესთან
გაყვითლებული, დაფლეთილი, ფხრეწილი ნეშტი.

გამოგიტყდები...ამ ჩხრიალა ცრიაგებს ვფიცავ,
ჩამოქანდული შუქი გიკრთის და არ გეშვება,
სევდის პოლისში ეფხოჭნები მთვარიან-მზიან
იერუსალიმურ სამოზაო გადაფერებას.

კლავესინები დაგვწყვეტია .. ასთენიკური,
ყმაწვილი გიწყობს ამ დარღვეულ კლავიატურას,
მევიოლინე ჩამობრეცილ სიმებზე თითებს
აწვალებს ღამით, ბედმა იგი არ მიატოვა.

ეს მანქანები...ოკეანის მიღმა ქვეყნები,
ჭაობი დიდი, კლასიკური ომით ნაჭარბი...
ჩვენ ამ ჭაობში რაღაც უცხო შვებით ვეშვებით,
ხორციელ ლოცვას მოგვიცხრობენ სისხლის ნაკადით.

ჰო, მეტი სისხლი...უფრო მეტი,აღივსოს იქნებ,
ნათლისმცემლური მდინარება იორდანესი,
და მხოლოდ მაშინ მოისაზღვრავს აზიურ ბინდებს
არმოსიკეთე ნაზუმარი სიმწრით ნაშვები.

განგიცდი ქალო, ამ შემთხვევით, ცოდვათა ნატვრით,
გმავავ ცხრომილი განწესილი ქმნულკეთილ საზრდოს
საწყისიერი გვემატება ის ბოლო დარდი---
სულის, სხეულის, სინამდვილეს ჩვენში რომ ალტობს.

რაღა მაცინებს?..ვასარკაზმებ მელანქოლიას–
შესაძლებლობის ბირთვში ვრჩებით გაორებულნი,
აქ გვიჟანგდება აზროვნების პოლიფონია
თავდაჯერებით შიშდაკრული კაცუნა გვიფრთხის.

ბიბლიაც უბნობს სასაფლაოს ბოლო კანონებს,
მავთულმოვლებულ მოედანზე სიმბოლოდ გაჰყავთ,
შთამომავლობა-წართმეული ივდითი ერთი--
ზუსტი ლოგიკის გადადების უდროო საათს.

შიში უაზრო ვის შეიპყრობს, შეიპყრობს ოდეს,
ნაჩარს ჩანაფიქრს შესაქცევად მივებარებით...
ჰა, იღებება საყუჩეთში წითელი ფერით
ეს შესაშური მონაცდენი ცივი ქარების...

მოვდივარ...ვიცი,დაეჭვების სამმიმე ფასი,
ვუწყოდით, იწვა იგი სევდა ესთეტიკური -
გმავავდი ქალო, ამ საფლავთან ჭრიალებს კარი,
გარესამყარო გვედო მკერდზე - გადაწეული.









მოჩვენებითობს...ამ ჩვენებებს ინახავს შემდეგ,
შიდაზნეობით საპასუხეს დარჩება ისევ,
მიტრუსავს ტვინის მირუმბული ლორწოს ბანდულებს
მოდის ტუტუნით, ბაგეწვდილი საპრუწავს იშვერს.

მან რა იცოდა მოდიაცე პატროლოგების...
ჯვარცმულის იქით სიბინძურის მორევი იწვა,
ქრისტეს მარხავდა ბნედიანი ქრისტიანეთი---
თრთოდა გოგონა და სანატრელ შეგრძნებებს სცრიდა.

ჩამოარიგე ჩვენი შთენის სვრილი ზეწრები,
გადაუსწარი დროს და სივრცეს მიჭკნობის ბრალით,
გადაუხვეტე ეს ნაგავი სამცხეს მერყევი,
წამოგზნებული მოფერების გრძნეული წამი.

მოძრაობ ჩემში, ჩემს შევერცხლილ კორელატებში,
ცეცხლის გუგუნში მიბურტყუნებს ეული სული---
ენერგიების ველს მაგნიტურ ლოცვას უწყობენ,
ისმის წივილი და ვივიარტა გვედება ბრძნული.

კეთილშობილო წამემძღვარე წარღვნის კიდეზე,
რატომ კრუსუნებ, რა გაღელვებს, ჩამკიდე ხელი-
ჩემს ნაოჭებში ხედავ მთელი ქვეყანა იღწვის,
როს მისაფრდება უჩინარი ტყაპუნა მტერი.

ნება მომეცი, გადავასწრო ტკბობის ფარდულებს,
ნება მომეცი სისხლიანი ვწიო ალამი...
ყავახანებში ქალი მიცდის პოლტორაცკელი,
პარიზის მონმარტრს მეკიდება ვიღაც მადამი.

ალექსანდრიაც გვეგებება კატაკომბებით...
იუდეველი ფილონს ეძებს ლოგოსის ძალით--
ჩამოქცეული ყალიბივით მიექსტაზდები...
და გვეყვინთება ნამთვრალევი მდინარის სართი.

დამყაყდა ლუდი და მძაღ ნიგოზს მივემსხმილებით,
რას ყმუის ძაღლი, ურჯულობის საზღვრულ სახრავზე,
უსათუობის საფუძველთან ნამღვდელობ ნარჩენს,
სუვერენული სულგატვრენით მივასტალაქტებთ.

ჰო, ჩამოთვალე ეს სავაგზლო პროცოციპები,
ნახშირწასმული ვაგონების ფანჯრების იქით...
მიდის რუსეთი,დამსხვრეული, განაჯაფარი--
მიდის და კრემლთან აშოზანგლულ ჩვენებას უცდის.

დავგემებ ახლაც ამ დაზნეულ ვესციბულებში,
მარმარილოზე ვესვენები ბედ-ნაწამები--
იდაყვდაბჯენილ იბერიელს შევავლებ თვალებს
და საღღეგრძელოდ მორს ღაზაში ჩავიკარგები.

კვლავ იერიში, კვლავ მთხველობა მოთხრობის,ზღაპრის,
სად მიისწრაფის მმაჲ, კვიცებს აგელვებს თითქოს,
მომაგნებინებს მველ მისამართს და აღარ მაცლის:
იყო,არ იყო..მოზარებულს ითხოვდა მიცომ.

შენი ალერსის ამარა-ღა დავრჩები, გოგოვ,
სერზე მიგვიხმობს ცრზუ ზევაცი სულების ნამწვით,
ქარს შემოგვასხამს,პაპანებას, ალმური უდის
ცალაცანებზე უჭმელების ლხინია მყრალი.

* *

百足之虫,死而不僵 ბăი ცǔ ჩჟī ჩჟóნგ,სǐ ér ბǔ ჯიāნგ-ათასფეხ
მაშინაც არ ეცემა მირს, როცა კვდება

დაამცვრევინე... შეეხმარე პარპაშა მისნებს,
დამემყნე ხორცში, მწყალობელი მაცხოვრის მანდილს,
თავს მოგახურებ...ჩაპენცილი გულმუმუს მირთებს
ანოციოებს მშობლიური მეგრული ცვარი.

განსპეცაკება დაიწყება განსჯილის , ფრთხილის
ნურც ურისხდები, ის მესამე ყოფილა მარად...
განუკურნავნი ვეწებებით უზომელ ცკივილს,
განურჩევლობა წარმავლობის სამ ეყვანს გვაზამს.

იყავ და შემრჩი პალიმფსესცურ განმარცოებად,
ქივქივით მოხვალ, გადამიშლი წიგნს საამბოროს,
ქირომანცების წრე მკიცხავდა და ბრმა ოცნებას-
მექარვებოდა დაყუდებულ მელ - საზაცონოდ.

რას ლოთობს ლოტი...სოდომისკენ გვიხმობს ვეზუვი,
ულოგინებენ რაბათ ამონს ჩვენს კილიკიას,
ყაბარდოელი მადლიერი ლუღლუღებს ქორწილს...
იმარჩიელებს იმანენტურ კარგ ილუზიას.

მომეპოტინე, მომიკაკვე ფერდი და ნეკნი,
მომერღვეს აწმყო, დასინჯული წარსულის მარცხით,
ხელს მიფათურებ და მიფანტავ კაეშანს ცოდვის,
დაჩლუნგებული მოსაბომი ჩოჩინის ბრალში.

და სწამლავს ქალაქს აღზევება სურნელის ხატთა,
მაკროკოსმური იძაბება ნერვში სისტემა--
სიკვდილის ნათელს ემანირებს მეფური განსჯა
და სიმბოლოთა გასაყარზე მიცდის დიდება.

ერთ სასწაულად ვაღიარებთ სამყაროს შექმნას,
შენს შეუღლებას ვაღიარებ სხვა სასწაულად,
მივასრესთ ლოყებს გამთენიის ვარსკვლავურ ფენას
მიბინდულ მზერას ვეღარასდროს ვეღარ აუხვალ.

კამერდინერი შემოგვიტანს სასტუმროს ხავერდს,
ნაღდაც ვარვარით გველვენთება კანდელაბრები,
ეკამათება გერმანიას ჰეგელის ლანდი...
თითისოდენა ფენომენის დაიგავებით...-

თოვდა ზაგრებში,თიხამიწა გვათოვდა თქეშში,
კათედრალებზე დაჭირხლული ზმანება იწვა...
შიგნავს თირკმელებს აზურმგნული უჭკუო ბერი,
ჭყაპნარევ მინდორს თხილამურთა საკვალეე თილთავს.

დაეცა ყოვლი,ჩვენს სხეულზე დაეცა ყოვლი,
ჰუმანისტები იდეალებს თუ მიათრევენ...
მარხავენ პრინციპს დიდ ეროვნულ სასაფლაოზე-
ნახრავნუხრავი მე-ს სიბილწეს ვერც მიაგნებენ.

გავთავდით,ხედავ?არა-ხ ერწყმის სამება ესე,
თუ მეშინია, მაშ ვარსებობ - ამ გამოცანას,
ამოუხსნელად დაგვიტოვებს განგება- დედა-
ზრუნვის, წუხილის, სინანულის. -რას შემოგვმადლა!

ეს უდღეური ვულგარიზმი ქვეცნობიერი,
განსაწმენდელმაც სატანჯველში დაიდო ბინა..
მოგვიწყლიანებს მკერდსაწყურით მოსხივცისკარეთ,
ნეაფორელი მოტირალი დასჩხავის წმინდას...

გაღმომჩქეფ წყვეტილ ვნებით ნაცდენ სწორებულ მამას,
მომცვივი ცხებით,მაწესრიგებ და არ მცილდები,
რას დამცვეთიხარ...მისწრაფებას ქვიშებში ვკარგავ,
პრედიკატების ნაორდენარს მივაცივდები.

რეკენ ზარები, გოლგოთელი მოვალს შორიდან,
ზეთისხილნარში ჯაჭვებს სწევენ ზეგარდმო მდგომნი,
ანაკუწებენ ევანგელეს ხამლევ მიწაზე-
ნაყავენ წიდეს, მონაცვლების ნაფასარ გონში.

ჩამინაწევრე ეს დანთქმული ნალმი ნატრული,
კისკისებს ქალი, მიკუნტრუშებს წარბთა თამაშით,
ილაჯჩაწყვეტილს მალივლივებ კოხტა ზაფრებში-
ლაპლაპებს სვეტთან მოლაქლაქე ენა გართული.

აჰა,ივსება ჭვარტლით ესე ოთახი შავი,
შემწამეზია პოხიზნული მშვენება ერთი..
მელიტინება...ტერასების კედელწნულ ზარდერს
კდემამოსილი მიატყვრება როცა კი ველი.

ილეჭებოდნენ სასოებით კეთილმზრახველნი,
იცოხნებოდა ფურ-კამეჩი ბაშანის ქედთან--
გაფითრებული რშალი გამჩენს მიეახლება,
ცომფუებულებს მონაზელი სატყვრომით ფერთხავს.

იყვნენ ფლიდები და გაფშეკილ მუას მართმევდნენ,
მთელი ცხოვრება გაფიცრული ემებდა საზრისს--
ჩამწყლულებია ეს ჭრილობა,-ახალ ილეთებს
დამასწავლიდა მე მოყვასი ჭორფლია სახის.

მასხურე ისევ, ვარდისწყალი მასხურე ხელზე,
ნუღარც დამჯაბნავს ის ელამი პროვინციელი,
სადღაც სუჯუნას რაბინები ქარტაზე წერენ
პაპანაქებას მიჩვეული სამურებით.

რომ დამჭირდები,ისევ მოვალ ჩაგჭმუჭნი ნებით,
რომ დამჭირდება და ეს ვნება დამეტაკება...
ვეჯაჯგურები.უკვანძავი, ულევი თმენით,
ქრისტეს აღდგომას და მეორედ გამოცხადებას.

ყოფილა თურმე მკვდრების ღმერთი იუმნა-თევანგი-
სულიერ სანსინ- მთების დიდი აჩრდილი დასდევს,
შევეფოქილებით ტაილანდის ნაზ ამორძალებს,
პორნოგრაფების მოპრანჭიო ეკრანის ტყავზე.

ასეც აყრიდნენ მას ქოქოლას კაინის ძენი,
აქოჩრილ თავზე ანგელოსი ეძებდა სადგომს-
მიასკდებოდნენ სიონის მთის მძიმე პორტალებს,
ქრთამავდნენ სამწყსოს უეცარი შემთხვევის გამო.

მოუსყიდავი იყო იგი, ასეც დარჩება,
მონასხეპ ღვინოს პურიმალზე იტაცებს ქანცვით,
ფხეკენ ქალები ფესახის დღის ცვილის სანთლებთან,
რომ პარასკევი გვისხლტებოდა ნერვების მაზვით.

ლუკა ელევა იოანეს ნაწერ-მონათხრობს,
გვემორჩილება გამსჭვალული სათნო შესწრება,
რას მიპანუხებ დაფრქვეული დიდების ნაცვლად,
დედა მარია ჩემს დედიკოს არ ეფერება.

ვერ ეფერება...რას გავაწყობთ,ვერც ჩვენ ვეპუეთ,
ამ დიდ ქიშპობას,ადამის ძის მოდგმას რომ აჰყვა,
ჩამეტყუპები შენი ბროლის ერთი შენთხევით,
ჟონავდა სისხლი, რუშვლებული გმვრებოდა კაბა.

ამ ჟრიამულში შეგიმეცნებ, აქ ამ საფლავთან,
აგიჟირაფებს მაგ მშვენიერ კისერს სამეთი-
რალას წრიალებს მოუსვენრობს სული მართალი,
ლადალუდური კალვარიის მრუდე ნაშენში.

შემიკავშირდი, შემიკერე პერანგი თეთრი,
ნუ მიკრთი შველის მოტორტრინე რქებით მომიხვალ,
ვის დავუკვეთ,ვის ვეკვანძო ლუწვის ეტრატზე,
დაულეველი ზმანებების წყაროც ყოფილხარ.

ნუ ეხარბები ამ უზომო წონის სიმდიდრეს,
მე მომაქვს შენთვის იდეების სავსე კალათა--
წავეჯახები მესხიების ცდის ნაფეხურზე,
დაბილწულ ხელებს, ჩათუთქული ტვინის ამარა.

და მეთვლიმები ეს ლამაზი, თელილი არსი,
წამომეზრდები ვითარც ზნექის ყვითელი რული...
წაგწყმედ ღრუბლების სანაცვალო მათრობელ ბანგში,
გათამამებულს მოგახურებ როსკიპის ბურვილს.

მეგები ფეხქვეშ, მიგორდები, წინ მეფეთები,
ქომაგიც შენი თეთრფიქალო სამარხს შესცრია,
სად ჩაიკარგნენ ყველა შენი წამქეზებლები -
ან მიმურცლული წინამძღვრები რომ დაგრყვენია.

მოვალ მლიერი და კადავშლი ამ რელიგიებს,
რა იყო მცდარი, რა მართალი, ვისღა მოვკითხავ?
ემონა დოგმას კაცის მოდგმა - მისია ბრალიც
პერსონიკური უკვდავების ცოლად მოგიყვან.

თან მეფერები,ამ თითების ფაქიზ შეხებას,
შევიგრძნობ მართლაც,მუცლის ღრუში მეღვრება სითბო,
შენს ნათალ თეძოთ ჩემი მუხლი ჩაეხლართება,
იყო საცნაურ ის ოცნება და განზე იდო...

ეს მოძრაობა მიწიერი,..არა ციური...
მონადთა უწყვეტ ნაკადებში გეძებდი სახეს,
ფიქრად დიოდა მატერიის მალა ულევი-
გენესარეთზე მეთევზენი გვესროდნენ ბადეს.

მიპყევ, მიბაძე...რას დაკარგავ,მისია ახლა,
ის მომავალი ათის,-ასის,-ათასწლეულის...
დღეს კონტინენტებს ეს ვეება გენია მართავს,
მას ერისხება ნაცოდვარი ჩვენი სხეულიც.

გათავდა...მაინც მიგრძელდება,იდეა მოსთქვამს,
ჩემს არმყოვრობას ეუფლება დღეს უაზრობა,
ნაჯოვარ პროცესს კოლექტივის ცდუნება მოსდევს
ველარც ჩვენ ვიტანთ ბოზანდარულ სახესხვაობას,

უკან ქრისტესკენ, უფრო უკან მივწევ წყაროებს,
მსგავსი მსგავსსა შობს,ნუ განხარჯავთ თავისუფლებას,
ენამეტყველებს სემანტიკურ მახეს უგებენ
და მთლიანობა ფორმულებში ჰპოვებს სუფევას.

არხევ წამწამებს,მეპარები სახე-ნიღბული,
შემიპატიჟებ თბილ სავანეში, ქვეშაგებს იწყობ
და მიერწევი აბაზანის ნასაპნ ფაქულებს,
შესრესილ ფალოსს სამუდამო ბოლქვებად ინდობ.

მისუნთქავ ნარწყევ გადარაცხულ რთულ ამოცანას.
შემმოწმებელი ვინღა რჩება,გარეთ კი ცივა,
ჰა,გვაბინდღება,ამ მწკრივებით თუ გაქოვხატავთ,
მის საუკუნო შარავანდედს - საფიცარ მიწას.

იერუსალემი, ისრაელი - სამშობლო ჩემი,
მას ვეუღლებით რაღაც წყნარი ნატვრის ქორწილით,
შემომელანდა ყველა ქვეყნის საშეფო ეტლში
კოსმონავტური თანასრბოლის ბედი მორჩილი.

ჩავრეცხავთ სისხლით, ბევრი სისხლით, ჰო,უთვალავით,
მუსულმანურით...ებრაულით... ქრისტიანულით...
შემბღალველს შენსას ჩვენ ვაწამებთ ჯვარცმის მარხვაში
აღდგები მკვდრეთით- მტვრის და ბუქის კორიანტელი.

რას ემსგავსები?-იქნებ მართვეს,ბახალას,ლაპებს
ან იქნებ მზევალს,ყვავის ქულას,ანდა მარტიას,
მერწმუნე ლიტანს ბუნიობის სწორების ღამეს,
ნაწდობ დურდოში დაგვიმსული ბუდით მაყრიხარ.

და შენს ჩიბეში ვბუნაგდები ეს ბუმბერაზი,
მანგი შალაფით გემაჩხიბა სევდის აღრევა--
დედისეული ნაკრტენების ცისფერ ლეიბზე,
მიმქრალებული ესვენება ზნე და ფარვება...

მეც შენს დაღინდლულ ბურცა სხეულს ველუღლუდები,
შემინდე ფუმეს, დაჩირგვული ევლნარის გასწვრივ,
როს მიმათრევენ ბუწუწუებით... ბუღრაობს ყოვლი,
მაკინტალური საჭუჭყურე ნაბელტავს გვაყრის.

შემოდგი ფეხი...დამილოცე ემბაზთან ცანი,
მომახარშვინე ეს მირონი, ჟამნი გვწერია...
ნივორწმინდელი ფიდარეთელს მანტიას აწვდის,
თითქოს პოლისში პლუტარქული საჭე მჭერია.

ფლორილეგია... დემონური გენიის ნიღბით,
ვაშუალედებ შენს პანთეონს ურჩი მოდგმისგან,
დოქტრინორებთან უნივერსულ კანონებს ვითლი,
ჭეშმარიტებას ნაბურჯღულევს აღარ მოგიტან.

ვარშავის ქუჩებს კატასტროფის უდგება ჟამი,
გეტტო, სანთლები, ებრაული ემიგრაცია...
გვქონდა მიზანი... ამ სამყაროს ჰქონდა მიზანი,
ყველა სისტემურ აბსოლუტთა კონსერვაცია.

ცხად იყო ყოვლი,თავის თავში და გარეც თავის,
გვედო გზა სადღაც,საიდანღაც, ველოდით წამებს-
ამ მოძრაობის საიდუმლოს ვერვინ ამოხსნის,
ვუბრუნდებოდი საწყის წერტილს-მყოვრობის მხარეს.

ჰაერი,წყალი,ქვა,მანტია...ვყოფილვართ ბირთვი,
ამ პლანეტების,კოსმიური...ციური შალის,
ჩვენს დაძვებებში დაფარული მიზანი გვიცდის,
წინაღდგომითი უარყოფის სიმრავლურ კვანტში.

გესმის?იძახის:-ელი!ელი!,-ღმერთოო ჩემო!
-ლამა?,-ჰო,-ლამა?,-რისთვის მტოვებ მე „აზავთან
სიცოცხლე ერთი ასე ნაზად გველურლუტება
როზა-მარია და ცისფერი სამრობი ქალის...

განმჭვრიტე ქალო! თვითგანჭვრეტის თბილი ლოდინით,
„ენეადებში„ მომესურვე ნებაყოფლობად--
ხმადაბლა უბნობ და ნელცივი სიხარბით ნატრობ,
თავშესაფრებში სამარცხვინო სიტყვაქველობას.

ვერანა ღრომაც უგერგილოდ გადაგვიარა,
დავიმაბუნდი; ჩაგონებულ მოშთობად დავრჩი--
გაბრუებული მიმორჩილებს შენი ზევება
ჭაშნიკუსინჯავ გამონაწურს მოვსერავ ბოლთვით.

მინავარდებულს დაგაოთხებ,... კვეთილი სახო,
ყვითელ ჭეოზე ქორვანდელურ ცელად მოგრკილავს,
ბოვინებს გესლში მარახული მენი კვირტების
მარგალი ჩემი შენს ნორჩ ჯავარს ვნებით მოთიბავს.

მარადიული დაბრუნების ისმის დევიზი,
მიაბარებენ დედამიწას მამრობით ცხედარს,
ისიც გადახსნის თავის გულმკერდს და ჩაიხუტავს
სქესობრიობის ამოფრქვევას ნიმუშად კემსავს.

უიმედობა...ეს საფლავი...მსხვრეული, ჩემი,
სულის მიქრობას ველოდები, შემდგარი ლოცვად--
ჩაკვდება ლტოლვა, მისწრაფებას აღარ ვნებდები,
გარდამობათა წყეულ რკალში ვბობლავ და ვბორგავ.

მე ეგვიპტეში იარუ-ს ველზე ვეძებდი შველას,
განუსაზღვრელი ორეული ოზირისს ვგავდი,
მოჰქრის ქვეყანა მომავალი - კოსმოსის ჩენით,
კაცობრიობის საბოლოო მიზნებს რომ ჰქარგავს.

ვთავისუფლდები მისგან შენთვის სავანეს ვეძებ,
იმპერატივებს საარჩევნოთ ვუშვებ მორევში-
ღვთაებრივ სახეს ვიცალკევებ ზნეობის ძალით,
თავი შევიცან, ვმთლიანდები და შენ გერწყობი.

მასები განა მიაღწევენ დღეს ვეტეანუმს-
ზუსტ ლოგარითმებს ჩამოგვიწერს, აღარ ჩერდება
ლოტოსის ყვავილს ვეცხლოვანი ბორბალი იპყრობს
და შტეინერი უცნობ ძალებს მიაშტერდება.

დიდი იმედით მიმყარდები პერსონა გრატა,
მიხანგრძლივდები ჩემი სულის კონტინუუმში--
იყო ცდა ერთი - უშედეგო შეცნობა მწველი,
ჩამყაყებული კულტურების მყრალ ვალიუმზე.

ჰო,ის საწყისი,ასე მშვიდად ესვენა ქარში,
მეც უშუალობას როდი ვაჩვევ ამ ეკლესიას,
ინტუიციით ჩაგიხუტავ ვარდების ქალო!-
შემოქმედების ჩემეულ ნიჭს მისდარებიხარ.

ახალი ისევ, სულ ახალი შობეთ მარადის,
ხელჰყავთ სიმდიდრე - სიღარიბე ის ტრაგიკული,
შემქმნელი შექმნილს ემალება ბედის ლაქლაქში,
გადააზრების სიმბოლური ბრუნვის წრეულით.

ჭეშმარიტებას მიუყარეთ ინსტრუმენტები...
აღაწარმოებს ქრისტიანი გოგონა თემოს,
დარჩა ცხედარი, გაყინული, არ-შასახარი--
რომ უკვდავების მიუქრობელ სანთლებად ენთოს.

სტადიონებზე გამორიყეთ ნაშთობი ლირწი,
დიოსკურიას თეატრალურ სვეტებს შევუდგამ,
სადღაც ნეტარი ავგუსტინე სიზმრეულ ეკრანს
ნათლისმცემლური დაეჭვებით ლოცვანს შეუთხზავს.

აკროპოლისი...საბერძნეთი...ათენის მხარე,
თელ-ელ-ჯერიშთან ნაპოლეონს ვუცდიდი წუხელ,
იხილავს აქოს თალაწეულ ოქროსფერ სახლებს
და მამლუქების სანავარდო ზღვისპირა ბუდეს.

ცურგავსებული მიცუცქდება ცქრიალა, ცხელი,
ცქმუტავ,ცუხცუხებ,ცრიატდები ცეტ-ცრუპენტელა,
ცრუობს,ცუნდრუკობს ცხადმყოფელი ცუძრია ნერცხი,
ცაცხვნარს ეცელქა ცდისეული ცეცხლი ცერცველა.

ჩამახშობინე მოგიზგიზე ალი ვნებების,
ჩაბრუყებული მებოჭები ყლურჭვა-ჩუმქრებით,
ჰა, ჩაჰმრეტია ურღვეობის რუკრუკა თასი,
ვერტიკალების უსაშველო მობრაგუნებით.

გამიველურდი ნაფუძარი,რას მდანდლავ ნელა,
ვერნისაჟებზე უვსებელი ჯიქანი მბოკავს--
და მედლლიზება მობმული ვაჭარი ერთი,
დაგვიდუმდება და შეკელზე დაიწყებს ბრძოლას.

რისთვის...რად ესო ამ დიდ სამწყსოს ამდენი დალი,
დაუდარაჯდნენ მას ღმერთები...ბა'ალ,აშთაროთ,
და დარდიანობს იეშაია, უდევარ საწმისს...
ვარცხნის ბიბლიას,გადაშთენას სანდომიანობს.

მეც შემიცანი,არ მიტირო,გახსოვდეს ვიყავ,
ბოში პატარა,მაგიდურა ასოებს ვწერდი--
ისევ და ისევ უწმინდესო, შენს სახელს ვფიცავ
ცეცხლით მხობილი, ცეცხლიდანვე იშობა ღმერთი.

იყო,და არის,და იქნება,-ამბობენ ბრბოში,
მე ადონაის ვეხიზნები, სიკვდილ-სატანა,
დიალექტიკურ ნაიგავებს სტრიქონში ლესავს
და მისტერიულ აპოკალიპსს მოსეს ჩაატანს.

ვეძებთ და ვეძებთ, ისტორია რაღაცას გვმოძღვრავს.
გზას ვეძებთ ახლაც,დაბრუნება გვწადია, ქალო.
მიზანი?- საფლავს ვენარცხებით საათის მსგავსად
ისრებიც უკან გვეწევიან, უკან გვხევს აწმყოც.

მეთანამგზავრე,ვითარც მთვარე ამ დედამიწას,
ჩვენ პლანეტების წყება განვვლეთ გალაქტიკებში,
მეტეორივით გავიელვებთ და სატურნული,
დაგვყვება კრულვა ჰამონური პირამიდების.

ხედავ მიკადოს?-რას ხარბლება ნაბურძგნ სიცოცხლეს,
ის ხარაკირის შემოგვინთებს ხსნის დიადემად,
დიგამბარები ჯინით სცნობენ ჰაერმოსილებს,
ვკითხულობთ სუტრებს სულის ტატცვად გადაბარგებას.

მცდარია ყოვლი და ჩვენ ვცურავთ ამ სამცდარეთში,
მეც ვგავარ სიმბოლს,როგორც ყველა სხვა მოქალაქე,
ვნივთდები,მერე განვნივთდები, წყრება მოგვეთი—
მალაუფლება სქესს მიმანდობს გამოსაჯავრზე.

კბილით გვეჭირა სიხარული არქეტიპების,
იქ კოლექტივი სასაცილოდ იდგამდა ენას--
ან კი რა მქონდა,რომ გაგქონდა,საბუდარს თვლემდი,
ფარმავანგური მოთმინებით ირჩევდი თმენას.

რაღას მოვითმენთ,მეკარგება,მაინც მწყურია,
ფეხქალამნური პატარძალი სირცხვილის კალთის,
ვაკლდები ცოცხალს, საგანგებო კრების მწუხრია
პატრონმიმკვდარი მაღლის ყეფა საწუნკეთს მაცლის.

ვერ მოვინელეთ,სანადიროდ ვეკვეთეთ ზებრებს,
ჭრელი ნაჭრიდან ქარავნების ნაჩხერგს ევლება-
განა კი როდის გამოცხვება ბავშვობის კვერი,
კრუსუნებს მიმა...ნასადგომარ ქვა-ქვას ედება.

რად გვიღირს,გოგოვ,საწირველი ეს მოგონება—
განა კი გვახსოვს? სად ვეცემით, რისთვის ვეცემით?
გვჭირს ჩვენივ ჯიშის,აქ გვაცვივა ნაფოცი თავზე,
გუდანაცრული ხვამლი გვწყალობს მამის ცრემლების.

ვარ ეჭვის შვილი და ეჭვივე დამძლევს ბოლომდე,
ავსტრალიაში ნატოტემო ტრაპეზას შევრჩი...
სალი საზრისით განვიყენებ თავს არ ვიცოდებ,
გაუგებრობაც ფუჭ კამათში მახვლება ქმენით.

რად გამირბოდი, რა გვთიშავდა, მითხარი გამეც
პასუხი ახლა, სწორედ ახლა, არას შეგინდობ!
ტრანსცენდენტური მაწვალებდა ნათელი რწმენა,
რაღას გავაწყობთ იმ სიბნელეს უნდა ვერიდოთ.

სიბნელე არხევს ამ მოკვანთულ,ვარდისფერ ზეცას
და მეც უშუალო მიჩერებით,მას ვამტერდები...
ჩემს ფინთ ფიქრებში ითქვიფები ვით მარლვის ფეთქვა
და მემუქრები უცოდვილო გადაშენებით.

არ შემიძლია,მაშ არ ვიცი,არც მყვარებია,
კანონს დაგვიმევს ვენ ხოუ-ში ლილი ლი კუდ,
მიჯიერ მალას მოვიპარჯვებთ...გადავვრჩენია,
ეს სახელმწიფო სამსჯავროთა,-სასჯელ-სიუხვის.

სიბრძნით ვინ მართავს ამ ქაოსებს,გვინდა ქარიზმა,
თვითშეგონება,ვით საწოლზე ლოცვა გრძნეული-
ბრბო გრგვინავს ქარში და პილატეც აცახცახდება,
საპყრობილესთან დავიდის მე მიჰყავთ ქცეული.

ჰა,დაწყებულა პერიოდი ღმერთთა დაცემის,
გმირებს მისტირის მწუხარებით ნინვეს ქურუმი,
და ვიხლართები კვლავ ამ ჩვეულ,ლამაზ ხლართებში,
ვით გილგამეშის ქანდაკება მორი ურუკის.

წმინდა ფილიპეს შადრევნებთან აღვავლენ ლოცვას,
სკვითოპოლისში ამფითეატრს ამიგებს რომი,
თვითგადარჩენის საურველად ბრძოლებით მოვალ,
ხანგამომშვებით ჰერალდიკურ საგაძველს მოვშლი.

ჰერმაფროდიტოზს საზოგადოდ მომხმარი ხორცი,
შემჯვარებლები ვის დაურჩა ნაზავ-ნადედში...
მოპრაკუნდება და ნაცოდარს შეანჯღრევს მაგრა,
შენესტებული ქოხმახების გადასარჩენით.

ჰა,ნისთაროთი,ცნობით ფენებს შეუვალთ ვკოცნი,
შემინდოს მოსემ, მეც პირისპირ მივესართები,
იყო-ხ,და არის-ხ, და იქნება-ხ იებით მოვფენ
ნებოს მთის თავზე საიდუმლოს შევესანთლები.

და დავიწვები,ვითარც რუთი,თრობის მორევში
დავიდის ფარი...ვარსკვლავების ციმციმი ღამე,
მეშეხის სილით ახალცინურ ზეცას მოვტყორცნი
წვრილმაჯა ქალი გამიღიმებს,კურთხევას მმადლის.

ლურჯმოფერილი მიკანკალებს საფლავი ცფათით,
ეს ხომ სულია არიზა"ლის - დიდი ლურიე-
გეხები კაცო ღვთაებრივო, განსაკითხავი,
გვრჩება სურვილი,ამ ტკივილში რომ გვაუძლურებს.

დამაუძლურებს,ვიმართები, ისევ, მედება,
მარავანდელით განფენილი თაჯი ფარული--
სეფიროთებზე გამასწავლის იმ დიდ ჩვენებას,
კაბალისტური საწიგნეთით შემოფარგლული.

მეხშობა გრძნობა,ნაავდრალი პლაცდარმა მიცდის,
მჯილი მკრეს,კარში მოკუკუნებს ბერ-დიაკონი-
გუბდება ნერწყვი,მივოგმანებს რატომღაც ბრიყვი,
მოდიდებული საუწყებო მებმა-გალობით.

დამბუზნე კარგად,ნუ გრუხუნებს ეს კომბაინი,
დამბუზნე იქნებ,ველარ შევწვდე ნადაგავ მახილს,
ჩაგიბღუჯია ეს წერილი - კირელოსანი
და მიგუნდავებ თოვლის ქულებს საოცრად დაღლილთ.

გამოგვიტყუეს ამ ქვეყანას,მოვიფშვნეტთ თვალებს,
ფხიზელ თოლიებს გამოღადრულს მივუშვერთ გულ-ღვიძლს
გამოგვიწვლილეს თირკმელები,ფილტვები,ყელი
გვიცხობს ფუნთუშებს შეწამლული უმირო წყვილი.

ჩამომიწოდე ეგ ხელები, გათოშილს მერთე,
გადათუთქული კერძი მიდგეს,ტუჩებს მითხუპნავს
ააზრჭყვიალებ ჯვარს და ოლარს დავითის ფართან
და წითელ-ყვითელ დროშის ტარებს სტამბოლს მიუტან.

რაღას ბერტყავენ მონაზვნები მტვრიან ხალიჩებს,
და რას გობავენ ამ იატაკს ჩემივე სისხლით...
მათ დაარისხებს ანგელოსი ჩარუჯულ სკივრთან
მსახიობურად დამდაბლებულ არტისტულ ღიმილს.

შენც მიარჯლდები,თვით არ იცი,სრბოლაა ჟამის,
სავათი ტანით მივსავსავებ, საჩუქრებს ვაბნევ-
გაასპილტებულ მასპინძელთან ბაღანა ბღავის,
აკვნის ბოლოში გველი გახსნის საკუთის ნასკვნევს.

გადაარჩინე,დაეპენტე, მალამოდ, წამლად,
გადაერაზე ნესტარსახსნულ ჩასხიპულ ერბოს,
შეარქვი ლელა, არქვი მამა, უსინჯე ბალღამს,
მოსქელებული სიტკბარუნით ილვრება წებო.

გაისად მოვალ...ჰო,ასეთი,სწორედ ასეთი,
მოვალ ჯიუტი...იანვრების ამაყი შვილი...
ჰოროსკოპებზე ატყლარჭუნებს ლაქია ბალანსს
მენჯებამლილი ბაკაბუკობს ბულვრების მისწვრივ.

არ გვინდა,არა, ეგ მსხვრეული ბალდახინები,
მიხუნებული ფარდუნებით, ნაფატრი შუცლით--
გამოქვაბულთან სინანთროპებს მივეგულები,
გამოქექილი, ტვინნაფხრეკი აზრების მრუდით.

მომენაცვლება ეს სურვილი, ეს სიახლოვე,
ფეხსხლეტილ ცხოველს ვემსგავსები ბეწვმინძლიანი,
მირკურთხეული მომაწვება მე შენი გვრემა,
მკვიდრდება მტვერში და მაკლდება ათლემზიანი.

ჩამოაკაწრე ლოყის კანი, არ შეიცოდო,
მე პოეზიით ვაყალიბებ მთელ ამ მყოვრობას,
ეს ნასისხლარი,თავკვეთილი კაცის ცოდოა
სიტყვა ღმერთისა სათავკაცო და უდროობა.

თანშემეზარდე, ახლა მიჭირს გაცლა-შორება,
ვათარეშებდი ჩემს ფიალას შენს ნაღვინარზე,
მთარგმნიდნენ მერე და იწყებდნენ ზედით მორევას
მიკნავებული კატის კნუტის გვამ-სარიყავით.

საპატრიარქოს ცეცხლი უნთეს,იწვის გრაგნილი,
პერგამენტებზე ჩვენს სიყვარულს კალმით დასვრიან,
შელომოს ქებანს ჩვენი ხოტბა მიუფუჩეჩეს
წვეპლავენ მოკვდავს,გამოწყულით კარში გადიან.

დაგვიწვრთნეს ხელი და ნაჭყეტი სიხარბით მოვლენ,
ლავლავი მათი...წვივწითელი გოგონას სახე,
ჩაკაწრულ ლოყებს მნათობივით ემხრევა თითი...
ველვარებ...ვყვირი,მტაცებლური ტკივილით დაგკბენ.

ნუღარ მომრისხავს შენი მკერდი,თეთრად აშლილი,
შემსხურებელი მეც ვყოფილვარ სადღაც და ახლაც,
ქრებიან ბნელში ჯიროლამოს ჩირაღდანები
და ჩონჩხად ქცეულ მომთაბარეთ ნათხრობში კაზმავს.

აჰა,დაიმზღვლნენ მომკუფხველი წრის შემოქმედნი,
მომთქმელი მომენტს ელოდება ჩლუნგვით და ჩმახვით,
ვითმენთ გაბილწვას და ჩიფჩიფით აბნევს პირობას,
დასივებული ტალახტყვრომით ტიკინა ვაცი.

როს დაგვატყვრება საშინელი განსჯების დილა,
ცნობიერებას ცხადი სიზმრად გასტკბილებია--
რიცხვით ცხრაპეტი, ეწებება გუგებს და ჭრეებს,
თითქოს სასკდომად შარდის ბუშტი არ სტკივებია.

განმეორდება ესე ხუთქვა, სიკვდილიც ესე,
ეცნაურებათ გაცხადება - სცინცლავენ საზრდოს,
მათ მლოლ-ნაწიწკნი სასოსისე ნარჩენად ტენეს,
ჩემი ტკივილით,სიყვილეში ჩანთხეულ ლარგოდ.

სიოსის ფურცულას ვიყალიბებთ რიგით და წესით,
პი-ერ-ი უდრის ემ-ეს ნამრავლს ენ-ოვან იქს-ზე-
თუ ისრაელი საზომია ღვთიური ცნების,
მაშინ გამოღვრილ სიამაყეს სანჯელად ვიმენ.

მოქუსლეს, უწყი! დალეჭილი ბოლმის ღრანცებმა,
ამომიგნული გულმუცელი ჩაღრუცნეს პეშვით--
სცილდება ვადა, ვეცვითები ჩავორმილ მიწას
მეცასცაზების ასწილური კოდექსის ეშხით.

ხედავ კოლონებს...მათაც მოაქვთ ცდილი კოლოსი,
ჩაჩქან-დააბჯრულს არმაზისკენ მიასვენებენ,
იყუჩა ნინომ, შარგალიცი უმევს კოლოფში
და მოყაყანეთ შეჰქვითინებს...გაც-ებს იწევენ...

ნუ თანამიგრძნობ, სამემკვიდროდ ნუგეში არგე,
მითებს...ქარებში სამუდამოდ რომ იმვებიან...
თეოფანიას შემოგივლებს ღვთიური ნიცშე,
სიცოცხლის სულთან მათხოვრები ჰიმნს გვიმღერიან.

* *

[illegible] ბჲ ლიპო ლიპო ჩყი - საქმის მოუწესრიგებლად
დაცოვებით მისი მოწესრიგება

იწევენ მცხეთას ეფეთება მფოფხავი კაცი,
მამასახლისმა ზანავეთიც მოგვინაწილა--
მას ეფიცება მაწანწალა, ჩოჩინით აწვდის,
უშორეს ზარათს, ჩემი სისხლით რომ ისაწყლისა.

უხვსხივიანი მთვარე ხუჭავს მიკარკლულ თვალებს,
ჩვენ გვეხვეწება უჰაერო სივრცის სანნულებს,
უხსენებლებმა გადასერეს ნაცნობი მხარე-
გვიზის ცრიალი სახვეჭ-სახრჩოლს ბრაზით ასრულებს.

მიმძაფრებ ნაღველს, მანთხევინებ ელენთას შხამით,
მიორგულდები სიპირქუშით ნაპოხ საყრყოლში,
მირანდავს მკლავებს ეგ აღთქმული გზა და ღირსება,
მომნუსხავ მზერას მზის სიკეთედ გადამამძრობდი.

აღმმართე ტეხვით,გადამტიხრე ტყორცნის ფაფრებით,
დამეყრდნე ღუპვის ნაყირავებ ძველ საფურცლეთში--
გადმომეფინე შენი ფენით ,შენი მუხლებით,
მოტყუებული მიყვლეფილი ბნედის მარცხებთან.

ვერკვევი,მესმის ეს სამყარო ცოდვის და ბრალის,
დაიფერთხება უსხივარი ბრბო არ-მოთმენის--
შემოგერღვევი საკარცერო ჭაღების პყრობით,
ოდეს სამტამპოდ გაგიწვევენ ქალწულს მოხდენილს.

შევწექი...იყო,,,ზანზარებდა მთელი როტონდა,
შენც მოთარჯული ითოკავდი ამ ტანჯულ სხეულს--
განმითვისებდი...შეუზღვავიც არვის ეწოდა,
იესო შემდრკალი გვიყურებდა და თავის სნეულთ.

იშლიდა ხელებს,შეგუების სამზარავ ნიშნად,
იდგა შემლხვალი, საოცრების უბიწო შვილი,
შემთხვევითობა, ისევ წმინდა შემთხვევითობა-
რეალისტური შეგვიტყვია წესიც და რიგიც.

ვისწავლე მაშინ...დამარცხების ვიწვნიე გემო,
პირქვედაცემულს მესეოდა რქიანთა ჯარი...
და ხორხოცებდა უკუღმართი სადასავლეთო
პოლიტიკური ნაბიჭვრების ნაჩარხი ბანდით.

დე დაიწყევლოს,იმ ჩასახვის დღე დაიწყევლოს,
გაუძელ არსო, ჩაქვავებულს გაუძელ ტკივილს--
მისაწიხლავი გვიყროლდება ეს სამწირველო,
დასაცეცხლავი ხატ-გუნდრუკით და ქალის ნიმვით.

ჩასორსლებული მეტირება, ტუტუნებს, მტმასნის,
ძმარმოსხმულ ნიგოზს შემომიტანს ღილა-გარიჟრაჟს.
ბაგეჩამშრალი ძღვნადმორთმეულ ძონძმანძებს მაწვდის-
ბორძიკით მივალს გადალეკილ მამადავითთან.

ლასლასით წამმკის და წამიერს მომარგებს შვებას,
ჩამომცრცნის ღრუბლით ტრადიციულ ორთოდოქსებში,
ჩამოკონკილი გვეკიდება გლახაკი ერთხანს,
უკუსწრებითი აღსარების წინამორბედი.

რადგან ვიყავით ჩვენ რჩეულნი და მონაყონნი,
მომრომავ როტვას მიქარქლული ეხვევა თვალი,
გვიკირკიტებდა მოჩაქჩაქე ელვა-საყოლით
პირმშვენიერი ბეთლემური მილევა სახის.

დიალოგებში აირეკლა სისავსე მთელი...
ჩვენს დასარკვებას მისტერიის ნაწილად ვაგდებთ,
შერჩება კედელს ნასუნთქარი ჭავლურა ჩვენი,
სიმპოზიუმებს უნუგეშო გოდების ღამე.

ჰო,ყოველივე ნაოფლარი საოხრად რჩება,
რჩებათ კაცუნებს, თავკაკულებს,ქალებს და ბავშვებს,
წმინდა საფლავთან საიმედო ზარების რეკვა-
თუ მოასწავებს ისრაელის მესსიის სართვენს.

მოვა,არ მოვა, მაინც ვუცდით მის მობრძანებას,
ის ხომ ჩემშია,შენში,ჩვენში მიმობნეული...
ასწიე თავი, თავი მაღლა ასწიეთ ყველამ.!
და ორდენებით მოიფინეთ მკერდი წყეული.

ჰო,ამ დაცემას მართლაც სულ სხვა ფერი ჰქონია,
ჰო,ამ დაცემას სულ სხვა გემო ჰყვება კეთილი-
ჩვენ ეს ამბავი განა ზღაპრად მოგვიგონია,
სიდონიასთან ინახება ჩვენი წერილი.

ზე ვიშვერ ხელებს, მკლავდა შენი კავები კრთომა,
ზუზუნა ქარში შენი წვივი ბრმად დამზრზობია,
დამთრგუნე ნდომით,დათრთვილული მზერის ნაპობით,
თან მითვლი დღეებს,თითქოს ზეცა ზედ დამმხობია.

და დამკუტკუტებ ეს პატარა არსი თოჯინა,
დამპროწიალებ ჩაფუკული იმედის საზღოდ--
გაფლეთ სარეცელს...დაჰქათქათებს ამ ჩემს კოწიაწს,
ფშვნილი სიზმრების ჩაფუფქული ლანდების გამო.

ნულარ დავქსაქსავთ ამ სიყვარულს,ერთია,იცი!
ის მოქვითინე მარიამი,გვიქსოვს სამოსად,
დათალხულ სუდარს მარმარილოს ქვის საფენლებზე
ვუწყით რომ მივალთ,დაბრუნებით ჩვენ აღარ მოვალთ.

ჰო,გამიშალე,დამიფინე ეს საოცარი,
ეს საოცარი ღვთაებრივი ფესტამენტები--
რომ ჩვენს ასკეტურ რეფლექსიებს ავამოძრავებთ,
და მოვრთავთ შენი სიფრიფანა მოსართველებით.

ნუ ვაგრძნობინებთ მას სიქვრივეს, იცოცხლოს დაე!
შერჩეს ამ სვეტებს,ამ იატაკას,პურსა და ღვინოს
ჰა,მეტყველებენ მშობლიური ბაგენი მეყსევ—
ლეხემ...იაინ...როდის მოხვალ საჭმელად შვილო!

გამიფართოვე ეს მარღვები, მაკმარე ძრწოლა,
სანხუნიატონს ბეირუთთან ვეამბორებით...
აი, ილ-აბ-იც -- მამაჩემის ძლიერი ხელი,
ცორი, მელკარტი...ადონისი და პანთეონი.

და მკარნახობდა უჩინარი პირი რაღაცას,
რაღაცას სრსვილით მივათრევდი ვარამ-გვემული,
წაიჩიფჩიფებს სანაცრელი წვდომა სამანთა...
ჩაკარწახებულ ფსალმუნებზე მევს გალეული.

დამაცხე შენი საცისკროვნოს ათინათები,
დამაცხრე ქალო, საუკუნის წაჩყმედილ ასოდ,
მიმბაძველ წალკოტს თურინჯ-მრევლნი აკრიალებდნენ
სამოხალისო ყრევინების მოსარჩლე საწდო.

ნუ წამჩყმედ მისი გულისათვის,ნუ მართმევ საფენს,
მე ამ საბანში ვიქურქლები,ღამე მჩენია...
გრძელი ვით შენი ნაწნავების უძირო რიცხვი,
მოსატოლებელ რბილსათხრელში რომ დაგშთენია.

ნურც მათამამებ წარხოცილი ირმების ნაცვლად,
აქ ხრაგახრუგში ნაცნობ ბგერებს იქნებ შევიცნობთ,
ხრიალებს ჭრილში, ავკაცობით უშრება სასა...
ხრინწმორეულიც მიხრაგუნებს გზაზე გომბიო.

არ დაუზავო მას სათხრელი მისათრევლები
იწელებოდა ხრიოკ ველზე ვით ქარაშოტი...
ხრტილდაკორტნილი გაკაფვინებს ნაზუსტარ თარიღს
და ჩვენ გვეზრდება სანუგეშო მახარობლებით.

რაღა ვაკეთო?ჰა,გასრულდა მორიგი თავი,
თავი წამების, თავი ნეცყვის, თავი თარეშის...
მალაც არ შემწევს, მომერიოს ეს ჩემი ბრაზი,
მაგ ნახორცალი სიმაბუნის სათაყვანეთში.

რაღა შევკადრო, ვით შევიცნო დიდების ქალო!
შემაჯყეც გუგებს, მომანჩვავებ სიყვარულს წყეულს,
მაჯანჯღარებდა რიგიანად წარსული საღმრთოდ
დაგლირღიცებდა უსახსოვრო ბალიშად ქცეულს.

უყვედრებელი! ჩემო სათნოვ, უყვედრებელი!
მადლობა შენდა,ასე ნაზად რომ დამღიცობიხარ,
ულონოდქმნილი კაცი ესე მოგიყაშყაშებს
დიდ მველ კაზინოს და ოდესურ ორაცორიას.

ხედავ ლიჯინებს ასე უშნოდ არაბი მცველი,
ელამ თვალებზე ლიბრი გასდევს მოუკურნავი,
ამ მკრთალ სილბოში სიმპათიურ წამებას ველით,
ვუცდით გორგასალს პალესცინურ ათასხუთასში.

ნუ ვოჩნობთ,კარგო,სულერთია,ერთია ფასიც
სიკეთის დიდის, მოუვლელი საზელი ცომის,-
მოგვითაროებს წარმავალი ანცობის ნაშცოს,
შეუკეცავი კარადების ლპობადი მძორი.

მომითბე წელი,ჩამეღვარე გოგოვ მუცელში,
ჩამეხახუნე, ცანგახდილი, ეჭამე დავიდს--
იყავ შუნამით, ავიშაგის დობილი ქველი,
თულახეთქილი, ნახერგალი - ნამღვილი ქალი.

დასარიგებლად საფარცხავი როდი გვკლებია,
მომჯვრეთ ნამებით,ცრიპციხებით მომჯვრეთ არსებას,
მოჯორილს უსმენ,ჩემი სულის რაღა გცხებია,
მოხდენილობა ალბათ გულზე აგესახება.

ჩემი მაზალი?!ასეც ვრჩები მგზავრი უბედო,
მშრალი ჩავდივარ,მშრალ ორმოში ამოვალ მსვრალი,
სამაგიეროდ წირპლიანი მცერი მოქიშპე
სველი სველ ორმოს მიაშურებს და რჩება მშრალი.

მაზალი?!–დიახ! მაინც რჩება რწმენა განგების,
მჭუჭკავენ ხლომილს, გეწოვები მუმუდ და თაფლად,
ნატისუსალი ქარიშხლების ზმანების მოვალ
საუფლისწულოდ ვფერმკრთალდები მადრასში მარად.

ნარინჯისფერო! მენარნარე, მენართვლე ნასხლავს,
ხედავ?! მტანჯავენ ეს მკბენარი ნაცარტუტები-
ცა დახრახნული მიხრა-მოხრით ნაპირზე გვფანტავს,
აბიათარის მკერდშიშველი სათარგულებით.

იყავ საზვავოდ შემართული ნაზბროლა კანით,
ათოვდი სათოხნს ძველ იარა-ნათელცხებული--
ჰო, ნათესავო! ნუ მთაკილობ, ნუ მქენჯნი სარმლოფ!
ჩემს სანთურებში მუქად ენთე ტერფჩაფრქვეული.

შენით ნატრფობი სითხე მხუის, გადმოხეთქს სარქველს
მე დამჩუხჩუხებს, მიჩხრიალებს ვენებში, მარლვში-
დაგცელავ, დაკქექ, გადაგფუფქავ, გიქარვებ მარჯნებს
გასაქელავი მიყრანტალებს მოყვარე ტამრით.

დამეყრდნე მლიერს, ჩემს მარჯვენას, ჩემს სლაპასლუპებს
სმენადქცეული უბოროტესს გვიპწკენს პასუხი--
სლუკუნებს ქალი-მონაზონი...უფსკრულ დართულებს,
მოზუგავს ბუყით სოვდაგრების ნასმუსნ ნაზუქში.

აი, სორსლდება, დასორსლდება ეს თეორიაც,
სოფიზმი, სულის მისტერია...მეტაფიზიკა-
ერთი... მეორე... პირვანდელი ფილოსოფია...
გალიპაგოსზეც მატერიის მალამ ივივლა.

დამიზარცყუნეს და მიგამდლეს უზრყვილოდ თქმული,
ყლაპნაფერყდიან სახარებას მირაცხავს ზრმენი,
მერიგებულან პლატონი და არისტოტელე...
მრცხვენია, ვიწვი...იწურება ფიალა თმენის.

შემომირგვალდი, მორაგული ჩუოდი წუხელ...
და ჩოჩქოლებდა ვაშინგტონში ცმაცურა ბრიყვი,
ციხე-ბურჯებზე ეკვიპტური ცმუკავს მხევალი
ცნობისმოყვარეს შეკიდება და თვალებს იცრეცს.

ჰო,გათავდაო,ის სიზმარი და ეს ზმანებაც
ხელახლა ვაწყობ ნივთებს,სიტყვებს,აზრებს,სატკივარს,
ცრემლმეუშრალი ვეწაფები პირველ ნათებას,
თითქოს ბუნებამ საბედისწეროდ მოაქარვინა.

ჩვენება დიდი...ახელილი დიდი გრძნობების,
გაუძელ!... ჰკივის მინაგანი ხმა შენალეწთა,
ცოდვაჩაფლული ამ ფიახვოს შევეზმორები...
ის მოკვდა ისე, რომ სამყარო ჩვენ გვიანდერძა.

უხარის კერას, მოზიარე მყოლია ვინძლო,
მძებნელი კარვის, შევეყრები სიავეს ალბათ,
მიჭირდა გაყრა-განშორება, აწონვა მსჯავრის
მხეცთა აღდგომას მთვარეთესილ ჭირნახულს ატან.

ჩამბანე ფეხი, ვითარც იმას ოდესღაც ბანდი,
თმა ეზრდებოდა მას ბედნიერს დაცემის დღისა,
სასუფეველში ბზობა-ნაცხონს მისუსტებ წადილს,
საგნიდან ნივთზე გარდამავალს ზიარით მირთავ.

ვის ვესაუბრო?...ასეც რჩება ეს ნაუბარი,
გაუგებარი, ვით კეკლუცი ხატება შენი...
ჯანდაბას! კაცი ვერ გამიგებს-- უსათაურო
დარჩა წერილი, გაგზავნილი მოუსავლეთით.

ვეფინე საგანს, ქვას და მიწას,მირონცხებული,
ესმოდათ ჩემი...იკვრებოდა ჩინარი ბუნტი -
ჩვენ საზიაროდ ცეცხლი გვქონდა იქ დანთებული
და ჩაქრა ცეცხლი ჩვენი ჯიბრით და ჩვენი ბუთქით.

წინ ვიხედები და მივიწევ, მომთმენი ჭირის,
მე ვძულდი ღმერთებს, ადამიანს ვძულდი საოხად,
კვეხნა-ძალილით, გულდამწვარი,გაოგნებული
ტიროდა ქრთამზე, ფულსნახარბი და გასაოცარ...

ხვეტდა ბაგულებს,დიდ ორშაბათს და იგონებდნენ-
ქანდარამოდგმულ აივნებზე სიკეთის დამთენს,
მიეთ-მოეთებს უყურყუტებს ხუცესი მხდალი,
ის-ღა შერჩება სამიჯნუროდ მონასტრის კარებს.

ვზამავდი მგონებს მაღრანივით კავზის საგოგავს,
ვზამავდი ჯავრში,სიხარულში,წყენით,მოწყრომით...
მოციქულივით შევექცევი ფაფას ნაზომვარს,
იქარწყლებოდა ყრუ მურყნარით ცდომის ბექობი.

მიმიზიდავენ, ამივსებენ გოდორს პურებით,
მარგალიტებით ნაცრემლავი თვალებიც მოვრთე,
რატომ დაგნატრი ვით მკურნალი გაუწირველი –
შენს გამყღავნებულ საიდუმლოს ქვეყანას მოვდებ.

რა საფასურით შეგიმინე, ვიყიდე სიბრძნეც
ჩავთვალე ვერცხლი, ოქრო, რკინა...დედის მზითევიც,
თაფლიან ბაგეს წისქვილივით ჩამოვფქვავ ისევ
ენაუმვლოო ნულმოკლობით შეგემვირები.

განა დაცინვა მომკლავს ახლა, ვიწამე ღმერთი,
გიტრის თვალი, მეორეთი მესარმლოვები--
ჯოჯოხეთური, სატანური მაგ შენი კორძით,
როს ლამაზ დიაცს ცხელი ლამით გემარტოვები.

ჰო,გაგონდება? საბურთალო, ის პროზექტურა,
დაღმართი დიდი და ქაშვეთის ბნელი დღეები...
გრძელ მაგიდებზე ყოფილ გვამთა ვეება წყება
თბილისი ჩემი...აპრილის ცხრა და საცხედრეთი.

უჰ,არსებულა, არსებული ყოფილა თურმე ,
ჩვენ არ ვიცოდით და ვნებათა მორევს ვერთოდით,
მომენატრები ასე მშვიდი და ასე ნაზი,
ხელშესახებად ეკლესიის კართან მელოდი.

და როცა შენთან მოულლების სურვილი დამწვავს
და როცა ვიგრძნობ წარმოსახვის მალის შენთობას,
დაუკითხავად საფეხურთა კიდურზე ავალ,
შეუფერხებლივ შევუდგები ხორცის შეცნობას.

და თუ ვერ გნახავ, ვერ შეგევრთი,ვერ შეგეხები,
რაღას გავუწყობ ამ ფლუიდებს, ამ ენერგიას?–
ნაუჩუმარი დაუვსებელს ავიღებ კალამს,
მოვბღუჯავ ქაღალდს,შიში მიპყრობს,აღარ მელიან.

და ეს კალამი დაიგვერდებს ბუხა ნაწრიპალს,
დაიყანთრება ვით სამამრო ასო შვეული--
საქალიშვილო ქაღალდს მერე გვირგვინად იდგამს,
მოდენის აზრებს საშობაოთ, გვადრუცეული.

მაშინ დავშთები მე კალამში, შენ მადლიანი,
თეთრმოქათქათე ქაღალდეთში დაირეკლები...
გადმოვეღვრები ამ ზეწრებზე ვითარც მისანი
და სცრიქონების უხვი მალით გეალერსები.

მოსაღამოვდა,ჰა, გვეყრება მზე დაღერღილი
...დაოსებული, დათანგული... მიესვენება---
და ვსავათდებით მოლანცული ჩრდილის ფერეთში,
ვით საჰაისო ყვავილების არგახსენება.

დაქიმითებით შეგექცევი ჯვარისწერამდე,
შემოვცვლით ბეჭდებს და დანეცვილთ გავჩქლითავ
ილვრება ზოლო და ლარივით დაჭიმულ ბეწმღზე სანთხევს
ზნექველ დიქცაცორს მივექცევი დასანგრევ ამწედ.

მიუნდობელო! სამრახისად მითოცხავ გრძნობებს
და გეფერები, შენს საშოში მოვწიაღდები...
ღმერთო! შეოხე, მოწყალება ყოფილა შენი!
საუკნიახო ალავივით რომ მივადგები.

მე მიწყალობე ყავისფერი ცევრი ნაშური,
გამჭვირვალეა...არმენავი იმრე ცანიდან...
და გაიცისვნა შენი ცენით სურნელი კრული,
თან დაჩურთული ზედნადებით ცვითარს მაყრიან.

თულუხრუმბიან ლუდს შევასმევ, არ დავინანებ,
ლითლითით გოდებს,რაცომ ცირის,რაცომ ლუდუდებს,
ბუხუნმალები არ მამლევენ დღე მოსვენებას
და ღამე მოვთქვამ შემოჩვეულ მველბაიყუშებს.

ანაზდად მკვდარი უსუარი ვიხილე გუშინ,
მეკვირცებოდა ალმაცერი უცხი მოზვერი...
უცუსუნებში მისრიალებ ლამაზი გოგო,
მეთქვირებული, ჩაფაკლული მკერდის ჩეროთი.

დედაა მიწა,საარსებოდ მის ნაფცქვენს ვფხოჭნით,
მიგვიღებს თრთოლით და თან ფხიზლობს,არ მოვიწყინოთ-
ყლორტაყრილს გვყლაპავს,შეუმწვაველთ,გვემახის,მოდით!
რომ მოგვინაცროს ეს ნამღვლარი, მერე იცინოს...

იცინის მწარედ,ნამმინარევთ შეგვეხოს ნელა
და მოგვაორთქლოს ნამწუხრევის ყამი ლოდინის,
ნანაოზს ქარში სანუგეშოდ მისი სიმღერა--
და მონაპრალო კლდის ფერდობზე მე ქედს მომიხრის.

ჰო,მომიშუშე ეს ჭრილობა, მიწაო, დედავ!-
მომწყვიტე, მზარდე და მშევლებად მოგეზარებით,
მოდის ფურზერწი დახლიდარი,ფუტფუტებს,ქექავს-
ვით გეკუმშები ამ დაფუღრულ ღვთიურ ქვახრელში.

გთხოვ,გადაავლე ახლა ყველა ავტორიტეტი,
თანასწორობა! დედამიწა მოითხოვს ამას...
უკან ქრისტესკენ...უკვდავებით სავსე ფერხული,
გაიმართება იეჰუდეას დაფუტკგულ ცასთან.

აზავდეს მერე ყველა ენის ბოზური სიტყვა,
ეს საოცარი სიბრძნე-ვნება -- პროსტიტუცია!..
დემოკრატიას უტოლდება და იფხეკს ნიდაყვს,
მას აბსოლუტის მკაცრი ხელი ჯერ არ უწვნია.

მეც ამ ბულვარებს კვლავ ჩავივლი ნაცნობი სევდით,
რომ პოტენცების იერარქია მიწვება ჩრდილქვეშ,
ფხაჭაფხუჭობენ იქ სოკრატეს დაიმონები...
ვიყო ის უნდა, რაც წარსულში ვიქნები ისევ...

დაჩეკეს ვნება და წიოკით იკლებენ სოფელს,
მიუჭმუჭნავი, უყანგავი ფლიდის ენაპირს
დაუყლივლია აშლოდური რაკუნის ნებით-
რომავს და რიცხავს, ნაროზგავზე მველას იმახის,

განმტვირთეთ, მოდით,ნუ დამქიქავთ ძველი ბრალდები
განსამარტავი კიდევ რჩება თალმუდი ახლაც...
მომაგეთ რაიმე საიმედო საქარვებლები...
ამივსეთ პეშვი, გული, გონი,ამივსეთ ჩანთა.

რაღა დავწრიცო,რა დავხვეცო, ვით მეზანცება,
აღარ დაგზოგავ უთალხავო თიბათვის ქალო,
დაუთავებელ სათათხნს სადაც მიეჩქარება...
ბლუკუნებს სახლში,დისონანსებს გვიცრუებს მარცო.

თან მესინჯები უდროო დღის ეშელონებში,
პარიზი, რომი.. ჰო,ეს ბოლო ექსპრესი ჰკივის,
მელიარები დაწეწილი ეშაფოცებზე--
მიდის, მიქშუის და ფრუცუნით ნაპერწკლებს ისვრის.

აქვე მიმიმწყვლევ ეს კოპწია, რხევადი ქალი-
სახლს წამიმლვები, როცა მზერა მიიჩრდილება
და მეხუცები მკვდარი მვილის ნაკერძი მადლით-
ისწრაფვის ქვისკენ ემბაზური გადასხურება.

ჰე, რა ხანია, მოვიხილეთ მეგალითები,
იქ,სადაც რწმენა ჩაკმენდილი მეგულებოდა-
მოვიკვრეხ მუხლებს და ვკნაცუნობ ღამის სალმობით,
ვყვინთავ შენს სისხლში,წვივნათალო მოკერძულობავ!

ყვიცყვიცებ შენთვის,ჩაგირგია თავი,ლაწვები,
წყნარდები, მვებით მოელვარეთ მოჭუცავ თვალებს
და მეხაფრები ჯერ უთქმელი საურვო ვნებით,
მიდიდურდები, მიცუცქდები, იწითლებ სახეს.

რაცომლა მმაგრავ,მაჩოჩდები,დაიხევ უკან,
ამ წამოწინწკვლას არ იკმარებს ბეთლემის წვიმა.
შორს კი ლუზონში წელწვრილ ჩინელს ლოგინში ვიწვენ.
წეს-აუგებელ წყობილებას მოვიდებთ ფიცრად.

ხელშენავლები არ ყოფილა, არც წვალებული,
ვწერდი მკერდფრთიან,შემოდებულ ნარგისის კონას,
აწერწეცდები ჭრიანცელის თავმლით რლვეულით
ჭრიჭინობელებს დამახარებს კიკეთის ქროლვა.

ნულა ჩამფარცნავ,დამეფინე ნაცრად და ფერფლად,
ნულა დამფოფხავ, მოიხშირე ერი და ღმერთი,
ლირლიცებს, ღნავის შემმლებელი არსის კაცობა
შემფასებელი არვინ რჩება სიცრუის მეცი.

რომ ანათემას მისცენ დროის პათოგენები,
დიდ შერჩევნებას მოგვანატრებს დღეს ლოიოლა
და გზას უთმობენ ანარქისტებს კართაგენებში
აკარწახებულ. მონედაბეთ და პირფერობას.

გაკივლებს რაღაც,ენას იკვნეტ და მეფუები,
აღელვებული გულისფეთქვა ეხუმრა ღელვას-
დამეწრონები ატყორცნილი ნაღვლის ღრუბლებით,
მცემს ეს ნაყრყოლი,მაჯისცემა. განაგრძობს ფეთქვას.

შენ დამასწავლე უებარი ყოფნის ფორმულა,
რაღაც ისეთი,რაც არავის არ უსწავლია--
ამამოძრავე ამღვრეული წყლების დგაფუნში...
რომ შევეწირო ასამართავ სვეტს და ნალიას.

იყო სასრული და ელოდნენ ასაკგადასულთ,
შფოთავდნენ ურდოს უმზაკვრესი ბოგდიხანები,
თურქესტანს მოვკლი, აბრეშუმის გზებზე მოგნახავ,
ბოლონასიტყვი უკუნეთით... წმინდა სამებით.

ჩამოანგრიეთ ქანდაკება, ყველა ბიუსტი...
გორში დარჩება ერთადერთი ქვის ჰარმონია,
ბიჭაბატკნურად სადღეგრძელოს აღარ მიუხრის,
ნაბლარდნ სიცოცხლეს მოედება ეს აგონიაც.

ნერვები...მსხვრევა..დიდი ბნედა,კრუსუნი ისევ
გადაიმშხავლებ საჩხრეკელი ცვლების წოწინით...
მიეწურება მონაჭყლეტი სატვინე კედელს,
გადაწყობილი იმედების წვნილი ლოგინი...

ჩამომეწმინდე,რომ გიხილო ხალისის ხვატში,
გადმოგეჭდები მონაზეკი მკერდის ხითხითი...
და მეხეთქები ჩახლეჩილი ფანტელის სახე--
სხივდაფრქვეული ოლარების ფერთა ლიცლიცში.

ჩქეფს ეს მთხვეული, ჩამოცლილი სიმღერა ხატის,
გზად მივირხევი,აჰა,ჩნდება უმანკოეთიც...
აქ ისახება სამესხიოდ ჩვენება შავი--
და უზიწობა დიქტატურის საგალობლებით.

იყო თქმულება,ასევ ვისმენთ მონაყოლ ამბავს,
მე ისტორიამ სადღაც გზაზე გამინაპირა..
გადმოფრიალდი, ამ ლეგენდას მე შენთვის ვკაზმავ,
რომ ბაბილონში ვეამბოროთ სემირამიდებს.

ვით აიტანენ სუსტი მხრები ბინძურ საპალნეს,
მუქი ნათელი და ფურცლების შრიალი ქარში...
მე ამ ნათელში რაღაც ცივი ქენჯნა მაწამებს,
ვერ ავიტანე, მოვიხარე, გავდექი განზე.

და ვეყუდები იარაღის ფუტურო ასლად...
სანამ განგება მოისურვებს მის გადმოქორვას,
მელევა ენაც, სიტყვიერი მარაგიც არ ჩანს,
ვითმენ და ველი საუკუნოდ ჩემს არმომხობას.

და მიმუნმულიზს მურა დათვი, ზუთქია თავით,
აიშვერს ყურებს, ეწაფება წანწკარა წყაროს -
მე ამ წყაროსთან ისტორიას შევასმევ სახმილს
და შენ დაგისვამ სანეტარო ქარვების სარმლოვ!

მომიზაფხულდნენ იდეები...თვლემდნენ ველებზე,
არგუმენტები...ლოზუნგები...პოსტულატები...
აკვერვინებდნენ ურო-გრდემლზე რკინის მაუზერს:
რევოლუცია!...- იძახოდნენ თავგამეტებით.

როს გამკილავი უმკლავდება გალეწილ კალოს,
და გატვრენილი მიატოვებს სადღაც ჯაობში---
გასავრცელებელ ხმას ვერანა გასაგისს ანდობს
და მოულამზავ საცელს თელავს სახლის ნათოში.

მაღალო ქალო, იკონოსტასს ნუ შემიმწიკვლავ,
შემალწევინე, რომ როგორმე დაგქანცო მაღლით-
ყინჩაწყვეტილი ქარცემული მიიკლაკნება,
ონტოლოგიურ ჯაჭვურაზე ქარაგმა ავი.

ვეღარ ავხსენით ეს სიზმარი და ეს ქაოსი,
ყოველი მხრიდან გველთა ხროვა მძლევდა,მაკრთობდა,
ბნედნაყმაწვილო საწამლავში მითავხელებდი,
ეპილეფსიის ხუთნაწლოვან ათინათობას.

დამიღე კარნი, მოვალ ძველი ქანაანელი,
ხელთა მაქვს ცვილი, აბრეშუმი,თაფლი და ფარჩა,
არვადის მიწას ზღვაოსნურად შევეფაკლები –
სანამ ელადის მზე და სუსხი გებალში ჩამწვამს.

რას ფაჩიფუჩობ, ბნელში მანდილს არ შეისწორებ?
ფეთქდები სისხამს და ხმა ისმის იქ სირენების,
ჰო, მაწუხებდა მე ყოველთვის შენი სიშორე
რმისფერი რწყევით, დარიგებით,სამინებლებით.

მივარუხრუხებ ამ ჯაგანა ცხროვრების წადილს,
აქეთ სანთლები...პერგამენტი...პენიცილინი–
ჩვენლა გვპატრონობს მარიამის პაწაწა თანგი,
მხევლობს ასული გამოისმის საკნით ტირილი.

შევხვრეპ მის ნაღენს· მე მხეცქმნილი და უკაცური,
ნუღა მამხნევებ მხოლოდმობილს, იწამე გვამი,
მომიდარაჯე, მომიდუნდი მშვენებად ქმნილი,
ტყავშეტრუსული მაფრთხობელა დაგვიცდის კარში.

ხედავ არ ველი, აღარაფერს არ ველი უკვე,
და იმედების გაცრუებაც მტოვებს ნიადაგ--
ილუზიებით მარაგდება ბრიყვების ბუდე
თეოლოგიურ მანიფესტებს როცა მივაკრავთ...

შეგვინდოს ღმერთმა! ჩვენი სული სულია მისი,
ჩამონაპერწკლდა ვითარც ენა ქვეცნობიერი-
მომიშვი შენთან, ხედავ ასე უცვლელად ვიღწვი,
მითრას, კაუტეს, კაუტოპათეს – ირანეული.

ამონ,-მომხედე,პტაჰ,-დამლოცე,ოზირის,-მზარდე,
ეა, მარდუქი,-ბაბილონში გიბილს ენერბა –
მეც სტერილურად ამ სამყაროს აღარას ვარგებ,
გამოცხადების სტრუქტურებში საზრისს შევზედავ.

მო, მომეხმარე დავაქციოთ ეს სახელმწიფო,
მითხარ რა ოხრად გვაბედია კრულთა კლასები-
ანარქისტებიც რომ ცდილობენ, სურთ განგვარიდონ
რესპუბლიკური ასპარეზის უგლიმ ხლართებში.

მოგმებნი ისევ, მრავალცნებით ლოგიკურ ძალას,
–ტოძა, ნო სე'ძი ტო სიუკე–ხ მღერის ტოკიო,
აღმოსავლეთი დასავლეთში იღვრება, მართავს
ცეცუგაკური სასჯელგება გრძნეულ მსოფლიოს.

რიღას მორალი, რის ზნეობა, რისი ეთიკა,
ვიყავი მონა – ცრუმეტყველი, თავისუფალიც...
არამზადული ძალადობის ღალატში ვთესეთ,
ფეოდალური ფორმაციით ნასათუთარნი.

მივაწევთ ბირჟას, რამათ განში ყინული ლხვება,
რჩება პროცენტი, ინტერესი, ბენე ბრაკული–
ლიტველ რაბინებს შავი წვერით მანტია სძვრებათ,
ღირს არსაცვლელად ღირებული ხორცი ფარული.

ამ პირფერობას, ამ სიცრუეს ველარ მოვითმენთ,
ნასვამ ბაჭუნებს დიზენგოფზე ავურტყამთ ჭიტლავს
და სამწუხარო საკუთრების მინამსხვრევებზე,
მივაჩერდები გაპონოვის ქუთათურ ბინდებს.

* *

三位一体 სან ვეი ი ტი– სამება– ყოველივეს რომ შეადგენს

ეს მონაგონი არ გეგონოს დასამღურავი,
არ მოიწყინო, სამკაულებს მოგაწვდი პეშვით,
სირაჯხანაზე ღვინის დუქნებს მოივლის მამა,
ტანს აიყრიან ქონდრისკაცა უმწეო თქვრები.

მისი გენია, რუსულკვეთილ რაობად დამყვა,
სემიტი ძველი რადიკალურ სლავურ ანალიზს...
მიკვანთავს სრული სამახსოვრო ქორწილის მტვრევით
უაზრობათა ტერმინული სათქვლეფ-სამართლით.

აღსდგეს ლაზარეც!–მართა ტირის, კეკლუცობს მერი,
მცირერწმენიანთ ვერ შევავლეთ თვალი გროტოში,
მეც ჩემი სისხლი გიანდერძე თესლნარევ მრევლში,
ქაფერნაუმთან მიწა იძვრა, ზეცა ბოროტი.

წყალი...შომრონი, პატრიარქის ჭა და სინაზე,
დედა რახელი ეფრათისკენ ზეც შვილებს ტირის--
წყალი!...ვიძახი,წყურვილს ივლავს სიგრძე-სიგანე,
რომ მარადიულ შიდა წყაროდ ეფეთქოს სურვილს.

ვგრძნობთ, ვით ივსება ეს ქვეყანა ტუტით და ნაგვით,
ვგრძნობ,ვით ნაცრდება ჩემი ბნელი ცნობიერება...
არ რჩება რწმენის სამალავი ადგილის, სანთლის
ცვილნალპობ ჩონჩხებს ვეწირები...გადაშენებად.

რწმენა! ვიძახი...და მსმენელი ვრჩები ეული,
ეჭვი ღრღნის გულში ჩაგუბებულ ყველა პრობლემას,
იქ იერიქოსთან ელიშური გვესხურა ღარე-
წყლებით ცდომილი შენს სხეულში ნელა ორთქლდება.

მალაა რწმენის, ჩვენს სულეთს რომ გადააზავებს,
მალაა რწმენის რომ გვანიჭებს ღირებულებას,
ჰიპოთეზებზე იყიდება დუმილი ჩვენი
და საწარმოო კავშირებზე ვიძენთ უფლებას.

და როცა სიკვდილს ვეწაფებით, ვიცით - ესაა
გზა ერთადერთი, სიკვდილისგან ვთავისუფლდებით,
საკრამენტებში გვემოძღვრები! მიტომ გვეწადა,
კულმინაცია კეთროვანთა... გარიყულების.

ჩემს აზროვნებას რამდენიმე სართულად ვაგებ,
დაბლიდან მაღლა იმართება მნის ლიტურგია--
ამ წუთისოფელს ვაბერდებით გაანჩხლებულნი,
წყევლას სწორ გზაზე დაბრუნებით არ დაუცდია.

გაქალებ ქალო,გამოგირწყობ სურვილებს,ფიქრებს,
დაგაორსულებ, დაგამაკებ აქ ამ სათლავთან..
ანკესი ჩემი შენს სამუცლეთს ფაქიზად იგდებს,
თუმც კი სამეზამ ბოლო წუთი აღარ გვაცალა.

პანდურაკრული მიდის ახლა რუსეთი სადღაც,
საკომუნისტოდ ქალამნები აღარ რგებია--
და ფუტკარივით ბზუის მარქსი, კვამლია მაღლა,
სოციალისტურ წისქვილს წყლები როს დაშრეცია.

შეეხიზნება ებრაელი – ახურავს ქუდი...
ყოჩის ტანივით თავს გაიტანს,როდი დაინდობს,
კარგი ცხოვრების მოყვარული ის აღარ ბღუის,
სავსე ქვევრებზე გამშიქულებს თუ გადაგვიწყობს.

იმედით ვცოცხლობ და ამ ტყუილს ფეხები ჰყვება,
აღარ დაგვბამავ, აღარც გმური პატივცემული –
გახელებული მერასავით წიწილას გხედხი,
ჩხირმეტენილი მურმანივით ეკალს რგებული.

ჰო,არ მოუკლო მის პურს ჩვენი მარილი მყიფე,
ემძიმებოდა მიწას მისი ყოფნა-არ-ყოფნა...
მუხრუჭერილი ეკარგება ნისკარტი ცხვირზე
და საცინველას ორთუმნიან ოქროს გამოვა.

ნახშირჩავლებულ კაჭკაჭს პირში ნაზუქი ედო,
კოვზით წიწაკას მიაყრიდა გველი მრუდობით--
ვერცხლის გვირგვინი აუგნაქცევ ალმასს მიერთო,
ბედგანწირული საწუთროს ნება-ხუნტლობით.

დავიდის თარი...იქ მეშეხში მამაა ჩემი,
აქ სამარხეთის მკვდრებს დავუდგი დიდი მატური,
მარტი გიკერავს ლამაზ კაბას და ჩქარობს ბერი,
შევარდენივით თეთრ ქორს ჩასცხოს ქვა სატანური.

დამვრება ხვრელში,მისი სორო რა დასტურია,
მეც შენს უბეში მოვაცურე ცისფერი ნავი...
სველ-ჭანჭახიანს უთვალავი ცელი გწყურია,
მოგმკლი ფაქიზად ყანის პირზე ჩანერგილ ბარგვილს.

აბაზანასთან ბრიალებდი... წამოსასხამი,
მღივან, საფიცხელ ტვინზე მქონდა გადადებული,
სირაჯხანაზე ყღარუნობდა ერთი არღანი--
გულშემაწყენი, მომღალავი უფლის ზნეულით.

არ ამიშალო ბარიშანი... იმშობიარე!...
ამ მკრჩხალ ბარძიმში ბურახს გისხამ და მეპუები,
მაქმანთშრიალით მომბრძანებლობ ფიცარნაგებზე
და ცხოველმოსილ გადამქოთლებს მივემწუხრებით.

დაგვამღიერებს ამა მუნით და ამა ქეცით...
შერჩვენებული...განდგომილი...განრისხებული...
შემმლეჲ ყოვლის უთვალღებოდ პირდაპირ გვეცყვის:
შეგიცოდიათ შემზარავი ცოდვით, წყეულით.

გულმა თუ უგრძნო დაშანთულმა, შუშხით დაწნდულმა,
მოუჯორჯალებს ხათრიანი შემაცვივლობით...
ზურგს-ბოლ-აღენილს აროხროხებს სამურზაყნოში,
ელვარე ჯავშნით, თხუნელური მაღლთა პირობა.

მომეშანდაკე ოჯახქორო!... ეს პაემანი
ხარდანასხმული პაპასკირის ჭიგოს ყამია...
გესრიალები სეფეწული ენკენისთვეზე---
და სვინაობას გვიგვირისცებს ურჩი ნათლია.

სთვლობაა, გისმენ, პამპლავაქურ ცრაზახში მითრთი
და ფარღალალობს ოთახებში...ფაქლი, ინთილა,
მოფაფიალობს საიდუმლო ფარღიაცებით-
გოხინ-ქშუცუნით ფაშვს მოისრესს ყვრიმალ-ღიწინას.

გესლს ათქაფანებს და ბუბუნით წუნწკლები სცვივა,
ცალანში ცეკვას დაიწყებენ შუშცრუკანები...
მო, მარახოში ჩაზარდახი შემივსე ღვინით--
რომ თელ-ავივში ჩავიზყირო სანამლავებში.

შენ ჩემი მარნა რიგიანად არ გიღვლრჭია,
წოქო კვერცხივით მექაჯება საწნეხი ყურძნის...
გადასაცყლარჭი კალათივით დაუგრეხიათ,
ეს სარცხვენელი უჭირველი ქალაქი კრული.

მეც შენს საკდემლებს უხანობას აღარ ვაკმარებ
და ნაწევარზე გუთნის დედად მოგსახრავ გოგოვ!-
ხერმონზე ავალთ, სახმელებლებს მივუნავარდებთ,
სახლთუხუცესი ავადმყოფურს გვიშმაგებს კოლოფს.

ვიყავ შეშლილი,-ვიყავ შლეგი, ვიყავ უგონო,
უთუმცაობით ჩავათავე სიცოცხლე ლირწი...
შუბლ-მაფ-აწყვეცილს მაოცებდა ძველი სამყარო,
თავის დიდებით, მოქერცლილი მენშით და რიდით.

დღეა ცრიატი, წუნკალები მიბღვერენ...ჭორი,
თავს დამტრიალებს, არ მეშვება ვით ცრიანტელა,
ყიალებს უშნოდ ის უგლიმი საქვეყნო ბოზი,
რომ ძვირფას ქვებზე იძიგძიგოს ციცინათელამ.

იჯერა გული, თავნი მოხსნა და მიიძინა,
ახლა გალობა გამოისმის აკვნისპირული...
ძროდ ჩაუთხლევდა, ფსკერზე აჰყვა,რიღას სინდისი,
ეუცხოვება წარმოდგენა რუსთაველური.

ხელიდან წამგლეჯს,წარმავალი ლუღლუღით დასცრის,
კუმტი სიტყვების ანაძარცვი რაკრაკებს შორით,
შეიმშუშნება ვით ულონო ნაკრუნჩხი ბარტყი
და მოტარტარე ტაშისმცემი ლაგანა როფი.

აქეთ საყდრისკენ, გამოდენეთ ტახები ჩემსკენ,
დამსვით დალიჭზე,აღარ იყოს ტევა ორხელას-
ნატანჯი ცქვრინი ტაფამწვარზე ვისღა დაიტევს,
ტბორია ცრემლის-- სატაატო გადამდორება.

ჩემი ჩელთია და ბერაში გატარებ ლამაზს,
რას გავექცევი, ქვემძრომივით ბორგავს მბეჭველი,
მსხალს მბმოიარეს ნერწყვით ვაკრავ ჩვენეულ პამაკს
მაჯლაჯუნების ფინთ, თუჯმაჯურ სათავსებლებში.

მოთინათინებ მოთენთილი და თვინიერი,
ჩამეკირწყლები სულწასული...ცმუტი ფაცური...
მოულოდნელად გვესტუმრება აღუხოცელი---
მრავალფურცელა მსახლობელი ჩვენდა მსაჯულად.

კალთამაღლიანს მოგიზიდავ მსახოებელი...
ჩვენს ნამუსრავზე ნაჩხენტ თივას მოგაკრეფინებ,
გლიზვავ ამ ლოპრში დიდი ყანწის მწარმოებელი,
მეფიძფიშები ჭოჭმან-ჩხლართვით კეთილ შემწირველს.

რაღას ღონღილობს, რას ბზავუნობს ლაწლაწა ხვადი,
ქევქევებს ბეცი, მომლოცველობს ლაჯუნ-ლაჯუნით,
შევტოპავთ ზღვაში და ფლატუნით მივჩხუპავთ ნაპირს,
კანონთა მსხვრევით და ჩვევების ფრატუნ-ფლაშუნით.

რიღას კანონი, რისი წესი, დააგდეთ ცული...
თანამგზავრებით ზოდიაქოს ცთომილნი მოვვლეთ--
აქ ცინგლიანი... იყუყლება... რეგისტრაცია...
ეწყებათ ხალხებს, სამეფოებს, ეწყებათ ლოთებს.

მე წავალ ტყეში და დავკრიფავ ციდამაყვანებს,
დაგისოკოებ მაგ თვალებში პატარა ტატნობს...
მოგეჯოჯები მოსარული სართვანელებით--
სარიგო არაყს მაწაწურით მოგართმევ ქალო.

ცოდვა, სასჯელი, გამოსყიდვა, მონანიება,
ემოციათა შენადედიც გაიჭრა უცებ...
ფეხათრეული ქინქლა ენად განივნივდება--
ჭიაკოკონებს უფუნუცებს ანლიან ჯუჯებს...

იარმუქისკენ ფეხს იდგამენ თარყაუშები,
მეტიკვნიტობენ ნართაული მეტოქეობით--
თანამეცხედრე გრაცხეს ნუღარ გამეზუტები,
ცხებულ ხელმწიფეს თვითმპყრობელურ სასაუნჯეში.

რა შევთავაზოთ, რით შევკადროთ მას შეიდიში,
ვით დავიოკო შეთვალება უცხრობი თვალის,
მულდაკით მომაქვს გუშინდელი ჩარანდელები...
თავქვე საფარში ჩაწოლილი ჯაშუშის თავი.

და მოჩანჩქარებს კლასთა ბრძოლის ეს თეორია,
მარტია ახლა, დედა მიცდის ანტიპატროსში,
რომაელები ბაზილიკას მინარცხებიან--
გადავმყიდველობთ საუკუნო ერბო-საპოხით.

იყო ცხრარჯული ვით ყურბალა, მაზუნი კაცი,
ნაფერდალ მალას გლემერძული ჭიმვით იტანდა,
პირსაფეფს ხევდა მისალურსმნად მონამზად სასმლოს,
ედო ურდული და სამგიდე ნავროტ ბინასთან.

განგასაწვივა, ლავიწები მიანდო ნატვრას,
მოგიჯირაყვა საფართხუნოდ დობილი ქველი...
და სამაგრავად გადმომიგდო შენი სხეული
ქარტეხილების მოქაფქაფე დინების სენში.

ჰა, ანამტკივი, ჩემი გარჯის, ჩემი განცდების,
განა კი რამეს ასწავლიან ქაქანახირებს--
მათ მოსართავად სამარმაყე ქარცვილი მიაქვთ,
ბლინმავენ მელოტ მოზურყუე ნაჭლიქ ბაყიებს.

ამ მიბრჯნილობას არ მოიშლი, თუმც მიამიტი,
ნაყლმურტლ ბალახზე შეკუნწლული მიახლოვდები-
ღელგმა ღვართქაფში ყვავად დაგლის ასი ოცნება,
ანაზდად მსარქლავ და მის საფლავს აღარ მორდები.

ჩლატუნით მომდევ, მობაკუნობ ამ ბულვარებზე,
სულთმობრძავს ზარათს გამოუწვდი, მომზღვლევი არსი,
არც როდის ამბობს, ვით შეაზამ დაწყევლილ ნოშოს
ენუკვი ზვარაკს და ვერძივით სხვა ალერსს მმატებ.

მიმძიმს რატომღაც მოყვლეფილი ეს სიზარმაცე,
შენს მოყიმრალო მერყეობას ვეჩვევი მალუმ,
აუტანიხარ ყრუანტელად საეჭვო რიწკინს...
უმწიკვლოდ ზეუტვას, ცუდაღელად დარჩენილ ნამუსს.

შენ გამაშორე ნადგვიფარი ზედაშე ღვითქის,
მერევა, ღივის, ეჩუმპება ქემელა მუცელს...
ხედავ? ზურგსუკან შემართავენ, იელვებს ლინწი,
გეჩიჩხვირება და წკლაპუნით მოსმებნის ზუდეს.

მოდი, გამოდექ, მომაწოდე ჭეშმარიტება-
ვუახლოვდებით მას იმდენად, ვშორდებით რამდენს
საავზედითო საჯაროო ტმასნულ სივებას,
ზეფენობრივი სელექციის ფარგლების გარეთ.

დავატაგრუცეთ საჩოთიროდ ეს სამარტვილე,
აღსდგება განა? გამოარღვევს საქვავეთს კაცი?-
რიალ-თქრიალით თქარათქურობს მერანი ჩემი,
ორქიდეების გადამწვარი ფოთლების ნაშთზე.

აქეთ აკანო, იქით სტოა, ხატების ზოლი...
საყოველდღეო საყევარზე გეთაყვანები--
ღადღადებს კართან გადამღრძვალი ყვითელი ჯორი,
სწუნს ანგელოსი, ფრთას შემოკრავს შავ კამარაში.

არ ვარ ზეკაცი,თუმც სიცოცხლეს უარვყოფ წმინდად,
უარვყოფ ფორმებს,სახეობებს,თვისებებს,აქცებს-
შემოქმედების.ობიექტში ჩამირვა მინდა,
მეცნიერება აღარადროს აღარას მარგებს.

ვიღას რად უნდა ინტელექტი ეს ნამაგლარი,
თვითგადარჩენის ინსტინქტს გულში ხვალ ჩაიხუტავ,
მე ამ ინტელექტს პრაქტიკული ნების მარწუხებს-
შემოვაშორებ,სახელმწიფოს მსხვერპლად მივუტან.

მიზანს ვიწონით, დინამიურ სინთეზებს ვმეზნით,
რჩება სიცოცხლე ვით შორეთის ყრუ ილუზია-
ხედავ დავმარცხდით,ველარ შევწვდით იმიერ მერმისს,
მეცნიერებას გული თვისი არ გადუხსნია.

ენა ღარიბი და საზრისი ნაკლული გონით...
შეზღუდულობა ყოველ გოჯზე, ყოველ მტკაველზე-
ჩვენ ამ სარეცელს შემოვუწყობთ ენძელებს, ოდეს
ყოფიერება ძველ სიყვარულს აღარ გვანებებს.

პო,გეხვეწები, არ დამშალო, არ დაპყო ორად,
მესუბიექტე წინდებულთა აწმყოში, ქალო!
სარედუქციო ფენომენში... მშვენიერს გმოსავ,
მივალ მიშველი,ნარინჯცურვილ ხატებას გნატრობ.

მოვიდნენ სახლში მარლიანი დახლიდარები,
საქმე დასცრიათ,მარჩიელმა ივარგოს იქნებ..
უმასპინძლდებათ ხერხიანი ჩვენი გადია,
მასაზრდოებელ მარჩენალებს დოლარებს მისცემს.

დამშვიდდი კარგო, დადუმება არჩიე წუხილს,
მოეზღერთება ბუდრუგანას ბრჭე მოსამართლე--
დასაყრდენს ეძებს მოკამკამე ოთახის გულში,
ჯუჯღუნებს ქურდი, ლოროტოტოს არ გაიკარებს.

ვამჩნევ შენს თვალებს გასაოცარ დიდ მცხინვარებას,
ვეძებ განაფხრეწს და ტანჯული მოგესვეტები,
შეუდაზნოეც განგაშს გვიტეხს, სინაზე ცხება-
თორის მოგების დრო დამდგარა, მაღლა ვზევდებით.

განაწესს დაჰყვნენ,მაგრამ მოშე მიენდო ღრუბლებს,
ორმოცი ღამე...-ქალის გემო მას არ უცვნია,
ოქროს თიკანი თავისუფალ ნებისად სახეს,
დემოკრატობას საგარყვნილოდ ქებას უშლიან.

გასათუთებულ მოკვიყინე განვრცობის თემას,
იყო განვლილი კუმტი წლების დიდი სერია...
განზრახ დაგიწერ და გისრულებ ამ აღსარებას,
ხელ-გულ-ნაცარებს განკიცხულთა ბედი გშთენია.

ჩვენ ვჯანდაკდებით,ის კი რჩება მშობლების მჯერი,
დგომილა იხდის ბატონებით ციურ წითელას..
მას დვრიტა ჩემი შემოაკლდა და სალუარი
დაჯორჯებული დეყისავით ბრანგვზე იდება.

მე დვრილნი შენნი მენატრება, ვეთათუნები,
მაგ სადედოფლოდ გამზადებულ ხორცის ნართულებს,
მოვა,წაგვასწრებს,თავთუხებში არ დაჩუმდება,
საგულისგულოდ კერძო საქმეს გადაართულებს.

შენს თაველებში ვიკარგები,თავ-ნაცარ-ყრილი,
ის წამოიწყებს,მეს ავყვები,არრას დავუთმობ...
დაჭმახებული კვირიგდება ჭადრაკზე გზირი,
მოხოშრავს ხარებს და ამინდზე ჭირხვლით საუბრობს.

აიდგეს ენა,აპარპალდნენ მინაშენები,
მოეხსნათ პირი და ყრანტალით დაეწყნენ მწყობრად,
დაუწყვეტიათ იერუსალიმს ფარისევლები –
კრტიმლობენ კრკილნი,იესო ქრისტეს ბლუნძავენ მბორგ

კრუსუნებს დედა,შვილი უწევს ტახტრევანდებზე,
გარეთ კრუშკრუშით ბრბო მოიწევს ქაიფას სახლთან,
კუბოს ფიცრამდე მიუყვება მაგდალინელი...
კუდაბახალა მწერალ ბრიყვებს იგონებს ახლა.

და იმურწება დაწალდული სიწბილით მუნწი,
იყო მგმობელი და ბრდღვინავდა დისკო მთვარისა,
ჩაეფერფლება წმინდა.საფლავს, წუწუნებს შურთხი,
ყურყუმელებში ცოხნილ ცხედარს მოესაკლისა.

მოგვეხრახნება ჩაკაკვული და დაძენძილი,
წააგუნდავებს მრავალკუთხედ კვეხნას კორნეტი-
საკმაყოფილოდ გაუკიცხავთ საკვირველება
საკინძაგლეჯილ ჩინოვნიკთან გვრჩება თხოვნები.

უკუმიაკარ ზემივარდნით ეზნიქე სხლეტით...
ხედავ ირღვევა ყველა მადლით ეს პროტექცია-
ლექსიკონები გადმოიღეთ... წითური ლპება...
ულაყდაღმართულს ეტოლფარდა აქ სელექცია.

თეთრ ჰიდრიდებში წელწერწეტა გოგონა იწვა,
მეც მუხლწახრილი ვეწდეოდი გამლილი კავით...
მალაგამოცლილს მისი მძლავრი მარლვების რითმა,
მაცივდებოდა გაწყვეტილი ნაჭედის სახეს.

უთავშესაფრო მოვიკითხე და თანაგრძნობით,
ვუთენე ღამე...ერთი,ორი...ათი...ათასი-
დიქტორის ცივი ხმის დოგმატურ სიყალთაბანდეს
დავუხსნი დავთრებს...ვისაჩივრებ ცბუნი ნაფლავით.

გასცვივა თმები...ცამტვერდება,დავგჩხავის,მოსთქვამს,
გადმოგვდო სენი კუეკოში ინკათა მოდგმის...
დაახრჭიალებს კბილებს,დაბღვნის გაბალთულ ბოცვერს,
ებყლვრიალება აწინკანურ ლისაბონს თოვლში.

აჰა,ბაწარიც, გამოვაბათ საჩქაროდ კისერს,
გაპარტახებულთ ყინიანი მოზვერი სდევდა,
გრძელთავიანებს გუდა-ნაბადს მოვაცლით, ფიქრებს
გადაეცემა ეს თაობა...არ უნდა შველა.

გადმოგვფენია შენი ვარდის სურნელი კარგო!
მასკდება თავზე მონარწყული საბჯენი შენი,
გადახეული კაბის კალთა ფრიალებს ქარში...
და ჩაწინლული უბნობს ამბავს უცნობი ბერი.

რა ვუმკურნალო, რით ვუწამლო გადახსნილ წყლულებს,
გვწყმედდა სიმშვიდე ოკეანის, ზღვების, ველების
შვიდჩლიქიანი წყობილების მტვერცემულ ბზართან...
წამოგვარწყიეს მონაძღოლი წაფვის ხევები.

რაჰათლუქუმი...ჩვენი იაფოს რაჰათლუქუმი,
მომირთმევია საკუჭნაოს ბოლო კედლებთან--
სალავათმაღლებს გადამმვრალი მანტო შენასკვევს
და დამხობიათ გადამწვარი ბურღვის ჩვენება.

რას ვბორიალობ, რატომ ვბორდღავ, არ ვიცი მართლაც,
მაჭლექებს ვნება...ნაჭყლეტ ფილტვებს ხავერდში ვახვ
ავმგერებია სხურებული თირკმლების ჭრილში,
აჭრელებული ასტროგრაფის წეწილი სარკე...

მო, ჩავიხედოთ, მაშინ გეტყვი ვინა ხარ ქალო!
ეს მოღალატე, უჰირსიტყვო გამცემი გზნების...
არცვინ არ გიზლობს, არქონტები გინდობენ მარტო...
დაგარწყევინებ დიდი სულით მაგიურ მემფისს.

ვინ ამოგიშრო მუმუმკერდი, გამოტყდი, მითხარ,
ვინ დაგიწოვა რძის ნაყოფი, გადმონთხეული--
ვის მოუთხვრია ამოვსილი ტერფების კიდე,
დაუზუნზლია შენი თეთრი, ბროლის სხეული?!

მითხარ, გამოტყდი!...მხოლოდ სარკეს ვენდობი, ღამით
ღამეს ავლისფერს, ავგუსტინეს რომ გვაზიარებს
იილიავებ ალებასტრებს მლანმავი ტონით,
დაულამბველი კრინოლინის ალალ ცრიაგებს...

მეც ალავერდი გადავედი, კახური ღვინით,
საგურჯაანოს აკორდების კრებით მივუვალ...
აუკრძალიათ ლიტანია...თაიგულს ისვრის
ხმაგაკმენდილი...ფეხშიშველა, თეთრი ბიჭუნა.

მინდოდა ვითარ, ყვითელ ალბომს შერჩა სახსოვრად,
დღე გადასული, ძველი ფოტო, ქაღალდის გროვა
გადაიგლოვეს ჩაკრეჭილი კინკრიხო ბედად
შემობარდნული ჩვენ შემოგვრჩა ვნებათა ჩქროლა.

გადმოგიზიდეს სათვალავი ეს უთვალავი...
თითქოს ქარებით ვემგზავრები ტრანსსაქსონიას,
არალის ზღვასთან გადამხმარი გვიცდის ხორეზმი
მმოვრობენ ქვიშას, მონღოლებიც აქეთ მოდიან.

მითარგმნე ლექსი,ეს მოთხრობა ან ეს პოემა,
მითარგმნე თავი, ფეხი, ღვიძლი, შენი თვალები–
მთარგმნე წრთობილი უგონობის არსით სამხობით
ითარგმნე თავი, ცნობიერი, სიზმრით, ზმანებით.

გადაწექ ნებით, რასაც ვამჩნევ აღარც მაკვირვებს,
მან დაგიმძიმა ფეხი გოგოს,მანვე ჩახია...
გადაფერილი საქალწულო ცხრობილი აპკი,
დაგასამსულა... არც კი ვიცი საით გარბიხარ!

გარბიხარ ჩემგან და მიფურცლავ ძველ მატიანეს,
მეღვრება თავზე წაყვლეფილი საშხივლე ბავშვის...
გადამიტიხრეს გულს სარქველი, როს მაზიანებს
გაორებული ჩვენებებით ალვსილი თალხი.

მო, აფათურე, ეგ ხელები, არ დაიზარო!
მოშენდი ლტოლვით, მოაზავთე კომლექსთა წყობა,
განწყობილებად მეფინები,ვერცხლის ცფიალებს,
ეწყებათ ახლა სანუგეშოდ წრიული კრთომა.

მაგრამ ჰო,ღმერთო,ეს რა ხდება,რა სასწაული,
იშლება სარკე შენი ტანის ანაწევრებით...
თავი კვეთილი, წყვეტილ ფეხებს სისხლდენით ჩასდევს
ტვინის სამგიდე, მუმუკრული მოსარხევლებით.

მიათრევს ჩონჩხი, უკვდავების ჩაკარგულ იმედს,
დარჩება საფლავს მერყეობის ეს აგონია...
სამართლებრივად მოვიბუთხავ კატექიზმს აქვე,
აქვე გავიწყებ... უთავბოლო კაცის ბოდიალს.

ვერრას გაიგებ, ვერ მიხვდები, დარჩება მხოლოდ,
მხოლოდ ეს რწმენა, გვიანდელი პოვნის, ძიების...
გამოგიმწყვდევდი ამ საფლავის სანთლების შიღმა,
გამობრძმედილი საუკუნის მკვდრების სიებით.

სარკემ გამოგჭრა...დაგიხვრიტა წერტილი ყველა,
ნუღარ აჯავრებ შენს დარდიან შემოქმედს ქალო!–
გამოიბანე ნათესლარი...საგვრემი ბრკენი,
ამ სიყვარულის, თანადგომის და ცოდვის გამო.

მინდოდა გასვლა, თუმც როცონდა ალში ხვეული,
მექაჩებოდა სადღაც იქით, ფრესკათა იქით...
აწვდილი ხელით, გრგო დგებოდა გაქვავებული,
ხსეულწრეცილი გოლიათის ნაფრქვევის მისწვრივ.

ვერ მოვახერხე მაშინ გასვლა ამ საწამეთით,
ამომიდუღდა ცვინში სისხლი, ფილცვებში სითხე,
ჩამკეცებიხარ, აღარ მიშვებ, ფეხთ მივარდები,
ამიერიდან მამთხვევინებ დაკუწულ რიზებს.

იყავ ალქაჯი და მალომბდი ამალგამებში,
თან მილუქავდი, თან მიხსნიდი პირს სამეცყველოდ,
ორი ათასში მეც შენს რგვილში ჩავიკარგები,
იზრუნე მაშინ კარგი წელი რომ დაგვევკვებოს!

მონაცრებულო ამ ნაქროლი ფიქრების კონას,
მონაწყურები მხევალივით მოესართლები--
ხარ დანიშნული ღვთაებაზე...ხორცი კი თქროლავს,
დაუნამლეველ ხავერდისფერ სიამაყეში.

რა თავში ვიხლით ამდენ მხუყე მონოგრაფიას,
ვწერდი და ვწერდი,თვით არ ვიცი რაცომ და ვისთვის?
მენ დაგიწესებთ უთვალავი იზმის არმიას,
მენსკენ მოვდენი...მეუღლების საფასურს გიხდი.

დაკმაყოფილდე იქნებ ახლა, მკორცნელი ნერვის,
მლაშე ფლუნქულებს გადაუხსნი სინათლის მმარხველს
მე მიმკურნალებ, სულდაცემულს, სინდისად მეცყვი:
-მიყვარხარ არსო,ჰო,მიყვარდი,მიყვარდი ასეთს!

არ მიმკურნალებ?! მაშინ წავალ,მივმართავ მამას,
სული წმიდისა დამიმარგლავს დანალმულ გულმკერდს,
დამითქვამს სახელს, დამისაზღვრავს კანონთა სამანს,
დაუკითხავად გამომიშვებს უჭირველ ბრუნზე.

გიკემსავ პერანგს და გიკენკავ სახორბლო მარცვლებს,
მემოდგომაზე დაუკაფავს აღარ გაგიშვებთ...
ჩაგვებლანდები მოწეული ნაყოფის თლუნცით--
გაჯიქებული სახუხავით მშიერ მაწიერს...

არ დაამშვიდებ?! გაუჩეჩქავს გაუშვებ მაინც?
ნუ მალიანობ, დამეცეხვე უნერწყვო ცოფით-
მოგაშტერდება, სიფრიფანა სატერფალს ჩაგხდის,
ეს უშიშარი, უცემელი შავეთის მძორი.

ამ უდროობას გამიჩორკნი, გამისაჩუქრებ,
უცხარებელი გვძლევდა მოკვდავთ თანასწორობა...
გასაწბილებელთ სახარებით დავუსაბუთებთ,
ჩასაჭვრეტ მიზანს და მისაწვრთნელ მაღლთაპირობას.

რაღა დაგვრჩება ამ ქვეყანას გასამიმგნავი,
გავუძლებთ კია ამდენ ტყუილს, ამდენ სიცრუეს?!
განიბანება ყველა ჩირქი, ყველა მისხალი,
განიწმინდება...როს ნაავდრალ თავს მოვიყრუებთ.

განმარტებები, კიდევ ერთხელ განმარტებები,
სად ვიყავ წუხელ, განმარცვული რას ვემსჭვალოდი,
განქალებული დამედები განივკვეთებზე--
და ჩემს განებზე ისევ ისე მიგანგანობდი.

განუზრახველი დაგვრჩენია ამდენი ზრახვა,
გამომეგებე, მომაგებე სიტყვაც კეთილი--
გამომიკვანძე ეს სურვილი, ოცნებაც ახლა...
გამჟღავნებული საიდუმლოს უცნობ წერტილში.

რაღას უქვითავ ამ სიცოცხლეს,განვლილი წლები,
ჩამოგლესილი ფულის ქაღალდს მისტოლებიან-
იქნებ ვასესხოთ ერთი, სამი,თხუთმეტი ჩლიქი,
რომ ბრუნდე გზებზე არ გვატაროს მალაგენიამ.

იქ ესპანეთში გამიტაცა გადისის ქარმა,
ანდალუსიაც...მზით ჩამთბარი მარღვივით იწვა,
ერთი მორენა შემომიტანს ლიქიორს ახლა,
ისმის ფლამენკო, ანტონიო წითელ ლუდს მისხამს.

მო,გავეპაროთ, ასე ჩუმად,ასე ქურდულად,
რა გენაღვლება,დაე ეგდოს აქ გაპარჭყული--
ჩაპირუტყვებულთ განაპობი ქუდი გვეხურა,
იულიტებოდა ლოს ანჟელესს მძევლი ფარული.

მან გაგვირანდა ეს რითმები, განერთხა ზეცას,
ვითარც სალმერთოდ აღვლენილი ბლუ მონუმენტი,
რა მიერეგვა? ჩვენ გვერღვევა საქვეყნო ბნედად,
ამპარტავანი, მოავგულო ბჯობის ზმორებით.

გაკოპწიავებს, გაკოხტავებს კრიალა სახევ!
ჩაელაწუნე, რაღას უცდი, ლიბიდო გიხმევს:
მას ჩაელოპრე სადიაცო სათავთულებით,
მას მოელოკვე, მოელეწე მყრყოლვარე მისნებს.

იწამეთ კაცნო! ხმა ველურის ისმის უდაბნოდ,
გვეთვალთმაქცება დათითხნული და გათოშილი...
ზარმაცი ხვიდო რა ვერანად გვეთანაბრება
საზნექ ლეიბზე უთავხელოდ შემოწოლილი.

უდარდელობა მოგიხვავებს მაგ სანებივროს,
იუდეველნო, გონს მოეგეთ! იწამეთ ღმერთი--
ბიბლიის ძალით დასათრგუნავ სიმად ვზეიმობ,
სადიქტატუროდ განფენილი ზეკაცის ხმევით.

* *

承先启后 ჩყენგ შიან ჩი ჰოუ — წარსულის დამკვიდრება და მომავლისკენ სწრაფვა

იყოს მოწესე ჩვენი ძმეთის საჯვრო მარხვისა,
პროხორე ფრესკებს დაჰკანკალებს,მღვდლებიც ადრიან
ლოცვანს გალობენ მოძრაობის საძუძგ პროცესში,
მოწერილობას შემოჯვიტანს... ისევ გარბიან.

კედრონის ველის დარანებში...სისხლისმწოველნი,
აი,მყიდველიც ეტანება მყაყე საგოზავს...
საგუნდრუკეზე ჩაგვემინა, გვლოცავს მღვიმელი,
არმაღანები მოვუტანეთ, ხვატიც ჩამოდგა.

იგივე ქვიშა, იგივ ლული და კაეშანი,
აგრილდეს იქნებ, ბინდბუნდების კიდე-ნაპირზე,
ფეხქვეშ გედება ეს მლიქვნელი და აბეზარი
ვინ იცის ახლა, ამოღვილვას ჩვენით აპირებს.

შეეცირება უსაჩინოდ დარჩენილ მცვენებს...
მორცხვი მკვიდრივით ითაკილებს ჩვენს სამახსოვრო
მოგვეცყუპება შეუმცდარი ურყევი ლანდი,
თითქოს სურს მუდამ უსაზამო ცქერა აცოკოს.

ჩამოაყენეს ქვეითები...ლუწი და კენტი,
მათი სათქვლეფი სანწვენური ქვაბში იშქვლევა,
ჩამოხინცული იბღვირება პაცარა გოგო,
ბათმან ქაცოში სიყვარულის ნექცარს იმლევა.

მეც მეძგერება, დამიგულებს სახელდახელოდ,
დარდი და ზრუნვა არ დაულევს თხოვნას და სახვეწნს
შემხუთველ ბუღში იხვრიპება ერთსულოვნება,
თავშენახიზნი ბობოლების მას დღესაც მართებს.

მო,შემეხამე ნარინჯების სათნო ასულო!
შემიხორცმვალე შენი საშო, მუცელი შენი!
შენს ასაკვეთად შემნაცვლებელ სათხედს მოვიშვერ,
დაგიხანგალებ ყველა შუკუნს და ყველა ხვრეცილს.

შუამდგომლობით რას გააწყობს,ლოგოსიც დარჩა,
ვით ღვარძლიანი, ჯაფიერი გულარდო კვიცი...
ჯაგჯაგით მოვალ და შებრყვილულს მიამბობს მამა,
გულსავიწყებელ მოლაქლაქე აწყვეცილ ფირნიშს.

წუწურაქები ცრაბახობენ გამოცდილებას,
ნათლიღებაა და დრცვინავენ ხარბი მონები,
დურდოს გვიკურთხებს წყალკვინცელა,ვიშვიშებს ცქაფ
გავუძლო უნდა, ნაღამევი მიცდის სორრელი.

ჩვენც ვერ მოვჭამეთ ეს წუნწუხა წუთისოფელი,
მიამიცობამ გადაგვქანქლა ქანცგაწყვეცილნი...
შენს მუკენებთან დარჩა ჩემი მცირე კალონი
და მეგობრების ბრმვილი ბიწში გადაცდენილი.

მეც მეფარველე, მიწყალობე დიდება ჩვილის,
"რასა ცაბულა!"— ასი წუთხი,უზადო ნავლი,
ამ საწუთროს უძრახებელ სარწყულებს ვუწვდით,
შორს ქარაფებზე შაცაბუცებს დაელოთ ბრალი.

მივალ ჯუნინში, ჩემი მიწა, სამშობლო ჩემი,
არ დამიჩეხოთ პალესტინა...ქანდირბაზებო!
თვითგამორკვევა?!-პანდუქსიონს მოგაქნევთ ერთი
ნაციონალისტი - ჯიპალების ეთნოსს დაეზღო.

    ერთია მიწა და უფლებაც ერთია გვგონებს,
    დაგვილანგარეს ივერია ირისტონლებმა,
    ამ ქარაშოტებს მოქაფქაფე მოქარსლავს ქაჯი,
    მიუგლესუნებს სავიტრინო მინებს ოცნებას...

ჰო, დაუარე სადარბაზო, იქნებ ლაზური
კომდლურ მწყემსურზე გერგეტულად განდაგანდები,
ვისა აქვს თავი...ცეკვა უნდა მართლაც ქართული,
მოაქვს ქარასხნა სამეგრელოს ასულს ლალებით.

    დე ფანტონ ქარი, გადარეკონ ზარტყები კეყოს,
    გაღაფონ სული, შეეხუთოს სუნთქვა გულჯობილს,
    რჩებათ სურვილი და ეშლებათ მათ საღერღელი
    კეთილსანები, ტვინმლეული ნელი სუნსულით.

მოიგუნებეთ ეს წყურვილი, ლიხთსააქეთო...
საყველაწმიდოს გასავლელი რჩება მანძილი,
გასილავებულ საბარდულებს ზერგნად აეგო,
საეგებიო მხილებები... ბაკო-სადგურებს.

    იყო პირობა, გარეკნების გადმონასახი,
    ორი ბათმანი -შენთა გზართა ვარ მონაპური,
    ნაკრეჭი მღვდლების კოლტს მოდენის ვანელი გოგო,
    აჩნაბაჩხური ნახორხალით დასტურდასმული.

ამ ნაჯაოსთან ვეფეთები, არ დავაშინებ,
გავიყვან ყანას, შემოვარხევ ხოდაბუნებში,
პაპის ანეულს ცხინვალური რიკრიკით მივცემთ,
მოხიბლულს ჩემით გადამღრმვალი ველამუნები.

    მო, წაიყარე ეგ ბეჭდები თითებით თლილით,
    წაგხრი, წაგკაკვავ და მოდრეკილს ჩაგიტკბობ ლოთი,
    სადღაც სოდომთან ლოტს ეკვეთა ორი ასული
    დაორსულებას მიანდობენ ბერაბერ მშობელს.

აი, გრძნობები, დაფლეთილნი ვით მაწერია-
ცნობიერება - დაკორძილი თავის შეცნობის;
გონების ჯალდა ღმერთს შეერწყა თუ გაერია...
მოგვინარეკლავს კბილებჩრილი ღობე სერობას.

რა თვალზე გნახე,გაანჩხლებულს მახევდი მაშინ,
მარგალიტების კრიალოსან საყელოს ცოდვით,
ცხრაწვენას გეძოს დავიფიცავ,შენს მზეზე დამცემს,
ჩინჩხვრების მეზნა და ჩინური ანბანი მოდგმის.

ტოლს ვინ დაგვიდებს გაუწყანელთ ამ ცხელ ზაფხულში,
სანელგაწეხილთ პირშავობის დამღა გვაცნია-
სისხლის ალებით ამოვიყრი ჯავრს... ხევსურეთი
სამაგიეროდ მოგვიმზადებს წაწლობანიას...

რას გვაქეზებენ, ან ამ სიწყვებს იწვერმახებენ,
ჩვენ სანაწრელი ქედმაღლობით გავქირდავთ საზმელს,
საშარისაკენ ფეხგაშვერით, ქარცეცხლში ლწოლვილთ
ქებათ-საქები ენერგიის სიმდიდრეს ვაკმევთ.

დაიწყოს ომი, საკაცეთი არ გვეყოს ყლაპვად,
ყორანთსაყივრად ვწრიალდები ეს ოფიცერი...
შენ დაგწრიალებს მოწყალებით ღვთაების თვალი,
სათნო ცვა-ფარვით მარიამი ლოყებს ითელის.

ვერ მივალთ მასთან, მასთან ყველა იყო მწყუანი,
ილინჭმოგებულს სალალაწოდ აღარ ეცალა...
ანუგეშებდა ქვრივს და ობოლს მზაკვარი ქალი,
უკუდო მგელზე მოთვალთმაქცეს მამრი ეწადა.

არც დაიკარგა ის უკვალოდ, ცრემლია შაშვის,
ახლაც დამიცდის შვიდი ბრძენი,საზერძნეთს მივალთ,
გვმოძღვრავს ხილონი,კლეობული...ანახარსისი
კრანწორი მლიქვნელს არ მოუთმენს,მონიშნავს მიზნად.

ნუ მემწერები, იქ თერმულას ლეწვაა კევრის,
დაგეუფლები სათუთ მუცელს,სვეწ-შეყენილი-
მიუწვდენელი ნიაღვრების რთველია ნიქოზს,
მე, უწიფარი, ამ მუქურას შხამად გევლები.

გადი ცარიელ!-ისე ვითარც მოხველ ცარიელ!
მაღლით კაცამდინ ყველა გკილავს მეძავო ზაღვო!
წყალჯავარიანს ხელის საზან ტბას ამოგივსებ,
ყურებცქვეტილი გოგონების ბედკეთილ საქმროთ.

ჰა, გვათენდება ესე ღამე უმანკო თოვლით,
დაჰკრა საათმაც საანბანო ჭეშმარიტება...
ნაცარს მოგვაყრის ტერფშელეწილ სამარხთან მდგომი,
ტარმოტეხილი ჩამჩასავით ყველგან იჩრება.

მესროლეთ ყველა ეს ფოტონი, ყველა ნუკლონი,
ნუ მიწევთ უჯათს, შეგებრალოთ ბრიყვი გენია,
სევდაგებული ნაღვერდლებზე ვიღლები წოლით –
მანდილახდილნი სარეცელზე თრთოლვით მელიან...

ავ-ქარ-ნაცემნი მიბრუნებენ წისქვილებს წყნეთში,
მეც შობის ღამეს ალილოზე დავდივარ სოფლად,
გავლეწავ კალოს, გალეწილ პურს და ნამჯას მოვხვეტ,
მომეც არნადი, ეკლესიას მომწყინდა ყოფნა.

ყვავილობაა იქნებ ახლა ჩვენი ასკილის,
მიცქერს ატუჩვით მიწისფერი მოყვასი მტერი,
ჯოჯოხეთს ბჯენი რა ტიალად უხალებია...
პიაცა მარკოზე ფრთებს შემოშლის ცისფერი მტრედი.

გული შეგტკივა?! ამ ნარეცხში იმერულ აბაზს,
გადმოგილოცავ, იუდაურ ამბორს გაკუთვნებ,
მზეც გეკბინება, ეთამაშე, მოეპატარძლე...
ნატვრის თვალივით ეპირმანგე, ენა აუხსენ.

ან საწვეროსნოს ამიქავებ ამდენი კოცნით,
ლეკვის ალიონს ვეჯიბრები, ლუმს კალვარია...
პალიასტომით ამოვდივარ ვინმე მესეფე-
მგზავრი გვიანი მოვენგურობ ღამეს მთვარიანს.

ჩაილურს წავალ, პეშვით შევსვამ ქიზიყურ ღვინოს,
ნუ ჩამაქციე, ამ პატივში დაგრჩა მზითევი,
კვერცხში მწივანე მენატრება ჩემი საცოლე,
სულთაქათს ვიქრობ და ამ დარდში მაინც ვიზრდები.

ნუ გადამიქცევ ამ მადლს მატლად შენ დამიფასე,
შენ დამაბერტყე შენი კალთა, კალთა სიუხვის,
ქარის მონაბერს ჰგავდნენ ცოდვის სახილებლები,
როს ღვთისსასტუმროდ იესოს თავზე ლაფი დაუდის.

ნუ მიტეხ ზენარს, არ ვყოფილვარ მაკნინებელი,
მთელი ქვეყანა პირს მომატეხს, რა ღვარს მივეცე?–
საცერქვევითად ვიბერტყები და უსურმაგნი,
უქონოდ ცლიან ჭიქას, მერე მიქასურებენ...

ამ მონასტერშიც თითქოს მართლა ჩამოუვლია,
მილის ქვეყანას – პირგახეულ დამსჯელს სიბილწის,
სუფევითაც არს...ფეხს მიბრუნებს არ მოუკლია,
ჩვენი მოწყევლა, ქრისტეს სახის თიხის სინდისით.

–გთხოვთ, გაიყვანეთ ეს უბედო წაწყმედილები,
საკუთარ ნაწლავთ ძაძით ვმოსავ ძვირ-გულ-მოდებულთ,
არ დაგვაწყდება აქ გვირგვინის ნორჩი ტოტები,
ჩანავლებული ორპირობა გვტოვებს წოდებულთ.

მიფქვი საფქვავი, ახლა მაინც დამისხი წყალი,
წისქვილზე...მალე, იქნებ საქმეც შემოგველია...
ჰა, გამომართვი გასამრჯელო ცალკემოტუჩეს,
არ ვარ ბოროტი, არც ვყოფილვარ თავიძვრენია.

ორომტრიალმა თავბრუს სხმევა იცისო:-მითხრეს,
თვალი ტრიალებს ოცობოცოდ, შენ გეკრუნჩხება–
ფარდაგს გვიძლიან ქველმოქმედი ფარისევლები,
წამალს ადებენ, ასე უბრად უზის უფლებას...

ლაგამწამოყრით საუბრობდნენ...კვამლიან ოთახს,
დაჰკრავდა ლუდის, სიგარების წიბახო სუნი-
ყელს მოიღერებ, მოხდენილი, აყრილი მოხვალ,
ლერწამტანადო! ლეჩაქს მოგხდი ბრაზით და დურდლლით.

სად იყავ მაშინ, სად დაჰკარგე ჩიქალა შენი,
ტყირპვაგდებული ღერძს გამოვკრავ მთელს ამ საკაცეო
თუ განგებაა, ცეცხლის დამნთებს მოსძებნი ერში
და წუთისოფლის მაყურებლებს უბით ატარებ.

რას ზვაობ ქალო! ყელყელაობ დღისით და მზისით,
შავ-კაბა-დასმულს ეს საფლავი გეპირქვავება,
საჯვარცმო ბოძზე გაეკრობი სიშურის კერძით
და სიჩუმეთა ანგელოსი თავს წაგადგება.

მახის დამრწყმელი თუ იყავი, მაშ დაასრულე!
ციყვიგლეჯია რომ ყოფილხარ, შევიტყვე გზაზე...
ასე უკბილოდ გამოვიდენ აქ ნაჯყაპურტებს,
დედის მუცელში გავაწყალებ მლიქვნელებს ამდ

ნუთუ უდიერ მეგლად სახეს ქრისტეს სხეული?
იუდეველი ბურჟუების პერანგებს ხევდა...
თავზე მტვერს უდენთ, ია-ვარდი ჰფენია წუხელ
ეუფლებოდა იერუსალიმს ნანატრი სევდა.

მე ამ ასან-ებს შევასრულებ ხერხემლის გასწვრივ
მძინარე მძრომი კუნდალანი-ს აუშვებს მერე.
სანკხიურ იოგას ჩამოვკვიფენს მშვიდობის ბუდა,
მანი-ს სახსოვრად სიბნელის და სინათლის ფენზე.

და ისევ კანტი, სამუდამო იმპერატივით,
ხსნას ეძებს ლექსში - იმერწება დიდი გენია-
შან-ზ ელიზე-ზე ვიძირებით იდეალებში,
თითქოს აზრები სამწირველოდ აღგვიფრენია.

ოდესღაც ვიყავ ზედროითიც, ზესივრცობრივიც,
მოვლენა ჩემი წარმოდგენებს მიწყობდა გვარში,
გამჭვირვალეა ილუზია ვით სხვა იმედი-
ვითარც თანხმობა სუბსტანციის გაქრობის გზაზე.

გთხოვ:-მომაწოდე თვითმათბურა ჩაით რუსულით...
მე ესენინის ნაწერებში ვეძებდი შვებას--
დამელოდება იქ ტრაქტირთან დედა წუხილის
სული უსაზღვრო, რიაზანი... ზარების ცემა...

თვალამოვკუსულ საოცრებას ვამსგავსეთ ივი...
გვინამხამებდა ჩალურჯებულ მუქ-შავ წამწამებს,
და უჩინარი გვილოცავდა გასავლელ ბილიკს,
გაშტერებული, დაღვეფილი გრძნობით ნაჩქარევს.

დე ივალალოს, რაოდენიც უნდა ვაგლახად...
დე იზრიალოს შემონთქეულ იზოჰიფსებზე--
კინწისკვრით აგდებს, სამათხოვროდ მოსულ უთვალავ
კიზორჩხალათა მოტარტალე უშნო ქიმერებს.

სარჩო-საბადში დამეკვებე მზიანო ქალო,
სასტიკობს ვალში მოერთგულო ეს უდროობაც,
უერთმანეთოდ არც ჰქონია ნაწყისი აწმყოს...
გვინვითარებდა სავაჟკაცო საძანთმძლეობას.

ველარც გაუძლო ის დაეცა როსკიპულ თხლეში
შემოიკვეთა ფეხი სწრების... და უფარგლავი-
შემოუთოხნა ჩვენს მონასტერს სათიბი გლეხთა,
რწმენის სიხარულს როს შესწირა თავი მართალი.

არა, ღმერთის ხმა, ერის ხმათა ტოლი როდია!
უსულო გვამთა უცნაური მევს კოლექტივი--
მე ამ კოლექტივს ვაწყებინებ უქმად ზორიალს,
დევს თავკვეთილი, ხელჩეჩილი და მოზეთილი.

„გოსეტეზ ჰარტუ ოჰი დიტუ ანდრე ედერრაკ"–
მესმოდა მწველი ბგერადობა იქ საბასკეთში,
ურრუტიაკო ჩემს მუჩაჩას ჯავრით ეკვეთა,
ჩამოთრეული კონწიალებს იქ დასავლეთი...

დამეყრდენ ისევ,ისევ მენდე, ამბობს კვესტორი,
ვის უნდა კვეხნა, რატომ ტირის ქარში ბაქია?
კვირისტავებით გალამკული სულს ლევს მენტორი,
მას მოუჭედეს დუქნის კარი...ისევ სარფიან...

ნაწვევ შედეგებს მოელიან ბიუროკრატები,
მოუყეყავი არ დასტოვეს საბაზროდ არსნი..
საძღვნოდ გვინდოდა მოწნეხილი მუს კამათელი,
სეკუნდანტებით ივსებოდა ცისქვეშა თაღიც...

მოვიდნენ! მოსხდნენ ამ ჩვენს ნათელ სეფედარბაზში,
ვინძლოთ, ადგილი ყველას ეყოს, სვეკმაყოფილი-
გზას დაულოცავს სიავკაცეს და მხოლოდ მაშინ
შემოგვეტკბობა ზნე-შეტყველი სივრცის ცთომილით.

რატომ დაბღუი, ჩაბუტბუტებ ნაფლობ სიბილებს,
დამეკონწიწე, ჩამეკუტე, დამავსე ფერფლით...
შემდგარა მღვდელი და გამწყრალი თავით კირკიტებს,
ცხოველდებული მთაგალმელი ათპირა ზევსი...

დამცხრილე ახლაც, ნუ დამინდობ, მომაგიმუგდი,
წუხელ დაგწმინდე, პურიც წყალში ჩაგიწე გულად-
ჩვენი სიცოცხლის სადგურებზე გახრწნილი მძულდი,
ხუთას პიროვნას შეგამლევდი სიზერწით მსუნაგს.

მივათენებდი მეტროს ბნელი ვაგონის ჭერზე...
ჩანდა ჰარლემი ვით ოცნების წადილი ძველი--
ნიაგარობდნენ თესლმწუწნავი ზანგი თოროვები
თხუთმეტ დოლარზე პირს იბანდნენ სამდური ნერწყვით.

ჭინჭყლობდნენ მარად, ვერ ვუძლებდით ჭირვეულობას
ოფლდარეულნიც სავარამოდ მივექანებით...
ასეთ სისწრაფეფ მიუბეგვეს მოყვასს ტერფები,
იმხვართებოდნენ გამოტილი ცხედრის ნათხვლეფში.

თუ გამიქარვებ ამ ნაღვლიან სიმღერას, გკოცნი,
ლოყებღაყღაყას, ჩაღვივებულს, შინაურ ნათრთოლს,
ნუ მეურჩები გაუფურჩქნელ ვარდებსაც მოვწყვეტ,
ნაცარ-სატუტი ტრაპეზების უფერულ საგმალს.

დაუტყლაშუნე მარმარილოს...რა გენაღვლება?!
აქ ყველა სული, სერენადას დიდს ამბობს ერთხმად,
დაგფცქვნი ვნებიანს, გამოგლოვილ შინდედოფალას
თმებდაგლეჯილი ეთხოვები სამყაროს ნერგებს.

გამომზეურდი!-მოიმშრალე გუგებში ცრემლი,
მე ამოგინგრევ საქალწულო სახორცულს რვალში-
მიუსუფთავე ნამზეური ხორბალი ქრისტეს,
მოგვემვას ეგებ, ან ეგების გვესტუმროს ბარში.

ჩვენს ნაზ სიზმრებში, გადმოასკდეს ცისფერ ლაგუნებ
გადმოიღვაროს ვითარც სითხე ცეზად კუმშული,
ყინ-ჩაკვირტებულს საარსებო ქნარად დაგიმწყვევს
დაგვესიცყვება ინტერესთა ქრობის ურდულით.

არ დაინანო! ახლა მივხდი რატომ ვარ სუსტი?
ველარ დავძლიე გაორების ფილოსოფია...
რახრახებს ღერძზე მოტრიალე ქვეყნების შუთქი,
გაჯიქებული მის წირპლიან თვალს ჩასცობია.

იქნებ მივასწროთ, ჩქარა,სწრაფად ვიხმაროთ ხერხი,
გამოვეთიშოთ სიბინძურით აკენკილ მარცვლებს,
სურვილკვეთილი ნათურებით დაგვხარის დედა
და გადაკურცხლულ ნიამორებს საბძელში ამწყვდევს.

გამოთხოვებაც ემსგავსება დღეს ტრაგედიას,
მიხმება ხელი,სიტყვა სტოვებს აქ მნიშვნელობას,
დავიდის მოდგმას პალესტინა დაუქცევია--
რომ ისრაელის დარიჯაგი ექცეს ზეობად.

საკმეველს გვიკმევს,ხომ აღსრულდა ეს აღსარებაც,
სალოცავ ხატზე ათას ერთი ჭრაქი უნთია...
უნთია გულში ეს საკირე და სახარება-
წმინდა სამკუთხედს ეს სიტყვებიც გადაუწყვია.

ახლა ხომ დროა,აკი დადგა ჟამი წერილი,
მიგიყვან სახლში, მიგაყუდებ დაკორძილ კედლებს,
შემოგატარებ ამ დედაბოძს და კერას სამჯერ,
რომ მიერთგულო და ერთგულად ჩაბარდე ბერებს.

არ მომიშალო ეს სიწმინდე, იცოდე ღვენთი,
უშუაცეცხლოდ ჩაგიბრუნებს თვალის შესწრებას,
შაცდუნებელი გვეპირება რაღაცას კვერთხი,
შურს და ბრმავდება ველარ ბედავს ჩვენს გამეტებას.

და მხოლოდ ჩვენსკენ დააწყდება საუფლო თვალი,
და მხოლოდ ჩვენსკენ...სანამ ფიცით ყოველს განკურნავს,
თუ მშვიდობაა!-არც მე მიკვირს,გვაჭრიან კალთას,
კუდგადაბმულებს გუდა-ნაბადს რისხვით აუკრავს.

დარჩეს ტკივილი...აღტაცება სავანმურების,
ქვეშევრდომების მოლაქიო დაიძრა რაზმი,
ცხელი უდაბნო ცივ ღრუბელში გადალურსული--
მივდივარ მშვიდად,თუმც კი ვიცი,რომ არას მაბრი.

და გიშრიალებს დემონური კალთა ზეწარზე,
კვნესის ლანდების უთეთრესი ციური გედი...
სალაბირინთო ღრიანცელში ცოცხლად მეწამლე,
თვალცრემლიანი დაყვედრება სამფერა ბედის.

მიიღე ქალო საზომვარში ეს იალქნები...
ციცინათელა - ჩვენი ხვედრი,ქსოვილი ნაზი,
რომ იცხედრება სამწირველო ნაცარეთელის,
გარინდებული ბლაძუნების მსხვრეული თასი.

აქ მწიფობისას, მოშრიალეს გაყლერებ ფერილს,
ვთვრები...სხეულზე, თემოებში დავზალავდები-
ეგ კეცის გიხურს, ცომს ჩაგიკრავ თონეში ფრთხილად,
სანთელ-საკმეველს გზას მივუჩენთ არმოსაშენში.

მე გიპატრონებ, მარადისად იქნები ჩემიც...
შემოვუსხდებით თოთოს აკვანს იანვრის ღამეს,
შენს ფაფანაგზე შემომრჩება ძსხვრეული ნაცვრა-
სიტყვა-ზავებზე-შეყინული აღარას გვარგებს.

აღვირახსნილი დაგვხარხარებს მთელი კოსმოსი,
რა გააჩერებს ამ გიჟური სიცილის ნაკადს-
და გვენაცრება ის ცრემლები, წმინდა ცრემლები
ცირის მშველელში საუკუნო წუხილის განცდა.

აღარ იწამო არაფერი, დაგმე ყოველი...
ხედავ? სათუოდ,ჩვენს საუფლოდ მივთაყვანდებით,
რელიგიური სინკრეტიზმის ბინძურ მარწუხებს
ეფინებიან ყვავილებად დახსნის ბაგენი.

ცრემლები ისევ...სამკუთხედი... სიმბოლოები,
სადღაც სადავოდ ვიღაც კვდება... ისევ ცოცხლდება,
უარვიყოფით ამ სიკვდილით და ამ მოძღვრებით,
ვით ბრმა შემთხვევა და უმიზნო უსახოება.

-შენს ფუფქლა თოვლში მოვაცურე გემი მარხილით,
დედამიწაზე ლალაცს ცამრობს ეს მინანქარი...
დიდი ხანია შენი კდემის ცეცხლში ჩავიწვი,
აფრამარცვული მიგვაქროლებს ფოთისკენ ნავი.

ჩავკეტოთ კარი, მომაგებე შხამშავი ჭიქა,
ბალიშში ჩარგე ნაწნავები, ჩაშალე წარღვნად,
ცნობიერება მონაზმანი ბურუსით გიტანს...
წონასწორობაშერყეული ეშვება ფარდა.

თუ მარტოობას გადაურჩა ხავერდის ლოყა,
ახსოვს ამ პარტერს წარმოდგენა, სულ სხვა სიცილი,
ფანატიური იეროგლიფი აქ სადღაც ტოკავს,
უწვიმარ რიყრაყს კათედრასთან მაინც ულიმის.

რას ვკითხულობდით საღამო ხანს ენეიდებში,
ძილში კრუსუნით ვერგილიუსს ვასმენდი ჰიმნებს,
არ დაგსჯის, არა! დიალოგებს ეძებს მისტერი,
უნდა, არ უნდა, მაინც ყვება ამბავს და გიგებს.

ანდერძს ჩამარხულს, ზე-აღმდგარი ხორცის ბორგვანი,
იმართებიან და ცხადდება ახალი ღმერთი--
რა ესთეტიკას გვიქადაგებს კრულ ზნეობაში,
ფუნქციებს იქით, ახალ-ახალ ფორმებში გველის.

შენ დამიწრფელე შეკივლება, ათასი კევრი,
რაღას ვიხსენებ მუზეუმებს, იქ პეტერბურგში...
შფოთავს მსოფლიო, თუ ყოფილა ეს ჩვენი ხვედრი,
წიგნთსაცავებში დამადგები ბედ-მესვეური.

რას იკბინება?-რატომ გვარცხვენს, ჯერს ოვიდიუს
კამასუტრები წაიკითხოს, ისწავლოს რაღაც --
იქნებ სიჩუმით დაუობდეს უძირო პირი,
ოთხივ კუთხეზე ჯვარი სწეროს მოწყალე მამამ.

მეც ხომ გავდივარ ამ საოცარ სასაფლაოზე,
მკვდარ სიმბოლოებს ასე წყნარად და ნაზად სძინავთ
შევყოვნდი მეტად, დრო კი გარბის, რა დამაოკებს,
ობობას ქსელში გამობმული მიწაზე ვზივარ.

ვერ ვათრევ ფეხებს, თავს ვერ ვიძვრენ და მეორდება,
სანახაობა...სამკუთხედი, მრგვალი და მრუდი,
მყვება რჯულამდის, მარწყევინებს შხამიან ნექტარს,
ფიცის გამტეხი ამორძალი და დედა მრუში.

და ამ ტყვეობას მე გავუძლებ, დავიხსნი ხელებს,
მიმობნეულან სიმბოლონი მილიარდობით...
და შენც პირწყლიანს გიალერსებ, მოგითბობ ტერფებს,
ჩვენი აღდგომის და სამეფოს საწინდარობით.

მე გითათუნებ,მე დაგილოცობ ვარდისფერ სათქელს
ბურცგაყოფილი დაბიბინებს ბროლფრქვეულ თემოს-
მაშინ დამინთობ ცვილად ქცეულ უფერო კანდელს,
რომ მილიარდებს პირუშროში წყალივით ეყო.

ხარ ჩემი ასლი, სასწაული მსგავსება ღმერთის,
ხარ და იქნები თლილთა ფეხთა ყრუ სიმფონია,
აქ იმარხება ეს სიმბოლო და მისი არსიც...
თითქოს საჭვრეტად სულ სხვა მდედრი მოუფონია.

მო,ამისრული ეს სიზმარი ცხადი ახდენის,
შეყარე ხელნი, ყველა ხელნი, არ დაინანო!
გადმომაცვენეს მეგობრებმა აქ ყველა კიბე-
კვირამლის ლოცვით ვიცი მაინც უნდა ვიარო.

ასეთ გარდაცვლილ სიმბოლოებს ჩამოკრებს მთვარე,
ის ფერმიხდილი მათ დაეძებს ვით ლამაზ ასულს,
ხმაგრძნეულები ღირსეულად ამკობენ ლანდებს-
ცდუნების ჩურჩულს,-ბეთჰოვენი,ფიქრებში წასულს.

ბედაურებმაც ვერ გაუძლეს ამ გიჟურ ხედნას,
სუნთქავენ ჰაერს, ტყე გამოსცემს მწუხრიელ სურნელს,
წისქვილის ფშანზე სთვლემს ხომალდი ერთი წარსულის,
ვალსია გლოვის, ვეწაფებით ამ ჩამპალ ბუდეს.

ჭინკების გროვა შეიხიზნა ძველმა ალბომმა,
ამდენი ფოტო, მტვერი, ვნება გადასირსვლული -
გრიგალებს აქაც უწერიათ ალბათ გაქრობა,
ლემს შესევია ჩუქურთმათა რიგი ნისლული.

სიბნელის შმორში დამეკარგე პირველყოფილი,
ლაწვთა ალმურში სითამამე კრძალვით მეკროდა,
მზისფერ ნილაზე პირამიდებს ეძებს პაოლო
ცოლი... საწოლი,მოგონების ცივი შენდობა.

დე გახელილი დამრჩეს კარგო დიდი თვალები,
მინდა მარადის აგირეკლო ხავერდი კანით,
გლოვობენ ნაკრძალთ ეს დამწვარი პერგამენტები,
ლოცვამტკივანი ქანდაკების უპირო ყამი.

დგებაო ქვეყნად დრო წყვდიადის,სიმართლის ბოლო,
მიდის ვით მონა, ვით მოძღვარი, აღმსარებელი
მიდის მსაჯული და სიხარულს სასწორზე სწონის
სულს გადაგვირჩენს საუკუნო სამყარებლებში.

ჩვენ ამ მოვლენამ რა ხანია დაგვასაგანა,
განზრახვა დარჩა ტრანსცენდენტის წმინდა მეთოდი,
და ამ საგანმაც ეს მოვლენა მოისაფლავა,
შემთხვევითობის საკანგებო ძალას ეტრფოდნენ.

მეც წმინდა ფორმას ვენაცვლები მოხილვით ამით,
ჩვენება მოსდევს ჩვენებათა უწყვეტ ფორიაქს,
მეცნიერებაც გვექარვება იდუმალების...
ნივოლებს სწამდათ უნამუნოს მეტანონია.

რა გვაქვს საერთო,არ გვსურს ვგავდეთ ამ სტაბილობას,
ჩვენ უპირობო ტექნოკრატებს მივბილწავთ მალე,
ანარქისტებიც შემოქმედის სამარხთან დგანან
და ისტორიას შემმეცნებელს უდგამენ სარკეს.

ჩვენც ამ ხმაურის უწყვეტობის ვცურავთ ნაკადში,
გაბმული ხაზის სეგმენტებში აზრი დავკარგეთ,
და მნიშვნელობას-მოკლებული გრძნობის ფათურით,
ნიჰონ-ურ იუგენ-ს საიდუმლოდ მალად ვაკურთხებთ.

მეც მასთან ერთად ვარ,ვტრიალებ ამ დიდ ქაოსში,
ქაოსი აზრთა და საგანთა უნაყოფობის...
ექლეკტიკური იდეების სინთეზურ ქარგას-
დაჰყვა განცდათა სიცხადითი აგოგმაგოგი.

დიალოგები... სულელურნი... დიალოგები...
უჩვენეთ ვია დოლოროზა მეფის გასაგისს-
სწორედ სისუსტეს აღუმართეთ მონუმენტები
და კალვარია შეუქვავეთ მსხვერპლის საძგალისს.

უგანგიალე...საბუდარებს სნეული ჭალა,
მზე გადაცმული, ჯარისკაცის სველ ფარაჯაში,
სურო ხვიარა ხაზოს ევა და ლიანდაგზე —
გასწივის ქარი, ელეგიას ჩემსას მარადისს.

გადაგვირხიეს მეოცნებე, მორწმუნე ღამე-
კარგი, ჩურჩულებ და მნებდები მთრთოლვარე მკერდით
და მილურჯდები, ამ მეწამულ ფიქრებში გახვევ,
ვნების ნიაღვარს მოვარდნილი სიკვდილის ფერთხვით.

მიმიღე ისევ, ვით სიმბოლოს ყრუ ანატკეცი,
მიმიღე ისევ სისხლისფერი მიწების დაცდა...
შენს სიამაყეს ურევოლვროდ ვეამბორები,
მიპარტახდება მარტოობით დამღლელი განცდა.

ისევ მოხველი,- მიუცუცქდი ამ მარმარილოს,
ისევ ჩამწინლეს მოწრიპინე ქვეყნის ქვევრებთან,
ჭვარტლით გევსება დაბუყული ტვინი, სადილობს
მცირე უფალი, სწორ ნაწლავზე ფილტვებს ემგერა.

★ ★

ში ფეი ჯინგ გუო ბუ ჩჟი ნან— არასდროს არ უწყი, რაოდენ
საქმე მძიმე, სანამ თვითონ არ გააკეთებ მას

სილუეტებიც კართან წრეტენ... კლავიატურას,
მომავლის ვალი ფენომენურ რწმენათა ანდეს,
ჭრელი ოცნება ოკეანეს არ უსასრულა
კრეისერებზე ზარბაზნებმა იქუხეს: — სალუტ!

ამ სინამდვილეს ვინ შესწვდება, ამ ხანგრძლივობას
მიდის, მოძრაობს, მიირწევა ვითარც სონეტი —
მე შენს ნაზ წელზე ნეაპოლურს ვარხევ სიმღერას:
"ავე მარია"... ვატიკანი... პიაცცა, სორრელი.

ამ პალესტინას შევაკალი თავი მორჩილი,
ამ მიწის სიტკბოს დავანაცვლე ჩემი გონება,
კალკულატორობს მანქანების მალა, ბორკილებს
დამადებს ფეხზე... მერე ისევ გაგვიტოლდება.

აღმოსაფხვრელი დაგვშთენია მრავალი ფესვი,
ცილისწამება საგანგებო დოგმატად მდევდა...
გამრიყავს ალბათ ეს სიმბოლო და ეს ნარჩენი,
ნამამლუქეთში ციტადელთა ბავშვური თმენა.

ამიბრდღვიალე ეგ აუგი, მხრებიბზეკიავ!...
ჩამომაბჯინე აბურდული სხეული გზნების,
ატრაქციონზე გვატოკებენ... ბედს გვიწყევლიან,
კბილმოტკბარუნე პარლამენტში დახრწნილი წევრნი.

აპოლოგია... კიდევ ერთხელ აპოლოგია...
ჩვენ გონივრული მოგვეწყინა ცხოვრება მშრალი,
პროექტებს ვადგენთ ყოველივე ჩვენი გვგონია.
არაბესკებში ვიმრიტებით ცოდვით და ბრალით.

ამოუცლიათ ჭა-ბურღილის დონე და ფსკერი...
ჩამოსაკრეფი გვედევნება მსხალი და ჩერო,
ლუფხავენ სარდაფს და ფართხალებს საინზე თევზი,
უფლებოვანი მოპრიალე სიცოცხლის გემოდ.

ნუღა ზანტდები, ნუ თაღლითობ, ნუ ითითხნები,
აღარ მოგბეზრდა ეს თარეში?... დაიფარება!
მებზუილები სავარჯიშო ბრძოლის წყურვილში--
შეგულებული გრადაციის აგრიალება...

ვის მიუკერძე ეს გრაცია, ვის მიუშაქრე?
მიუჭიკჭიკე ბელურების გალობა ბრძნული...
ლიანვს მიახრჩობ შენს ბაგე-პირს მიახრიალებ,
გადაგრეხილი ბზის და ჭვავის ნასოფლარ წნულში.

ვერ გავცდი ჩემს თავს ამ დაწყევლილ ორომტრიალში,
ვერ გავცდი ჩემს თავს და ბუნებას ვემდური ამოდ,
ვაბსტრაქტირებდი მოკირწყლული ტროტოს ბოლქვებით,–
გადმობურღული საკისრების უმწეო სამწო.

-რას გეხირები, რას გემდური, დაგახლეჩ ბაფთებს,
შავი მერცხალი შემოგვიფრენს უებარ ზარათს,
გადაგვირჩევენ...პარიზული ბოჰემის მანტო
დაგვახვეტინებს დღეს მონმარტრზე სეზანურ ნავავს.

ჯვარი სწერიათ, ფხიზლდებიან მთვლემარე ნავში,
ბედგანამწარნი შემოსცრიან დიდ ბაქტერიას-
ბაღ-ვენახებში მწნეხელები მჭევრობენ საქმეს,
მჭვირვალებს მხარზე და მოგვტირის ეს მატერია.

ნაქორწინევო! ნუ ღაღადებ დალუპულ შვილებს,
გეღრმობა ალბათ ენის ძვალი, ვეღარ გაუძლებს,
რინბაზობენ მობაყბაყე ტომის ნიმფები,
ოლეანდრებში გახვეული გვიძევს მეუფე.

ოპტიმისტებმა სალიტლიტოდ მორთეს სავანი,
დღეს მოგვეფრქვევა ეს მსგავსება საკარნავალო,
მიუნდობლობა დაგვილურსმეს ნაკრულ-უწყლავი
გვიტევებს მსჯავრი ანგელოსთა დაუსაბამო.

რად გვიბერწდება გაყინული აზრი რითმებში,
ფორმალურ ფაქტორს ატავისტურს ვართმევთ გონებას,
პირველშიბეზურ განშტოებას არ ვერიდებით,
ერთობლიობა სამუდამო არ გვაგონდება...

გვსურს,მაშ ვარსებობთ,წარმოსახულს მიუწევს ნატვრა
აი,დასკვნებში ასულდგმულებ პროპოზიციებს...
მარია მონტე მადრიგალებს მიარხევს ქარში
და სანერვეთში ინგლისელი ჰარტლი ვიბრირებს.

ვრიალებთ რთველში,ამ მტევნებში სათნოდ მევსები,
დაგაკვნეტ მუმუს და რიცხვმცირე ოცნებას განდობ...
უპურმარილოდ გაგვისტუმრებს ურვის სიწრფელე,
ხელთ უვარდება საყურძილე ტუტუცა მაჩოს.

გულთმისან დიაცს ნაღვლიანი ვესტუმრე ღამით,
რას დარდობ ბიჭო?- შემომძახა და გამიცინა,
თირკმელთმხილავი არ დაგთუთქავს,დაგვასინდისებს,
აჩუყებული გუთნის დედაც ჩვენსკენ ილწვიდა.

დაგსინჯავ რუჯში და ნაკვანძებს გიმარცვლავ კვეთში
გადასახული მეფურჩქნები და მისრიალებ-
და ჯირითობენ ეს თითები შენს ფაქიზ ტუჩზე,
ვწკეპ გადატვირთულ და ჩატრუსულ ბრმა იდეალებს.

ნუ აყვლეფინებ ამ ნატანჯ თავს გველის წიწილებს,
ჩამოჯაჭვული იფერთხება ძველი იმედი---
გადაანწვება ამ ვნებებში ყველა თილისმა,
თან ამღვრეული ფრთხიალებენ ბედისწერები.

დასხლიტეს სურო და ჩაკუწეს მზის მაგნოლია,
აკაფულ ველებს აუჭრელეს აზელა სოკო...
აბანდვინებენ გლეხს ნაქედნარ ორატორიას,
სად დაბრანძული იზზიკება ფეხშველა გოგო.

ვაგელვებ ნათხემს და საწვივეს ვუგანიერებ,
მას ჩემი რხევა საკრალური ფურფურით ართობს,
დაჯექ, დამნებდი! დაგიწონავ ნაზვირთ ფირებზე
და მოგითვისებ რბილ ნაცქულში აგზნებულ სამმოს.

ჩემო ალმასო! აღარ დაგვრჩა ალტერნატივა,
მამეცადინე, ყოველ წუთს და ყოველ ცისმარეს
ამოუნთხიე მას ნაქარგი ქრიზანთემები -
ყურყუმელავობს ჩვენს აუზში მქრქალი სინაზე.

არ დაუჯერო! ამონამირკვს არ დაუჯერო!
ამოუდექი მას ქუხილის და რისხვის ღმერთად,
დაე იფორთხოს დაქერცლილმა სამყაროს სევდით...
რომ ანათემას ანგარების ნებისად რჩება.

დაიცდის მომხრჩვალს, რა გზა ჰყვება,ინათლავს
მონანიება!... ნანიება!...გვენაგროს მარად!.
მონარქისტების სანავარდო ბილიკზე ვპოვე,
სულთანაკრეფი უქარგავი სიზუსტე ფარავს.

არგაგონილი არრა მითხრა, არ დამაყვედრო!
მასესხებინე კიდევ ორი ოქროს თუმანი...
აუქციონზე გამყიდიან და საანდერძოდ,
დამრჩება შენი დიადემა და სასთუმალი...

ქოთქოთებს დედა, მოუსვენრობს,მოუკლეს შვილი
და ისტორიას კიდევ ერთი აქციდენცია...
მიუღაუღაყდა ალმფოთების საყალბი ბრგვილში,
ლეჭავს და იცის, მასზე მეტი არც დარჩენია.

აშმორდა გვამი პოლონელის, ჩაკორმდა სახე,
გადატყდა მინა, ვითარც აზრი გამონაწური...
მაყლაპვინებდა სადილაოდ აკრძალულ საჭმელს,
რომ დასავლური მომხვედროდა ვირთხას პანღური.

        გადატვლეპილი გადაუბღვერს აფრიკელს ჩრდილოს,
        ალექსანდრია, კასაბლანკა სცილდება საფლობს
        ჩამომწვევიხარ და ამ სანთელს სათუთად გინდობ,
        ჩავდივართ მაღლა და ვერ ვწვდებით მაინც ამ მაღლობ

რად გადამმლია?! არ დაეცე, იწამე ღმერთი,
მომართვი ტკბილი, გემრიელი გოზინაყები...
იმპრესარიოს ევიდება ობოლი წყვილი-
რომ სასიკვდილოდ ინავარდონ სულ სხვა მხარეში.

        წარუვალობა შემოგვძახებს და გვედავება,
        ტირი და მხანგრავ, ეზიდები სატანას ქალო!...
        შიგულადღები, მაგდებინებ სამან-სატევარს,
        მშვენიერების მიდამოყრილ მშფოთვარე კალოს.

გღარავ, ვმშვიდდები,გეყვინთები საღვრელ-საფალში,
მღვიმარა შამვებს მსჯავრმდებელი მტაცებლობს გვრემით,
მტვნარწყლიან ტბასთან მოლივლივე ტალღით მმარხავდი,
მომაბეზრებელ ტრაპეზებზე საუბრობს მღვდელი.

        მობრძანებულან მობურტყუნე ბავშვის ძიძები,
        იგერიებენ ჩემს შენაგონს...უშვერენ მუმუს-
        გამოგვემურწნენ საოცნებო მთენის ფიქრები,
        თავს იმართლებენ და იყრიან ფეხებზე ბურღულს.

არ გაიმარჯვებს! მას კურთხევა არ დაპყოლია,
ბრმა იყო წერა, გადმომჭკნარი ყვავილი შავი,
გეუბნებოდი,სვლა ამ გზაზე არასწორია!-
ვეღარ გადაწყვეტ, ვის მისწვდება ეგზომი გვამი.

        მომეგულუხვე! აიწიე ფლამენგოს კაბა,
        ედემის ბაღში მზევინარი მარიამს ათქროლს,
        მონტე-კარლოში ღამეთვლილი გვეამბორება
        უპირსიკეთო გველამუა სიდედრი - კარგო!

მილ-აფშვნეტილი დაქერქილი სულს მიფხვიერებ
ნუ ქარაფშუტობ,ვის რად უნდა ეს მანერები...
მეც მინდა ომი,ვით სიკვეთე - მამშვიდებელი,
მეც მწამდა ომში ზნეობრივი აქტის შერწევა.

ხომ დავცინიან ბუფონები, ჰისტრიონები,
მაკლია სიბრძნე,რომ სიცოცხლე წარვმართო მალის,
სად ირევიან ეს მიზნები, მშვიდად გოდებენ.
მცენარეებში, ცხოველებში, კოსმიურ მარღვში.

მივალ თაგასტში, მეგებება იქ ავგუსტინე,
სრულყოფილობას მაზევირებს შესაქმეთ კვალად
და ნეტარების მირონცხებულ საკურთხევლებზე
ჭეშმარიტება იშლებოდა არყოფნის თაღზე.

ჰერჩივნოს იქნებ მტკივნეული ეს დასასრული,
ვინემ წამება და ტკივილი დაუბოლოვო-
მაცცური დგება ოსაკაში, ჩათესეთ ბრინჯი,
რომ ჰოკკაიდოს დამშეული ღმერთნი დავამღოთ.

ფერისცვალება, გარდასახვა...აღვსდგები მკვდრეთით,
შენს ცისფერ თვალებს სამუდამოდ ვუ-გონგენ-დები,
ნათლისმცემელნი გვიგალობენ საუწყებლობას,
კიდურწერილებს მოციქული ანდერძ-ეგება.

მიტროპოლიტო,განგვიმარტე რთული პროლოგი,
აღმსარებელო, ეპისკოპე მიიკარ გულთან--
ჰიმნოგრაფებო, სხვა-მეტყველი მეგლი დამიდგით
საფლავის კარის გარიგება უმიზნოდ გვსუსხავს.

განვეყვე ფუძეს,გულბრყვილო შევრჩი მსოფლიოს,
ასურელ მამებს მსოფლგაგებას სტაცებს მღვიმელი
ნეკროპოლისზე პოლემისტებს გადვუგდებ ბინგოს
შვიდ მთიებს ვნატრობ,კალმასობის მადლით ვირთვები.

-რადატომ მივალ დაღვრემილი,მორჩილი ზარზმას,
მრავალჟამეულ რტოს ჩავგვინხმელს სერაპიონი...
ტაო-კლარჯეთში საოცრების ნიშანი დამკრავს,
დაკარგულ ათ ტომს დავეძებდით სამზატიონთან.

მიჭირნახულე ეგ პათოსი და სამძიმარი,
ესე სიმრავლე ნამზვარევი ბედის სამირკვლის,
სიმართლისათვის ეზოსმოძღვარს მოიხილავდნენ
თვითმყოფადობას მოწყვეტილი ყმა სამარცხვილე.

შენ კი მაკვირვებ საიდუმლო მოსარხევლებით,
მის სამვალეში მრავალთავურ მოქცევას დაწერ
და ციპივონთა სვინაქნარზე გიძევს გულანი -
ქრისტეს გულისთვის ნათვალ-წარბა ექსტაზში მახვევ.

ნუღარ გამწირავ,უკანასკნელ ფიცს დაეხარბე
ჰო,ღვთისმშობელო! ცოლო, დაო,უბრალოდ ქალო!
ცანჯვის გრძელ გზებზე ირონიას ველარ ემართლე,
რენესანსების სტიქიური ეპოქის გამო.

მცნება სასჯულო კვიპაროსის ფოთლებზე აცვეს,
ზესთასიკეთე ჰარმონიად განითინება...
შიმუნვარებში მოფუფუნე ზის იოდასაფი,
აპოლოგიებს ასკეტურად მიეხიზნება.

არ დამანავლო ამ სამაკელ გაუცხოვებებს,
ნამოქმედარი მცრული აზრის სახებად მექცა...
ნებით მორთხმული კარადაზე ვინ დაისვენებს,
ვინ დაგვასვენებს და შეგვმახებს ლოცვისას ერთხმად.

ერთი ქვეყანა, მისტიკური ეს მისიონი...
მოუფრთხილდება მპყრობელობას მრავალგზის მოდგმა,
სიმულანტებით იმწკლარცება სინდიყის თავი
და სიმჭიდროვეს ეთიშება მრავალი ბოლმით.

თუ უჭკნობლობა შეგეთვისა ფერუმარილში,
გადამიხადე... ჩემი ვალი საეგებისო--
მაჭრდება მერე მაჩანჩალა მაცხოვებელი...
და ამსტერდამში წითელ ფანჯრებს ჰკიცხავს მეფისტო.

ხელმოსაჭიდი არა შემრჩა, ჩამადნე თესლი,
ჩამომითავე, ჩამიგუბე აუგად თქმული--
შიშუნახავი თვალციმციმებ წარმტაცი ეშხით,
დასადაფნავად ცისკროვნდები სამებით ცხრული,






Papi Albert



რისთვის გცოხნიდა, გაცოფებულ ნამაგრავს ჰკავდა,
გამოგტყვრომია ჩაბრეცილი თვალების პატრონს,
გისხვაფერდება ჩაგრეხილი შიშველი აბგა,
ბარელიეფზე ბანჯგვლიანი აჩნდები მარდოქს...

მოველ,განველი უკეთურო, ბინძურო კაცო!
მოველ, შემივსე შენი შხამით ფიალა ესე--
ამ ჩემს დოქტრინას შუამავალ წრეებში ვანვრცობ,
ქვე ვიჩოქები,ლმობიერი,ვუკოცნი ტერფებს.

ქალურ სიმბოლოს, ვით შიმშილი და სიმხურვალე,
ჩამოფშიკული, შეხრუკული ძველი ცნებების –
სხეული მისი შენ რატომღაც ვერ შეითვისე,
ალბათ ამიტომ მეც...აი,მეც ხომ აღარ მნებდება.

ვითარ ეშვება მისი ხელი,ამ სარტყელს სცდება
და მეთქვირება მისი კანი ხავერდის ვალსში
სანიამორო სილამაზეს სამებით ვხედნავთ –
შემობრუნებულ დიადემებს ვისტუმრებთ კარში.

ჰკარ აბრაგანი ამ ერთადერთ პრინციპს საქვეყნოდ,
დაზღმურდულ ტანზე დაგბიბინებ სინდილ-ცემული,
დაგდღვებ,აგითქვეფ და ბაზმანდებს დაგაკრავ გულზე,
აგაყუნცულებ სარწებლებთან ლაციცეული.

აფაკლებული მეჩმუნები ტანანაცქვეტი,
თავალებული...მზვაობარი,... მუძკამბარებში-
მლი ფიანდაზად ნაზ ნაწნავებს და ეტარტვლები,
ამონაზარდებს დაღრუებულთ მტუტე საფენლით.

ჰა, ანეულიც, ღამე დგება ვიანკანაკოთ...
ნუ იყრყუნები აპნისის თვეს, შობაა ჩვენი,
ფასუქონელი არაკები შემოსდეს ცეცხლზე –
წინწანაქარში არბოობას მოუწევს ჯერი.

ვერ შევეპუე საარმაღნო სულდგმულებს ლხინში,
თავს დავტრიალებ,გეწმახნები დრანჯი ჯიხვივით,
არჯალი საქმე თუ გვაცმუკებს,ასხმული ყუთნად –
დაგვტორღიალებს მოცუნცრუკე ჯახირ-წუხილით.

ღვივის,ილგზნება...სადავეებს ლაგმავს,ფუთფუთებს,
ფრიალო ღირღალს სიონობენ გადაჯვარებით...
შემფრფინავ წამით ალუფხული და მოთუხთუხე
და მაწრიალებ აღრაგუნე უსურვაზებში...

ქჩე მეგირჩარე ნორჩალი მი-ნვანა მონჯირარ-
უბნობს ლაზურად - ბოზომათა დიდო მსქვა ცუ-ხი,
მის მკერდს ეტრფოდნენ, მოდიოდნენ ცხრანი შორიდან,
ამ პალესტინურ ხვაშიადში,ქარსა და ბუქში.

იყო თავკერძა და შექცევით გახვევდა ზეწარს,
იმველიებდა მოყანყალე ქომაგთ გამწყრალი--
ჩაუფიქრდება ამ დაწყევლილ, ქცეულ საწუთროს
და ჩაიძინებს მანქანების ძილით სატანის.

რა აბუზლუნებთ ამ მონაზონთ, მოაქვთ ხატები,
ხატებზე ცეკვით სიმბოლოთა არის ფერხული-
აქ სინამდვილეს დიდი ზიზღით გადავაკვდები,
ტრადიციების რისხვა მომდევს, რაღას შემდური?

მო, დამიწექი,მინდა გივრძნო განშორებისას,
თმებდაწეწილი დანავარდობ ჩემს სარეცლებზე--
უზენაესი მომეხილა...-- გადარჩენილა,
ხმაა სინდისის, ჩასორსვლილი სხეული კემსეს.

გავრცელებ სავსეს,გიზიარებ ყველა სიყვარულს,
ავდრდება კარში,შიგნით თბილა,წყალი გწყურია,
მე წყლის მაგივრად მოგასხურებ საკარმიდამო
ვარდების ნაწურს,სქოლასტიკურ ნაკალმს დურდლიანს.

დამათვლევინე მოკაშკაშე სანთობნი შენნი,
ამიფანცქალდი ამ საფლავთან გრძნობა-შერთული,
დაკოკრილ ყლორტებს ნელა მოვკრეფ, ამიკანკალდი-
ჩემი სიტრელით და სინაზით გადარეული.

ახალციხური დამილეწეს განპირობება,
ვარ განკიცხული, შებოჭილი, ხელდამუჭული--
ჭკუათმყოფელობს ეს ბოროტი განმარტოება,
რომ ეურვება ჭორფლიანი ბიჭის ბუქულებს.

ასეც დაგშვილდე, ალბათობას ვეღარ ვენდობი,
ქვეცნობიერში შემრჩი გემო ათცხებოვანი...
ნების ფერებში ამოვჩირკნე წარმოდგენები —
მე - სუბიექტი, შენ - ობიექტს, დაგიზოგადდი.

დაგიზოგადდი, ვითარც რაღაც წადილი ხშული,
ვითარც სურვილი, ტენდენცია, ბრმა მისწრაფება,
მაისის თვეა, იქ, ბანგკოკში იღვრება სისხლი,
მოდემოკრატო ტვინხვეულში წყრომით ლაგდება.

მეც ხომ ვემსხვერპლე ამ ბრმა ნებეთს,ვეცემი მარცხით,
ფსიქიატრების წყებას ვეძებ მათ შევყრანტალებ-
შვეულმფრენებზე ასდღიანი ცხადდება მარში.
და მოყურყუტე პიჟონებთან ვაგდებ კამათელს.

იყუჩე გულო, ეხმატკბილე ჩვენს ძველ სიმღერას,
იქნებ შეხორცდეს გადახსნილი ჭრილობა მწველი,
შავი მერცხალი მოფრინდება, ახლა იწყება,
მგლოვიარეთა სატრაურო მარხვების დღეა.

რაღა შევხვრიპო...დაჰხითხითებს მბორგავი გვამი,
შემმიმგილავებს და მრწუნებით სურდა აღმოსვლა,
მოცქრიალდები მობაკუნე ქუსლების კვანთით-
რომ შემაცდინო ამ საფლავის არმისადგომთან.

-შემიფრთხიალდი, შეფოთლილი ხსენი ჯავშანი,
ჩატატნებული, მიმარული, ზილფი მკლავეთით,
დამეფეთქები, მიუწკმუვლელ ბგერებს კანკლავდი
მომმლავრებული კაცის ვნების ნაცნობ მახეში.

ჰო,მეღუღუნე, შემომღმუვლე, შემომღიღინე...
რას ჩივი უცნობს შეუცნობი ჯერ არ სწვდომია-
შემოუძენძეს სამოსელი უდაბნოთ მოსულს,
შეუსწავლელიც რჩება ბევრი - კარგი როდია.

მსურს რომ შეგავსო,შეუთხზველი სტრიქონის მსგავსად
მწადს რომ შემიგრძნო და ნატყლიყი იგემო ხორცი,
შემოგწუწუნებს ტენიანი ხიდების გაღმა,
შესანდობარი მოგონება ქალწულის მორცხვის.

მართლაც დავმარცხდით?-შეგვიფაკლეს სწორუპოვრობა,
ახალცინური სიჯიუტე - ანდერძი მამის--
ხენ ვიქტორელი უნახევროდ ამბავს უბნობდა,
ჩვენც ვმოძრაობდით ენერგიის ფარდობით რკალში.

მინდა დავამხო, გადავამხო ეს სათნოება,
მოჩვენებითი, ყალბი,ვითარც ლპობის მესსია,
ვთავისუფლდებით სიცოცხლისგან -არგანშორება
დაგვმარხავს სადღაც ყრუ სოფელში-ჯვარი გვწერია.

თავისუფლება მოსწყურდება ბრბოს საამწუთრო,
თავისუფლება საგიჟეთის, კრიზისის, ზნედის-
ბრაქიკეფალებს ვაზრიგინებთ, არას არ ვცოხნით,
ჭარმაგებულნი,დაწუწულნი,ბედსაწერს ველით.

კმარა ლაქლაქი,დარცხვენილი ჩანს სალაჩრეთი,
ლეგენდარული გვწამს ტერორი, დიდი შეტევა -
პოლიტიკურად ლაფდასხმულნი გავხდებით რაღას,
ყანყალით მოვალთ,შუა გზაზე რული გვერევა.

განასკვე თემო,აი,ახლაც მაწვება სისხლი,
საფეთქლებს თითქოს შენს სხეულზე დაურწევიათ,
ერთი აკვანი ბრტყელთავუნა ჭკვიანი ბიჭის,
ღამის ბულვარებს იაფოს კართან არ უმხელიხარ.

მემჭვირვალები,საკიდურზე იპობი ნაზად,
შენს ნალვიძლარში ჩავეღენთე მუცელ-ნაწყლული,
აახელ თვალებს და მომაკრობ აღგზნებულ ბაგეთ,
მქონია მართლაც შენი კაბა გადამალული.

შენ თუ მევლები ახლა წამლად,მამშვიდებ ქალო,
სანთლებით ვდეუნი სიბნელეში ოთახის ლანდებს-
რწმენით მიფანცავ ფუჭ ოცნებებს,ჰო,ნუღარ ნაღვლობ!
ფასეულობებს, ბუდეაყრილ ნანატრ იმედებს.

ვბუმბერაზობდით, თუმც კი იდო ბუზიყლაპია,
ვითარცა კუნძი, მობურდღუნე მშიერი ნვიტო-
ბუტაფორიებს მიგანაცრებ, წერილს ბღაჯნიან,
დაბათილებულ ნაზნევ ღიმილს ვმაღლიდი მიტომ.

გაკოპწიავე, დაგიკოჭე მუხლები მირთის,
დაგიმარტოვე, ნამზითევი ძველი ბიბლია-
ჩაბზარულ სარკეს ებზარება ნაბურღი ხორცი,
აბუმბლულ ფერდებს გადათელილ გზებზე ისვრიან.

გადაუცურე ეს საბანი, ჩაუთბე მკერდი...
მესცივდა უფალს, მონაცდენზე გვაყრის იარებს,
გამანდე ცოდნა, გაცხადება,- ემანატორო!
-პირველმიზეზურ ეონებში - გზაც შველისაკენ.

შეხედონ სპილენძს გველის სახით ჩვენმა გნოსტებმა,
ჰერაკლეს რისხვა გადმოგვარწყოს ტორმა ტიდონში,
პონტოსთან სათქმელს დაგვაყვედრებს დღეს მარკიონი
ალექსანდრიულ მუქურათა რკალში ინთობა...

გადმომილოცე ჩაქანდული წიგნის ფურცლები,
ფასეულობა დამაფერთხე, როცა ვფითრდები-
გადამილეწე ეს აზრები და...- აკინძულნი,
შემომაგებე სასწაულად... შენი თქვირები...

ჰასვი ბადაგი, მეალერდე ნინველავ ქორფავ!
მე საყმაწვილო მოვიხადე ლიფლიფას მუქზე-
საურზე დარჩა ეს ბალიში და ამფიონი...
დოვლათი ჩვენი, ჰბრძანებელი საოცარ წულებს...

ბღვინავენ,ვარსკვლავს ვენათრალე უიღბლო ბენძლი,
დავაკვდი მიწას ცნრამუცელას მისაქცევლებთან,
თრიფინა წუნკალს ამბოკარი წნელბოკირს მეჭრის,
ბომონურ მთუხრში ბორგნეული წაფორხილდება.

ამოვიტანდი ამ ბოლცოპზე მცირე გოგორებს,
ერთხელ სურამში რომ მებადა ღირსმყოფი ყუყლვით-
ბოტოტის გამო ღვრინს გამოსცემს ჩვილი ბოცორი,
ბრაგვანი სმვრება უღეს დუნდგოს გაგრია ფურჩში.

ხმალში გავიწვევ ბრმობილ უფალს ვუპოვნე ბრმვილი,
ციალ-ბრკიალში დავუბლუჯავ მიხაკის ვარჯებს...
ჩაბედრანგდება მბრძანებელი გაკვამლულ მილში,
დაალევინებს აზამბარს და აიჭრეხს წარბებს.

აგართვი ალო, გეგოგები ხევრია ქველი,
ნუ მაგულისებ ნართაული სიცყვების ბუთქით.
სამესამელო მინდი შომეც, საქვრივოდ გედოს,
ყალარი ჩემი და კულუხი და კოლის პური.

გადაიმღრმვალე მოშვლეპილი თავშლების ზღვევა,
ვერ დაგაჯერე და ხალვათობ სიშმაფრის ზოლქვით,
მორსმჭვრეცელობენ და წინასწარს იწყებენ ჭვრეცას
განცვიფრებული გვაჩერდება მსოფლიოს ომი.

მომთხოვდი, ვიცი, არ დაგაკლებ არადროს არრას,
გადღლუვებული რძე შეგაფრქვევს სხვანაირ სურნელს,
როს ნებივრობენ პარლამენცში ნახუცარ სადილს—
ცირის უფალი და ლამპართან გუნდრუკებს ვუკმევთ.

ნუ აყვლეფინებ მომაკვდავ თავს პარცო-ნაბიჭვრებს,
ნუ ჩამიკვეცე ყველა სახის სანდო ბილიკი...
გადაეფარე წარმოგზავნილ ნანთხევ სამხილელს-
ნაწლავ-აყრილი, პირქვეცმული მავი შიმშილით.

მობრძანდი კარგო! გადმოდუღდი, გადმოსაზომდი,
გულქვა დიაკონს მოსწყინდება უმიზნო ჯდომა-
გამებუცები საზრისიერ უფსკრულ ნათქროლში.
და იკენწლები აკბეჩილი საზამთროს ცოლა...

ჩვენ სანცონები ჩავამწკრივეთ გამოქვაბულთან,
ბედუინები ბეერ-შევურ ქარავნებს სცლიან,
ჩაგვეორთქლება მონავარდე ნიჭის ნართხულა-
დიდი პორდოსის რომაული ცამრების მირთან.

სცრიან შენს წუხილს, თოვლის ფიფქებს ედებათ ბინდი,
შენ კი წალდივით დამნარნარებ შუა წელცანზე,
გამოკრთის თვალში მიკუსული უნიჭო რიდი,
დაგვიცოპავენ ანაცყვრომი კუჭის ბელადებს.

ვითარ დაიწვრთენ თავი შენი შეხლა-ჭიდილში,
მე ან თუ იგი,- შეუცნობი მევს ამოცანა!-
გამოგვიწონეს საამებლად დროული თოთვილი,
განგამეებს ბერი სამრეკლოსთან, რქას შემოსჭვალავს

გსურს, განვქორწინდეთ?!რას უპირებ ფილოსოფიას,
გარეგვილ სართულს მივადგები ერთი მოკვდავი,
აპოკალიფსი...- შემეცნება... მიზანს სწონიან
-გარნიზონები კრემლისაკენ!...- მასა იმახის.

ჩვენც მივაბიჯებთ, გასამრჯელო გვიმტყუნეს სუსხში,
ტრანსსაციმბირო მაგისტრალზე ნატაშა მიცდის,
რჩება რუსული საქალწულო აპკი და წუთხი,
რომ ისრაელზე ჩამოვთხვართ საჩრული ტლიკი.

ჰაუ... გასმახებ, ქარი პასუხს აგვიგდებს ბანზე,
აგვიბურთავებს როტონდაზე ოქროსფერ გუმბათს,
მე ამ გუმბათზე ჩაგიგრილებ მოწოლილი დარდებს
და ჩემეულად გაგიფანტავ ნიაღვრულ ურვას.

არა,არ გინდა, არ ჩათვალო გაუგებრობად,
აქ სახვალიო ევლოგების ნაჭუჭად დაშთი...
ჩვენ გვეღვრიჭება საყვინიზო უმართებლობა,
ქონდრისკაცები მოგოგავენ გლიჯინით ბარში.

მოვალ,დაგბორკავ,გადაგბაწრავ,დაგიმორჩილებ,
დაგაგლეჯ ჯიქანს, მიტოვებულს და უსახლკაროს-
ჩოჩკნიან წმინდა ეპისტოლეს,-ბერმენი იცავს
ეხსენი უფალს, ნულა რას სთხოვ, არ დააბრალო!...

უდანაშაული არ ყოფილა მისდღემში ჩვენი,
დანაშაული სისხლის, თმენის, ჯვარცმის,წამების-
მიბრუციანობს გვირგვინ-წნული მწერალი ბრმენი
რომ დაფრეწილი ჩაეფარცხოს ქუჩის მანეკენს.

დაუგდე ყური,სტვენა ისმის,ჩვენ თუ გვიხმობენ,
იქითკენ...როშვა!,-იქითობას სუდარს გაშლიან...
დრო მოსულაო!..ამ სიცოცხლეს ვეტყვით მშვიდობას,
რომ სხვა სიცოცხლეს ვეწილ-ვერგოთ სიკვდილ-მადლიანს.

ჩამომეღერე, დამეღადრე, გადამეშაშრე!-
მზადაა ყოვლი, ხვიხვინებენ ქშენით ცხენები,
ავეხეთქებით თანამგზავრულ მახინებს მრწოლით,
დავეჯიჯგნებით გლახვა-ზლაზნვით, არ ვეშველებით.

გკოდავ ჩაკოკრილს,გაკრუსუნებ უმეცრი ძალით,
ჰა,გემეხრევე და საწოლიც შეინძრა ნელა...
გრანდავ, ვრაცრაცებ ვით ფურცელი ერთი ფსალმუნის,
დარბაისლურად გიდარბაზებ სანუკვარ კდემას.

დასამღურავიც რა გექნება,მითხარი გოგოვ!
გძავე,დაგთენთე, დაწაფებით,რაღაც დამღომით,
გცვიფრავ დაცუქსულს, გაცრიცვლემულს და მოქუნთული
განცხრომით შეგცრფი, მოცკრუცული, თეძო-ნაწდობი.

მე ვესვენები ამ ნასიცხარ, გიჟურ ხვეულებს,
ვეფლობი ნაკვთებს,უშრობელი ჩეხვის ზარძიმი-
გჩხვლეტ და ჩაგჩუცავ, გაცალკევებ, გიცეხვავ საზღელს
და მეჯორგები მოფათურე ზედის კანდელით.

მიახლოვდები ლანდად ქცეულს ლალ-თვალ-ცვრიანი,
ციმციმგუგება მელავრები... დუმს ლაზარეთი,.
დაო მოწყალევ, შემიხვიე ძველი ჭრილობა
სულო მოწყალევ!-გამიფანცე სევდა მსახვრელი.

* *

坐观成败 ცუო გუან ჩყენგ ბაი - მოიცა,შეხედე; ვითარ
წარიმართება საქმე

რაღას მაკისრებ,ვერ გისრულებ,მომეშვი,წადი!
წადი, ჩაბარდი, მიებოშე, მიებლაგვუნე--
მე დამგურგურებს დაკნინება და მიწა შავი,
კოცნიცა თითებს შემომაჭდობს, დედას მიყუჩებს.

მოდის დესპანი,მოაქვს სისხლი ცელეგრაფული,
დონყუანობენ კაცურ ოფლში ის ბურყუები,-
დრკება მადრიდი,... კოპენჰაგენს დროგადასული,
მიუდუნდება ბებრუხანა ცრუ იმედების.

იყო და დუღდა ის კორნეცი დუყმორეული,
იყო დრცვინავდა ეთილებში ემებდა შვებას,
ვის ვემსგავსები ენამარჯვე, ცვინმოლიპული,
ვის ვექადები, ვალაუვალს ვის აღარ ვხედავ.

ვიშვიშით ჩავკვდი,არ ვყოფილვარ მე ვირტუოზი,
შეზღუდულობამ ზემოთქმული მომანთქლო წირვა-
ზლუქუნ-ზმუკუნით მიმაქანებს საფლავის ბოძი,
თავშეწირული საგანგებო წესდების რისხვა.

რომ მითამთამებ,თანამგზავრი ზექალი მდები,
სწორმეფერდება შენი ნაზი თანდათანობა-
თბოსადგურებზე გვეთეთრება სამების გედი,
თეძრსთავებზე მოგითესლავ არსულ სამყოვარს.

თქმულებებს ენდო, გზა უვალი დამიგდო ასეც,
მოთქრიალებდა საიდუმლო... გლოვის მარშია-
ითუთქავს ლოყებს და დოგმატის საფუძველს შექმნის,
იმპერატრიცა სამკითხაოდ იწვევს როსნიას.

და ინტერმეცო,გვისისხლხორცებს,ტანტალებს უნდოდ,
იტყუებს ჭკუას უსაქმური ცრუ იუბილარი...
იჭიმავს მარღვებს, იჭყვირება, კარადებს ქურდავს,
კეთილშობილად მოკუნტრუშე დიდი კენტავრი.

კვადრატულ ფესვში ლოგარითმი დავკარგე მგონი,
კერპთუთაყვანოდ კუდზუთქუნობს ცუდი ქტიტორი-
კუმისის ტბაზე ვნებააშლილ თურაჯებს სტორავს
ლავაშჩაყრილი კერძი მიაქვთ უცნობ მინდორზე.

აქ კი გაუტყდა მას ტაბიკი,გააწყო ვერრა-
ალვირმიშვებულ მხვნელ-მთარცხველებს მიჰყვება ვაჟი,
ტანაჭინჭრული ვირს მიაბამს რამლეში ბაგებს,
ბაბაყულივით მოშიჯდება და ჯლანებს ბანდავს.

შენ ჩემს ზღუდეზე მუგუზლები არ მოგიწყია,
ნაჯამბარევი საცრის პურებს დაგეახლები-
შენი ბეღლისკენ ბეწვის ხიდით გადმოვალ რიყეს,
ხნარცვში ჩათხეულს ბორჯგადგმული არ მენაცვლები.

ბზობის ყვავივით გამიქრება იმედი ყველა,
ბოლოქნევია დამქანქარებს ბრჭყალების მალვით,
ხმალკისერდებულს ხვნას და თესვას გამიწყმედს ღმერთ
ხვითქის ცრემლებში იწურება პირმრგვალი მანტი.

ფეხს გადიბრუნებს,გადანაფურთხს კვლავ აგვილოკავს,
ხელმრუდი ჯანგი სამცრედიან თავთავადღება-
გვიჯიათდება... გოლგოთაზე მას რაღა უნდა...
ხელთაღმპყრობელი გამოჯერკნილ დიაცს აჰყვება.

ჩვენც მას ვპენცავდით, ბიაბრუას ვაყრიდით თავზე,
ჩავარწყვევინებთ მოსაჭყლეცი ჭიის სამდურავს,
ამდენ ხარიხებს... რა ხაროა აღუვსებელი,
ჭრიანცელივით არეული სხვაპურს წაუვალს.

განვებავ ჩემო,მომეც მალა,ვიწყოთ ცერორი,
მცრის გულში სისხლი მოფუქფუქებს,გადმოღვრას ლამობს,
მაგიურ სიცყვას ამოჰყვება, რად გავეწყობი —
ლამაზი ქალი ეწაფები პარიზულ არგოს...

ხედავ? მომრავლდნენ და განწმენდას ითხოვს მსოფლი
უბედურება მოძრაობას დაჰყვება ბედად-
მეც ჩემს მეობას ბრბოს გადავცემ,დე, იქონიოს!
მისი პერანგი ჯვარცმის წინა სცენაზე მკემსავს.

მე და შენ ისევ,მე და ის და მე და მე შემდეგ,
ვ-მე-და-მე-ობდი გერმანიის ლამაზ თოჯინას-
მის სარეცელზე შევიმულეთ თავისუფლება,
პიზანი...მრწოლა...შემოგვაკრავს ახალ ბორკილებს.

თქვი,გაცეხილი, შეცდომების ნართულში დარჩი,
წუხელის ალბათ გარეთ ჭოცი დაგიჭერია...
ამ ორგულობას გაპაცრიებს ჯვარცმული ქრისცე,
მოგვჭამა ჭირი და გაცხრილვულს აღარ ელიან.

ნიათგამოცლილს საჭოჭმანოდ ელამუნები...
ქორწილამღვრეულთ იპაცრიჟებ საღამოს ლოცვით,
პაცრივაყრილი დაქუთქუთებ და ქედმაღალი,
გველის ცდუნებებს იმიზეზებ გომბიო ბოში.

წისქვილწყალივით მივარდები ჭმუნვით ჯაბნული,
წიაღთა მინა დავიდისთა -გულ-თვალ-ცრიალით,
მუმუმოჭრილი იპარები მილში მორჩილი
ცხრათვალა მზეს რომ ელობები სევდათ ფრიალით.

ცა ჩამოიქცა, მატერია შთება ქვეშეთში,
შესძრეს ქვეყანა...ისრაელი მესსიას უცდის,
დაგვალულ მასას გამომშრალი შერჩება ხვიტი,
დავთრებდაფანტულს ეჭმუხნება შეშლილი შუბლი.

რა გაგიჭირდა...კიდევ ცოტაც,იწყება შობა,
შენ მოფეხმძიმდი ამ საფლავთან, გაუძელ ტკივილს,
დალაბრებული მღვდელი მუცელს შეახებს ტოგას,
ემორჩილები დამმარხველი ზნეობის ჩიქილს.

გამოჰკარ ჩვარში, მისი წილი წილია ღმერთის,
ჩამოდის მოშე, იმართება იქ ექნატონი! –
შუა კედლებთან სინაური ლაქლაქი ისმის
და დატირება!...ოქროსფერი ძნის სიმარტოვე...

გვასწავლის მცნებას, ათი მცნება ლუკმა-უყვედრი,
გვეპატრონება დამლოჯავი წადილის მქონე-
ყელგამოჭრილი ხელებს ვიშვერ, მიხსენი მოშევ!
ნუ მაგდებ ღმერთქვეშ, ნუ მოიცლის ჩემზე,ამ სწორეს!

დაურჩი ქრისტეს, ქრისტიანი ლამაზი რძალი,
ჩამაკიდინე ქვეყნის ღერძზე სათუთად ხელი--
ჩვენ გვესალმება ქვაზიმირა მანგლისის დარის,
ქალთხელმწიფეო,ფრთაგაშლილი მატარე მტრებში.

ისმინე ლოცვა, შეუნდობი,შემინდე ახლა!..
შემაგდე ფიცზე, ღვინის თასად დამათფარფატე,
შენ ფეხშიშველას გეკიდები საფლავის ტანთან,
ტაროსი ჩვენდა! მოტაატე ბავშვი ქაცქაცებს.

შეგირთე ცოლად,თუმც მას დარჩი კალთაცემული,
გკოცნიდი ვნებით,შენ კი მასზე გშთება სალმობა,
კემებდი სანთლით, შენ კი ღლეკრულთ გაანდობ სათქმელს
მე – საწამლავი, მას – სინაზე, იყო, გასრულდა...

შევყურებ ლოლოს, ქვებს დამურულთ და ნაცარცხელებს,
სული ტკბილია, დამიმწარე, მაბჯინე გესლი-
გომორულ ცოდვას პალესტინა დაურჩვილია...
სირცხვილზე იწვის ნაღვერდლური ეს ალავერდი.

დავამღეთ ლეშით, სახრინავზე მივდექით შემდეგ,
იქნებ საჭმელმა უგოდრაო, პრეზიდენცს ცივად-
საჩეჩელაზე დაუსმელად საქოლავ მერმისს,
შეეწირება შომრონელი \გლახაკის წირვა...

რას წავუღივარ ამ საცანებს სასახლე დარდზე,
მე განცევების ვაცი ვიყავ, შევიცან გვიან-
უგრძნობელი ხარ, ამ ჩვილს მაინც უთხარი რამე
ზურგავენ ხაცებს და საყდარზე ბალდაქინს შლიან.

იწვა ზღვასავით, მე მის ფსკერზე ვპოვებდი შვებას,
იწვა ვით შორი მოგონება ღვიძლგადაკლული-
მოშეცი თავი, თავი მომეც ქალო და მერე...
თარაქამულად საციქველი დამკარ აუგზე.

თელეთობაა... სამოთხისას აღებენ კარებს,
სამების მაღზე დაღეული სწყვეცენ ნათლობას,
კაბდოს ავლებენ, ცაბახმელას ნასიცხარ ბაღებს-
კაენის ბეჭედს აყიროზე ვიგდებ საოხად.

ეს დამარცხება ესოდენი ცხვირრცყმული ნაწვნით,
გადამიქციე გამარჯვებად... ამდენი რწმენა-
არ გამიქარწყლო! სანუგეშოდ, თქვენმა კეთილმან!
მაფერთხე კალთა! საბლის წვერზე ვკიდივარ, მხედავ!

გვიშლიან სუფრას მეწამლენი და მუმიები,
მეკიდებიან და მათვლიან ვრცეულ ყაჭთასვლას-
ერთი და ორი.. ორი ათას ორას ოც-ორი...
პაცარძალივით მომერთმევი, ნეკნთა დაღმასვლას

მივეკვერძები მხართეძოზე მწოლარე მოდგმა,
მუხლ-მაზუნ-ჩაღვრილს მეკინთები, ორსული მუცლით,
ევლება მუსრი უმაქნისი ჯუჯების ხროვას
და მლიქვნელობით ელვედება მცურავი წყურვილს.

მომითავხელე, სანამ დროა, არაა გვიან...
მაფი შეაწყდა მოთმინებას... რეკენ ზარები,
იერუსალემში მოზღარბავენ მიწაყრილ მისანს,
მიჩრდილებული ფიცულობენ მთვარეს საკნებში.

აღარ ვმერყეობ, ამ ქალაქში მეორედ მოვალ,
მაშინ საყელოს ამიზერტყავს თმებგაწეწილი--
მაგდალინელი... ლაზარეზე აპირებს როკვას,
ხატს ჰგანენ ჩელ-ტოტ-ჩანაზიდ წყაროს მხერილში.

რისი პროგრესი, სათასურს ხომ იხდიან მხოლოდ,
ყველაზე კარგნი, ესთეტიკის სამოსით კრულნი,
თანხვედრილია ყველა სახის ფილ-კონცეფცია-
მათი დასკვნებით ვვითარდები სამყაროს სკვნულში.

ამ უკანასკნელს ვეზიარე ჭეშმარიტებას...
სადღაც შეცნობის მიმინებულ ხვეულში იდო-
გაკორმებული ჯირჯვს ეწროთზა სიპი მტკიცებით,
მღევამოსილი განმგმირავად ებრძოდა სინოდს.

გამომაკეთე, ამომერწე სახება ჩემი!–
დარჩეს ანარეკლს უვარგისი ტლანქი შეხება,
ნუ მწრუტავ ასე, ნუ მიჯაგავ განდგომილს,კვნესის
გაფოთებული მორზის ქალი,მკალ-ტყავ-ფეტვერა.

მელართხე წეფხი, გამხელილი,გამხვრჭვალი სკორე,
ზედამეზართა, დენგრა-ფუნა ცურცლის ნაპოხით,
ნათელმეფინა დაფიონზე...განდევნა მოსდევს
სულმნათი კაცის საგანმურო მირონ-გალობებს.

გაგივერანებ ასეთ აწმყოს, დაგამულჩირებ,
მენს ნაქურჩალში დავიკურჩხებ ჩარღვეულ ქარსლებს,
საჟოგმანები სანდალოზი დასვინაღრდება...
გასწი აქედან! დამეხსენი! ჰადიბუკ განვედ!

სულიერება დაგვეჩაგრა...შეერყა რიტმი,
დამათვლევინე გატისნული შენი ბაფთები...
დაგთქვირავს სავსეს, დაგიჩურჩავ სასწაულ თემოს,
ლუღლუღით გეტყვი:-ჩემი იყავ, ჩემივ დარჩები!

გაუკითხავად მივამაღლეთ უმდგრადი როწვი:
ნაუცბათევი მომელანდე ლექსის გაფენთან...
ნუ იფხორეზი! ფხუკიანო! მეცი პატივი-
გქურცნი ლოგინზე და ზროლის კანს ისევ ავსხირპავ.

დატიმეს ქირცვნით ჩვენზღვაურა მეკობრეებმა,
დამალურალეს და გამზრალი მიმაგდეს კუთხეს-
ცოფებს ყრის, ხეთქავს,ჯავრი ახრჩობს,ყელს ებჯინება
გაცხარებული კორტნა-სერვით ამბავი კუმტი.

ყაზანელ ქალსაც ემართება მენსტრუაცია,
ვინმე ლენინიც გამოჭვრითეს მავზოლეუმით...
ტროცკის შეჰყურებს ესოდენი მუქთაჭამია,
და მუყაითობს პასტერნაკი თავზარცემული.

შეეშვი ყოველს...ამაოა სწავლება მთელი,
პატრისტიკაში აქვინელის ჩალპა რაობა-
ნაცრისფერ დუმილს შეაბერდეს დიდება შენი,
მუხლუხა ტანკებს ეს მქენჯხელი ამოცანობა.

გმძევლობდი მძინარს, ყირიმელი ნაოფიცრალი,
ნაბადაკრული მივიკვლევდი გზას ოდესისკენ-
ნაბდლვენ თეძოში გეკრძალები სალიცლიცავი,
მილმამღარ კალთას კაჭკაჭივით ბარტყებს უჭრელებს.

ნაჭდევიც დაგრჩა ჩემთა კბილთა,დამნებდი მაინც,
ნერწყვგამშრალ იესოს ნეტარება ვინლა აცალა,
ნუშისმაგვარი თვალის რკალში ორნაპენტს დასთლი-
ერევანცკისკენ ზრაზმეშლილი გარბის ოხრანკა.

პირიქითელი კანსაფარი პროზაობს პულსში,
რანდევუს ველით - ბერლინს ასეც ურაკუნია,
რეპერტუარში გვემალები, ველური სექსი,
საბრძანებელში საპატარძლო მზითევს უხდიან.

ახლა შევიცნობ,რომ რაც მინდა ვიქნები ისევ
ახლა მივხვდები, რაც მექნება,მქონია ალბათ..
ახლა გავიგე,რომ ვღებულობ გაცემულს მხოლოდ —
როცა ვეცემი,მხოლოდ მაშინ დავიწყებ აღსვლას.

ვისწავლე,არ მსურს არაფერი,არრა წადილი,
მაშინ მეძლევა ღვთაებრივი განგების წილი-
აღმართდაწეულს იდაყვამდე ფლობილი ლაფში
ასკილთყოილობს დაყმენდილი დედაჲ ბიჭის...

შევწყვეტ ანცობას, იმპრესიებს არ ვახვევ არვის,
ვუძვებ და ვიღებ, ლითიუმით ლოღნიან ლურსმანს,
ლოყამკრთალ გოგოს დაგილოშნავ ლაჩრულად ბაგეთ,
მადლმორეული გიმასპინძლებს მეზრძმედე სურვას.

ბაკურიანი...ჩემი ლურჯი თხილამურები...
ის მემუმური შეეფინა მზე-მთვარის მალას,
ზიდვა-განზიდვა, მთავარსარდლობს სტალინი ჯარებს
და ცარიცინთან დაგვიყრუებს ქვემეხი ქალაქს.

მომაჭრევინე ეს სიმბოლო, თვინიერებას
მოაზრდევინე ეს მორთხმული სხეული ვნების,
ამოტივტივდეს...ჩაიწეწკოს კოხტა მშვენება,
რომ მოკუფხლული გაგიცინებს სამყარო ჩვენი.

მომღალე ქალო, მორონინდი, მომსაზღვრე თუთქი,
მოსახიბლავი კიდევ გვრჩება ცხებული დარდი,
ჩამომიწინწკლე მოფარფატე სულეთის ფხუწში,
ამ მოციგლიგე საწამეთის წვეთების ღვარი.

ქება რად უნდა წარმატებას, არცარა ქირდი,
ჩემს ტყავში ვიწვი, ტაშს მიკრავენ, შენ კი მშორდები-
პატიოსნებას შემოგვიწერს ბინძური ფლიდი,
დამაბრმავებელ ლოცვებს ჰყვება ერთი მლოცველი.

შემომახვეწე ეს სათუო საკვერცხურები...
მომღმუვლე მწმასნელს, შემიწოვე, შემომეწუწნე!
მუამდგომლობენ ამ ნამხეფზე მაიმუნები,
გონებანაღრმობთ აყვითლებენ სევდის ფერხულში.

დადუღდი, გეყოს...ჩადრევილი იზრდება ზორქვით,
გებღაუჭება და გეკვრება ჩვილი მადონნა,
მიქელანჯელო მიბურტყუნებს, ვან გოგი მოსთქვამს
ბოდლერის სიკვდილს და ვერლენის თავისთავობას.

ჩამითქვი ლოცვა, ეს ჩურჩული, მე შელახული
მოგეჩაჩვები, შემოგმახებ;-დილა მშვიდობის!
ჩამოგვწვეთს სისხლი, ჩამოტყდება ჯვარს სიხარული
და გვისივდება სამაცხოვრო სახე მირონში.

ჰა,ჩამოვზღავის ეს ნათელი სიცარიელე...
მიეგებება გადაკვეთილ ჩამწყვდეულ მართვებს,
ინთქმება შენში ეს ჩარდახი და დაყანგული
ჩარექნახევრად დაგვირიგებს უღვინო თასებს.

ცხვება და ცხვება,ვერ გამოცხვა,ვეღარ ეღირსა,
მოიმაბუნა და წაიფცქვნა ნარყვნევი მოდგმა,
გორგასალს მისწვდა,ხმა გამოსცეს მტკვარმა,მეტეხმ
თბილისს ზუილით აცივდება წითლების როჭვა.

იქ დავიბადე, ჩემი იყო ის ნარიყალაც,
ის გუმბათები, ის მარია...ჩემი სიზმრეთი-
წაიკრუსუნებს დედა ლოცვას, მიდის,მილალავს
დალუპულ ლანდებს სარუსთველო მისაკლისებით.

ვიკისრე თავზე ეს წარმართვა უპირნართული,
დამეგზნე კოცონით,ჩამეხრახნე,ჩაყვინთე ტანად,
დაიყოლიე მოჩერჩეტო ცეცხლ-სასწაულით-
ცვილგადასმული ოლარების ციური დაღლა.

წამო,მეწიე,დამიკვერდი ქალი ყუნტებით,
რაღა გიმავო, აქ წართქმითი ქვეყანა იმვრის–
გადმოდინდება ოქრო-ვერცხლი ბარჯამ-თუნგებით
და გვაწონიან ამერიკულ გაბზარულ სინდისს.

ჰო,დამაბრუნე მე ჩემს თავთან, ჩქარა,სასწრაფოდ!
განა რა ხდება?მაშინ როცა არარა ხდება?!
წაღმა-უკუღმა ვყიალობდით, რაღა ვიწამოთ,
ნაცივცქნ-ნაცხები მაწითლდები საწყმედი ღვლერჭა.

წვივმაღალს გახვევ და გააავდრებ სათუთად კლანჭებს,
წიგნიერება რა ბოროტი წილისყრა... იყო...
ნერგხვავიანო ნუ მიხვანჯავ სახვანცლო ანდერძს,
ხოშკაკალობდი სიყვარულში ჯადოქარს თითქოს.

ჯილჯილით მომდევს დაბნეული ჰაგიოგრაფი,
წიფლნარში ქოხი ჰაიჰარად არ ჰშენებია!...
კოლისეუმთან გამიღიმებს დღეს ცეცილია,
პიაცა სპანიას კამპოსანტო დასჩერებია...

ქაფშეფრქვეული ისევ ვეძებ იმ ძველ სიმბოლოს,
ქვაბქოთანებში დოს შეჰყურებს ქმრიანი ქალი.
ღამდება...ბარათს ეყელმრუდა ხატი სინოპის
მუქწარბიანი, თეთრგულმკერდა ნაცნობი ბავში.

მოსწმინდე პირი,მას რძე დასდის,წკავწკავებს ნებით
შეკანკალდება...ეკლესიის საფლავთან დგება,
მოვლასლასდებით...ვარეკვინებთ სამშობლოს მერმისს
და დამსხვრეული ემბაზონის ნამცეცებს ვკრეფავთ.

თან მეოჭვები...მოუთიბავ ყანებს გასცქერი,
ველი,ნამგალი...მე შენს ტანზე ავაბრიალე,
შემოგაფლითე ყველა კაბა, ყველა გამჩენი
ღაღადებს ხორცი,მკვდარს ვინ უსმენს,არ ვაზიარეთ!

სადარდებელი ნაზღვევარი თვალყურად დაგვდევს,
დევს კარანტინში ნავაცარი ჩემი ხორცულა,
სამფეხა სკამებს შემომიტანს დღეს მოურავი,
საცოლქმრო საქმე უწუნმდებლო წყენად მოსულა.

სულკრული მწყევლის და მიფატრავს ყინით ტრაქომას,
ტყუპიანობენ უგრძნეული ზოგვის სვეტები,
ვუკანასკნელობ...ჩამოქცეულს მაშინ დავკონავ
როცა სამყოვრად სხვა მწვერვალზე აიწვერები?

არ უორგულო,უსმელ-უჭმელს ავმარე გმინვა,
მოუსხივონნე უტიფარი ნაწიბი ჩვენი--
უფეთქავს მარღვი,მას ის სიმი ჯერ კიდევ სტკივა
საქვეშევრდომო უღვლილება ედება მერრის.

გფარგლავ ამ ჭერქვეშ,ფარშავანგო დიბა-ხავერდში,
გიფანქრავ სათლულს,ფერჩაცრეცილს ვინღა შეგიცნობს,
ფეხაწეული ფიჩხულაში მომეზმანები-
დაგფიწლავ ფოცხით და ქადაგად დაგსვამ იერიქონს.

დამსახე ბირთვად და მოიღე გავლენა ყოვლი,
მამყოფე მუდამ ყველგან,მარად,ყოველ ადგილას,
გახუზულ ხეზე იჯირჯვება ობოლი კვირტი-
და მეჭმუჭნება ეს სიცოცხლე მრუდე, მახინჯა.

დაგგერშავ გბობილს ჩემს სითხესა და ჩემს სამღურში,
გვიმრების ზოლზე მებომირებს მოვისაწინდრებთ,
წყლცუ ქარვახ-ნალებს გაშანდაკებთ აქ საქალწულოდ,
სართვინელების ხრო ბოდუქი იგრეხს საკინძეს.

ბუბუნ-გუგუნით ზიმზიმებენ წუმპეში ჩუთნი,
ჩემი ერქვანი გიორხელე ჩემო წერწელავ!...
დაგიგუმფისებ ჩემი ნერწყვით დამურკლულ წვივებს,
დავბებკავ სხეულს საბალზამო დაღვა-ჩვენებად.

გამომიზოგე, მომიმართე ეს ლაფათინი,
თოვლდაბარდნილი ამიხილე დაზრული გონი,
დაიმირება ფუცურომში ფქულა-გაბრჯნილი-
აშმორებული ნათესავი ნაყბედი ბოდვის...

მეც ჩავინერზე დაუწინდავ საცოლე ქალზე,
მუცელქმნულიყო, დაბიბკებულ საშოს ელანძა-
დავიეუყლები მის ცერფებში, დარაბას ავწევ,
რომ სადარბაზოდ იზეიმოს სოფლის ქედანმა.

დამიმცნე გული, გაშეთებულს მომცხე სალბუნი,
დარკილულ ხვადებს თუ რგებიათ ქანდა, კინამო,
მიდრუზავს საქცევ-საცქიალოს ზუნზლვია ლუმპი
დასწყევლოს ღმერთმა ეს სოფელი და ეს მიდამო.

სიმშვიდე, კაცო! მცქერსაც ალბათ ასე ნდომია,
სევდა-ყათრული სისცქივინებს, ცახცახებ სადღაც
დაგვაფალმანდებს, ნაიარევს... დაუმონძია,
ზეწარი შენი, წელნათრევი საკუწი დამღა...

მეც მის ხვანჯებში ჩავინასკვე დიდების თნევით,
გულდაღებული დორბლით ვუვსებ დოზანა კათხებს,
ბნდუც დაშფურფუცებს:-არ მცალია, შემეშვას, ვეცყვი
მშვენიერ საყარს ვუფოფინებ თლუხთლუხა დრანჯებს.

მაშორე ღმერთო, ეს ნაცემი მოლაკლუკენი...
ენაკაჭალა ჭორიკანებს ეყვანი აბი!
და მწვალებლობენ ეკუდარში დოსცქაქარები,
რომ საჩოთიროდ მე ამკიდონ უზომო ბარგი.

მოგეწონები?! ამ ტაფობზე დავდებთ პირობას,
გავაჯუბაჩებთ ენაგლესილ ჩოდრებს სინოდში-
დიდყურა კანჯრებს შემოვავლებთ ქობა-ზამბილებს,
წმინდა გიორგის ეკლესიას ლოდის სიოხვით.

მოდი! მომყიდე! ეს ხზამბაკი, კიდობანები,
დაფეთდნენ არსნი - ადონაჲს განკითხვის დღეა,
ქურქუმასავით ვსამართლდებით... დაწილაკებით,
ზინზლიან შაზისს აღვერფილი ფიქრები სცრიან.

და არა რატომ, მხოლოდ როგორ, იკითხე კარგო!
როგორ და როგორ, უსასრულო ოთხი ნათენი-
ხომლი და მიწა და კოსმოსი - გზა უსაზამო
ჩვენ გვეკიდება თელ-ავივურ შემოგარენში.

სულით დაცემულს არრა უთხრა, ღირსია ალბათ,
რწმენა აკლდება, საზღურბლეზე იხსნის თაბალებს
ჯიქურ ემგერა და კეკლუცობს ნაზლინძ ამანათს
თავმაღალ ჭურებს შეაზეზრებს ნავლულ კამათელს.

ნუ ითაკილებ ჩემს აქ-ყოფნას, ტუჩს ნუ იპრუწავ,
თანატოლფასი დაგვიკერეს უკვე თალხები-
დასტური ლაეც, თარანგებზე თანგავს ჩინურად,
თვეში ჩამდგარი თვალუხვავი გოგოს ლავუწებს...

ამ თვითრჯულობას არ შეგვარჩენს მთვლემარე ქრისტე,
მე სამთვარიოდ შავ საფლავთან მოგეტანები,
ჩაგნუყრავ სისხლში, დაგაშვავებ ნაქურხლალ ჭირხლში,
სავალდე-წეულს წალიაზე დაგიგვარლდები.

შენს თონთლო თემოს დავთრიაქებ ერთი თქმულება,
ხარ იაგუნდი, უფრო მეტიც - იაჯავარი!
იკმარე ქალო! იშედ მომეც, გვეგოს კურთხევა!
გემრავლოს იფქლი, თაფლი, მვრია, თხილი, კაკალი.

-დაგრაზე ხატი,- ლაკარტებში შემომემერწე,
სამწდეურს გაწვდი, შენაერთი ყოფილა დიდი-
გოდორით მომაქვს დალეწილი მტევნების ჯონქი
და კანტიკუნტად მსარაფარდებს ადგება ჩრდილი.

და ვითარც წყალი ყოველივეს ვჯირჯვლავდე ნეტავ,
შევაღწევ სალონს, ეს რა კლდეა კარკატოვანი,
ვისწავლი კბენას, გაჩუმებას, აკენწლვა-ჩხვლეტას
აქ რას შვრებით?—აღარ მკითხო, ადნე ფოლადი!

ადნე ფოლადი, გადამაგდე ღორანში ქალო!
იმედნეული მომაჯერე თეთრი ბეჭედი...
კეკემალულას თამამობდი კენარი, სათნო-
მენს კეწერებზე ნატერფალი დამრჩა კეწკეწი.

ამ ქორაფებზე წაგაწყდები, იკმარე, მორჩა!
გულს შევიჯერებ შენი კმევით, მისი ბურებით—
კოვზიტლეკია კოდალები გოლგოთას მოსცხეს,
ჩამარწყვულ ბოყვებს ვაკონწოლებ კოყრი ჯუჯებით.

მათ რა გამოლევს ყლარუნობენ კონკია ტრუცში,
კოხებშეკრულნი ღრაჭუნობენ გუნდრუკ საკმევთან,
შენ კი ნატიფი და მწყაზარი იღვიძებ, უცდი
კრიალოსნური სამარცვლეთის ავად დაწყვეტას.

ზილფდამუწული ლულამბარებს დამაშლი თავზე,
შენით ხელთდასხმულს მოლუშული ვეამბორები—
მას რაც ყოფილა! რაც კი არის! რაც კი იქნება!
მოსხივცისკარე, მონარნარე წელთა ჩქორებით.

მეც ამ ლანგარზე აგიზიდე ყველა წირები,
წინქვილ-სარეკელ მოტარტალე ბლუნციებს ჰგავდნენ,
რას დაგვაკლებენ ეს სულმოკლე მხდალი ციბები
ლოქორა-ნაჭამთ ჩალფაჩუნა ლურთები ართხეს.

და ვმემზანაგობ, ხვალ ხომ დღეა ჩვენი ქორწილის,
ლუსკუმი ღამე ამდენ მჩურჩნელ ცუნდრუკს დაიტევს,
ტაბლაზე მადას აღგვიძრავენ მაიმახები...
და მათრეველაც მალაჩინებს ჩვენდა მოიღებს.

ის დაღრეკილი ყალთაბანდი ყოფილა თურმე,
ჩვენ კი შეჯვარედ დავიგულეთ ერთი მძლიონი,
ვერ ავიცდინე მაჩხიბური ასმენაკები—
თანამესუფრე ლოთი ბერი ფაცერკოდების...

ჩაფანდეს რინი,სამზადისი ყოფილა დიდი,
მზით დაყინყვლული მეჩუქურთმე მეხსიერებას,
მიედავება ნამთვრალევი მთარგმნელის რისხვით
შემწყნარებლურად ხელუხლებელ ხორცს მიერთმევა.

წინაგზრახვიდი ამ ალერსით, ამ ამგერებით,
შენს საფიქრალში მხოლოდ ერთი ვყურისმირდები,
კპრკარებს აზრი, ოფლის ღვარში გვდის იმედებით
ეს მყუდროობა და სიახლე ძველი ქრისჭესი.

ხომ ხედავ, ჩვენი მომავალი გრძელდება დიდხანს,
ვამჟღავნებ სურათს,ანარეკლი ზეცაში რჩება,
ეს საყვარული ქონდრისკაცებს სანაგვეს მიაქვთ,
ირღვევა რკალი,გაცხადების დრო-ჟამი დგება.

რუქულებს ფადა, ჭასონარში რაპურით გცუმნავ,
ზიმულს იღუნთებს ჭათარელა ჭაკოზანური-
შულფარა პერწელს ყუჯლაყუნა ხორჭალი ფუნთავს,
დასე რაპური! ჭათარელა ვულასანმუდი...

ჰო,მენანები, ჩემო დაო, ჩემო სიწმინდევ!
არ მსურს შეგფაკლო,დაგირღვიო წულრთვა ქალური,
თვითიდგომები, ყოველივეს მოზ საარსებოს
და ყოველივეს ჩემში ჩართავს ხმა პოლარული.

რაღა ვიწამო? ნივთი,კაცი,მომღვრება,საქმე?!
ხომ ყოველივე წარმავალობს უკიდ-საზამოდ,
შემიპყრობს შიში, როს ნარწმენი რაღაცა სახეს
მიაჭრიალებს,იმირება, კვდება, მავალობს.

შენ გევკიდები, შენში ფრქვეულ მარადისობას-
ამ დაბადებას,ამ აყლორჭვას და ამ სიხარულს,
ჩვენ მომრაობას შევეწირეთ და გაისობას
საქალწულეთით წარმომიდგენ იმ დიდ სინანულს.

გახსოვს?მარხავდნენ,პარასკევი იყო,ზაფხული,
მარხავდა უფალს ღვთის ქალაქი - იერუსალემის-
მარხავდნენ,მაგრამ უმარხავი რჩებოდა სულში,
წარსაწყმედელი დიდი მრევლის საჯანდაბეთი.

დაიწყეს წირვა, მყარ გრდემლს ურო დასცეს ყიჟინით,
წყალივ მღვრიეა, შესადილეს ანკესს უსვრიან-
მახეში გაბმულს დამივიწყებს ნათლის სიდიდე,
ციებ-ცხელება ნაცნობ მოხუცს არ მოუხდია.

ნუ პურამპირობ!-ამითრთოლე რცინით მუცელი,
მომადევა ღვარი!საპერანგე პირაღმართ დენე!..
შენ დამასწავლე:-არ ვყოფილვარ კეთილი ქმარი,
გეწრთობი ბრალში, მერე ვქრები ,გაკვდები ზეზე.

მე ამ მორევში ვერ ჩავახრჩობ ნანაცრ სიყვარულს,
რწყილნესცარნასობს ფერდის ფენთხი აგეთამამდა,
მომაპყარ გავა, ბამბიქულებს სიმმიმილს აწრთობ,
რომ საღორეში სკორე გვიბღონ საკმევ-საბადად...

საჭე-მპყრობელობს ხრწნილი ჯგუფი,სახეში სთხლიშეს
შეთავაზებულს უუქმებენ ბურძგნია მოყვასს:
რას იბღვირება?! იგერიებს გვარცომურ ისრებს
და შეჩვენებულ ჩიცისკვრიცებს სიამით ღორავს.

★ ★

时势造英雄 შრ́ შრ̀ ცა̀ო ი̄ნგ შიო́ნგ — დრონი თავიანთ გმირებს წარმოშობენ

მლივს შევაჩვიე ეს საბრალო თავი მომღვრებას,
ჩემსას,წამებულს დამარცხეშის უგონო ჟამში,
გსურს რომ გამოსმლო?!-ემთლიანე სინდისს,მოგყვება
საფასურთნთხევა საქციელზე - წამითი წამის.

ნუ გაიქცევი! იქონიე სიმშვიდე არსო!...
ნუ წაიქცევი! თვალი უპყარ დარდიან მამას,
მზარეულები სამასპინძლოდ გვითმობენ ქაცოს-
მოჭარბებული ნაკვერჩხლებით ფუმეს გადასცდა!

ამ ჭინჭრის ძირზე ეკლიანი ვარდი მეხება,
ვიცოდი შენი ყადრი, იესოს არ შეაპირე!-
ბილწმა ცახუნამ ათას-ასი ქვევრი შებილწა,
ჯოჯოხეთისკენ ერკემალი ჩვენს გზას გაიკვლევს.

გოდორნაკიდი დიაკვნები დგებიან ქარში,
კაცარინელი ხუცი მყვება დილაადრიან-
დილაადრიან აყროყინებს არაბი ხევრონს,
დედაბომები შავ მჭრელ დანას გულში გვახლიან.

მომიჭყამპალე დო და ქადა მომიცლაკუნე,
ისეთი, როგორც, დედაჩემი აცხობდა ქართლში-
მცვივა მუცელი, ხელი მისი ნაღველს მაპკურებს,
წითელ ალუბლებს გამომიცანს და მეცყვის ნაზად...

ნუ გეშინია!შვიდჯერ ცემულ ადგება შვიდჯერ!
ნუ გეშინია! ეფრემ-გვერდი დაგმახებს:-ამინ!-
ხუთზე კრუნჩხვები, მორეული ქვეყნები ისევ,
ცალახს გესვრიან, მერე ისევ შეგაქებს ხალხი.

იცოდი კია,რას ცქიროდა ქალი მარია?!...
რომელი?ვისი? იეჰოიაკიმის, იქნებ ხანასი?
ნუ იწერ პირჯვარს! ფათერაკი რა საბაბია?!
სასოწარკვეთის, სულცემულის, ჩვენი ქალაქის.

საერთოობას შევეწირეთ, ნივთთ მარცივობას,
მეზრალებოდა ყველა ქმნილი - თანასწორ სამარხს,
ეგოცენცრული ცრაქცირებით გადადიოდა,
ჰარმონიული ენერგიის წეული ფარდა...

რად დაგიწუნე? ჩემს ნახნავში ფეცვივით გთესე,
ვდგებოდი ადრე,საციქველზე დამენთო ცეცხლი,
მაშინ წამალიც არ მაღირსეს, საუნდოდ მჩეხეს,
ვერ მათქმევინეს აზსოლუცზე სიმვირე მეცი.

იღვრება ფაფა,ჩვენ კი კოვზიც ვერ გვიშოვნია,
მომეც კოჭობი,გობი ლაფი და მუგუზლები-
დიდება გვინდა, სხვა თიქალთო როდი გვქონია
ჯორჯიბა მაღლებს კვრინჩხი უნდათ,რას უყურებდი?

ადიაფორა-... ალაპები... აგრეგაცებში,
უკუზო აქლემს საქინძარში ქუნქავდა ბოზი-
მეუძლებელზე მიკითხავდა ემილ ალენი
და ხალიჩებზე ბაყაყივით დახცოდა ჭოცი.

მას დაუღმერთე ის უკვდავი ინტელექტია,
მას დაუმკვიდრე ჩვენი თავი ერთიანობით-
ასეც გვითავდა და გვიჯრიდა, ტირიფს ეტრფიან,
მზე-საზმელ-სავსე თაველბის ნაქონ-პატრონნი.

ბურთი მომალეს...ლეგუმ უნუს,ნიორი,წყალი...
სიმართლის მდევნელს დაგველევა თვალში სინათლე,
გამოუცდელი ანგელოსი განსაცდელს გვაცლის,
ნატთან ვზუცაობთ, მონასტერში გუთანს ვიჭავლებთ.

ცა ებრძვის მიწას,ბნელი -ნათელს,მკვდარი კი ცოცხალს,
მზე ვაჟკაცურად ეკინთება დიაც სამყაროს-
კვნესის გომბიო, გულა გულად აჩნდება ქოთანს
ლოკოკინები სამოთხეში მლიან საგვაროს.

თუ მყვარებია მახრჩობელა მე მესაფლავე,
რად გვინდა დათვი, აგერ მისი კვალი ცოცხალი,
დანგრეულ ბუხარს დაიწუნებს სიმამღრის მაღლით-
ღვინოწყურებულ მღვდელს მივკერძავ ბიჭის მომახილს.

არა! დიდებას დაცემულის სისხლის საპოხით,
არა! სამშობლოს დამორცხვებულს ჩვენი ფასივით,
ქარქვეტამ უწყის ჩვენი გზა და ჩვენი საცოხნი,
დაგვფრენდა ქორი,კუნში იდო აქ უმაქნისი.

აღარც მოიშლის ის ამ საქმეს, ყბადაღებული,
ღრუტუნ-ყაყანებს,თავთან ყარს და ბუდეს კი იცვლის,
ფეხი დაზიდავს ყოველგვარ ჭირს,რაღას ქაქანებს
ერბოსნანდომი ქილას ჰკოცნის მკვეხარა ბრიყვი.

ჩვენს სასთუმალთან მოიგლოვეს ეს ელეგია,
გვეხარბებოდა სილამაზეს ქვეყანა მთელი-
უნაგირს ამტვრევს, ცხენს აჭენებს ენაქლესია,
ბევრს აგონდება სამწუხარო ნიშანი სვეტში.

ნეტავ ვიცოდეთ ეს პროცესი,თუ ვითარ ხდება,
ბუნებრივ პრინციპს გადაუხსნეს თვითდენადობა,
სამყაროს თავზე მობინდული შუქურა ელავს --
და დიალემის პარადოქსებს ვერწყმით თანხმობად.

ძევს ვითარც ზღვაა უმშვიდესი და უწყნარესი,
ჩქარი,მღელვარე მდინარება წყლების ითუნთქლა,
წევს ნაზი ქალი,თვინიერი , ხსნილი კავებით,
რომ მამაკაცურ მეთრთოლებას შვება მიურთას.

შენც დამახიე შენი მუმუ, შენი სარწელი,
დამვერცხლე ლოლნით, ჩამიმჭვალე სხეული ნარცხით,
სიპაცარავეს აუხდია ვნების სარქველი,
წუთისოფელი ბორკილს უმსხვრევს,საფეხურს ადის.

მე მოგიფონე აპეური, დაგაბი რქებით-
დაგლრუბლე სასმლოვ! ჩაგიცურფე ყველა კიმონო,
ამ დედამიწას დაგასცუმრებ სანეფო პეშვში,
კარად გამომდგარნ მკათათვეზე,რამე გილონო.

გილონო რამე...ქრისცემობის ნაფერებ თოვლში,
ყველა სიცოცხლემ ჩაიაროს, ნურას მისცირი,
ჩვენ ამ ქაოსებს ვესალმებით და ხარკს გადვუხდით,
ყველა დაწოლას,ყველა მლევას,ყველა სიმშიმილს.

და საორმოცე სნებასავით გადგვკიდება...
ჩვენივე ხელით ნარის გლეჯა სცოდნია მზაკვარს,
აღარ გვაყენებს სადღვებელში,წუწუნებს ქვრივი
და ბადაგივით თოვლს და სეცყვას დაითრევს დაბლა.

შევიცან თავი,შესაქმნელის სათუო ფონზე,
წმინდა ქალაქი მაგიური სიცყვებით მხვდება,
წყალკურთხევაზე ხელს შეგავლებს დასჯილი სიმე,
მასპინძელს მივალთ და ზრდილობის ფასებას ზედავს.

ყვავივით დაობს,თუმც ის ყორნად არ ბადებულა,
უჭირს შედეგი,სასთუმალთან მოიკრებს ცნებებს,
უჩვეულოა საბერებლად...ჩვენ წამებული,
სახარებაზე დასაფიცად მივყავდით ბერებს.

აი,ამოხსნა ყველა მველი გამოცანების:
-მიპყევ დინებას, ზესთვანგებას ასე სდომია,
არ ჩაერიო! დე იზარდოს! დე დაილეწოს!..
რაღაც დუმილში ქარიშხლები წყებად მოდიან.

ვარდი კონებში, მოგვეკრძალა,მკურნავი ენა,
გვკადრა, საცნობარს ორი უფლის მონა ავმარა-
დამნაშავეა ყოვლადწმიდა, გულმართალს სთელავს,
შრომობენ სხვები...პროლეტარი სჭედს დიდ ქამანჩას.

მორთმეულ ხახალს დაგიწუნებს გვირგვინნათაჯი,
ჩემით სატკივარს გაგიქარვებს მარადისობა,
ნადიმ-ნათელზე ფლავს გაჭმევენ,ღვინოს გადასცლის
გვისინჯავს ქოთნებს, და სარწმუნოდ აღარ ინდობა.

არც მას გაანდო ხვაშიადი,მხოლოდ მე მითხარ!
ეს უეცრობა, სატანჯველი, სიკეთე მხსნელი,
შენს ლამაზ კაბას ვაფერხულებ და წადილს ვიკლავ
სულგრძელობათა საყვედურში, ვტიტინებთ,გესმის?!

გესმის?საყოველს სიყვარული სენად რგებია,
წიწკნავენ ბარკლებს, ყინვა ხორცში გვიზრობს ალდგ
მთელს დედულეთში მხოლოდ შენ ხარ,შენ შერჩენიხარ
ცოდვილი გამზრდელს რომ გაურბი,არ სთმობ ანცობას.

ვერც ის იწყნარეს,თვის ქვეყანას დაეცა ქადაგ,
ნაწყვერ ხმელეთზე წინათქმათა კეცვას ვერ სცდება,
იჭერდა საჭერს,ვერ შეუძლო,დასცვივდა ცრემლი,
ფერფლნაქცევ ხორცზე გაზაფხული ცოცხლდება,ფეთქავს.

მთვრალივით მირბის,უსხეულოდ ცხოვრობს ხილული,
მაღლიდან ისვრის შავი ხელით ნაჭრელებ გვამებს-
ამომავალი სხივის ნაკვლევს საოხად ელის,
ყვითელ მუცელზე მეგობარი, დგას სისხლის ღვარში.

მოველ რომ გდრიკო,მოგიწმინდო ციცა გუგები,
რომ დაგიკოცნო გურგუმელი საზროწეულოდ...
პომეკაზმები ჯილაწყობილ ნაზ საუნჯესთან,
მძივებაყრილი, ტანხეული, რათა შეუნდო

ყველა იმ ცოდვილს,ვინც გოლგოთას არ სთენებია,
ყველა საზორძლო დაუნჯებას,შენს ორსულობას-
ფეხდაზაკუნობ თავქარქაშა თოთლო რაყვებში,
საცერი წნული...კვერცხი თეთრი, ცა ნაქცურობა.

შენი მისვრიტი დავიჭალე,ტყე-ბარდით სავსე,
კბილების მწკრივზე ფიქალბომად მოგეზესადგრე,
მელის კუბოდ ერწყმი,ჩამოუშვერ ორ კარგ ულფვას,
რძესავით ტკბილი იყავ ქალი,ნაღველში მწარე.

მწვადია რკინის, ხორცშამფურა უსიტყვო მდგმური,
მრუდესახოვან მონაზონზე ალიწერება...
მეტყუპისცალე, უკანასკნელ სადგურზე გიცდი,
თუ გაიქცევი, გეკიდები, და მოსვენებას...

არ მოგცემ ქალო!...ჰა,საბანი,შემოყევ თავი!
ჭინჭრებს შეუმევ ეგ ფეხები,მკრიფე ყვავილში,
ხელში შეგრჩები აუწონარ სასწორზე თაფლი...
სიზმარი, ლანდი,ორი კოკა ფერუმარილი...

ყოველ საღამოს ჩამოანგრევ დაწყებულ დილას,
უსულო ცხედარს ტვირთიანი უღელი დასძრავს-
დაეხეტება მროხის ქვაბი, აიცვავს წინდებს
დაზეზებული აბრეშუმში, ქალამნებს გლანდავს.

მთვარე სარკეში ჩაიკვართხა,ხარხარებს პური,
ლალისფერ პერანგს საგუმბათოდ დაგიხვნი ზარემ,
შვიდი სარტყელი ათ თუნგულას ედება რულში,
ხვარხვალებს წყალში, ამოსმახებს მშიერი საზმელს.

დავკვარცხნი ლაღად, მოყუყუნე ლაშქარი იღწვის,
მარგალიტები გიზურმუხტეს დიდი სანთლებით-
თავს-საბელ-ნაყოფს ზრდილობრივი გიღიმის ნისლი,
ეშმაკი კუთხეს, თოფი კედელს, თუნთულაფები.

ვგოგავ და ვიცდი, პაწანწალა გამიხსნი კარებს,
ჩამეკლაკნები ვითარც გველი,ლაპლაპა ცვილი,
ალმასმოჭედილს უზვარაკოდ მესურათები --
მიილე მეწკვი, ფრთის კალამი, ბეჭედი თლილი.

დამფრთაფართაცებს მაცხოვარი, ადგილის დედა,
ალებალაშეს ბეთანიას ამაღლებს ბადიმს,
მიათრევს ბოღმას, იკვებება მუმურა მოდგმა
ვეწყალვი ალბათ,ზორვას იწყებს ითაფას მახლის.

ჰა, ეს ქურჩია უმღლევარი კუწუნწრახები,
მონაჭირვები ნაარმევი კერძი ჰგონიათ-
ღადრობენ ახლაც, ცალუღელად ჩუმჩუმათობენ
და მლიბლიანი მაღლებივით ხახმებს ქლოშნიან.

მიეც ხელჩო, ჯარმოყვარე ჯილაგი მისდევს,
ხუობენ ყველგან, წიკწიკელა გადააქვთ სადღაც,
მკრეჭენ სათმურზე, სისხლუქცევი ხორცივით ვითმენ,
ოქრონაბზენი სალოცავის უცხო სამართალს.

არა! მოვითმენ, დრო განკურნავს ლამაზო ქალო,
აქ, წმინდა საფლავს ამაოდ არ ვზიარებივართ,
ინთქმევა ყოვლი, ჩვენს ნაკვალევს გამჩენი ხაროზს,
დუმილი გვათნევს და სცენაზე ზღაპარს ყვებიან.

დავითმე ჩემი "მე", სიღრმისკენ ვიზიმგე თავი,
არარას ვცდილობ, ნასრულყოფი მზღუდავს ნიადაგ,
ყოველთაობა, სიხარული, განცდები წამის
საჰარადისო ხატს სამკუთხა ფირნიშს მიაკრავ.

არაა სხვა გზა, ამ დასასრულს შენ უნდა გენდო,
გენდო არსებას, დე აღსრულდეს ღვთის განაჩენი!
მოხდა, რაც მოხდა, ჩვენეული გამოჩნდა ერდო.
მოხდება მაშინ სანატრელი ეს მოსახდენიც.

და ეშვებოდა შავი ხელი ვით საოცრება!...
ვითარც მკურნალი, განმკითხავი, დამსჯელი რაღაც
აპოკალიფსზე ზეიმობდა ... გადაორებას
როტონდა ბნელი, სასამებო გუნდრუკის ბალზამს.

ბრმაა შემთხვევა, სამართალიც აუცდენელი,
ბუნება გვარწყევს საკანონოდ ცოდნის სიმღერას,
ჩვენ ვხელმძღვანელობთ საკამათოდ ჭორის სანგელებს
დუმილის მალას დამასისხლავ ჩემო დიდებავ!

გადამისროლეს ახლოურმა ფიქრებმა შორით,
უსასრულობას ჩავაბარე შური და ღვარძლი...
რა მოვინდომო, ვით გავმარო სიმვა და შმორი,
ამ სამირეთის უსასტიკეს კვამლსა და ქვაში.

წამომიგერე ეგე მუმუ, შემასვი ხარზად,
მოვით თქრიალა რძე-ნადედი წლების ზრიალით,
მოფხუწეს გვამი, ხერხემალი კრუნჩხვით მიაცანს,
თვალწარმტაც ბლეროს და სავანეს, აღარ იჩქარის.

დამყოლიც ვიყავ, უდრტვინველი, კდემამოსილი,
მივაბოტებდი პალესტინის უდღეურ გზებზე--
წარსულს ბარდება მოძაბუნე ბოში მორჩილი,
მოქურუხებულ სახურავზე კაცუნებს ემებს.

არც დაუგვალავს იგი ენას განსაცხრომლებში,
ნაკარნახევი ევანგელე ღარადელს ჰგავდა-
აგკემხე გოგოვ, ანაფხრეწზე გირჩვიე აპკი.
ემვება ნელა შავი ხელი, ახლა კი ნანა...

კარში ნამქერი, ნუღარ ნანობ, აჰა, ბურჯღული!
ჩვენს შეუღლებას ნასმურევი მოწმობს მცხოვარი,
გაზუდაყებულ ნახიზს ცლანქად ექლასუნება
ნამღვნევი ზურდო, მარადისი ბუგრის ყორანი.

მიხვდი, გაიგე! მორჩილება როდია ცუდი!
პარადოქსულად ჩვენც ვემლევით თავისუფლებას,
ადიდონ შრომა! ამ სამყაროს რევია რული...
ნავვართულს ჩქუთავს საკილოვე ლანგთა სხურება.

აი, ეს დურაც, დამარცვული ქუქუნაკები!
სრულდება ხილვა, საცყაჭუნო არა რა მრჩება-
მანგლისულ ლაცნარს ვეცანები, ცყურბელა წილში
და უქომაგონ მედევნება ქალაქის წყევლა.

ვფიცავ ლოხ ურდოს, უილაჯო ვრდომილ უღლეულს,
ვფიცავ გულქართლად ანვავებულ ყინიან მოდგმას,
ვფიცავ დავიდის ფარს მეშეხ-ში ფაენ-ყუდებულს,
რომ არ დაგცოვებ არასოდეს, მე მაინც მოვალ...

მოვალ ვით სული, ფენოვანი, ლივლივით მოვალ!
მოვალ ასპიდით, დაქარწბული მკერდის კვეთებით,
მოვალ გვადრაკით, ოქროს ვერძი, იავარყოფა!
გვიცხონოს ღმერთმა მემელყურე ცრუ იმედები.

არ დავეცემი! ჰო, წმინდაო! არ დავეცემი!
ვფიცავ დასასრულს, ამ სიტყვების მოცალეობას –
ჩრიხავენ მალას, თუმც მალაში სისუსტე იცდის
ზე-ატყორცნილი მირს ეცემა, მიწას ერთხობა.

ჩვენ გავიმარჯვებთ, პრეზიდენტო! ნუ გეშინია!
დიდ ამერიკას მოციმციმეს ვუგებთ მონუმენტს...
სისხლი, წყურვილი, სიღარიბე, საფლავს გვითხრიან
თავისუფლების ანაკსრული ფუძე მობლუნძეს.

ნათლისმარი ხომ არა ხარ, გახსენი პირი!
ჯადოქმნილ დედას ემსგავსები, მჟღივანი დაგდის!
შომეც ისრიმი, მარახოში შემახვი, კმარა!..
მურყნარში გდება, ქუფრი ბლიკვი, უშიშნო დარდი.

მჩხლართავ ჩუკლუკებს ეს მჩქეფარე ცხოვრება უნდათ,
ის კი დამცხრალი მყუდროებას მიაპყრობს მგერას,
მგერას გულისას... აღარა სცემს, მძლავრობენ უფალს
და მწვალებლურად მწურე-ნადენ მწოველებს წენგავს.

სადარდებელი რაღა რჩება, კსურს ვინამლეოთ!
ავიატებულ ღვინოს ვეშვები, ახლა უყონლივ...
სარეცელს მიმლის საყვარელი ქალი წერწეტა
და არტახებზე გადმიწვება სარმლო უცნობი.

ეს პირისწყალი მილანკანეს ვერცხლის სევილზე,
რმიანა ზღმურტლი გესხლიტება თქვირუნა ტერფში-
ვინ დათვლის პწკარებს, აჭარპანებს ალაპებს სუთი
გველნაკბენივით მიწკლაპუნობ, სლუკსლუკით ტკეცზე.

ჰო, მაშინ მოხდა შენს თიკრუნას მივეფამფალე,
ნაყვერმა ლორთქომ გაწყებინა ზაფხულს ტროფობა-
მიტრუცუნებდა იუდეას ტუნტულა ზვერი –
კუმტობდა მტერიც, შავი ხელი ვის დაეცხობა?!

აწონ-დაწონვის დრო არაა, არც ანგარიშის!
ჩქარა პასუხი!.. მივაგებოთ ორჭოლა ქარებს!
ბორგავს ქულფათი... ცუგრუმელას ერევა ცრემლი,
არავითარი პატიება პირობის დამრღვევთ!..

მო,მომაწოდე ეს ლოლუა შაფართხელები,
როგორც თბილისში,სიონობას,რას მემართლები?! —
ნუღა მეკრძალი,შემეპუე,მოეშვი ჯლიხვას,
საზარდულოზეც გამოცდიან სეფექალები.

ამ აზლაზუდას მომაცილე,ოდესღაც გცოდე,
მომეც ომზოხო, ალმაცერად ნუ იყურები!...
დაგხნარცავ ღრმულში და რუსხმულით ჩაგიავდები,
გერგილიანი ოჩოკოჩი, ჭყორვილი ფუფქით.

ზრმანება არის! ჩააგონეთ საფლავს ჩადები,
დააწურვინეთ მღვდელს საოფლე სიმწარე სოფლის,
ჩაზეპნილ თავზე დაითუთქოს ბუდე-ქარცები,
ჩამოკონკილი მოგოგინებს უჯიმო მობით.

სკვითოპოლისთან დაგინიშნე ეს პაემანი,
ბოლოდან წინა, ეზრეელი დაგვზეგრავს მაშინ,
თვალთმაქცობს წვიმად ესე სიტყვა ფუჭწარმავალი
და შავი ხელი მიქანაობს ტკივილით ქარში.

ჩამინაჭუჭეთ ეს სურვილი,იმაღლოს ჭერმა,
იერუსალემის გალავნებში ტიხრეთ სოგმანი,
ქვებს მიაყრიან დაფერფლილი ლანდის სიმღერას
ჩაღლეულ მემავს მივაღგებით სულთამობრძავნი.

იქნებ მოყუნთულ მუმუმწოვარ ლორტყუებს შეუნდო,
შეუნდო ტაძრებს,მდინარეებს,მღვიმე-ქვაბულებს,
მარავში ფაქლა და უმძრახად ანდერძი გვიგო
მთამომავლობას მოუვერცხლავს ცისფერ სართულებს.

და არც ჩერდება,სადგურები უსახოდ კრთიან,
შენმა სიცოცხლემ! ჩვენმა რჩენამ და ჩემმა მთვარემ!
მეყუყუნები ამ ცისმარე,ცვარიან დილას,
სირცხვილეული უკანასკნელ ფიალას მანთხევ!

ფიალა შხამის,ჩაყლურჭული ნაღველი ქალის,
არდადეგებზე დამეწაფე, დამესინდისე!--
დასაზამიდან ჩვენ ვყოფილვართ, ყრუანტელ დავლილს
გულმოწყალება საოცნებო,ქრისტევ,ისმინე!...

მე გეცილები ამ ცოდვილ არსს,ქმნილებანამენს,
მე გეცილები ამ სიცოცხლეს სიკვდილის პირზე,
შაბათი დღეა!გეცილები ნაფერებ გამდელს...
ჩემი ცხედრის წილ გეცილები ისევ და ისევ!..

ღამეა ქცევის,მსახურები რიალით რბიან,
შემრწუნდა სული,ბორიალში ყვავილებს ფურცლავს-
ნაზვავ ცაბლაზე პაცარძლები სხვა სუფრას შლიან,
მოლდო ნაკენარ წელს ვენები,ნაცერფალს ვწრუცავ.

რა ჭირად ვიდებთ ამ უღლეურ განსწავლულობას,
ეს საკაცეთი სალოს ყერყეცთ ჩარჩებათ ნუთუ?–
აქეთ ბორბლები, მარწუხები, ხელთათმანები,
რომ მაქაბელმა ნაცვალგებით იძიოს შური!

საზეთისხილო დალმართებზე მოგდევდი ნიავს,
შენს საწიალედ დასავლეთი შევმარი ქალო!...
გამიმასპინძლდი!შენს თბილ თქვილში ნაკრთობი მი[illegible]
რომ წმიდა ქვასთან უცხოს ლანდმა გმავრს და გმავ[illegible]

დამაცხრე კაცი,სალოცავად არ შემელიო!
ისკარიოცებს რა გამოსწყვეტს ამ ქვეყანაზე,
შემასვი სისხლი,რძენარწყული შენი ერიოს,
ამ აღშფოთებას ავმუცელა ციმფს გინახავდნენ.

და მწიგნობრობენ ფუღვრა-მგნარვით ნაჩვევ ღორღა[illegible]
რუხრუხით მიგვაქვს ამ კითხვათა სადიდებლები,
სამხარილივედ მიორთუქე თეთრი ყაჯარი,
შემხსენ დოლბანდი და გნიასით ნუ მეყვედრები.

მომეც საწყაო!შემიბრალე,მე ვარ დავიდის,
მეუდაბნოეს ვუღავლავებ,-დამითმოს ლავრა...
ყურთ გვიყრუებენ უსაქმური ყულაოზები,
გზა აღრევიათ და ეცყობათ ფერცვალა დაღლა.

ჰო,ეს ცკივილი ღვთაებრივი და პაპასკირი,
მომეშვას შოშე,- დამიმიკვიდროს სასუფეველი,
ამ დასამართში შემთითხვნელობს უმწეო მწირი
შემამრწუნებლად მიიწივლებს მაცარებელი.

ორი ათასი წელი რკალავს ავბედით სრბოლას,
დამირჩა აწმყო, მკვლობელი, ჩამღრმავალი მძიმი,
ხელს მიქნევს მოთხე; ეს ლაციცა მკვახერეკია-
ცანცრევანდებზე მოსაყრდენი გრემვლიან ბოიკს.

იფხიზლე ქალო! აღიჭურვე აზრით და ვნებით,
მე მოვალ ისევ, ვითარც ერთი ძველი ფორმულა,-
გლოვა-ცანცხული ვაგლახობით სიმართლეს მეცყვი;
ჭეშმარიტება - სრულყოფილი სითხით ორსული.

არ განმერიდო! მღელვარებას მიანდე თავი,
ამ დამთავრებას, არა! იქნებ უხეშ დაწყებას,
ლიკაონიას მიგვაქროლებს ლურჯი ხომალდი -
ათრთოლებული ბეთანია - ქადაგ-დაცემა!...

აგერ, ნაზავი ასიოდე მური, ალოე,
სალამოხანზე პრეცორიუმს აწყდება ხალხი,
უკუშეიქცნენ ქურუმები თირთფეონზე-
სურთ აღასრულონ წინამთქმელის სიცყვა და მალი.

ნუ მეცმასნები ასე ფლიდურ-ფარისევლურად,
შენი შეხება ჩემთვის მართლაც საცნაურია-
ნაცარეთს მავალს ერთი მწვანე ქუდი გეხურა...
გამჩენს ეს მიწა ჯერ კიდევ ხომ არ დაუხსნია.

პა, დავიცალე, ესე ლოცვა ყოფილა წუთხი...
დასრულდა ხილვა, არა! იგი ახლა იწყება...
მოციქულებო! პროკურატორს ეჩვენეთ წუთით--
იერუსალემი უფლის ცეცხლში ახლა ინგრევა.

მოწმობენ წყლულებს, შავი ხელი ქანაობს ქარში,
სარწმუნო ნაყოფს შემოგვამლევს ყოვლისმპყრობელი;
დიდ სერობაზე დაიწმინდეთ თემოსთავები -
დაილეწება ის საუფლო, ნურრას მოელით!

კრავი, დუმილი, სიონის მთა, საკურთხეველი!
ორლესულ მახვილს თანაუგრძნეთ პირველი აღთქმა,
უგვარცომობა თუ დასჩემდა, რას უკეთურობს
დანაზღვრულ დღეზე სითამამეს თანა-ცყვედ ახლავს.

მე ამ სადგომში რწმენა შენი ვერ მისწავლია,
გულღრმო მომულეს სალამს ვამლევ მხედართმთავრულად,
მაცოცხლებელო!მიწინამძღვრე დღეა განკითხვის,
შევდება ქალი! ნება ქმრისა დაე აღსრულდეს!

იგივე მარღვი,იგივ ნაკვთი, იგივე ასო-
ვით განუგემო ჩვენს ურვება-სიმხურვალეში!
გვემახსოვრება ესე ზვინი და ესე კალო,
კერპთმსახურებას ისყიდავენ წინადაცვეთით.

მო,განმიცადე უარყოფა ყველა უარის...
ვით მთლიანობა ამბორნაცემ ჯვარზე ეკიდა,
თანაგვეწიოს დასასრული - პირველსურათებს,
ჩამოგვირიგებს უსასყიდლოდ, თითქოს ეკვეთა...

ეკვეთა კორინთს და მორწმუნეს სადღა სცალია,
ლამაზი ქვრივი ელოდება თმენით, კანკალით,
ემუდარება რომ დაიხსნას, კიზეს ადიან
და ქვემაგეზზე იმართება სხვა კარნავალი.

არა! არ მოკვდა,ის საუწყოდ გარდაიცვალა,
უგულისხმოთა ეპისტოლეს კითხულობს ახლაც-
კეთილმოქმედი თუ გაუწყრა, არ დაიცადა,
ანტიქრისტესგან საზღაური მიიღო ალბათ.

ვხედავდი სიტყვას,იყო ხილვა,იყო მახილი,
სიტყვა საშოში მიფეხმძიმდა, ეს ხილვა მიშვა-
ქალი ჩქურებით ისიკვდილებს მარადისობას,
სულიც ცოდვილი ამ საფლავის სიწმინდეს იცავს.

განა კი ვკვდები,არა!ვუწყით,სახლში მივდივარ,
გორგომიჯელას მომაწოდებს ალიაქოთში-
მუღლი და ღვარძლი ისრაელის ბედს თუ სტირიან,
დაჩქლითეს ღმერთი ხიმანკლური ოინბაზობით.

გაშალე ფეხი,აფუნდრუკე თემო და წელი!
დამაცვილვინე მობაყბუყო ნახეთქი ნაზი--
ახალ სამყაროს, ახალ წყობას ვაღირსებ ჩქარა,
მალნაზი ცქაფი სავატრობას მივტირი გნაცში.

ამოუმეგლე ეს მატური - სიმბოლო შიშის,
დამახვე წნელი, უზარქაშე უფალს კონკები-
ქვახარშიათა ყამი დგება და შავწითელა
ჭარტალ-ბლიყინით იდღვარძლება ჩრიხი მონძებში.

    არ დამაყვედრო!მოშლაპუნე წარღვნაა ღამით,
    ჭირის ოფლს მასხამს...ამ ფეხმძიმე სიტყვას შევხარი,
    ქალი მეშლება წესწყობილი რიგის წეწონზე
    და ქრისტეს ავთრათს მესიურად აღარ ვეკრძალი.

შენც დაიღალე ამ შეჯიბრში,გჭირს ჩარანდელი,
წილის ყრა იყო,ქალი ესე მე დამრჩენია-
გულმა თუ გიგრძნო და ამ ხილვას შემოუკვნესე
და შავ-ხელურად ამ როტონდას დასთენებია.

    ნუ მალიანობ! არ დაუშვა კიდევ შეცდომა!
    დაიწიპწიპე ჩემი ზნე და ჩემი სურვილი-
    ახალი წყობა იბადება, შიში გვეკურთნა,
    ვით სიყვარულის წინასწარი ხილვა-წყურვილი.

ყინყლავენ ფიქრებს და ქოქოლებს აყრიან წყეულს,
ჩაქანქვლეს დგარი,მიუზომეს ლუწი ყევარი-
ჭაპანწყვეტაა და ჭრუვ ტვინში ნაჭრევი გერშობს,
ნატევარს მირჭობს ანგელოსი ნახანგრძლევადი.

    ჰა,დამითმია ესე ხარჭა და ესე კურო-
    იქნებ დავამლოთ ხეკაკუნა მამახვადები,
    ჩვენი იქნება ხელთუქმნელი გრდემლი და ურო,
    ქერათმიანი გოგონების ნავედრალებით.

არჩევნებია, ოთხი წელი! დარჩება ცოდვა!
მოპარულ მანდატთ მექრთამენი ყინით იყოფენ,
ჩვენ სულის მალით მოვისტუმრებთ ლაყლაყა მოდგმას,
ხვიანდაგებში გამობმული ხიჭი გვიტოლებს.

    ამ ხზედს ვაჭენებ,კიპორჭებზე მომაქვს ნამქერი,
    საშიშროება უკან რჩება, ხილვაა ირგვლივ,
    ხორცშემესხმები ავგაროზთა გადმონამქერი,
    ლამაზო გოგოვ! რაღას დუმხარ,რაღად არ ტირი?!...

ტირი ამ სიტყვას და ამ წმინდა აფეხმძიმებას,
ტირი ამ წყობას,დანგრეულზე შენებას ახლის-
ტირი მას რომელ აღარადროს აღარ იქნება...
კედელს ზმანებად აკრობიხარ,ჩემსმსგავსა მარტვილს.

გულს მოუოხებ,სასწაულო! უყურიადე!...
არ შეარჩინო დამარცხება! დაჰკარ ჯლიხვები!
ქვესკნელს შავეთში ეკოცნება დიდი გეენა-
ვინძლო რომ აღარ, აღარადროს არ გავბრიყვდები.

ენამ გადათქვა ენა მაშინ, ვერ დაიტია,
ყველა დიდება შენდა,ჩემდა,შემძლეო ჩვენო!
მთავრდება ხილვა,სხვა დღე დგება, სხვა მაისია
ცხოველმყოფელო! დაგვილოცე ჭერი და ერდო!

ჰო,დაგვილოცე,ისე როგორც არც გილოცია!-
საქართველოში დაბადებულთ - მსოფლიო გვლოცავს,
იქ, გოლგოთასთან დარჩენილ ქალს მართლაც სცოდნია,
რომ შვილის საფლავს უსახოო ლანდი-ლა სჭოლავს.

* *

ხელდასხმა მორჩა,საქმეც ალბათ ვერ გასრულდება,
ათოვს საფლავთან სინარნარედ დაკმეულ ქალწულს,
იქ, გოლგოთაზე ჯვარს აცვამენ სულ სხვა გოლიათს
მამა იცინის, ტირის,ისევ მასწავლის ქართულს.

* *

ეპილოგი

იქ მსახიობი შინაარსით იცლება ჭავლში,
ღელავს დარბაზი და ბრბო უკრავს ტაშს მაკინტალებს,
ხვეტავდა სიტყვებს, მდუმარებდა დღეს ხეიბარი,
სრულ იქმნა ღმერთი და სულს წმიდას თვისკენ იზარებს.

ცხადია ახლა:რა გინდოდა! რა მოგინდება?-
დროთგასაყარზე თებერვალი წერილა გვემით,
გულმოდგინებით არწევ აკვანს, ის არ ირწევა
და შავი ხელის ფრიალება გაწამებს ბნელში.

ხედავდნენ სურათს...სახეები ვიგინდარების,
რიცხვთა ცოლობას, ფერწასული დგებოდა დედა-
მისი სურათი ზეციერის სახედ ლაგდება,
შადრევანული სიყვარულით ეხვევა ზნედა.

ასეც დაღამდი, რომ გათენდე,წარსული ჩნდება,
ვით სამომავლო გამოცანა ნაოში ველის-
რომ იწინამძღვრო, ჯერ ისწავლე მიყოლა არსო!
ნამღვდლევ ცუდლუცებს ნაღვინევი თანხმობა ელის.

კვლავ მომეახლა იგი სული,იგი ზმანება,
ვხედავდი საკნებს, რასაც ვერვინ ვერადროს ჭვრეცდა-
სიცყვა კამიცვდა, ენა რისხვით თავზე მაწყდება
და ჩემს დუმილში ვიძირები უცილო თმენით.

დაბინდებაა ყველა გრძნობის,ყველა წადილის,
უძრავად იდო ქვეყნის ღერძი,მთვარეც ესვენა-
ჩვენი ულლების მოლივლივე წყალზე მანდილი,
ცისფერ იმედებს უქარგავდა დროს და ზევებას.

ამოხეთქილი ივლაკნება ცკივილი ღამით,
ეს ხომ ზრდა არის,განსაცდელთა დიდი განრიგი,
მიდა სიმშვიდეს აღმოაჩენ მავ ქვაში ჩართხმულს,
გონებამმიმე პოეზიის კადამახილებს...

ვერ ვისამლისე, მდუმარება ჩავფანცე ქარში,
მეც გავიფანცე, იმისათვის რომ შევიკრიბო!
მან ვემალები,-დრამაცული მესმევა დალი
აღსარებათა უკანასკნელს ვწერ საიდუმლოს.

ინათლა...აი,ჩაიფერფლა ბოლო სანთელიც,
ბრწყინავდა სახე,თუმც არ ჩანდა ქალის სხეული,
ისმოდა ზგერა,ადამიანს კი ვერ ვამჩნევდი.
მარმარილოზეც ჩვენ ვესვენეთ გაორებულნი.

დადგა ეს წამიც განშორების,სიკეთის იქნებ
დადგა სამყაროს აღსრულების ყამი ქარვული,
ჩვენ დავემებდით ლექსიკონში აზრცხობილ ცნებებს
კართან მოვიდა მოკრძალებით...ისმის კაკუნი:

"იქნება ისევ, ის, რაც მაინც მოსახდენია,
საფლავი, ლოცვა, კურთხეული სამშობლო გვფიცავს,
ქარში ქანაობს შავი ხელი, ერთი სიმბოლო –
ლამაზი გოგო, ის/ცრემლები ...უფალი, მიწა."

ყოველსა უწერელსა ყამსა, ა̃ნ

**თელ-ავივი**



Itzhac David

# SECOLI VISSUTI

Infine, inganno il mondo alla portata mortale.
Eiscaderebbe senza che ne sospetti
degl'intestini durante la mia vita uterina.
Madre, ma ingannarte senza che lo sappia.
adesso, e vera arte, benche dipende
l'andamennti da un giunto superno...ascoltiamo
all'sguardo, che gira, dimostra.
Si alzo la donna vivamente con una serieta ben recitata.
E bella, meravigliosa, racconta le memorie si ben comprese.
Io venivo accesso davanti la stessa.
Il suo fascetto e gambo.
La donna che studiava la scienza d'onore, del merito
privato e con il petto fregiato, parla.
– Ricordi il tempo, il tempo perduto,
secoli vissuti.
Ricordi, ricordi d'argento sotto l'aspetto buono...
Secoli perduti...quelle antiche raccolte dei venditori del corpo..

La donna mia radice, biancha e sempre vera..
Cio che divago, chiude il chiestro felice di casa,
sua vista, saperla sulla terra,
la vera imagine, ricorda i beati lari umani.
E paradiso di colpi,
non ci apprime bella, bellissima e tentatrice.
Siete molto sciupate, ascolta
alla vera arte degli ingegnieri forestieri
fal rumoroso eppoi colla storia controversa
e lungha, Madre,la genitore.
Duomo, Milano, questa volta segue l'orologio
ventiquattr'ore nella navata principale.
Cio, le prime ore della nascita,
ore perdute del crepuscolo sacro.
Il sole calato dei nostri amori, ricordi?
Castelli della infanza.
peraltro sapete la fama di donna nel palazzo ducale.
Milanno delle legge, negligate, incerte.

Quello della morte estrema, Batte! Battere!
Una dottrina oppugnata, lavoro racconta signora.
Prendera questa notte, spesata di fabbro scelto,lento
nel Duomo all'ora sesta.
Fa il favore, Bene!
Fertile contrasto della mala piega.
– Siete pronta Signora? Va bene... incomincia.
Cara Signora degli diletti, dimori.
Il tuo tono di voce mi prende di li, di la.
Prendi la penna e scrive: questo timore mio,
prendi, quanto mi ha voluto, accetti regali,
l'annello...Signora chiappa il braccio nel mio vestito.
Capelli brunastri. Cioe la misura precisa.
fuggita, non pare essere nella cappella di San Pietro,
martire...Milano.
Lo che viene narrato addesso per'anche marmoreo
la cuppola a piccoli pilastrelli.
Duomo, Silenzio di tutte entrate...
Prendi i scimmie, penzolati degli alberi
in mezzo della terre alla facciata tua Milano.

Non domando di meglio l'albergo mi displacciono.
Ti sembra che ci abbiate detto dal questo Duomo.
– Non osavo offrirvelo... Tanto modesto.
Ricordi, visita addesso, signore che salmodiate,
da cui se non risponde... stringi la mano signora,
risposa, non fa niente rifiutar la mia benefattrice..
Tace! siete una donna Milanesa come tutte...
piuttosto bella, alla volta... la vita,
domandi per grazia, d'un favore, di pazienza e lo stesso.
Allora col cuore, a braccio in croce colle labbre,
piamente, implora il Duomo di pieta e frase, parole,
tranquillita e pace parlano.
Volete levarsi d'impicci... di meglio era sincera colla sorpresa
avanti di tempo...
– Signora, siete molto irritante!
Asserta in un pensiero gravo, pensieri di pentafillo,
a quattro lati e somiglianza suddetta di festa doppo pasqua
di Pabbia che mostra senz'ombra di rimorso.
Il resto, non avrai a pentirti de t'aver incontrato nel Duomo
all'estremo del secoli vissuti.

MILANO, Agosto, 1977


私愛する君美しい日本の春明るい
ALBERT PAPI

